საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№27 (262)
23 - 29 ივლისი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

14 უტვინო ფაშისტების განათლება უნდა დავუპირისპიროთ!

# ბატონი ტელებიძინა

5



დღეს, შუა საუკუნეებისგან განსხვავებით, მაყურებელი მსგავს სიყალბეს დიდხანს ვერ აიტანს. თუმცა ეს შედარებით ნაკლები ბოროტებაა; ყველაზე დიდი პრობლემა შეიძლება შექმნას ჭკუის სწავლების დაუფარავმა მცდელობამ და უაპელაციო დასკვნებმა — არც ერთი, არც მეორე ფიგურანტისთვის უცხო არაა.

# არა შეჯდა მწყერი ხესა, ეგ მარგველაშვილის კაზუსი 6

# 7 «სამურაი» და ორი სათაური



«ყაჩაღებს მიხედეთ, ბატონო პრემიერო, თორემ გადაჭამეს სოფელი!» 4

„ივანიშვილს ეგონა, რომ „შესანიშნავი გუნდი“ დაგვიტოვა. მერე და მერე აღარც თვითონ მოეწონა 63-პროცენტიანი პრეზიდენტი და მრავალათასიანი პრემიების ამღები მინისტრები, მაგრამ პასუხი არავის უგია, არც თვითონ ბიძინა ივანიშვილს!“

აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო და გფბ ტერორისტებს აქეზებდნენ 2

მალაიზიური ბოინგი და ამერიკული «ფასეულობები» 8

9 «ისრაელის მოსახლეობა ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე იდგა»

სამღვდელოება კაზანტიპის ფესტივალის წინააღმდეგ! 10



ვინ აგებს პასუხს ტოტალურ უმუშევრობაზე, 12 ლარის ჩუმ დევალვაციაზე?

13 «ჩხუბი სომეხმა მღვდელმა დაიწყო»

«სომხები ცდილობენ, თბილისი სომხურ ქალაქად გადააქციონ»

22 ობამა და ოპონენტები

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## აქცია სიწმინდეების ეკლესიისთვის დაბრუნების მოთხოვნით

**რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ და სხვადასხვა ეკლესიის მრევლმა ხელოვნების მუზეუმთან აქცია გამართა. მათი მოთხოვნაა, რომ ანჩისხატი და სხვადასხვა სიწმინდე, რომლებიც მუზეუმებშია დაცული, ეკლესიას გადასცენ.** აქციის მონაწილეთა განცხადებით, მემორანდუმი, რომელიც სიწმინდეების თაობაზე სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმდა, აუცილებლად უნდა გასაჯაროვდეს. მათ უკვე ათასობით ხელმოწერა შეიტანეს საპატრიარქოსა და სხვადასხვა ინსტანციაში სიწმინდეების ეკლესიაში დაბრუნების მოთხოვნით. ხელმოწერების შეგროვება კვლავ გაგრძელდება.



## რონ პოლი: «ბოინგის» კატასტროფა აშშ-ის მიერ მაიდნისთვის მხარდაჭერის შედეგია

**აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა რონ პოლმა ჩამოთვალა ფაქტები, რომლებზეც დასავლური პრესა არაფერს ამბობს. პირველ რიგში, — წერს ის, — ჟურნალისტები არ ახსენებენ უკრაინაში მოწყობილ სახელმწიფო გადატრიალებას, როდესაც ევროკავშირისა და აშშ-ის მხარდაჭერით დემონსტრანტებმა კანონიერად არჩეული პრეზიდენტი იანუკოვიჩი დაამხეს.**

„ბოინგ 777"-ის კატასტროფის შემდეგ დასავლელი პოლიტიკოსები და მედიასაშუალებები აღტყინებით ცდილობენ ამ ტრაგედიიდან „მაქსიმალური პროპაგანდისტული სარგებლის" მიღებას, — აღნიშნავს ამერიკელი კონგრესმენი რონ პოლი. ბარაკ ობამამ გამოძიების დაწყებამდე დასდო ბრალი სახალხო ლაშქარს, მას კი მხარი დაუჭირა გაეროში აშშ-ის წარმომადგენელმა სამანტა პაუერმა.

„ნუთუ ასე ძნელია, მოითხოვო ობიექტური გამოძიების ჩატარება?" — სვამს კითხვას რონ პოლი. „იმეორებენ რა ხელისუფლების პროპაგანდას, დასავლური მედიასაშუალებები ბევრ რამეზე ჩუმად არიან", — თვლის პოლიტიკოსი. „პირველ რიგში, — წერს ის, — არ ახსენებენ უკრაინაში მოწყობილ სახელმწიფო გადატრიალებას, როდესაც ევროკავშირისა და აშშ-ის მხარდაჭერით დემონსტრანტებმა კანონიერად არჩეული პრეზიდენტი იანუკოვიჩი დაამხეს". **რომ არა რეჟიმის შეცვლა, რომელიც ამერიკის მიერ იყო დაფინანსებული, არეულობებში ასობით ადამიანი არ დაიღუპებოდა. არ მოხდებოდა მალაიზიის თვითმფრინავის კატასტროფა,** — ხაზს უსვამს რონ პოლი.

მასმედია, — წერს რონ პოლი, — არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეუთოს მონაცემებით, **კიევის ხელისუფლებამ ლუგანსკის ოლქში 250 მშვიდობიანი მოქალაქე მოკლა. კატასტროფიდან მეორე დღეს კი ლუგანსკში 20 ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. დასავლური მედია პირში წყალს ჩაიგუბებს იმაზე, რომ აშშ მხარს უჭერს კიევის ოპერაციას მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ. ამ მოქმედებას სახელმწიფო დეპარტამენტმა „აწონილ-დაწონილი და ზომიერი" უწოდა.**

ამერიკელი პოლიტიკოსი, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ **სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფა ხელს აძლევს კიევს და არა რუსეთსა და სახალხო ლაშქარს.**

**„გარდა ამისა,** — წერს რონ პოლი, — **კატასტროფამდე ცოტა ხნით ადრე კიევის სამხედრო ქვედანაყოფებმა მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადეს. ეს ჰგავს შარშან ზაფხულში სირიაში განვითარებულ მოვლენებს, როდესაც აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი სირიელი მეამბოხეები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ და, როდესაც აშშ-მა ბაშარ ასადი დამასკოს გარეუბნის მშვიდობიან მოსახლეობაზე ქიმიური იარაღით შეტევაში დაადანაშაულა, მსოფლიო ომის ზღვარზე იმყოფებოდა, მაგრამ ვაშინგტონის განცხადებები სიცრუე აღმოჩნდა".**

## პრემიერმა მინისტრობის კანდიდატები წარადგინა

**22 ივლისს საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მინისტრთა კაბინეტის წევრობის კანდიდატები წარადგინა.**



ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, **სოფლის მეურნეობის მინისტრის** თანამდებობაზე ამ სამინისტროს მოქმედი პირველი მოადგილე **ოთარ დანელია** დაინიშნება, **სასჯელაღსრულების მინისტრის პოსტზე** — ქვემო ქართლის გუბერნატორი **გიორგი მღებრიშვილი, ინფრასტრუქტურის მინისტრად** — საგზაო დეპარტამენტის უფროსი **დავით შავლიაშვილი,** დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრად კი — უკვე ყოფილი მინისტრის მოადგილე **გელა დუმბაძე.** კულტურის მინისტრობის კანდიდატს კი პრემიერი უახლოეს ხანში დაასახელებს.

„ვიცი, რომ კულტურის მინისტრთან დაკავშირებით საზოგადოებაში დიდი ინტერესი არსებობს. ეს ერთ-ერთი საპასუხისმგებლო სამინისტროა. მინისტრს ყურადღებით ვარჩევთ. გვყავს რამდენიმე კანდიდატი და დღეს საღამოს თუ არა, ხვალ დილით დავასახელებთ", — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება **ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს**, მას **სოზარ სუბარი** უხელმძღვანელებს, რომელიც სასჯელაღსრულების სამინისტროდან აღნიშნულ უწყებაში გადაინაცვლებს. ასევე, მთავრობაში რჩება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებული **ელგუჯა ხოკრიშვილი,** რომელიც ამ უწყებიდან მუშაობას **გარემოს დაცვის სამინისტროში განაგრძობს.**

მთავრობაში 7 საკადრო ცვლილების შესახებ პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განცხადება 21 ივლისს საგანგებო პრესკონფერენციაზე გააკეთა.

## ერაყელი «ბოევიკები» ქრისტიანებს დევნიან

**ერაყში ბოევიკები ძალადობრივი მეთოდებით დევნიან რელიგიურ უმცირესობებს. ასობით ქრისტიანული ოჯახი იძულებული შეიქნა, საკუთარი კერა მიეტოვებინათ.**



რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ცოტა ხნის წინათ ტერორისტული ორგანიზაცია „ერაყისა და შამის ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლებმა ერაყისა და სირიის საზღვართან ე. წ. ისლამური ხალიფატის შექმნის შესახებ განაცხადეს. ეს ტერიტორია მოიცავს იმ რაიონებს, რომლებშიც ცხოვრობენ ქრისტიანები და სხვა რელიგიური უმცირესობები. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე **ქალაქ მოსულზე კონტროლის დამყარების შემდეგ „ბოევიკებმა" ქრისტიანებს წაუყენეს ულტიმატუმი — ან მიეღოთ ისლამი, ან გადაეხადათ არამუსლიმანი მოსახლეობისთვის დაწესებული გადასახადი, ანდა დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები. ულტიმატუმის ვადის ამოწურვის შემდეგ „ბოევიკები" გადავიდნენ ძალისმიერ მოქმედებებზე, რომელთა შემდეგაც ასობით ქრისტიანული ოჯახი იძულებული შეიქნა, საცხოვრისი დაეტოვებინა.** რუსი დიპლომატების აზრით, **მომხდარზე პასუხისმგებლობა ეკისრება რეგიონში მოქმედ ძალებს და მათ უცხოელ მფარველებს.**

## HUMAN RIGHTS WATCH: აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო და გფბ ტერორისტებს აქეზებდნენ

**ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-მა და კოლუმბიის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტმა გამოაქვეყნეს მოხსენება, რომელშიც აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო და გამოძიების ფედერალური ბიურო (გფბ) ტერორისტული აქტების ჩადენისკენ მუსლიმანების წაქეზებაში დაადანაშაულეს.**




გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ ჩატარებული სპეცოპერაციები აშშ-ში მცხოვრები მუსლიმანების წინააღმდეგ ეფუძნებოდა ადამიანების დევნას ნაციონალური და ეთნიკური ნიშნებით, — ნათქვამია ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია **Human Rights Watch**-ისა და კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის ერთობლივ მოხსენებაში **„იუსტიციის ილუზია: ტერორიზმთან ბრძოლისას ადამიანის უფლებების დარღვევები აშშ-ში".**

უფლებადამცველები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ტერორიზმთან ბრძოლის პრაქტიკაში ადამიანის უფლებების ბევრი დარღვევაა, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა უკიდურესი აგრესიულობა სპეცოპერაციის ჩატარებისას და მსჯავრდებულთა ყოფნა მეტისმეტად მკაცრ პირობებში.

**„ამერიკელებს ეუბნებიან, რომ მთავრობა იცავს მათ ქვეყნის შიგნით ტერორიზმის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებით. მაგრამ, თუ კარგად დავუკვირდებით, მივხვდებით, რომ ბევრი ადამიანი არასოდეს ჩაიდენდა დანაშაულს, თუკი ამისკენ მათ სამართალდამცავი ორგანოები არ უბიძგებდნენ, ზოგჯერ კი პირდაპირ არ დააფინანსებდნენ ტერაქტების მოწყობას",** — ამბობს **Human Rights Watch**-ის ვაშინგტონის ბიუროს დირექტორის მოადგილე **ანდრეა პრასოუ.**

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გფბ-ს აგენტები ზოგჯერ ისეთ ადამიანებს „ამუშავებდნენ" (იბირებდნენ), რომლებსაც ფსიქიკური გადახრები ჰქონდათ და გონებრივად იყვნენ ჩამორჩენილნი. მოხსენებაში მოყვანილია შემთხვევა, როდესაც 4 ნიუბერგელი (ნიუ იორკის შტატი) მუსლიმანი ამერიკულ სამხედრო ბაზაზე სინაგოგების აფეთქების დაგეგმვაში დაადანაშაულეს. მოსამართლემ საქმის განხილვისას განაცხადა, რომ ხელისუფლებამ „მოიგონა დანაშაული, შემდეგ — დააფინანსა, ბოლოს კი მოსპო ყველა წინაღობა ამ დანაშაულის ჩასადენად, შედეგად, „ეს კანონმორჩილი ადამიანები ტერორისტებად აქცია".



## ფრანსუა ოლანდი: რუსეთისთვის სანქციების დაწესება «მისტრალის» გადაცემას ხელს ვერ შეუშლის

**საფრანგეთი რუსეთს ერთ „მისტრალს“, გეგმის მიხედვით, ოქტომბერში გადასცემს, მეორე ხომალდის გადაცემაზე გადაწყვეტილება მიღებული იქნება რუსეთის პოზიციის გათვალისწინებით უკრაინის კრიზისის მიმართ, — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა.** „პირველი „მისტრალის“ აგება თითქმის დასრულებულია. ის გადაეცემა რუსეთს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაბიჯს არ ამართლებენ საფრანგეთის მოკავშირეები, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი“, — განაცხადა ოლანდმა. როგორც საფრანგეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები ხელს ვერ შეუშლის „მისტრალის“ გადაცემას.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას მალავს აშშ თანამგზავრის ფოტოების გამოუქვეყნებლობით

**სენსაციური ჟურნალისტური გამოძიებებით განთქმული ამერიკელი ჟურნალისტი, პუბლიცისტი და პოლიტიკის ანალიტიკოსი რობერტ პერი გაკვირვებას ვერ მალავს, რომ ვაშინგტონმა აქამდე არ წარმოადგინა რუსეთისადმი გამოთქმული ბრალდების მტკიცებულებები.**

მალაიზიის ლაინერის კატასტროფაზე მედიის მიერ ატეხილ ისტერიკაში არ არსებობს პროფესიონალური სკეპტიციზმი, — თვლის ამერიკელი პუბლიცისტი რობერტ პერი, — არავინ სვამს კითხვებს და არავინ ცდილობს, მათ პასუხი გასცეს. დამოუკიდებელ ინტერნეტ-პორტალ Consortiumnews.com-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში პერი გაკვირვებას ვერ მალავს იმის გამო, რომ ვაშინგტონს აქამდე არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომლებიც გაამყარებდა მის მიერ წამოყენებულ ბრალდებას რუსეთის მიმართ.

**„იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ის დაზვერვა, ბოლო ნახევარი წელია, ყურადღებით აკვირდება აღმოსავლეთ უკრაინას, ძნელი დასაჯერებელია, რომ ვერავინ შენიშნა რამდენიმე დიდი საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „ბუკის“ გადაადგილება რუსეთიდან უკრაინაში, შემდეგ კი უკან — რუსეთში“**, — აღნიშნავს რობერტ პერი. მისი აზრით, ტექნიკური შეზღუდვებიც რომ ყოფილიყო, **ამერიკულ თანამგზავრებს მაინც უნდა შეენიშნათ ასეთი მსხვილი ობიექტების გადაადგილება. ამასთანავე, თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა დღისით და არა — სიბნელეში, რომელსაც შეიძლებოდა, დაემალა სამხედრო ობიექტი.**

„დიდი ალბათობით, — წერს პერი საიმედო წყაროზე დაყრდნობით, რომლის ვინაობასაც არ ამხელს, — **ამერიკის დაზვერვას სინამდვილეში მართლაც აქვს თანამგზავრის მიერ გადაღებული ფოტოები, მაგრამ მათზე აღბეჭდილი სარაკეტო მოწყობილობა, რომლიდან გასროლითაც ჩამოაგდეს „ბოინგი“, უკრაინის შეიარაღებული ძალების აღმოჩნდა. ამაზე მიუთითებს უკრაინის არმიის განმასხვავებელი ნიშნები სამხედროების ფორმაზე. თუმცა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ანალიტიკოსები ვერ გამორიცხავენ, რომ ეს ადამიანები უკრაინის არმიის სამხედრო სამოსში გადაცმული სახალხო ლაშქრის წარმომადგენლები არიან. ვარაუდობენ, რომ ეს ადამიანები მთვრალები იყვნენ, რადგან ფოტოებზე ჩანს, რომ საზენიტო ბატარეის გარშემო მიმოყრილია ბოთლები.**

ამის მიუხედავად, ვაშინგტონის ოფიციალური პოზიციით, ტრაგედიაში დამნაშავე არის რუსეთი.

დასავლეთის წამყვანი მედიასაშუალებები კი, ვაშინგტონისგან



კონკრეტული დეტალების დასახელების მოთხოვნის ნაცვლად, მხოლოდ „პროპაგანდის გავრცელებით“ არიან დაკავებულნი; მაგალითად, სისტემა „ბუკს“ დასავლური პრესა ყოველთვის რუსეთის კუთვნილ სისტემას უწოდებს. ეს არის „უაზრო ფაქტი, რომელსაც უსასრულოდ იმეორებენ“ და რომელიც, პერის აზრით, მოწოდებულია იმისკენ, რომ გავლენა მოახდინოს ცუდად ინფორმირებული ამერიკელების გონებაზე.

პერი, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ რუსეთის საწინააღმდეგო დასკვნების უმეტესობა შეთხზულია უკრაინის ხელისუფლების მიერ, რომელიც ქვეყნის სათავეში ანტიკონსტიტუციური გადატრიალების გზით მოვიდა და რომელსაც ჭეშმარიტების დადგენის საქმეში კარგი რეპუტაცია არ აქვს. **აქამდე ცნობილი არ არის, ვინ ესროდა მილიციასა და დემონსტრანტებს 20 თებერვალს მაიდანზე; დადგენილი არ არის ხანძრის გაჩენის მიზეზები ოდესის პროფკავშირების სახლში, სადაც ათობით ადამიანი დაიწვა.**

პერი გვახსენებს, რომ **კიევმა ერთხელ უკვე მოატყუა გაზეთი „ნიუ იორკ თაიმსი“, რომელსაც ვითომ უკრაინაში მებრძოლი რუსი სამხედროების ფოტო გაავრცელებინა.** და დღეს წამყვანი მედიასაშუალებები კვლავ ეყრდნობიან კიევის ხელისუფლების შეუმოწმებელ განცხადებებს, რომელთაც, ანალიტიკოსის აზრით, „მსოფლიო ძალიან სახიფათო მომენტისკენ მიჰყავს“: **ასეთი ჟურნალისტიკა უკვე იყო მიზეზი ერაყში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტისა, ასეთი ჟურნალისტიკის მიზეზით კინაღამ ომი დაიწყო სირიასა და ირანში.**



## პოლ კრეიგ რობერტსი: აშშ ისე დიდხანს ცრუობდა, რომ გაჩერება აღარ შეუძლია!

ამერიკელი პუბლიცისტი პოლ კრეიგ რობერტსი დასავლური ჟურნალისტიკის დეგრადაციაზე წერს: მასმედია ერთობლივი აღტყინებით ცდილობს, ვაშინგტონის კურსს ფეხი აუწყოს და რუსეთი დამნაშავედ გამოაცხადოს.

ავიაკომპანია Malaysia Airlines „ბოინგ 777“-ის კატასტროფის დეტალები და რამე მტკიცებულება ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, რომ დასავლურმა მედიასაშუალებებმა, თითქოს ბრძანება მიიღესო, ბრალი რუსეთს დასდეს, — აღნიშნავს ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, პოლიტოლოგი და პუბლიცისტი პოლ კრეიგ რობერტსი.

**„ბი-ბი-სის“ მთელი რეპორტაჟი, რომელიც NATIONAL PUBLIC RADIO-მ გადმოსცა, ემსახურებოდა ერთ მიზანს: რამე მტკიცებულების გამოჩენამდე განსაზღვრულიყო, რომ რუსეთი დამნაშავეა, — წერს რობერტსი, — და მთელმა დასავლურმა მედიამ ერთ ხმაში განაცხადა: ეს რუსეთის ნახელავია!“**

პუბლიცისტის აზრით, ასეთია „რეფლექსი“ დასავლური მასმედიისა. დასკვნა, რომელიც პოლ კრეიგს გამოაქვს, ასეთია: მასმედიის მიერ მალაიზიის ავიალაინერის დაღუპვის შესახებ გავრცელებული ყველა ინფორმაცია ემსახურებოდა ერთ მიზანს: რუსეთის დამნაშავედ გამოცხადებას.

The Wall Street Journal-ის ყოფილი რედაქტორი პოლ კრეიგ რობერტსი წერს ჟურნალისტების ალმაშფოთებელ არაკომპეტენტურობაზე, რომ ისინი თავს უფლებას აძლევენ, მტკიცებულებების გარეშე შეთხზან ამბები: **„ჩვენ ვხედავთ დასავლური ჟურნალისტიკის სრულ გახრწნას ვაშინგტონის იმპერიული კურსის მიერ. ჟურნალისტები იძულებულნი არიან, დაეთანხმონ ტყუილებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბორტს მიღმა აღმოჩნდებიან“.**

„პუტინის დიპლომატიის ნაკლოვანება არის ის, რომ ეყრდნობა კეთილ ნებას და ჭეშმარიტების ზეიმს, — წერს რობერტსი, — მაგრამ დასავლეთს არ აქვს კეთილი ნება, ვაშინგტონი კი დაინტერესებულია, თვითონ იზეიმოს და არა — ჭეშმარიტებამ. პუტინს უპირისპირდებიან არა გონიერი „პარტნიორები“, არამედ მის წინააღმდეგ იბრძვის პროპაგანდის სამინისტრო. „მსოფლიო კვლავაც შფოთავს, რომ „სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი აქვს“, „ასადს — ქიმიური იარაღი“, ხოლო „ირანს — ატომური ბომბი“. ვაშინგტონი **ისე დიდხანს ცრუობდა, რომ გაჩერება და სხვა რამის გაკეთება აღარ შეუძლია“**, — ასკვნის პოლ კრეიგ რობერტსი.

# კატასტროფის მომენტში «ბოინგთან» ახლოს უკრაინული სამხედრო თვითმფრინავი იმყოფებოდა

**მალაიზიის „ბოინგ-777“-ის დაღუპვის მომენტში თითქმის იმავე წერტილში იმყოფებოდა უკრაინული სამხედრო თვითმფრინავი „სუ-25“. ორ თვითმფრინავებს შორის მანძილი 3-4 კილომეტრს არ აღემატებოდა, — განაცხადეს რუსეთის თავდაცვის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე, რომელიც ამა წლის 17 ივლისს მალაიზიის ავიახაზების კუთვნილი „ბოინგ-777“-ის კატასტროფას მიეძღვნა.**
**ბრიფინგი რფ-ის შეიარაღებული ძალების მთავარი ოპერატიული სამმართველოს ხელმძღვანელს, გენერალ-ლეიტენანტ ანდრეი კარტაპოლოვს მიჰყავდა.**




რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ წარმოადგინა თანამგზავრული და რადიოსალოკაციო კონტროლის მონაცემები იმ რაიონისა, რომელშიც 2014 წლის 17 ივლისს კატასტროფა განიცადა მალაიზიის ავიალაინერმა „ბოინგ-777“-მა.

**ამ რაიონში განლაგებული იყო უკრაინის შეიარაღებული ძალების საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „ბუკის“ არანაკლებ სამი დივიზიონისა. ობიექტური კონტროლის საშუალებებმა 17 ილისს, დღისით დააფიქსირეს საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „ბუკის“ რადიოსალოკაციო სადგურების (9C18 „კუპოლი“) აქტივობა: მუშაობდა 9 სადგური. ამასთანავე, 15 და 16 ივლისს, შესაბამისად, მუშაობდა 7-8 რადარი 9C18, ხოლო 18 ივლისიდან — ასეთი ტიპის 2-3 სადგური.**

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ თხოვნით მიმართა აშშ-ის თავდაცვის უწყებას, გადასცეს ამერიკული სადაზვერო თანამგზავრის მონაცემები. ანდრეი კარტაპოლოვმა განაცხადა, რომ **მალაიზიის ავიალაინერის კატასტროფის მომენტში რაიონის თავზე მოძრაობდა აშშ-ის შეიარაღებული ძალების სადაზვერვო თანამგზავრი, რომლის დანიშნულებაც რაკეტების აღმოჩენა და მათი მოძრაობის თვალთვალია.**

ბრიფინგზე წარმოადგინეს რუსული სამხედრო თანამგზავრების მიერ გადაღებული ფოტოები, რომლებზეც აღბეჭდილია უკრაინული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის („ბუკი“) განლაგება კატასტროფის და მომდევნო დღეებში. კარტაპოლოვმა დააზუსტა, რომ პირველი სამი ფოტო 14 ივლისით არის დათარიღებული. „პირველ ფოტოზე აღბეჭდილია საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „ბუკის“ გამშვები დანადგარები ლუგანსკიდან 8 კილომეტრით დაშორებულ ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონში. ფოტოზე კარგად ჩანს თვითმავალი დანადგარი და ორი გამშვებ-დამმუხტავი მანქანა. შემდეგ ფოტოებზე კი აღბეჭდილია რადიოსალოკაციო სადგურები დონეცკთან ახლოს“, — განაცხადა ანდრეი კარტაპოლოვმა.







პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთავარი მოქმედი პირები — დასავლეთისკენ სახით და ქართველი ხალხისკენ ზურგით მოტრიალებული „მეოცნებეები“ — კვლავაც პარლამენტსა და მთავრობაში რჩებიან და ღარიბაშვილს, როგორც კი მიეცემათ საშუალება, ფეხს დაუდებენ.**



# 7 «სამურაი» და ორი სათაური

**ზაფხულის ხვატში მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა პრემიერმინიტრის განცხადება მთავრობაში საკადრო ცვლილებების თაობაზე. ირაკლი ღარიბაშვილმა 7 მინისტრი თანამდებობიდან გაათავისუფლა. საკადრო ცვლილებები სოფლის მეურნეობის, სასჯელაღსრულების, დევნილთა და განსახლების, გარემოს დაცვის, ინფრასტრუქტურის, კულტურისა და დიასპორის მინისტრებს შეეხოთ. აქედან ორმა სავარძელი შეიცვალა: სოზარ სუბარი დევნილებს მიხედავს, ხოლო ელგუჯა ხოკრიშვილი — გარემოს.**

ეს ჩვენი მოხსნილ-ჩახსნილი მინისტრები ისევე ჰგვანან მიშას ნამინისტრალებს, როგორც ამერიკელების მიერ ადაპტირებული „შესანიშნავი შვიდეული“ — აკირა კუროსავას ფილოსოფიურ დრამას „7 სამურაი“. მიშამ ისე დაატრიალა თავის დროზე სამთავრობო კარუსელი, რომ იგი დღესაც ბზრიალებს. ეგ არის, ინერცია შენელდა და მასზე ახტომა ან ჩამოხტომა ისეთი მტკივნეული აღარ არის. ცოტა ხანში ამ მინისტრების გვარებს ძნელად თუ გაიხსენებს ვინმე. **არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ სამართლიანობისთვის ისიც უნდა ვთქვათ, რომ არც არაფერი დაუშავებიათ. არც ქუჩებში დაუხოცავთ ვინმე და არც სხვისი ცოლები გადმოუყრიათ ჯიპებიდან. სამაგიეროდ, რისთვისაც ხალხმა დაუჭირა მხარი ახალ მთავრობას, ანუ წართმეულის დაბრუნება თავშიც არ მოსვლიათ!** მოკლედ, იყვნენ თუ არ იყვნენ, მხოლოდ მათმა საოჯახო ბიუჯეტმა იცის. ორ-ორი ხელფასის აღებით დაამახსოვრეს ხალხს თავი და ამ შვიდეულის ხსენებაზეც ორი სათაური თუ გაგახსენდება.

ღარიბაშვილს ჰკითხეს, ხადური რატომ არ მოხსენიო და უპასუხა: — მაგის გაცილების სუფრა ძალიან ძვირი დამიჯდებოდაო! დარჩენა ჩვენ გვიჯდება ძვირი. იუსტიციის მინისტრს მოხსნილი კოლეგების შურს — აგვისტოში შვებულებაში წავლენო! **რა ვიცი, წულუკიანმა მინისტრობის დროსაც მშვენივრად მოახერხა ევროპაში დასვენება და რა შურს, გაუგებარია.** მით უფრო, რომ მოხსნილ მინისტრს შვებულება არ ეკუთვნის! ისე, თავადაც რომ წავიდეს „შვებულებაში“, არც ამაზე დაითხრის თვალებს ნაძალადევისა და სრულიად საქართველოს ამომრჩეველი!

**ერთ დროს ბიძინას ეგონა, რომ „შესანიშნავი გუნდი“ დაგვიტოვა. მერე და მერე აღარც თვითონ მოეწონა 63-პროცენტიანი პრეზიდენტი და მრავალათასიანი პრემიების ამღები მინისტრები, მაგრამ პასუხი არავის უგია, არც თვითონ ბიძინა ივანიშვილს!** „ზა ბაზარ კტო ოტვეტიტ“? თუმცა ახლა ევროპასთან ვართ ასოცირებული და იტალიელი ნათლიმამის სიტყვები უფრო შეგვეფერება: „თავდებში ჩაუდგები“? თუ ჩაუდექი, პასუხიც შენ უნდა აგო, ძმაო!

ვიცი, ახლა სიტყვა „ძმაოზე“ გამომეკიდებით, როგორც არც ისე დიდი ხნის წინ წერაკითხვის უცოდინარმა განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ იუკადრისა სიტყვა „გენაცვალე“. ამიტომ აქვე ავხსნი: „ძმაო“ და „გენაცვალე“ სალანძღავი სიტყვები არ არის, პირიქით!

როცა მინისტრებს და ნამინისტრალებს ეტყვიან „თქვენ გენაცვალეთო“, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სიამოვნებით ჩაანაცვლებდნენ მათ, ანუ მათ ნაცვლად, თუნდაც დროებით, დაიკავებდნენ თბილ სავარძელს. თუ გავითვალისწინებთ, რომ წელიწადში საშუალოდ ასი ათასი ლარის პრემია აქვთ აღებული, ასეთ „გენაცვალეზე“ საქართველოს არც ერთი მოქალაქე არ იტყოდა უარს.

ბიძინამ „ევროპისთვის გასაოცარი დემოკრატია“ დააანონსა და მართლაც გაგვაოცა. ახლა კიდევ ერთი ნოვაცია უნდა დანერგოს, რომელიც ყველასთვის უჩინო მოქალაქეებს მორიგეობით დანიშნავს მინისტრებად; ასი თუ არა, ათი ათასი ლარიც რომ შეხვდეთ, ყველა კმაყოფილი დარჩება! ვიღაცამ იანგარიშა, რომ ათიოდე წელიწადში ამ გზით საქართველოს ყველა მოქალაქე ერთხელ მაინც აღმოჩნდება მაღალ თანამდებობაზე და, ქვეყანას თუ არა, საკუთარ ოჯახს მაინც მიხედავს! არ მითხრათ ახლა, რომ ჩვენმა ძველმა და ახალმა მინისტრებმა, საკუთარი ოჯახების გარდა, ქვეყანასაც მიხედეს!

სამი დღით ადრე პრემიერი ღარიბაშვილი პარლამენტის სხდომაზე, სადაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების განხილვა მიმდინარეობდა, სიტყვით გამოვიდა. არაფერი მოასწავებდა მთავრობის შვიდი წევრის მოხსნას. პრემიერი ბედნიერი და ოპტიმისტური განწყობით გამოვიდა: „მინდა, დღეს, ამ ტრიბუნიდან, კიდევ ერთხელ მივულოცო მთელ საქართველოს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა. ვულოცავ ამ ისტორიულ მოვლენას ყველას, ვისთვისაც ძვირფასია დემოკრატიული ღირებულებები, ვინც ერთგულებს ევროპულ დემოკრატიულ იდეალებს და საქართველოს მომავალს ევროპის სახელმწიფოთა დიდ ოჯახში ხედავს. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველომ უკვე გადალახა ყველაზე კრიტიკული მომენტი. ჩვენ გადავდგით მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ — ევროპისაკენ, მტკიცე დემოკრატიისაკენ და ეს პროცესი ახლა უკვე შეუქცევადი გახდა“.

როგორც ჩანს, ამ „შეუქცევად“ პროცესს სწორედ იმ შვიდმა (ან ხუთმა) მინისტრმა შეუშალა ხელი, რაკი სამიოდე დღეში ღარიბაშვილი მათ დაემშვიდობა. მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ „კორექტულობას ყოველთვის იცავს“ (აბა, ერთი თინა ხიდაშელსაც ჰკითხეთ!) და ეს გადაწყვეტილება კოალიციის პოლიტსაბჭოსთან შეათანხმა: „გუშინ გვქონდა კოალიციის პოლიტსაბჭოს სხდომა, რომელზეც ამ ცვლილებების თაობაზე ვისაუბრეთ. მე პოლიტსაბჭოს წევრებს გავაცანი ჩემი ხედვები და დასაბუთება, თუ რატომ მიმაჩნია სწორად ზოგიერთ სამინისტროში ცვლილებების განხორციელება. მინდა გითხრათ, რომ კოალიციის პოლიტსაბჭო აბსოლუტურად ერთსულოვანი იყო და ჩემი გადაწყვეტილება მოწონებული იქნა. რაც შეეხება უშუალოდ იმ მინისტრებს, რომლებსაც ცვლილებები შეეხოთ, მათ პირადად გავაცანი ჩემი გადაწყვეტილება და ნორმალურად მიიღეს“.

მარტო მათ კი არა, სრულიად საქართველომაც ნორმალურად მიიღო ეს ამბავი. არაფერი ხდებოდა და რაღაც სიახლე შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში! ეგ არის, ყველაზე გაურკვეველი კულტურის მინისტრის ამბავი აღმოჩნდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ყველა სხვა საკითხი მოგვარებულია და მხოლოდ კულტურის პოლიტიკაზე ვკამათობთ ქართველები!

აბა, იმაზე ხომ არ ვიკამათებთ, ევროკავშირთან ასოცირება კარგია თუ ცუდი? „2014 წლის 27 ივნისი ხომ ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ახალ დიდ თარიღად ჩაიწერა (პრემიერის ციტატაა — თ. დ.)! ამ დღეს ყველა დროის ყველა ქართველის ისტორიული ოცნება ახდა; ამ დღემ, როგორც არასდროს, ისე დაგვაახლოვა ევროპას — ჩვენთვის ყველაზე ახლობელ და ბუნებრივ სივრცეს, სივრცეს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ასწლეულების განმავლობაში ხელოვნურად იყო მოწყვეტილი და რომელთან გაერთიანების იდეაც ქართველთა არა ერთმა თაობამ ჩვენამდე მოიტანა“.

**ერთი სიტყვით, ყველა ოცნება უკვე ახდა და არ გავიგონო აქ ლაპარაკი შეუსრულებელ დაპირებებზე! შარშან ბიძინამაც ასე დაგვამუნათა: „აბა, ერთი შეუსრულებელი დაპირება დამისახელეთ“! ოღონდ მაშინ ევროპასთან ასე ახლოს არ ვიყავით, ახლა კი სულ სხვაა!**

„ახლა ჩვენ ამ სივრცის ზღურბლთან ვდგავართ (ამ ზღურბლზე და ღია კარის წინ დგომამ ლამის წელკავი დამართოს ქართულ სახელმწიფოს — თ. დ.). ჩვენ ევროპაში უნდა შევაბიჯოთ, როგორც უძველესი ისტორიისა და უნიკალური კულტურის ქვეყანამ, რომელიც თავის წვლილს შეიტანს ევროპის მრავალფეროვან კულტურაში. ჩვენი და ევროპის მსოფლმხედველობრივი კავშირი, სიახლოვე, ნათესაობა საუკუნეებს ითვლის. ეს დროში გამოცდილი კავშირია, რომელსაც ვერაფერი დააკლო ისტორიულმა ქარტეხილებმა“.

**ღარიბაშვილს, როგორც ჩანს, დაუმალეს ევროპისა და ამერიკის ლიდერების ფრთიანი გამონათქვამები, როგორიცაა: „არ მაინტერესებს თქვენი კულტურა!“** (აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი), **„ორი ათასი წლის წინათ შეთხზული ზღაპარი იესო ქრისტეს შესახებ უნდა დამთავრდეს“** (ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი), **„ცნებები ხალხი და ერი ისტორიის სანაგვეზე უნდა მოვისროლოთ!“** (ევროკავშირის პრეზიდენტი ხერმან ვან რომპუი). არა უშავს, თუ დაუმალეს, პირადი შეხვედრისას აუხსნიან, როგორ ითვლის საუკუნეებს „ჩვენი და ევროპის მსოფლმხედველობრივი კავშირი, სიახლოვე და ნათესაობა“! რაც შეეხება „დროში გამოცდილ კავშირს, რომელსაც ვერაფერი დააკლო ისტორიულმა ქარტეხილებმა“, **მარტო იმის გახსენებაც კმარა, როგორ შეატოვა ევროპამ საქართველო ბოლშევიკებს ასი წლის წინათ.**

ასი წელი რა ბედენააო, იტყვის მკითხველი — ასი წლით კიდევ უფრო ადრე მომხდარზე ილია ჭავჭავაძე წერდა და რუსეთს საქართველოს მხსნელს უწოდებდა. ილია ჭავჭავაძე წმინდანია, ჩვენი მოხსნილი და დარჩენილი მინისტრები — ჩვენსავით ცოდვილები. ეშლებოდათ ან სულაც არაფერს აკეთებდნენ, მაგრამ **მთავარი მოქმედი პირები — დასავლეთისკენ სახით და ქართველი ხალხისკენ ზურგით მოტრიალებული „მეოცნებეები“ — კვლავაც პარლამენტსა და მთავრობაში რჩებიან და ღარიბაშვილს, როგორც კი მიეცემათ საშუალება, ფეხს დაუდებენ.** თან ისე „დემოკრატიულად“, რომ ძველი და ახალი პრემიერმინისტრები მართლაც გაოცებულნი დარჩებიან!

ერთი სიტყვით, ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავია! მაინც რა საჭიროა ეს ორი სათაური? ჩვენი მინისტრები (მოხსნილი, გადანაცვლებული თუ დარჩენილი) არც სამურაები არიან და არც კოვბოები. მათ სოფელი ყაჩაღებისგან ვერ დაიცვეს — ცოტა გადააჩოჩეს და თვითკმაყოფილებას მიეცნენ. **ახლა სოფლელებს (ანუ ჩვენ) ყაჩაღების შენახვაც გვიწევს და კოვბოებისაც! დიდხანს ამას სოფელი არ მოითმენს და, ნამდვილი ცვლილებების მაგივრად, მინისტრების გადანაცვლებას ვერ დაყაბულდება.**

ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ სამურაებს ან კოვბოებს „კოჰაბიტაცია“ დაეწყოთ ყაჩაღებთან — ნაძარცვიც შეერჩინათ და ხელიც არ ეხლოთ. რა დარჩებოდა სამართლიანობის აღდგენის ამ ორი ისტორიიდან?

არაფერი – დღევანდელ საქართველოს მივიღებდით.

მივიღეთ კიდეც!

**ყაჩაღებს მიხედეთ, ბატონო პრემიერო, თორემ გადაჭამეს სოფელი!**

**თამარ დავითულიანი**

**ერთ დროს ბიძინას ეგონა, რომ «შესანიშნავი გუნდი» დაგვიტოვა. მერე და მერე აღარც თვითონ მოეწონა 63-პროცენტიანი პრეზიდენტი და მრავალათასიანი პრემიების ამღები მინისტრები, მაგრამ პასუხი არავის უგია, არც თვითონ ბიძინა ივანიშვილს!**

**ფარული მმართველისა და ტელეწამყვანის როლების სიმბიოზი მსოფლიო პრაქტიკაში აბსოლუტურად უპრეცედენტო რამაა და ის უდავოდ დაუკავშირდება სერიოზულ საიმიჯო ტრანსფორმაციას ძნელად ამოსაცნობი შედეგით.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბატონი ტელებიძინა

**ცნობებმა იმის თაობაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი მალე სატელევიზიო გადაცემას წაიყვანს, საზოგადოების ნაწილს ღიმილი მოჰგვარა, ნაწილი კი შოკში ჩააგდო. თუ ფიგურანტი ბოლო მომენტში არ გადაიფიქრებს, მალე ძალიან საინტერესო შოუს ვიხილავთ. ივანიშვილი-მეცენატი, ივანიშვილი-ოპოზიციონერი, ივანიშვილი-პრემიერმინისტრი, ივანიშვილი-სამოქალაქო აქტივისტი და, შეთავსებით, ქვეყნის უგვირგვინო მმართველი და ახლა უკვე ივანიშვილი-ტელეწამყვანი, მოკლედ და მარტივად რომ ვთქვათ, ბატონი ტელებიძინა. როდესაც იმპერატორმა კომოდუსმა გლადიატორების ბრძოლაში მონაწილეობა გადაწყვიტა...**
**ო, უკაცრავად. ალბათ, აჯობებს ასე დავიწყოთ: ზოგადად, ნებისმიერი თამამი ექსპერიმენტი დამყაყებულ ჭაობში, უკაცრავად, ქართულ ტელესივრცეში, უდავოდ აპლოდისმენტებს იმსახურებს.**



თუ გახსოვთ, იყო ერთი ძველი, ეთიოპიის ომის დროინდელი ანეკდოტი იტალიურ არმიაზე. არ მახსოვს, როგორ იწყება, მაგრამ სრულდება იმით, რომ კაპიტანი მგზნებარე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ყვირის: „ავანტი, რაგაცი!“ და მოწინააღმდეგის პოზიციებისკენ მირბის. ჯარისკაცები აცილებენ მას მქუხარე აპლოდისმენტებით (აი, მილანის ოპერის ვარსკვლავებს რომ შეშურდებოდა) და აღტაცებული შეძახილებით „ბრავო, ბრავო, კაპიტანო!“, მაგრამ სანგრების დატოვებას არამც და არამც არ აპირებენ. ვინაიდან ქართველებს, იტალიელების მსგავსად, შეგვიძლია (ალბათ, ბანალური თავდაცვითი რეაქციაა), ნებისმიერი ჰეროიკული ეპოსი ორიოდე წუთში ფარსად გადავაქციოთ, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, მსჯელობა ივანიშვილის მორიგ გარღვევაზე აპლოდისმენტებით დავიწყოთ. ბრავო, კაპიტანო... რაზეა საუბარი.

**თუმცა მედალს მეორე, პოლიტიკური მხარეც აქვს. ივანიშვილის იმიჯი და მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც მას უკავშირდება, მის მიერ შექმნილი სისტემისთვის ერთგვარი ქვაკუთხედის როლს ასრულებს. შესაბამისად, პრობლემას მხოლოდ ექსცენტრიული ოლიგარქის მორიგი გატაცების კონტექსტში ვერ განვიხილავთ; ხსენებული იმიჯის მორიგი ტრანსფორმაცია ლამის ეროვნული უსაფრთხოების საკითხია.**

საქართველოს საინფორმაციო სივრცეში ბიძინა ივანიშვილი, თავის დროზე, ე. წ. დახურული იმიჯით შემოვიდა. ის შეიძლება დაუსრულებელ ნახატს შევადაროთ. ინფორმაცია ივანიშვილის შესახებ არასრული და მკაცრად დოზირებული იყო. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მის ფიგურასთან დაკავშირებულ „თეთრ ლაქებს“ ჭორებსა და საკუთარ ფანტაზიაზე დაყრდნობით ავსებდა. ივანიშვილს, ხშირ შემთხვევაში, ზებუნებრივ გამჭრიახობასა და კოსმოსური მასშტაბის გავლენას მიაწერდნენ. მართალია, პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის შემდეგ მან მედიასთან ურთიერთობისას არაერთი სერიოზული შეცდომა დაუშვა, მაგრამ ემოციურმა ალტკინებამ, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის მოახლოებულ მოცილებას უკავშირდებოდა, ეს საეჭვო ეპიზოდები უკანა პლანზე გადაწია. შემდეგ, როდესაც ივანიშვილი პრემიერი გახდა, საზოგადოებამ თანდათან დაიწყო სხვაობის დანახვა მის მიერ წარმოდგენილ „იდეალურ ივანიშვილსა“ და რეალურ ბიძინა ივანიშვილს შორის. გაჩნდა გარკვეული დისონანსი უკმაყოფილებაში გადაზრდის პერსპექტივით, მაგრამ ფიგურანტის გადადგომამ და „ჩრდილში“ დაბრუნებამ ეს პროცესი შეაჩერა. კომენტატორების ფანტაზიამ თანდათან აღუდგინა მას თითქმის ყოვლისშემძლე მანიპულატორის იმიჯი. ახალი მთავრობის უნიათობის შემყურე მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს იმით იმშვიდებდა, რომ სადღაც, კულისებში დგას ივანიშვილი, რომელიც კრიზისის შემთხვევაში სიტუაციას სწრაფად გამოასწორებს. პარადოქსულია, მაგრამ შესაძლოა, სწორედ ამ რწმენას ეფუძნება ახალი სისტემის ფარდობითი სტაბილურობა. ფარული მმართველისა და ტელეწამყვანის როლების სიმბიოზი მსოფლიო პრაქტიკაში აბსოლუტურად უპრეცედენტო რამაა და ის უდავოდ დაუკავშირდება სერიოზულ საიმიჯო ტრანსფორმაციას ძნელად ამოსაცნობი შედეგით.

როდესაც ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა, არაერთმა კომენტატორმა შეამჩნია, რომ ის ტელევიზიას გადამეტებულ ყურადღებას უთმობს და არცთუ იშვიათად ტელეწამყვანებთან თუ მათ სტუმრებთან დაუსწრებელ პოლემიკას მართავს. რა თქმა უნდა, ტელევიზიის როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში უზარმაზარია, მაგრამ ასეთი დეტალიზაცია და ჩაღრმავება ნიუანსებში ერთობ უადგილოდ გამოიყურებოდა. გამორიცხული არაა, რომ ელცინის რუსეთის სატელევიზიო ომების პერიოდში ივანიშვილი მოიხიბლა „მოლაპარაკე თავების“ მაგიით და მისი ძალა იგრძნო, მაგრამ ბოლომდე ვერ გაშიფრა, თუ როგორ მუშაობენ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მექანიზმები. საინტერესოა, რომ, იმ პერიოდის სხვა ოლიგარქებისგან განსხვავებით, მისი სახელი არც ერთ ღირებულ მედიაპროექტს არ უკავშირდება.

**ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის ცდილობდა, გარკვეულიყო, თუ როგორ ფუნქციონირებს ესა თუ ის სისტემა და ეს, როგორც მისი ბიოგრაფიიდან, ისე კომენტარებიდან კარგად ჩანს. ეს, უდავოდ, კარგი თვისებაა, მაგრამ ნებისმიერ სფეროში არსებობს ზღვარი, რომელიც შესაბამისი განათლების არმქონე ადამიანმა არ უნდა გადალახოს. ივანიშვილს აინტერესებს ფსიქოლოგია და საკმაოდ საინტერესო დაკვირვებები აქვს. მან გაშიფრა სააკაშვილის ქცევის ალგორითმები, რაც გამარჯვების მიღწევაში დაეხმარა. მაგრამ, ალბათ, არასოდეს მოუვა აზრად ფსიქოლოგთა მსოფლიო (ან თუნდაც რეგიონულ) კონგრესზე გამოვიდეს და მეცნიერებს საკუთარი აღმოჩენების შესახებ მოუთხროს.**

იგივე შეიძლება ითქვას ფილოსოფიაზეც. მეგობრული კამათი პლასტელინ მარგველაშვილთან ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ, ალბათ, არავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ მას თუნდაც იოტისოდენა აკადემიური ღირებულება აქვს. მით უფრო უცნაურად გამოიყურებოდა ფიგურანტის მცდელობები, აეხსნა ექსპერტებისთვის და ჟურნალისტებისთვის (გავიხსენოთ ცნობილი შეხვედრები), თუ როგორი უნდა იყოს იდეალური ჟურნალისტიკა დემოკრატიულ საქართველოში და როგორ უნდა იქცეოდნენ ისინი აუდიტორიასთან ურთიერთობისას. ივანიშვილის სტატუსი აიძულებდა საექსპერტო და ჟურნალისტურ საზოგადოებას, მისთვის ყურადღებით მოესმინა.

**მაგრამ თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ ის, (არაბული ზღაპრების არ იყოს) ჰარუნ ალ-რაშიდის მსგავსად, შეხვედრაზე გადაცმული მივიდოდა, ისე, რომ ვერავის ეცნო, დარბაზი, სავარაუდოდ, ათიოდე წუთში დაიცლებოდა, რადგან ნებისმიერი კრიტიკა ღირებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის კვალიფიციურია.**

ზემოთ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე საუბრისას მაგია ვახსენეთ და ეს მეტაფორა შემთხვევითი არაა. ამ სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ძნელად აღსაწერ ფაქტორს, როგორიცაა ნიჭი. ტელევიზია შეიძლება აღჭურვო უახლესი ტექნიკით, დაიქირავო პროფესიონალების ლეგიონი, მაგრამ, თუ არ შეიქმნება შემოქმედებითი გარემო და წინაპირობები იმითვის, რომ მათ საკუთარი ნიჭი მაქსიმალურად გამოავლინონ, პროექტი წარუმატებელი გამოდგება. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ რამდენიმე ბლოგერმა ხუთასდოლარიანი კომპიუტერებით და ვიდეოკამერებით, საზოგადოებრივ აზრზე უფრო დიდი გავლენა მოახდინოს, ვიდრე მილიარდი დოლარის ღირებულების „ტელეტიტანიკმა“. თუ პარალელების გავლებას ზღაპრულ სამყაროში განვაგრძობთ, ალბათ, დაახლოებით ასეთ ფორმულირებამდე მივალთ:

**მეფემ შეიძლება დაიქირავოს ან კოცონზე დაწვას ჯადოქარი, მაგრამ ვერასოდეს გაიგებს, თუ როგორ აღწევს ის საწადელს, ხოლო სასწაულის გამეორების სურვილმა შეიძლება ისეთივე სევდიან ფინალამდე მიიყვანოს, როგორც უბედური მარშალი ჟილ დე რე.**

ისე, პრინციპში, რას ვერჩით — ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი, რომლის აღწერას, ალბათ, ორიოდე წუთი უნდა დავუთმოთ. საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ტელეარხ „ჯიდიეს“-ზე ივანიშვილმა საკმაოდ ბევრი ფული დახარჯა. თუმცა საქართველოში თითქმის არავინ უარყოფს იმას, რომ არხის გავლენა საზოგადოებრივ აზრსა და შესაბამის განწყობებზე ამ ეტაპზე მინიმალურია. ტელებიძინას თოკშოუ უდავოდ მიიზიდავს მაყურებელს და შეიძლება გახდეს ერთგვარი სასტარტო წერტილი საკმაოდ მძლავრი არხის ჩამოყალიბებისთვის, პროფესიონალების შეკრული გუნდით, რომელიც ივანიშვილისთვის მნიშვნელოვანი მესიჯების შეფუთვა-ტრანსლირებას მოახდენს. ან კიდევ, შექმნის და ყველას დაანახებს დემოკრატიული ტელეჟურნალისტიკის „ოქროს სტანდარტს“, რომელზეც ამ ჩახლართული ისტორიის მთავარი გმირი ოცნებობს. თუ სიტუაციას ბიზნესის გადასახედიდან შევხედავთ, ივანიშვილის გადაწყვეტილება — „მოთამაშე მწვრთნელის“ როლი შეასრულოს, შეიძლება არასტანდარტულად, მაგრამ მაინც გამართლებულად მოგვეჩვენოს. მაგრამ ვინაიდან საქმე პოლიტიკასაც ეხება, ზოგმა ის შეიძლება საეჭვოდ ჩათვალოს.

პარალელების გავლებისას, ჩვენ შეიძლება გაგვახსენდეს სიტუაცია, რომელიც, თავის დროზე, „ქართული ოცნების“ შიგნით შეიქმნა — დაპირისპირება ნეპოტისტური ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფებს შორის და ატმოსფერო, რომელშიც კრეატიული გადაწყვეტილებები არც ისე ხშირად იბადებოდა. ცხადია, თქმული არ ნიშნავს, რომ ტელევიზიაშიც, რომელიც გაცილებით ფაქიზი ორგანიზმია, იგივე მოხდება. თანაც ის, რომ ივანიშვილი მიკრომენეჯმენტში ჩაერევა მხოლოდ, (ფართოდ გავრცელებული) ვარაუდია. საერთოდ, პირდაპირი კონტროლი თუნდაც უმძლავრეს ტელეკომპანიაზე საზოგადოებრივ აზრზე დომინირებას არ ნიშნავს, თუმცა ეს, ამ ეტაპზე, ბიძინა ივანიშვილისთვის უმაღლესი მათემატიკაა, მან კი ჯერჯერობით გაცილებით მარტივი ამოცანა უნდა ამოხსნას და შექმნას ისეთი გადაცემა, რომელსაც აუდიტორია მალევე სასაცილოდ არ აიგდებს.

ბიძინა ივანიშვილს არაერთი დადებითი თვისება აქვს, თუმცა ციცერონს მას ნამდვილად ვერ შევადარებთ. მას აშკარად უჭირს აზრის მწყობრი გადმოცემა და, როდესაც ამას მენტორული ტონი ემატება, მისი მონოლოგები საკმაოდ მძიმე მოსასმენი ხდება. რა თქმა უნდა, მას შეუძლია დაპატიჟოს სტუდიაში ნებისმიერი სტუმარი და, როგორც თავად ამბობს, „მიჯირყვნოს“, მაგრამ მსგავს რიტორიკულ გამარჯვებებს, დიდი ალბათობით, მოუტანს მისი სტატუსი და არა რაიმე სხვა. მისი თანამოსაუბრეები, სავარაუდოდ, მოიქცევიან ისე, როგორც იქცეოდნენ ძველად რაინდები, როდესაც ტურნირში მონარქი ერთვებოდა. ზოგი ბრძოლას თავს არიდებდა, ზოგი მოჩვენებით წინააღმდეგობას უწევდა. საბოლოოდ, ყველა კმაყოფილი რჩებოდა (თუ არ ჩავთვლით უბედურ შემთხვევას ანრი II-ს მონაწილეობით).

**საქმე ისაა, რომ დღეს, შუა საუკუნეებისგან განსხვავებით, მაყურებელი მსგავს სიყალბეს დიდხანს ვერ აიტანს. თუმცა ეს შედარებით ნაკლები ბოროტებაა; ყველაზე დიდი პრობლემა შეიძლება შექმნას ჭკუის სწავლების დაუფარავმა მცდელობამ და უაპელაციო დასკვნებმა — არც ერთი, არც მეორე ფიგურანტისთვის უცხო არაა.**

ფორმალური თვალსაზრისით, ბიძინა ივანიშვილი ერთი ჩვეულებრივი მოქალაქეა და, რასაც უნდა, იმას გააკეთებს: თუ უნდა, ტელეგადაცემას წაიყვანს; თუ უნდა, პირდაპირ ეთერში საოპერო არიებს შეასრულებს. მისი რეიტინგი ჯერჯერობით აძლევს თამამი ექსპერიმენტების ჩატარების შესაძლებლობას. აქ, ალბათ, სხვა რამ არის მთავარი — ამ გადაცემების დროს ივანიშვილი აუცილებლად „გაიხსნება“ და საზოგადოება დაინახავს, თუ რასთან აქვს საქმე — უსაფუძვლო პრეტენზიასთან ინტელექტუალურ ლიდერობაზე თუ ქვეყნის რეფორმირების გულწრფელ სურვილთან, პროპაგანდისტულ დუდღუნთან თუ პატიოსან დისკუსიასთან. **მაყურებელი, სავარაუდოდ, მალევე მიხვდება, რა იმალება ამ წამოწყების უკან. პრინციპში, ივანიშვილი, ისევე, როგორც 2011-ში, ახლაც ვა-ბანკზე მიდის და მის მოქმედებაზე დაკვირვება, ნებისმიერ შემთხვევაში, საინტერესო იქნება. მოკლედ, შოუ უნდა დაიწყოს და შოუ უნდა გაგრძელდეს. ალბათ, ისღა დაგვრჩენია, ბატონ (ტელე)ბიძინას წარმატებები ვუსურვოთ!**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მარგველაშვილი, მის ხელთ დარჩენილი უფლებებიდან გამომდინარე, დღესდღეობით, ფაქტობრივად, „საპატიო ნოტარიუსია“. თითქმის წარმოუდგენელია, მან ამბიციური, დამოუკიდებელი თამაში წამოიწყოს, მაგრამ თუ ამის გაკეთებას გაბედავს, პოსტს, სავარაუდოდ, რამდენიმე საათში დაატოვებინებენ.**



## ევროკავშირმა უარი განაცხადა უკრაინის ვალის დაფარვაზე

**ევროკავშირი არ განიხილავს რუსეთის ბუნებრივ აირზე უკრაინის ვალის დაფარვის შესაძლებლობას, — განაცხადა ენერგეტიკის საკითხებში ევროკომისიის დირექტორატის ხელმძღვანელმა დომინიკ რისტორიმ.**

„ევროკავშირმა უკრაინას მნიშვნელოვანი მიკროსაფინანსო დახმარება გაუწია. უკრაინის ვალის დაფარვას კი არ ვაპირებთ, ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან უკრაინის ენერგეტიკული ბაზრის რეფორმირების საკითხებში. აი, ეს არის მთავარი,“ — განაცხადა დომენიკ რისტორიმ.

16 ივლისისთვის უკრაინული „ნეფტოგაზის“ ვალმა რუსული „გაზპრომის“ მიმართ 5,3 მილიარდ დოლარს მიაღწია. მოლაპარაკებები ვალის დაფარვის ვადების გადაწევაზე უშედეგოდ დასრულდა. უკრაინა მიწოდებული ბუნებრივი აირის ფასის შემცირებას ითხოვდა; რუსეთი, თავის მხრივ, არსებული ფასის მხოლოდ 100 დოლარით შემცირებაზე იყო თანახმა. ეს ხელს არ აძლევდა უკრაინის ხელისუფლებას. ამჟამად უკრაინის გაზგამანაწილებელ სისტემაში მხოლოდ ბუნებრივი აირის ის მოცულობა შედის, რომელიც ევროპისთვისაა განკუთვნილი. ზამთარში უკრაინა, როგორც ჩანს, ბუნებრივი აირის გარეშე დარჩება.

## სექტემბრიდან საქართველო სავიზო რეჟიმს ამკაცრებს

**სექტემბრიდან უცხოელებს ქვეყანაში შემოსასვლელად დამატებითი დოკუმენტაცია და პროცედურები დასჭირდებათ. ზოგიერთ ქვეყანასთან კი სავიზო რეჟიმის დაწესებაა დაგეგმილი.**

საქართველოში ჩამომსვლელებს ქვეყანაში ყოფნის ვადებიც მკაცრად განესაზღვრებათ. გამკაცრდება დეპორტაციაც. ხელისუფლებას ამ რეგულაციების მიღებას, ერთი მხრივ, ევროკავშირი ავალდებულებს, მეორე მხრივ კი — სტატისტიკური მონაცემები.

# არა შეჯდა მწყერი ხესა, ეს მარგველაშვილის კაჟუსი

**პრეზიდენტ მარგველაშვილის ისტორია თანდათან უფრო სევდიანი ხდება. მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ გააკრიტიკა თავისი რჩეული, რომელიც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს ლამის ხელების გადაგრეხვით აარჩევინა, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები თითქოს ეჯიბრებიან ერთმანეთს უილბლო ფილოსოფოსის დამცირებაში და თითქმის დაუფარავად დასცინიან მას. ზოგს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მარგველაშვილი სამართლიანად ისჯება იმისთვის, რომ დათანხმდა უმაღლესი პოსტის დაკავებას შესაბამისი თვისებების არქონის მიუხედავად, მაგრამ, ალბათ, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ამ შემთხვევაში დიდი ზიანი ადგება არა მხოლოდ და, შესაძლოა, არა იმდენად მარგველაშვილს, რამდენადაც პრეზიდენტის ინსტიტუტს, შესაბამისად, ქართულ სახელმწიფოს. რატომ შეიქმნა ეს სიტუაცია და როგორი შეიძლება იყოს გამოსავალი?**




### საკონსტიტუციო აჯაფსანდალი

მივა თუ არა მარგველაშვილი პარლამენტში? „დაეტევა“ თუ არა დარბაზში? მოაწერს თუ არა ხელს ამა თუ იმ დოკუმენტს და გაემგზავრება თუ არა შესაბამის სამიტზე? ეს კითხვები ქართული პოლიტიკის დღის წესრიგში არაპროპორციულად დიდ ადგილს იკავებს, მიუხედავად იმისა, რომ პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. **მარგველაშვილი, მის ხელთ დარჩენილი უფლებებიდან გამომდინარე, დღესდღეობით, ფაქტობრივად, „საპატიო ნოტარიუსია“. თითქმის წარმოუდგენელია, მან ამბიციური, დამოუკიდებელი თამაში წამოიწყოს, მაგრამ თუ ამის გაკეთებას გაბედავს, პოსტს, სავარაუდოდ, რამდენიმე საათში დაატოვებინებენ.** სახლში რომ ჩაიკეტოს და ვადის დასრულებამდე გარეთ არ გამოვიდეს, ამით სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებას რაიმე განსაკუთრებული პრობლემა არ შეექმნება, უხეშად რომ ვთქვათ, ქვეყანა ამას ვერ შეამჩნევს. მით უფრო უცნაურად გამოიყურება ის თამაში, რომელშიც ის მთავარი სამიზნის როლს ასრულებს.

უპირველესად, ალბათ, პრობლემის იურიდიულ ასპექტს უნდა შევეხოთ. კონსტიტუციაში და ზოგიერთ კანონში კვლავინდებურად რჩება რამდენიმე ნორმა, რომლებიც ორაზროვანი ინტერპრეტაციების შესაძლებლობას ტოვებს. რაოდენ პარადოქსულად უნდა გაიჟღეროს, „ევროასოცირების“ ხელშეკრულების ხელმოწერაზე კამათის დროს ორივე მხარე თავისებურად მართალი იყო და სავსებით ლეგიტიმურ არგუმენტებს აფრიალებდა. საბოლოოდ, მარგველაშვილმა ვერ გაუძლო ზეწოლას და უკან დაიხია, მაგრამ, თუ მის ადგილას შედარებით ამბიციური და ჯიუტი პიროვნება იქნებოდა, კონსტიტუციონალისტების დავა, სავარაუდოდ, უსასრულობამდე გაგრძელდებოდა. სხვათა შორის, ვენეციის კომისია ჯერ კიდევ 2010-ში, საკონსტიტუციო ცვილებების განხილვის დროს, მიუთითებდა, რომ საგარეო პოლიტიკის სფეროში „კონფლიქტების რისკი პრეზიდენტსა და მთავრობას შორის შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს“. თუმცა, ალბათ, გაცილებით მნიშვნელოვანია კომისიის კიდევ ერთი შენიშვნა შესაძლო დაპირისპირებასთან დაკავშირებით: „მთავრობა შეიძლება იყოს საპარლამენტო უმრავლესობის გამოხატულება, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს იმ უმრავლესობისგან, რომელმაც მხარი არჩევნების დროს პრეზიდენტს დაუჭირა, რადგან საპარლამენტო არჩევნები ტარდება 4 წელიწადში ერთხელ, ხოლო საპრეზიდენტო — 5 წელიწადში ერთხელ“.

**მთელი ეს, მარგველაშვილის სახელობის ვოდევილი, ალბათ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც საგანგაშო სიგნალი და მომავალი (ნამდვილი და არა წარმოსახვითი) კრიზისის ერთგვარი წინასახე, რომელმაც სხვა მოქმედი პირების მონაწილეობით შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ იფეთქოს**

როდესაც პოლიტიკურ არენაზე ერთი პოლიტიკური ძალა დომინირებს, ამ ნიუანსს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ, თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ოდესმე სიტუაცია შეიცვლება, ხოლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში სხვადასხვა პოლიტიკური ძალა გაიმარჯვებს, ამ იურიდიული ბუნდოვანების ნიადაგზე, დიდი ალბათობით, დაიწყება „კანონების ომი“, შემდგომ კი — სამოქალაქო დაპირისპირება. ერთი შეხედვით, აშკარაა, რომ ყველა ორაზროვანი საკანონმდებლო ნორმა რაც შეიძლება მალე უნდა შეიცვალოს, მაგრამ ხელისუფლება ამის გაკეთებას არ ჩქარობს. უფლებების გამიჯვნას თავი დავანებოთ, ამ ხალხს ამდენი ხნის განმავლობაში კონსტიტუციიდან არარსებული ქალაქის, ლაზიკის განსაკუთრებული სტატუსი ვერ ამოუგდია (მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი). რაზე ვსაუბრობთ საერთოდ ან რაში ვუხდით ხელფასს?

ცალკე მსჯელობის თემაა, თუ რამდენად ნორმალურია უუფლებო „საპატიო ნოტარიუსის“ არჩევა მთელი ერის მიერ. გამორიცხული ნამდვილად არაა, მოსახლეობამ მომავალში კიდევ ერთი, სააკაშვილის მსგავსი უპასუხისმგებლო დემაგოგი აირჩიოს, რომელიც, ამომრჩეველთა ნდობის მანდატზე დაყდნობით, დაიწყებს გააფთრებულ ბრძოლას შეზღუდული უფლებების გაფართოებისთვის. ეს ნაკლებად საშიშია, როდესაც მმართველი კოალიცია მონოლითურია და სიტუაციას თითქმის სრულად აკონტროლებს, მაგრამ ვითარება რაღაც მომენტში შეიძლება შეიცვალოს. ასე რომ, ადრე თუ გვიან, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთება მოგვიწევს: ან პრეზიდენტის უფლებების გაზრდა, ან მისი არჩევის წესის შეცვლა. თუმცა ამჯერად, ალბათ, აჯობებს, ისევ მოქმედი პრეზიდენტის სევდიან ფიგურას დავუბრუნდეთ.

**მთელი ეს, მარგველაშვილის სახელობის ვოდევილი, ალბათ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც საგანგაშო სიგნალი და მომავალი (ნამდვილი და არა წარმოსახვითი) კრიზისის ერთგვარი წინასახე, რომელმაც, სხვა მოქმედი პირების მონაწილეობით შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ იფეთქოს.** საინტერესოა, შეეცდება თუ არა საზოგადოების აქტიური, პასუხისმგებლობის მქონე ნაწილი, ვითარება შეცვალოს თუ, ტრადიციისამებრ, ურემის გადაბრუნებას დაელოდება?

### წაქცეულს არ ურტყამენ

სოციალური ქსელების გაკეთებული კომენტარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამომრჩევლებს მარგველაშვილის მიმართ უამრავი კითხვა დაუგროვდთა. ზოგი მიიჩნევს, რომ მან ადმინისტრაციაში სააკაშვილის რეჟიმის მსახურების „საკადრო თავშესაფარი“ შექმნა და ამის გამო გაღიზიანებულია, ▶

მოკლედ

## სასამართლო ჯოზეფ ქეის სკაიპით დაკითხავს

**რიყის ტერიტორიისა და ტელეკომპანია „იმედის“ გასხვისების საქმეზე პროკურატურის მთავარ მოწმე ჯოზეფ ქეის საქალაქო სასამართლოში სკაიპის მეშვეობით 24 ივლისს დაჰკითხავენ.**

ეს გადაწყვეტილება მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ მას შემდეგ მიიღო, რაც ბრალდების მხარემ პროცესზე განმარტა, რომ ქეი, როგორც ამერიკის მოქალაქე და იქ მუდმივად მცხოვრები, საქართველოში დასაკითხად ჩამოსვლას ვერ ახერხებს. აქედან გამომდინარე, პროკურორებმა სასამართლოს თხოვნით მიმართეს, მოახდინოს ტექნიკური უზრუნველყოფა და მომავალ პროცესზე ჯოზეფ ქეი დისტანციურად – სკაიპით დაიკითხოს.

დაცვის მხარის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ სკაიპის მეშვეობით ჯოზეფ ქეი ხელწერით ვერ დაადასტურებს ფიცს და მისი მხრიდან ცრუ ჩვენების მიცემა გამორიცხული არ იქნება.

ჯოზეფ ქეის დაკითხვა სკაიპით საქალაქო სასამართლოში 24 ივლისს, 14:00 საათზე დაიწყება.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ავლაბრის რეზიდენციაში ორგიები ეწყობა, ხოლო მისი აღმატებულება, იმის ნაცვლად, რომ მარკუს ავრელიუსს მიბაძოს და ფილოსოფიური ტრაქტატები წეროს, მუდმივად მძიმე ალკოჰოლური ინტოქსიკაციის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება.

◀ ზოგი მისი განცხადებებს ნაკლებად ადეკვატურად მიიჩნევს და ა. შ. თუმცა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში პრეზიდენტის დამცირების მასშტაბური კამპანია ამომრჩევლების წუხილის საფუძველზე როდი დაიწყო, მას სტარტი ბიძინა ივანიშვილის მოულოდნელად მკაცრმა გამოსვლამ მისცა, როდესაც მან მარგველაშვილის ისედაც ფერკმრთალი იმიჯი და ავტორიტეტი მიწასთან გაასწორა.

ზოგადად, სუსტის ცემა ვერაფერი ვაჟკაცობაა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც მას თავს ჯგუფურად ესხმიან. **მარგველაშვილის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში არის რაღაც ძალიან არაჯანსაღი, სადისტური და, ასე ვთქვათ, ჯოგური.** „დაეტევა-არ დაეტევა" იქით იყოს, პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები მიზანმიმართულად ავრცელებენ ხმებს იმის თაობაზე, რომ ავლაბრის რეზიდენციაში ორგიები ეწყობა, ხოლო მისი აღმატებულება, იმის ნაცვლად, რომ მარკუს ავრელიუსს მიბაძოს და ფილოსოფიური ტრაქტატები წეროს, მუდმივად მძიმე ალკოჰოლური ინტოქსიკაციის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. ბოლო დროს „ჭორების მანქანა" საერთოდ არ ჩერდება. ამას ემატება პრეზიდენტის სისტემატური, დემონსტრაციული დამცირება პროცედურულ ნიუანსებთან დაკავშირებით და, ყოველივე ეს, სულ უფრო მეტად ემსგავსება ბანალურ ჩაქოლვას. **გასაგებია, რომ მარგველაშვილი სუსტია და მკვეთრი პასუხის გაცემა არ შეუძლია, მაგრამ, ალბათ, უნდა დავფიქრდეთ, რამდენად ნორმალურია სახელმწიფოს მეთაურის და მთავარსარდლის მიმართ (თუნდაც მხოლოდ სიმბოლური უფლებები ჰქონდეს) ასეთი დამოკიდებულების დამკვიდრება.**

ისე, ხვალ ომი რომ დაიწყოს, ალბათ, დაახლოებით 3-4 დღეს მოანდომებენ იმის გარკვევას, თუ ვინ უნდა მოაწეროს ხელი მობილიზაციის ბრძანებას. იქნებ, იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ მოწინააღმდეგე გაჩერდება და თავაზიანად დაელოდება, თუ როდის გადალახავს საქართველოს ხელისუფლება ამ წინაღობას?

**„ნაციონალები", სავარაუდოდ, შეეცდებიან, გამოიყენონ მარგველაშვილის პრობლემები და მას იმპულსური ნაბიჯისკენ უბიძგონ, რადგან თუნდაც ლოკალური მასშტაბის კრიზისს შექმნის. მათი პროპაგანდისტული მანქანა შეძლებისდაგვარად ცდილობს, პრეზიდენტის თავმოყვარეობაზე ითამაშოს და დაპირისპირების გაღრმავებისკენ უბიძგოს.** პარალელურად, ისინი, სავარაუდოდ, მუშაობენ კონფლიქტების გამწვავებაზე „ოცნებისტების" სხვადასხვა ჯგუფს შორის, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ სკამებისთვის გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა. აგრეთვე, ვრცელდება ცნობები იმის თაობაზე, რომ ყოფილი მმართველი პარტიის ლიდერებმა დართეს ნება თავის მხარდამჭერ (ან კომპრომატით „დაბმულ") ჩინოვნიკებს, როგორც თბილისის მერიაში, ისე რეგიონულ სტრუქტურებში, მმართველი კოალიციის რიგებში გადაინაცვლონ და, საჭიროების შემთხვევაში, „ნაცმოძრაობა" მწვავედ გააკრიტიკონ. ეს ინფორმაცია შემდგომ გადამოწმებას საჭიროებს, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ საქმე ერთგვარი „სარეზერვო კორპუსის" შექმნას ეხება, რომლის გამოკვება ბიუჯეტის ხარჯზე მოხდება (შესაბამისად, „ნაცმოძრაობას" ეს ტვირთი ნაწილობრივ მაინც მოეხსნება) და რომელიც მომავალში, კრიტიკულ მომენტში, „მეხუთე კოლონის" როლს შეასრულებს. „ქართული ოცნების" საკადრო პოლიტიკის პრინციპები (უფრო სწორად მათი არარსებობა) მსგავსი ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა.

**გიორგი მარგველაშვილი, ყველა მინუსის მიუხედავად, არ არის უგუნური ადამიანი, რომელიც პრიმიტიულ პროვოკაციას წამოეგება. მაგრამ რაღაც მომენტში, ნერვული დაძაბულობისა და ამალის არაკომპეტენტური რჩევების გადამკიდე, მან შეიძლება სერიოზული შეცდომა დაუშვას.** თუ აღწერილი პროცესი გარკვეული დროის განმავლობაში გაგრძელდება, პრეზიდენტი, დიდი ალბათობით, ჩამოყალიბდება კლასიკურ „სუსტ რგოლად", რომელიც საფრთხეს მთელი სისტემის სტაბილურობას შეუქმნის.



**მარგველაშვილის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში არის რაღაც ძალიან არაჯანსაღი, სადისტური და, ასე ვთქვათ, ჯოგური**

ხანდახან იქმნება შთაბეჭდილება, რომ მარგველაშვილმა და მისმა ოპონენტებმა რეალური პოლიტიკის სამყაროდან რაღაც პარალელურ, ილუზორულ რეალობაში გადაინაცვლეს, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამბიციებს, ქვეცნობიერ მოტივებსა და ისეთ საკითხებს, რომელთაც არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს. ყველაზე საგანგაშო კი, ალბათ, ისაა, რომ ზოგიერთი კომენტატორი ცდილობს, ეს გარჩევები მარიონეტების თეატრში პოლიტიკად წარმოაჩინოს. ეს ხელს უწყობს იმას, რომ საზოგადოებამ პრინციპული საკითხების ნაცვლად ამ ბალაგანზე იმსჯელოს. საინტერესოა, ყველაზე მეტად ეს ვის აძლევს ხელს?

### „ამან იმას ეს რა უთხრა..."

„ქართული ოცნებისთვის", ალბათ, სასურველია, ხელი შეუწყოს მარგველაშვილის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის დასრულებას; თუ მან დააშავა (ბიძინა ივანიშვილის კოორდინატთა სისტემაში), ამისთვის უკვე საკმარისად დაისაჯა. თუ ახლა ხელს გაუწოდებენ, ის მომავალში, სავარაუდოდ, გაცილებით წინდახედულად მოიქცევა, ვიდრე, მაგალითად, ვანო მაჭავარიანის ეპიზოდში (ამისთვის ივანიშვილმა განსაკუთრებით მწვავედ გააკრიტიკა). მაგრამ, **თუ მარგველაშვილის დისკრედიტაციის კამპანია არ შეწყდება, პარალელურად მოხდება პრეზიდენტის ინსტიტუტის დისკრედიტაციაც. ის, ვისაც სურს, გიორგი მარგველაშვილი კლოუნად გადააქციოს, ალბათ, უნდა დაფიქრდეს ნეგატიურ შედეგებზე, როგორც ხელისუფლების ავტორიტეტისთვის, ისე სახელმწიფოსთვის.** ზოგმა შეიძლება თქვას, რომ მარგველაშვილი უარესის ღირსია, რადგან დათანხმდა უმაღლესი პოსტის დაკავებას პოლიტიკური გამოცდილების და, რაც მთავარია, ნებისყოფის აშკარა უკმარისობის მიუხედავად. მაგრამ, ალბათ, არავინ უარყოფს იმას, რომ ის, რაც დღეს მის თავს ხდება, ჯანსაღ პროცესად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

**ნეგატიური გამოცდილების გადაქცევა პოზიტიურ რესურსად სავსებით შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება აღიქვამს ამ „ქარიშხალს ჭიქაში", როგორც სიგნალს, რომელიც მკაფიოდ მიანიშნებს, რომ არამხოლოდ კონსტიტუციაში, არამედ პოლიტიკის მიმართ ჩვენ დამოკიდებულებაში რაღაც აშკარად შესაცვლელია.** ძალზე სასურველია, რომ მარგველაშვილის ვადის დასრულებამდე (ან გადადგომამდე, რაც შექმნილ სიტუაციაში ნამდილად არ უნდა გამოვრიცხოთ), პარლამენტმა მიიღოს საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც საბოლოოდ დაასრულებს იმ მრავალწლიან პერიოდს, როდესაც პრეზიდენტი, თავისი უფლებებით, კრიზისების წარმოქმნაში მთავარ როლს ასრულებდა. ყველაფერი ბუნდოვანი და ორაზროვანი კანონმდებლობიდან უნდა ამოიშანთოს. ამასთანავე, ეს, ალბათ, ძალიან კარგი მომენტია იმისთვის, რომ ქართველი საზოგადოების მიერ პოლიტიკის აღქმის პრობლემებზე ვიმსჯელოთ. კერძოდ იმაზე, თუ რატომ უთმობს ის ამდენ ყურადღებას გამოგონილ პრობლემებს თუ ცრუ დილემებს (საბოლოო ჯამში — სიცარიელეს), მაშინ, როდესაც იქვე, ორიდე ნაბიჯში რეალური ცხოვრება გრძელდება; ან ამდენს რატომ ნიშნავს ჩვენთვის პოლიტიკის თეატრალური შემადგენელი?

თავის დროზე, ე. წ. ახალგაზრდა რეფორმატორებმა, სავსებით პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარე, ხელი შეუწყვეს იმას, რომ მოსახლეობას პოლიტიკაში ყურადღება, უპირველესად, გარეგნული მხარისთვის მიექცია — სიტყვისთვის და ჟესტისთვის, უმნიშვნელო ნიუანსებისთვის თუ წარმოსახვითი კონფლიქტებისთვის, მოკლედ, იმისთვის, რაც ერთ-ერთ სიმღერაში ასე აღიწერება: „ამან იმას ეს რა უთხრა!". შესაბამისი მიდგომა ფართოდ გავრცელდა და, ვიდრე ამ კუთხით არაფერი შეიცვლება, ქვეყანა, სავარაუდოდ, წინ ვერ წავა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სათავეში ახალი დავით აღმაშენებელი ჩაუდგება.

**დიმიტრი მონიავა**

**თუ მარგველაშვილის დისკრედიტაციის კამპანია არ შეწყდება, პარალელურად იგივე დაემართება პრეზიდენტის ინსტიტუტს. ის, ვისაც სურს, გიორგი მარგველაშვილი კლოუნად გადააქციოს, ალბათ, უნდა დაფიქრდეს ნეგატიურ შედეგებზე, როგორც ხელისუფლების ავტორიტეტისთვის, ისე სახელმწიფოსთვის**




## ამერიკელი ფილოსოფოსი ჯეიმს ფლეტცერი: აშშ და ნატო რუსეთთან კონფლიქტის პროვოცირებას ცდილობენ!

**ამერიკელმა ფილოსოფოსმა ჯეიმს ფეტცერმა PresTV-ისთვის მიცემულ ინტერვიუში უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე ისაუბრა.**

„როგორც საზღვაო ქვეითთა ყოფილი ოფიცერი, აღვნიშნავ, რომ ამბოხებულთა წინააღმდეგ უკრაინული არმიის მოქმედება უკიდურესად აგრესიულია. **არ გამიკვირდება, თუ შევიტყობ, რომ მათი სამხედრო მრჩეველი ზბიგნევ ბჟეზინსკის დონის ადამიანია.** ეს ყველაფერი რუსეთის პროვოცირებისთვის გაკეთდა.

როგორც ფილოსოფოსი, აღვნიშნავ, რომ **ამ უზნეო მოქმედებებზე აშშ-ის დუმილი გამაოგნებელია.** ასეთი რამ უკვე მოხდა. ღაზის სექტორში განხორციელებულ გენოციდზე აშშ-მა პირში წყალი ჩაიგუბა. ეს იმიტომ, რომ ისრაელი ჩვენი მოკავშირეა. **ახლა ჩვენ გვყავს უკრაინა, რომელიც გენოციდს ახორციელებს უკრაინაში, მაგრამ აშშ დუმს, იმიტომ, რომ რუსეთი, ცხადია, ჩვენი ახალი მტერია. ამ აბსურდულ ვითარებაში ამერიკამ მორალური ავტორიტეტი დაკარგა მსოფლიოში. მეჩვენება, რომ ძალებს, რომლებიც ამ ყველაფრის უკან დგანან, მათ შორის, ამერიკელი სამხედროებსა და ნატს, სურთ, რუსეთთან კონფლიქტის პროვოცირება, რომელშიც მათ გამარჯვების შანსი თითქმის არ აქვთ.** რუსეთს აქვს ძალიან რთული თანამედროვე აღჭურვილობა და, საბოლოო ჯამში, **თუ ორი დიდი სახელმწიფო ატომურ იარაღს გამოიყენებს, ჩვენ, ყველანი, წაგებულნი დავრჩებით,"** — განუცხადა ჯეიმს ფეტცერმა PresTV-ის ჟურნალისტს.

მოკლედ



## დავით ნარმანია ზოოპარკის გადატანას გეგმავს

**თბილისის მერი დავით ნარმანია ზოოპარკის თბილისის ზღვის ტერიტორიაზე გადატანას გეგმავს, ძველ ადგილას კი — ხეების დარგვას.**

„ჩვენ გვაქვს გეგმა, რომ ზოოპარკი გადავიტანოთ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზოოპარკის ტერიტორიაზე კი დამატებით რეკრეაციული ზონა შევქმნათ, გავაფართოოთ და დავრგოთ ხეები. პრობლემები შეექმნა „მზიურსაც", ის მშენებლობებშია მოქცეული და გვინდა, რომ ზოოპარკი და „მზიური" ერთმანეთთან დავაკავშიროთ ესტაკადით და ერთიანი სივრცე გაკეთდეს. ამით ხელს შევუწყობთ რეკრეაციული ზონის განვითარებას", — განაცხადა ნარმანიამ.



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არც დონბასელ მებრძოლებს, მით უმეტეს, არც რუსეთის ფედერაციას, არაფერში სჭირდებოდა და ხელს არ აძლევდა სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდება. არადა, დასავლური პრესა ტრაგედიის დღესვე ურცხვად „აყეფდა“ და დამნაშავეც უკვე „იპოვა“ — რა თქმა უნდა, დონბასელი მებრძოლების სახით.**

# მალაიზიური ბოინგი და ამერიკული «ფასეულობები»

**მას შემდეგ, რაც ამბოხებულებმა დათმეს სლავიანსკი და კრამატორსკი, უკრაინის შეიარაღებული ძალებისთვის აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები ნაკლებწარმატებული გამოდგა. წინა სტატიაში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დონეცკელი და ლუგანსკელი მებრძოლების უკან დახევა გამართლებული იყო როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო-ოპერატიული თვალსაზრისით. პრეზიდენტ პოროშენკოს მიეცა შანსი, კვლავ აღედგინა მშვიდობა, მაგრამ პრეზიდენტმა-ოლიგარქმა მისდამი გაგზავნილი სიგნალი სწორად ვერ აღიქვა და შეეცადა, წინააღმდეგობა წელში გაეტეხა, მაგრამ ბრძოლები დონბასელთა უპირობო სამხედრო ლიდერის — იგორ სტრელკოვის (გირკინის) ბრწყინვალე სამხედრო ნიჭის წყალობით ამბოხებულთა სასარგებლოდ წარიმართა: უკუგდებულ იქნა ბანდერელთა ყველა შემოტევა დონეცკსა და ლუგანსკზე; მეტიც, დონბასელებმა ალყაში მოაქციეს უკრაინელთა ჯარების ნაწილი დონბასის სამხრეთში, უკრაინა-რუსეთის სახელმწიფო საზღვართან. უკრაინელმა ბანდერელებმა დიდი ზარალი განიცადეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ოპერატიული სამხედრო ვითარება კვლავ მძიმე რჩება, მაგრამ სტრელკოვმა ამოცანა-მინიმუმი შეასრულა და ბანდერელებს უპირატესობის მოპოვების საშუალება არ მისცა.**



**რატომ არ ჩაკეტა უკრაინამ საჰაერო სივრცე სამგზავრო თვითმფრინავებისთვის დონბასის თავზე, თუკი სეპარატისტები ასე საშიშნი არიან?**

სწორედ ამ ფონზე დონბასის საჰაერო სივრცეში მოხდა მალაიზიის სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფა — დაიღუპა 298 ადამიანი, რომელთა უმრავლესობა ევროპელია, კერძოდ, ჰოლანდიელი. ეს რეზონანსული ტრაგედიაა, რომელიც გულგრილს არ ტოვებს არავის. ბევრი ჩვენგანი მეტ-ნაკლები სიხშირით სარგებლობს ავიაკომპანიების მომსახურებით და ბუნებრივია, განსაკუთრებული სიბრალულისა და სოლიდარობის გრძნობა გვიჩნდება ავიაკატასტროფის მსხვერპლთა მიმართ. საზოგადოებრივი აზრი საერთაშორისო მასშტაბით დაგმობს და მკვეთრად უარყოფითად იქნება განწყობილი მის მიმართ, ვინც გახდა მიზეზი თვითმფრინავის ჩამოგდებისა.

შესაბამისად, ცხადი უნდა იყოს, რომ **არც დონბასელ მებრძოლებს, მით უმეტეს, არც რუსეთის ფედერაციას, არაფერში სჭირდებოდა და ხელს არ აძლევდა სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდება. არადა, დასავლური პრესა ტრაგედიის დღესვე ურცხვად „აყეფდა“ და დამნაშავეც უკვე „იპოვა“ — რა თქმა უნდა, დონბასელი მებრძოლების სახით.**

ბევრი უშუალოდ პუტინს ადანაშაულებს, თუმცა ნაქები დასავლური „თავისუფალი“ მასმედია დამოუკიდებლად არც თუ ისე ხშირად აზროვნებს, უფრო ხშირად ეყრდნობა პოლიტიკოსთა განცხადებებს. შეერთებული შტატების უმაღლესმა ხელმძღვანელობამ — პრეზიდენტმა ობამამ, აგრეთვე, პენტაგონისა და ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მაღალი რანგის წარმომადგენლებმა უპასუხისმგებლო, პროვოკაციული განცხადებები გააკეთეს, თითქოს მათ ჰქონდათ ცნობები, რომ მალაიზიის სამგზავრო თვითმფრინავი ამბოხებულთა მიერ გაშვებული საზენიტო რაკეტით იქნა განადგურებული. მაგრამ სად არის დაპირებული მტკიცებულებები? რა თქმა უნდა, ასეთი მტკიცებულებები ობამას და მის ქვეშევრდომებს არ გააჩნიათ, ყოველ შემთხვევაში, მათი განცხადებები ჰაერში ნასროლ სიტყვებად დარჩა. სამაგიეროდ, მორჩილ-აგრესიული მასმედიის საშუალებით ხდება საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, რომ ტრაგედიაში დამნაშავე რუსეთია. ავიაკატასტროფა, რომლის გამოძიება მხოლოდ ახლა იწყება და თავად რუსეთი მოითხოვს, უმოკლეს ვადებში ჩატარდეს საერთაშორისო გამოძიება, მთლიანად რუსეთის მიერ მხარდაჭერილ ამბოხებულებს ბრალდებათ. **ამერიკის მორჩილი „პუდელის“ — დიდი ბრიტანეთის — პრემიერმინისტრი კამერონი ღიად ითხოვს, ავიაკატასტროფის შემდეგ რუსეთის მიმართ შეიცვალოს მიდგომა და სანქციები გამკაცრდეს.** გაზეთ „სანდი ტაიმსში“ კემერონი წერს, რომ, თუკი გამოძიების შედეგად დადგინდება, რომ თვითმფრინავი „სეპარატისტებმა“ ჩამოაგდეს, მისი აზრით, ეს იქნება „რუსეთის ქმედებების შედეგი, რომელიც ახდენს სუვერენული სახელმწიფოს დესტაბილიზაციას, არღვევს მის ტერიტორიულ მთლიანობას, მხარს უჭერს, წვრთნის და აიარაღებს კრიმინალურ ფორმირებებს“.

უკვე „დიდი მიღწევაა“, რომ ბრიტანეთის პრემიერმინისტრი მაინც გამოძიების შედეგებს ახსენებს, როგორც გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს, მაგრამ **საინტერესოა, თეორიულად იგი თვითმფრინავის განადგურებას მხოლოდ ამბოხებულების მიერ რატომ ვარაუდობს და იქვე არ მიუთითებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს დასავლეთი, თუკი იგივე გამოძიება აჩვენებს, რომ თვითმფრინავი უკრაინელმა სამხედროებმა ჩამოაგდეს?**

არც უკრაინის სუვერენიტეტზე ზრუნვა არის კემერონის გულწრფელი განზრახვა — ზემოთ მოყვანილ ციტატაში „სუვერენულ სახელმწიფოდ“ უკრაინის ნაცვლად სირია რომ მოვიაზროთ, ნუთუ არ შეიძლება?! განა დასავლეთი არ ახდენს სირიის სახელმწიფოს „დესტაბილიზაციას, არღვევს მის ტერიტორიულ მთლიანობას, მხარს უჭერს, წვრთნის და აიარაღებს კრიმინალურ ფორმირებებს?!“. რა თქმა უნდა, ეს არაერთხელ დამტკიცდა, მაგრამ ეტყობა, სირიელებს საკმარისად თეთრი კანის ფერი არ აქვთ. არც ლუგანსკელი და დონეცკელი მშვიდობიანი მოქალაქეები, ბანდერელთა მიერ განხორციელებული დაბომბვების შედეგად დაღუპულები, არც ოდესაში ჩატარებული ხოცვა-ჟლეტა აინტერესებს დასავლეთს — ტრაგედია მარტო „თეთრკანიანი ევროპელების“ დაღუპვაა — ჰოლანდიელების, ავსტრალიელების, ბრიტანელების... თვითმფრინავის ტრაგედიასთან რა მოსატანია სლავი „უნტერმენშ“-ების ტრაგედია?!

ეს ისე, მორალის საკითხები რომ არ გამოგვრჩეს მხედველობიდან. რაც შეეხება რეალპოლიტიკას, აშკარად იკვეთება, რომ სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფამ უკრაინელ ბანდერელებსა და მათ დასავლელ მფარველებს პროპაგანდისტული ანტირუსული ისტერიის გაჩაღების საშუალება მისცა. შემთხვევით არ ითხოვს პოროშენკო, დონბასელი მებრძოლების „ტერორისტულ ორგანიზაციად“ გამოცხადებას, ყველა გამომდინარე შედეგით. ისტერიულ ფონს უკვე ვერ გაუძლო გერმანიის კანცლერმა ფრაუ მერკელმა, რომელიც, ტრაგედიის პირველი დღის სალი შეფასებების შემდეგ, გადაიხარა ანტირუსული სანქციების გაძლიერების მომხრე ანგლო-საქსებისკენ და მოუწოდა საფრანგეთს, არ დაუშვას რუსეთისთვის საბრძოლო ხომალდის — „მისტრალის“ გადაცემა. ეს უკვე რეალური შედეგია, მაგრამ ძალზე საეჭვოა, ასეთმა ზეწოლამ რუსეთი გატეხოს.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამოვრიცხავთ ამბოხებულთა მიერ მალაიზიური თვითმფრინავის ჩამოგდებას და ამ კატასტროფას დასავლეთის მიერ მართულ კიევის ხუნტას ვაბრალებთ. არავითარ შემთხვევაში! პირიქით, თეორიულად შეაძლებელია, რომ ამბოხებულებს ჩამოეგდოთ თვითმფრინავი. საამისოდ მათ სტაციონარული ანტისაჰაერო სარაკეტო სისტემა, მაგალითად, „ბუკ“-ის ტიპის, დასჭირდებოდათ. ამბოხებულები აცხადებენ, რომ მათ ასეთი სისტემა არ გააჩნიათ და ისინი სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ მისწვდებოდნენ სამგზავრო თვითმფრინავს 10-11 ათასი მეტრის სიმაღლეზე. ოფიციალური კიევი, რა თქმა უნდა, ყველაფერს მოსკოვს აბრალებს და აცხადებს, რომ სეპარატისტებს მიღებული აქვთ „ბუკ“-ის სისტემის რაკეტები (აქვე ჩნდება კითხვა და ეს შეკითხვა რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ უკვე დაუსვა კიევს — **რატომ არ ჩაკეტა უკრაინამ საჰაერო სივრცე სამგზავრო თვითმფრინავებისთვის დონბასის თავზე, თუკი სეპარატისტები ასე საშიშნი არიან?** დავუშვათ და, გამოძიებამ აჩვენა, რომ სამგზავრო თვითმფრინავი MH 17 მართლაც ამბოხებულთა მიერ გაშვებულმა რაკეტამ გაანადგურა. ვერ ვიფიქრებთ, რომ ეს მათ განზრახ გააკეთეს, რადგან არ სჭირდებოდათ. შესაბამისად, თუ გასროლა მათი მხრიდან მოხდა, უნდა ვივარაუდოთ ფატალური შეცდომა, ამბოხებულებს უნდა არეოდათ სამგზავრო თვითმფრინავი „ანტონოვის“ ტიპის უკრაინის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავში.

**მაგრამ, თუკი გამოძიება აჩვენებს, რომ MH17 კიევის ხუნტის მომხრეებმა გაანადგურეს, მაშინ შემთხვევითობა მთლად დამაჯერებელი ვერსია არ იქნება! როგორც ზემოთ ვნახეთ, პროპაგანდისტული თვალსაზრისით, ავიაკატასტროფა უფრო კიევს და მის უკან მდგომ ძალებს აძლევთ ხელს და არა რუსეთს.**

უკრაინის შეიარაღებულ ძალებს, განსხვავებით ამბოხებულებისგან, ნამდვილად აქვთ „ბუკ“-ის სარაკეტო სისტემა და ასევე გამანადგურებელი სამხედრო თვითმფრინავებიც. მათთვის ბევრად უფრო იოლია 11 ათას მეტრზე მყოფი მიზნის აფეთქება, ვიდრე ამბოხებულებისთვის.

რა თქმა უნდა, ძნელად დასაჯერებელია. ადამიანს არ სურს, დაიჯეროს, რომ ვინმეს შეუძლია ასეთი ტრაგედია შეგნებულად გამოიწვიოს.

პირადად მეც არ მსურს, რომ ეს ასე იყოს, **თუმცა ვიცით, რა სისასტიკე გამოავლინეს ბანდერელებმა 2 მაისს ოდესაში. ასევე ვიცით, რომ კიევში, ოღონდ კი იანუკოვიჩის სკამი შერყეულიყო, არ დაინდეს საკუთარი „მაიდნელები“ და „უცნობმა“ სნაიპერებმა ისინი სასიკვდილოდ გაიმეტეს** (შემდეგ ეს იანუკოვიჩის „ბერკუტს“ დაბრალდა).

ჩვენ, ასევე, ვიცით ამერიკული სპეცსამსახურების სტილი — 2008 წელს პირადად მე ვთარგმნე და კრებულში „აშშ საგარეო პოლიტიკის საფუძვლები — დასკვნები საქართველოსთვის“ გამოვაქვეყნე შვეიცარიელი ავტორის, დანიელე განზერის, სენსაციური და უტყუარი დოკუმენტაცია „ნატოს საიდუმლო არმიები: ოპერაცია „გლადიო“ და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში“. მაშინ ეს ნაშრომი რუსულადაც არ იყო ნათარგმნი. დღეს უკვე აღიარებულია, მაგრამ არავინ დასჯილა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მიერ შექმნილ მემარჯვენე ტერორისტულ ქსელთან დაკავშირებით, რომელმაც ევროპის ქვეყნებში უამრავი ტერაქტი მოაწყო, რათა ეს ტერაქტები მემარცხენე, პროსაბჭოთა ძალებს დაბრალებოდათ. დ. განზერი მრავალ ფაქტზე დაყრდნობით დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ცივი ომის პერიოდ-

**პროპაგანდისტული თვალსაზრისით, ავიაკატასტროფა უფრო კიევს და მის უკან მდგომ ძალებს აძლევთ ხელს და არა რუსეთს**



**რამდენიმე წლის წინათ პალესტინასა და ღაზას არ ჰქონდა შორს სატყორცნი რაკეტები და მხოლოდ გარკვეული რადიუსის ფარგლებში შეეძლოთ ისრაელის დაბომბვა. დღეს კი მათი საბრძოლო აღჭურვილობა განახლებული და სახიფათო აღმოჩნდა და, ფაქტობრივად, ისრაელის ყველა რეგიონი დაიბომბა.**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ში, დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ გასაიდუმლოებული ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც ახდენდნენ აფეთქებებს, გატაცებებს, მკვლელობებს, მასმედიის საშუალებით კი ეს აქტები ბრალდებოდა მემარცხენე მიმართულების გაერთიანებებსა და პარტიებს (კომუნისტებს).

**ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი საიდუმლო ქსელი იტალიის ტერიტორიაზე ატარებდა „გლადიოს“ (ხმალი) სახელწოდებას.** განზერის ნაშრომში ნაჩვენებია, რომ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში იტალიაში მომხდარი რამდენიმე გახმაურებული ტერორისტული აქტი სწორედ ამ საიდუმლო ქსელის ოპერატიული მუშაკების მიერ იყო მოწყობილი და არა მემარცხენე ბოევიკების, როგორც მათ აბრალებდნენ. ამასთან, საიდუმლო აგენტებს კოორდინაციას უწევდნენ სპეცსამსახურები, ხოლო ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს, სასამართლოებს და თვით პოლიტიკოსებსაც კი მათი საქმიანობის გაკონტროლება ან შეჩერება არ შეეძლოთ. ანალოგიური ქსელები შექმნილი იყო დანიაში, ნორვეგიაში, ბელგიაში და სხვა ქვეყნებში. ნატოს წევრ თურქეთშიც არსებობდა მძლავრი და განშტოებული ტერორისტული ორგანიზაცია სახელწოდებით „რუხი მგლები“, რომელიც ნატოს ქვეყნების სპეცსამსახურებისა და თურქი სამხედროების მფარველობით მოქმედებდა.

გამომდინარე აქედან, **განა შეუძლებელია, რომ მალაიზიის ავიახაზების თვითმფრინავის ჩამოგდება ანალოგიური პროექტის ნაწილი იყოს?** ჩემი აზრით, შესაძლებელია. ალარაფერს ვამბობ, ამერიკული კრეისერის — „Vincennes“-ის მიერ 1988 წლის 3 ივლისს „შემთხვევით“ განადგურებულ ირანულ სამგზავრო თვითმფრინავზე, რომლის შედეგად 290 ადამიანი დაიღუპა — მართალია, არა „თეთრკანიანი ევროპელი“, მაგრამ მაინც ადამიანი, მშვიდობიანი ადამიანი, მათ შორის — 66 ბავშვი (ამერიკული ხომალდის კაპიტანი უილიამ როჯერსი დასჯის ნაცვლად „პატივის ლეგიონის“ ორდენით დააჯილდოვეს)! **უკრაინის შეიარაღებული ძალების მიერ 2001 წელს შავ ზღვაში ჩამოგდებული რუსული თვითმფრინავიც გვახსოვს, რომელსაც ძირითადად ისრაელის მოქალაქეები გადაჰყავდა თელავივიდან ნოვოსიბირსკში. მაშინ უკრაინას სამხედრო წვრთნები ჰქონდა და რაკეტა მართლაც შემთხვევით მოხვდა სამგზავრო თვითმფრინავს.** თუმცა უკრაინის ხელისუფლებას და სამხედრო ხელმძღვანელობას კარგა ხანს არ უნდოდათ თავიანთი შეცდომის აღიარება.

ასეთი ბინძური „ფასეულობების“ მქონე სახელმწიფოები არ უნდა უთითებდნენ სხვებს მორალზე. ეს უსამართლობაა.

**გულბაათ რცხილაძე,**
**ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი**



# ნიკო ბელიაშვილი: ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ისრაელის მოსახლეობა ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე იდგა

**ახლო აღმოსავლეთში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ისრაელმა, ჰამასის დაჯგუფების მიერ ისრაელზე განხორციელებული სარაკეტო თავდასხმების საპასუხოდ, ღაზას სექტორში სახმელეთო ოპერაცია დაიწყო. უკვე ორ კვირაზე მეტია, ისრაელზე ავიაიერიშები გრძელდება, ქვეყანაში სამხედრო მობილიზაცია გამოცხადდა, შეჩერებას კი არც ერთი მხარე არ აპირებს.**

**„საქართველო და მსოფლიო“ ისრაელში მცხოვრებ ნიკო ბელიაშვილს დაუკავშირდა.**



**— ბატონო ნიკო, რა ვითარებაა ისრაელში და უშუალოდ თელ-ავივში, სადაც თქვენ იმყოფებით, რამდენად უსაფრთხოდ გრძნობს თავს მოსახლეობა?**

— პირველი ოთხი დღის განმავლობაში ისრაელის მოსახლეობის დიდი ნაწილი შოკში იყო. ხელისუფლება და ჯარი ყველანაირად ცდილობდა მოსახლეობის თავშესაფრებით უზრუნველყოფას, მაგრამ უმრავლესობამ არ შეეძლო, თავშესაფრებამდე მიეღწია, რადგან საგანგაშო სიგნალის ჩართვის შემდეგ რაკეტის აფეთქებამდე სულ წუთ-ნახევარი გაქვს დრო, ამიტომ ბევრი მხოლოდ სადარბაზოს აფარებდა თავს. პირველ დღეს ერთი ჯარისკაცი დაგვეღუპა, მეორე დღეს — ორი, მესამე დღეს — 5 ჯარისკაცი და დღეს, როდესაც ამ ინფორმაციას გაწვდით, 13 ჯარისკაცის დაღუპვისა და 50 სამხედროს დაჭრის შესახებ ვრცელდება ინფორმაცია... ვუსამძიმრებ მათ ოჯახებს და მთლიანად ისრაელს.

ალსანიშნავია, რომ **რამდენიმე წლის წინათ პალესტინასა და ღაზას არ ჰქონდა შორს სატყორცნი რაკეტები და მხოლოდ გარკვეული რადიუსის ფარგლებში შეეძლოთ ისრაელის დაბომბვა. დღეს კი მათი საბრძოლო აღჭურვილობა განახლებული და სახიფათო აღმოჩნდა და, ფაქტობრივად, ისრაელის ყველა რეგიონი დაიბომბა.** ყოველ ხუთ-ათ წუთში ირთვება საგანგაშო სიგნალი, რომლის ხმაც იმდენად შემზარავი და პანიკის მომცველია, რომ ჯერ მარტო ფსიქოლოგიურად ძალიან რთულია, სიმშვიდე შეინარჩუნო. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ პირველ დღეებში ისრაელის მოსახლეობა ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე იდგა.

**— ისრაელის პრემიერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ საერთაშორისო ზეწოლას არ დაემორჩილება და ღაზას სექტორზე ისრაელის არმიის იერიშებს ვერ შეაჩერებს. ნეთანიაჰუს თქმით, ისრაელი იქამდე გააგრძელებს თავდახმებს, სანამ პალესტინელების მხრიდან სამხედრო მოქმედებები არ შეწყდება. შეჩერებას არ აპირებენ არც ჰამასის წევრები...**

— მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში, ისრაელსა და პალესტინას შორის დაძაბული საომარი ვითარებაა. ამ დღეების განმავლობაში მოსახლეობისა და ხელისუფლების აზრი ორად გაიყო იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი პასუხი უნდა გაეცა ისრაელს. საზოგადოების ნაწილი სახმელეთო ჯარების შეყვანისა და სადამსჯელო ოპერაციის ჩატარების მომხრე იყო, ნაწილი კი — საჰაერო წერტილოვანი დარტყმებით ტერორისტების ბაზებისა და მათი ხელმძღვანელობის განადგურების მომხრე. მე, როგორც ისრაელის მოქალაქე, სახმელეთო ოპერაციის დაწყების წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ვიცოდი, ეს დიდ დანაკარგებთან იქნებოდა დაკავშირებული. ისრაელს უნდა გაეძლიერებინა საინფორმაციო ბრძოლა სიმართლისთვის და, საერთაშორისო ზეწოლის მიუხედავად, საჰაერო წერტილოვანი დაბომბვების შედეგად გაენადგურებინა ტერორისტები და მათი ბაზები, მაგრამ მხოლოდ მეხუთე დღეს დაიწყო ისრაელის ავიაციამ იმ წერტილების დაბომბვა, საიდანაც ისრაელის ქალაქებს ბომბავდნენ. ყველაზე საშინელება კი ის იყო, რომ პალესტინელი ტერორისტების („ჰამასი“) საბრძოლო და სასაწყობო ბაზები სკოლებში, მეჩეთებში, საავადმყოფოებსა და საბავშვო ბაღებში იყო განთავსებული. მინდა მადლობა გადავუხადო ისრაელის მთავრობას, განსაკუთრებით თავდაცვის სამინისტროს მათი ეფექტური მუშაობის გამო; ვამაყობ, რომ ისრაელს მსოფლიოში ყველაზე მაგარი ჯარი ჰყავს და ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საჰაერო თავდაცვითი სისტემა გააჩნია, მას „კიპათ ბარზელ“-ს, ანუ რკინის ქუდს უწოდებენ, მაგრამ ერთადერთი, რასაც ვუწუნებ ისრაელის ხელისუფლებას, საინფორმაციო ომში პასიურობაა. არადა, საინფორმაციო ომის წაგების შემთხვევაში, მსოფლიო საზოგადოების დიდი ნაწილი ისევ ისრაელს გაამტყუნებს.

## საინფორმაციო ომის წაგების შემთხვევაში, მსოფლიო საზოგადოების დიდი ნაწილი ისევ ისრაელს გაამტყუნებს

**მოწინააღმდეგეები ყველა რესურსს იყენებენ, რათა თავიანთი უაზრო ფანატიზმი გაამართლონ. ფაქტობრივად, თვითმკვლელობაზე, საკუთარი ერის განადგურებაზე აწერენ ხელს. აქედან გამომდინარე, ამ ხალხთან მშვიდობაზე საუბარი და სამუდამო სამშვიდობო შეთანხმების მიღწევა ძალიან რთულია.**

**— ეგვიპტემ დაპირისპირებულ მხარეებს „დაზავება“ შესთავაზა, ისრაელი დათანხმდა, ჰამასმა კი შეთავაზება უარყო და ზავზე დათანხმება დანებებად შეაფასა. ასეთ ვითარებაში როგორ ესახებათ კონფლიქტის მოგვარების გზა ისრაელში?**

— ისრაელი დაზავებაზე თანახმა იყო, მაგრამ ჰამასმა ეს შეთავაზება უარყო. უფრო მეტიც, რამდენიმე დღის წინათ ისრაელი და პალესტინა მხოლოდ 5 საათით შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, თუმცა ჰამასმა ამ პერიოდშიც გახსნა ცეცხლი ისრაელის მიმართულებით, საერთაშორისო საზოგადოებამ და ეგვიპტემ კი მაშინღა დაიწყეს ჰამასის კრიტიკა. მანამდე საინფორმაციო ბრძოლაში გამუდმებით ისრაელს ადანაშაულებდნენ.

პალესტინაში მსხვერპლი უკვე რამდენიმე ასეულს აჭარბებს, მაგრამ „ჰამასი“ შეჩერებას მაინც არ აპირებს. შექმნილ ვითარებაში ისრაელს ორი ვარიანტი აქვს: ან გაანადგუროს ტერორისტული დაჯგუფებები და ღაზაში კონტროლის მექანიზმები პალესტინის ხელმძღვანელობას გადასცეს მაჰმუდ აბასის ხელმძღვანელობით, რომელიც ისრაელს 5 წლით მაინც მშვიდობას მოუტანს, ან ისრაელი, ფაქტობრივად, შემოიერთებს ღაზას სექტორს, რათა შეძლოს მისი გაკონტროლება და აღარ აღმოცენდეს მსგავსი ტერორისტული დაჯგუფებები. თუ რომელ ვარიანტს აირჩევს ისრაელის სახელმწიფო და როგორ განვითარდება მოვლენები, ეს სამომავლოდ გადაწყდება.

მარტივი ლოგიკაა — პალესტინელებმა რომ იარაღი დაყარონ, მშვიდობა იქნება, ხოლო ისრაელმა რომ იარაღი დაყაროს, ისრაელი და ებრაელი ხალხი აღარ იქნება. ამიტომ ისრაელი იძულებულია, თავისი ძალა აჩვენოს ტერორისტებს, რათა მათ არ გაუჩნდეთ ილუზიები, რომ ოდესმე ისრაელს დედამიწის რუკიდან გააქრობენ, როგორც ზოგიერთი რადიკალი აცხადებს.

**— თქვენი აზრით, ამ ვითარებაში რა შეიძლება მოიმოქმედოს საერთაშორისო საზოგადოებამ შეიარაღებული კონფლიქტის დასასრულებლად?**

— პალესტინასა და ისრაელს შორის მრავალჯერ შედგა მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის, ეგვიპტის, რუსეთის მონაწილეობით, მაგრამ რატომღაც ეს პრობლემა არ გვარდება.

**ესაუბრა შორენა ციცქარაშვილი**

# რატომ დააკავეს ბაჩო ახალაიას ცოლისძმა?

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელ ნინო გიორგობიანის განცხადებით, ბაჩო ახალაიას მეუღლის, ანი ნადარეიშვილის, ძმა — ვლადიმერ ნადარეიშვილი თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისა და გამოძალვის ბრალდებით არის დაკავებული. დაკავებულმა სასურველი თანხის მისაღებად ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის თანამშრომელს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა.**

„აღნიშნული პირი თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისა და გამოძალვის ბრალდებითაა დაკავებული. ამ ეტაპზე დადგენილია, რომ მან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დააზიანა კუთვნილი ავტომანქანა, რომელიც დაზღვეული იყო ერთ-ერთ სადაზღვეო კომპანიაში. კომპანიამ აიღო ვალდებულება, აენაზღაურებინა გარკვეული თანხა, რაც, დაკავებულის აზრით, საკმარისი არ იყო. ამ პირმა სადაზღვევო კომპანიის ერთ-ერთ თანამშრომელს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა და იარაღის მუქარით თანხას ძალავდა. გათავისუფლების სანაცვლოდ კი აღნიშნული პირისგან გარკვეული თანხის მიტანას მოითხოვდა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე და 181-ე მუხლებით მიმდინარეობს. შემთხვევა 2013 წლის ნოემბერში მოხდა“, — განაცხადა ნინო გიორგობიანმა.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ ეს ფესტივალი საქართველოში ჩატარდება, ღმერთი დაგვსჯის. სამეგრელო, შესაძლოა, ისევე ჩამოსცილდეს საქართველოს, როგორც ყირიმი უკრაინას. შეიძლება საქართველო სერბეთის გზას დაადგეს და დაიშალოს. სწორედ ამ საშიშროებას ხედავს ეკლესია ამ ფესტივალის ჩატარებაში. ხომ გახსოვთ, როგორც კი მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი, ზავი ჩამოწვა. ეს ღვთის გაფრთხილებაა! თუ ვინმეს ეცინება ჩემს სიტყვებზე, სახარებაში ჩაიხედოს და ნახოს, რა დაემართა სოდომ-გომორს. ასეთი საქციელის გამო ჩვენ აუცილებლად დავისჯებით“.**

# სამღვდელოება კაზანტიპის ფესტივალის წინააღმდეგ!



**კაზანტიპის ცნობილი ფესტივალი, ყირიმის ნაცვლად, ამჯერად ანაკლიაში გაიმართება 20-30 აგვისტოს. ამ გადაწყვეტილებამ საზოგადოების ნაწილისა და მართლმადიდებელი ეკლესიის აღშფოთება გამოიწვია. სასულიერო პირების განცხადებით, მუსიკალური ფესტივალი მხოლოდ ნიღაბია, სინამდვილეში კაზანტიპი სოდომ-გომორული ცოდვებისა და გარყვნილების ბუდეა, სადაც ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებებიც ხელმისაწვდომია. ამ შეფასებას უარყოფენ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი სიგუა და ფესტივალის ორგანიზატორები. რა საფრთხეს ხედავს ეკლესია კაზანტიპის ფესტივალში, „საქართველო და მსოფლიოს“ სასულიერო პირები ესაუბრებიან.**



**მამა გიორგი (რაზმაძე), ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი:**

— უკრაინიდან მეძავები ჩამოჰყავთ, თითქოს საქართველოში ამ პროფესიის წარმომადგენლები გვაკლია. ხომ წარმოგიდგენიათ, რას აპირებენ და რა უნდა გააკეთონ იქ? **ასეთი უზნეო დამოკიდებულება ისეთ ტრადიციულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მიუღებელია როგორც ჩვენი ეკლესიისთვის, ასევე ნორმალურად მოაზროვნე ნებისმიერი ადამიანისთვის. ამ ყველაფერს საქართველოში უზნეო და აღვირახსნილი ადამიანები გეგმავენ, რომლებიც პირდაპირ ებრძვიან როგორც ეკლესიას, ისე ქართულ სახელმწიფოებრიობას. შესაბამისად, ასეთ ფაქტებს ეკლესიის მხრიდან ყოველთვის მკაცრი რეაგირება მოჰყვება. სწორედ სოდომ-გომორული ცოდვების გამო დაკარგა ყირიმი უკრაინამ და ეს ფესტივალი ჩვენთვისაც ძალიან ცუდი შედეგებით დასრულდება.**

იმის განხორციელებას, რაც „ნაციონალურმა“ მეძავთა ხროვამ ვერ მოახერხა, ახლა რესპუბლიკელი მეძავები ცდილობენ და ამ გარყვნილების პროპაგანდას ზოგიერთი ჟურნალისტიც ხელს უწყობს. **ჩვენი ინფორმაციით, ფესტივალზე დამსწრე ყველა პირს ექნება ნარკოტიკის თავისუფლად მოხმარებისა და სხვადასხვა უზნეო საქციელის ჩადენის საშუალება.**

**— ფესტივალის კავშირს ნარკოტიკებთან და ყოველგვარ უკანონო ქმედებასთან უარყოფს ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი სიგუა.**

— **გიორგი სიგუა არის „ნეონაციონალი“, რომელსაც არავინ არაფერს ეკითხება. მას, უბრალოდ, ასეთ ბინძურ საქმეებს აკეთებინებენ.**

როდესაც საუბრობენ, თითქოს ეს ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს, ტურიზმის განვითარება და ორგიები რა კავშირშია ერთმანეთთან?!

**— როგორ ფიქრობთ, რატომ შეარჩიეს კაზანტიპისთვის საქართველო?**

— რადგან ყირიმი უკრაინელებმა დაკარგეს და ეს უზნეო ხალხიც (კაზანტიპის მომწყობნი) გამოყარეს იქიდან, საქართველო კი უკვე ევროკავშირთან ძალიან ახლოსაა, ამ ფესტივალის ჩატარება აქ გადაწყვიტეს. ებრძვიან იმ ქვეყნებს, რომელთა ჭეშმარიტი სარწმუნოება მართლმადიდებლობაა და ადამიანები ტრადიციებს იცავენ. კარგად ვიცით, რაც ხდება სინამდვილეში კაზანტიპის ფესტივალზე. ბევრ ადამიანს ვესაუბრეთ, რომლებიც ესწრებოდნენ ამ უზნეობას და საკუთარი თვალით უნახავთ, რაც ხდება ამ ორგიებზე.

**— რას ყვებიან ეს ადამიანები?**

— სასიამოვნო არ არის გავიმეორო, რასაც გვიყვებიან.

**მამა დავითი (ისაკაძე), წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარი:**

— ეს ე. წ. ფესტივალი სათავეს იღებს ყირიმის ტერიტორიიდან, რომელიც, პირდაპირ შეიძლება ითქვას, იყო ორგიების, გარყვნილების, მამათმავლობის, დედათმავლობის, სიძვა-მრუშობის, ნარკომანიის ბუდე. სხვათა შორის, ინტერნეტის საშუალებით გავრცელ-



და ვიდეოკადრები, როლებზეც აღბეჭდილი იყო, როგორ მიმდინარეობდა ეს ე. წ. სატანისტური შაბაში. მართალია, ეს კადრები სასწრაფოდ გააქრეს, მაგრამ ბევრმა მაინც მოასწრო გადმოწერა. ასე რომ, ცნობილია, რაც ხდება ამ ვითომ ფესტივალზე და, ვისაც ეჭვი ეპარება, შეუძლია, გაეცნოს ამ ვიდეოკადრებს, თუმცა მძიმე სანახავია და სასურველია, ბავშვებმა არ ნახონ.

**ყირიმის დაკარგვაც, ეკლესიური თვალსაზრისით, შეგვიძლია, ამ უმძიმესი სოდომ-გომორული ცოდვის შედეგად მივიჩნიოთ. წინა ხელისუფლება ეკლესიისა და სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა და, რადგან ასეთი საშინელი ცოდვის განვითარებას უწყობს ხელს, გამორიცხული არ არის, ამ ხელისუფლებასაც ანალოგიური მომავალი ჰქონდეს.** ამას მწუხარებით ვაცხადებ.

**— ორგანიზატორების განცხადებით, კაზანტიპი მხოლოდ და მხოლოდ ელექტრონული მუსიკის ფესტივალია, რომელშიც ასევე შედის სპორტული შეჯიბრებები...**

— ალბათ, ნახეთ ამ ფესტივალის კურატორ გიორგი სიგუას გამოსვლები და კარგად ჩანს, რა არასერიოზული პიროვნებაა, მისი არც ერთი სიტყვა დამაჯერებელი არ არის.

**— თუმცა, იმავე ორგანიზატორების განცხადებით, ეს ფესტივალი ტურიზმის განვითარებას და ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს.**

— **რით შეუწყობს ხელს — მრუშობით, მამათმავლობით, ნარკომანიით? ეს ყველაფერი ამ ფესტივალის თანმდევი ნაწილია. ქართველი გოგონებისთვის დასწრება უფასოა, ხედავთ, რამხელა საცდურია მათთვის? ამ ყველაფერს ხელს უწყობს ტურიზმის დეპარტამენტი, რომელსაც ეს სიგუა ხელმძღვანელობს და რომელიც თურმე სააკაშვილს ამერიკაში იმისთვის აკრიტიკებდა, რომ მისი მილიონები თავის ჯიბეში გადაეტანა;** ამ სატანური შოუდან ეს პიროვნება შემდგომში, ალბათ, დიდ ფულს მოიხვეჭს. ან მოსახლეობას რად უნდა აქედან მიღებული ერთი თეთრიც კი? ასეთი ფული კეთილდღეობაში არავის მოხმარდება.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ გადაწყვიტეს ფესტივალის საქართველოში ჩატარება?**

— **რადგან რუსეთს ასეთი გარყვნილი და მარგინალური ღონისძიებების წინააღმდეგ კანონით აქვს ბრძოლა გამოცხადებული, იქ ველარ ატარებენ. სამწუხაროდ, ამაშიც გვაჯობეს რუსებმა და სასურველია, ჩვენმა ხელისუფლებამაც მიიღოს მსგავსი კანონი. ეს ერის სულიერ გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს.**

ასეთი ღონისძიებების გამართვის გამო, ვფიქრობ, ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის დიდი უფსკრული გაჩნდება.



**მამა დავითი (ქვლივიძე), მაცხოვრის ნათლისღების სახელობის ტაძრის მღვდელმსახური:**

— კაზანტიპის ფესტივალს მუსიკალური ფესტივალი ჰქვია, მაგრამ სინამდვილეში ეს არის გარყვნილების აღლუმი. რა ხდებოდა ყირიმში კაზანტიპის ფესტივალის მიმდინარეობისას, ინტერნეტში შეგიძლიათ იხილოთ. კაზანტიპის ფესტივალი არის მამათმავლობის, პედოფილიის, ბავშვთა გახრწნის, ნარკოტიკების პროპაგანდა. რამდენიმე ათასი მეძავი ჩამოჰყავთ უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან, ეს არის თავზე ლაფის დასხმა საქართველოსთვის. ზუსტად ეს არის ჩვენი რელიგიური გრძნობების, ჩვენი წარსულის, ტრადიციების დისკრიმინაცია და შეურაცხყოფა. ამოქმედდეს ახლა ანტიდისკრიმინაციული კანონი მართლმადიდებლების დასაცავად.

ასეთი ქმედებების გამო მოხდა წარღვნა. სოდომ-გომორი სწორედ ასეთი გარყვნილების გამო განადგურდა. ასეთი გარყვნილების ადგილები იქნება სწორედ წინაპირობა დედამიწაზე ანტიქრისტეს მოსვლისა და სამყაროს დასასრულისა, რომელსაც, როგორც წესი, წინ უძღვის მასობრივი გარყვნილება. ამ გარყვნილების გამო, უკრაინამ ყირიმი დაკარგა. ეს იყო ლოგიკური შედეგი გარყვნილებისა. დამიჯერეთ, **თუ ეს ფესტივალი საქართველოში ჩატარდება, ღმერთი დაგვსჯის. სამეგრელო, შესაძლოა, ისევე ჩამოცილდეს საქართველოს, როგორც ყირიმი უკრაინას. შეიძლება საქართველო სერბეთის გზას დაადგეს და დაიშალოს.** სწორედ ამ საშიშროებას ხედავს ეკლესია ამ ფესტივალის ჩატარებაში. ხომ გახსოვთ, როგორც კი მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი, ზავი ჩამოწვა. ეს ღვთის გაფრთხილებაა! **თუ ვინმეს ეცინება ჩემს სიტყვებზე, სახარებაში ჩაიხედოს და ნახოს, რა დაემართა სოდომ-გომორს. ასეთი საქციელის გამო ჩვენ აუცილებლად დავისჯებით.**

**სწორედ იმიტომ შეარჩიეს საქართველო, რომ მისი დაშლა სურთ; კარგად იციან, საქართველოს დაშლა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, თუ ღმერთი გაგვიწყრება.**

**— ვის სურს, მამაო, საქართველოს დაშლა?**

— ვინც ამ ყველაფრის ორგანიზატორია და ასევე, ვინც მათ მართავს.

**— ორგანიზატორების განცხადებით, ეს ფესტივალი ტურიზმის განვითარებას და ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს.**

— რომელ ტურიზმზე მელაპარაკებით ან რა ფასი აქვს ეგეთ ტურიზმს? რა შემოსავალი უნდა მიიღოს ქვეყანამ, ათასი მეძავი რომ ჩამოვა? **ისინი ფულის დამხარჯველები არიან? ფულს იქით წაიღებენ. ამ ქალებს იქით დაახარჯავენ ფულს ჩვენი ახალგაზრდები. ეს ხომ ხალხის მოტყუებაა, მეტი არაფერი.**

ესაუბრა **შორენა ციკქარაშვილი**

**«კაზანტიპის ფესტივალს მუსიკალური ფესტივალი ჰქვია, მაგრამ სინამდვილეში ეს არის გარყვნილების აღლუმი. რა ხდებოდა ყირიმში კაზანტიპის ფესტივალის მიმდინარეობისას, ინტერნეტში შეგიძლიათ იხილოთ. კაზანტიპის ფესტივალი არის მამათმავლობის, პედოფილიის, ბავშვთა გახრწნის, ნარკოტიკების პროპაგანდა. რამდენიმე ათასი მეძავი ჩამოჰყავთ უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან, ეს არის თავზე ლაფის დასხმა საქართველოსთვის. ზუსტად ეს არის ჩვენი რელიგიური გრძნობების, ჩვენი წარსულის, ტრადიციების დისკრიმინაცია და შეურაცხყოფა. ამოქმედდეს ახლა ანტიდისკრიმინაციული კანონი მართლმადიდებლების დასაცავად»**

## ალეკო ელისაშვილი: «ქართულმა ოცნებამ» ძალიან ცუდი პოლიტიკური კულტურა გამოავლინა



**საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა საკრებულოს უმრავლესობის მიერ თავმჯდომარის მოადგილის ორ პოსტზე ისევ „ქართული ოცნების“ დეპუტატების დანიშვნის კომენტირებისას აღნიშნა, რომ სააკაშვილის დროსაც კი ოპოზიციას რაიმე თანამდებობას შესთავაზებდნენ.**

„ქართულმა ოცნებამ“ საკრებულოს თანამდებობების 100% აიღო. „ქართულ ოცნებას“ არჩევნები 100%-ით არ მოუგია. ასე რომ, უფრო მართებული იქნებოდა, ოპოზიციისთვის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის პოსტი მაინც შეეთავაზებინათ. საკუთარ თავზე არ ვსაუბრობ, სარევიზიო კომისიის არაფერი გამეგება, ამის ამბიცია ნამდვილად არ მაქვს. „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან ცუდი პოლიტიკური კულტურა გამოავლინა. როდესაც საკრებულო ასე იწყებს მუშაობას, დასანანია, პირველ რიგში, „ქართული ოცნებისთვის“ და, ზოგადად, ქალაქისთვის“, — აღნიშნა ალეკო ელისაშვილმა.

## „საზოგადოების მოთმინებას აქვს საზღვარი და ერთხელაც იქნება, ერი აფეთქდება. მერე იძახონ, ჩვენი უფლებები ირღვევაო, როცა ხალხი აღდგება...“

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მერაბ შათირიშვილი:

# ცოლ-ქმარ ხიდაშელებს ჰგონიათ...

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი.**

**— ბატონო მერაბ, როგორც ვიცი, თქვენ მიერ დაფუძნებული მოძრაობა „ერისკაცთა სათათბირო“ სექტემბრიდან გააქტიურებას გეგმავს და რიგი სოციალური თუ საზოგადოებრივი მიმართულებებით სერიოზულ მოქმედებას აპირებს. კერძოდ, რა გეგმები გაქვთ და რა იქნება თქვენი პრიორიტეტი? განსაკუთრებით რა საკითხებზე იმუშავებთ?**

— ვიდრე შეკითხვაზე გიპასუხებდეთ, მინდა, გამოვეხმაურო ჩვენი სახელგანთქმული სოპრანოს, ქალბატონი თამარ ივერის განცხადებას, რომელიც მან ამას წინათ ერთ-ერთი ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში გააკეთა.

მოგეხსენებათ, დაახლოებით ერთი თვის წინათ მის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულმა სტატუსმა „ლიბერალების“ ბანაკში სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია. საუბარი იყო სექსუალური უმცირესობების უფლებებზე, რომლებიც თურმე ქალბატონ ივერს უხეშად დაურღვევია თავისი „ჰომოფობიური“ განცხადებით. **ჩემთვის პირადად გულის ამრევი იყო ის, რომ ამ განცხადების გამო მას ბოდიში მოახდევინეს. სწორედ რომ მოახდევინეს, თორემ დარწმუნებული ვარ, ის ამას საკუთარი ნებით არ გააკეთებდა; მით უფრო კონფერენციას არ მოაწყობდა ამის გამო და კონცერტის ჩატარებასაც არ დაგეგმავდა ე.წ. უმცირესობების უფლებების დასაცავად.** პირდაპირ ვამბობ მათ გასაგონად, ვინც სათავეში უდგას ამ ბნელ და ცოდვით სავსე კასტას: **საზოგადოების მოთმინებას აქვს საზღვარი და ერთხელაც იქნება, ერი აფეთქდება. მერე იძახონ, ჩვენი უფლებები ირღვევაო, როცა ხალხი აღდგება...**

პირადად ქალბატონ ივერს რაც შეეხება, თუ გავრცელებული ინფორმაცია მართალია და **თუ ის მართლა აპირებს ამ ე. წ. სექსუალური უმცირესობების უფლებების დასაცავად კონცერტის ჩატარებას, მე მას მოვუწოდებ თქვენი გაზეთის მეშვეობით, რომ ივერის გვარი გამოიცვალოს. ივერი ასოცირდება ივერიასთან, ერთან, მართლმადიდებლობასთან და მისი განცხადება აბსოლუტურად არ შეესაბამება ამ ყველაფერს.**

ახლა რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, — რას ვაპირებთ და რა მიმართულებებით ვიმუშავებთ: უპირველესი ამოცანა იქნება ეროვნული ცნობიერების გაღვივება. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება ძალიან ზოგადად ისმოდეს, მაგრამ ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმა, კონკრეტული სტრატეგია და, როცა დავიწყებთ მოქმედებას, ყველა დაინახავს, რომ ჩვენ არ ვართ მხოლოდ ზეპირ განცხადებებზე და რაღაც მოწოდებებზე ორიენტირებული ორგანიზაცია.

**— რა აზრისაა თქვენი მოძრაობა ასოცირების ხელშეკრულებაზე და საერთოდ ევროინტეგრაციაზე?**

— გააჩნია, რას ვგულისხმობთ ევროინტეგრაციაში, დასავლეთს კარგიც ბევრი აქვს და ცუდიც. თქვენ კონკრეტულ დოკუმენტზე თუ მეკითხებით, **ეს დოკუმენტი მე კი არა, მგონი, თვით მის ხელმომწერებსაც არ აქვთ წაკითხული, ამიტომ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი; თუმცა ერთი რამ ცხადია, თუ ჩვენ ამ ე. წ. ლიბერალური ღირებულებებით მივდივართ ევროპაში, ესე იგი, სულიერებას ვთმობთ და ეს პროცესი ქართველ ერს კარგს არაფერს მოუტანს.**

**— როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი მიზანმიმართული პოლიტიკაა?**

— ცხადია, ამას რა მიხვედრა უნდა?! აი, მაგალითად, წინა კვირას პარლამენტმა ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება რომ მოახდინა, თინა ხიდაშელმა განაცხადა: ხელისუფლებას ძალიან დიდი ძალისხმევა დაჭირდება, რათა საქართველოში დამკვიდრდეს ევროპული ღირებულება და ცხოვრების წესიო. ეს ხომ აბსურდია?! **ხიდაშელებს ჰგონიათ, რომ ჩვენ სული არ გვაქვს და, რასაც უნდათ, იმას მოგვახვევენ თავს...** რა თქმა უნდა, ეს არის ხელისუფლების მიზანმიმართული პოლიტიკა. ესენი საზოგადოებას ნაცარს აყრიან თვალში...

**— თქვენი აზრით, ბიძინა ივანიშვილი რამდენად მონაწილეობს ამ პროცესში?**

— ივანიშვილი წვრილმან გადაწყვეტილებებში ნამდვილად არ ერევა. ბევრ რამეში ხელისუფლება აბსოლუტურად თავისუფალია, მაგრამ, გლობალურ პოლიტიკას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, აქ ყველაფერს ის მართავს. იგივე ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ ავიღოთ, არავინ უარყოფს, რომ მან მოსთხოვა უმრავლესობას ამ კანონის ერთხმად მიღება. ეს, რაც ჩვენ ვიცით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასევე მონაწილეობს იგი სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელებაში; ასე რომ, რა თქმა უნდა, **ივანიშვილის გავლენა მთავრობაზე, პარლამენტზე ძალიან დიდია და ხელისუფლების პოლიტიკაშიც სერიოზულ როლს თამაშობს.**



## «ვინც უნდა დაიჭირონ, სამართლიანობის აღდგენის ფსიქოლოგიური მომენტი უკვე ხელიდანაა გაშვებული»

**— ანტიდისკრიმინაციული კანონი ახსენეთ, აგერ უკვე მესამე თვე გადის, რაც ეს კანონი მიღებულია და ჯერჯერობით არ გაგვიგია, ვინმეს მიმართ რამე სამართლებრივი დევნა ყოფილიყო. მაინც რას ხედავთ საშიშს ამ საკანონმდებლო ცვლილებაში?**

— მე ჯერ კიდევ მის მიღებამდე ვამბობდი, რომ ეს კანონი არის ბომბი და ის გამოიწვევს სერიოზულ საზოგადოებრივ აფეთქებას. დღესაც ამავე აზრზე ვარ. რაც შეეხება შეკითხვას, კონკრეტულად რას ვხედავ საშიშს, სტატისტიკას რომ გადახედოთ, **ყველა იმ ქვეყანაში, რომელშიც დღეს ერთსქესიანთა ქორწინება მიღებულია, 2-3 წლით ადრე ასეთი ცვლილება განხორციელდა, ანუ რის თქმა მინდა: ეს არის ერთგვარი ტრამპლინი, მოსამზადებელი ეტაპი შემდგომში უფრო თამამი ნაბიჯებისთვის და, როცა ამ საფუძველს შეამზადებენ, მერე უკვე ერთსქესიანთა ქორწინებასაც დაგიკანონებენ, აღლუმებსაც ჩაგიტარებენ და ხმას ვერ ამოიღებ.**

**— ფიქრობთ, ჩვენი საზოგადოება იმდენად შეიძლება შეცვალოს პროპაგანდამ, რომ ერთსქესიან ქორწინებას და გეიაღლუმს მშვიდად შეხვდება?**

მშვიდად შეხვედრა-არშეხვედრაზე არაა ლაპარაკი. აქ საუბარია იმაზე, რომ კანონში ჩაგიწერენ ამ ყველაფერს, ანუ დაგიკანონებენ და, თუ წინააღმდეგი წახვალ, უკვე კანონთან, სახელმწიფოსთან გექნება საქმე. ხვდებით, საით მივდივართ?! ამაშია ზუსტად მთელი უბედურება და ამიტომ ვამბობ, ყველგან, სადაც ამის საშუალება მეძლევა, რომ, სანამ კანონით განისაზღვრება ამ ე. წ. უმცირესობების უფლებები, **ვიდრე ოფიციალური სახე მიეცემა ამ მომაკვდინებელ ცოდვას, მანამდეა საჭირო ბრძოლა, თორემ მერე, დამერწმუნეთ, შესაძლებლობაც ბევრად ნაკლები გვექნება და შედეგიც.**

**— ბრძოლაში რას გულისხმობთ, რა ბერკეტები აქვს დღეს საზოგადოებას ამ პროცესთან დასაპირისპირებლად?**

— საზოგადოებას ბერკეტი არ სჭირდება, საზოგადოება თვითონაა ბერკეტი და ყველაფერი. ხელისუფლებას ირჩევს ხალხი, ამიტომ **ხელისუფლება, რა ორიენტაციისაც უნდა იყოს, ვალდებულია, ხალხის ნებას დაემორჩილოს; თუ არა და პარლამენტსაც, კანცელარიასაც ორი კარი აქვს — შემოსასვლელი და გასასვლელი.**

ახლა ბრძოლაში რას ვგულისხმობ: ვფიქრობ, რომ დღეს ქართველი ხალხი ცოტა მოდუნებულია. ამას შეიძლება გარკვეული მიზეზიც აქვს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში გამართლება არ უნდა მოვუძებნოთ. **ნახეთ, რა ხდება ქუჩაში, ტელევიზიებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში — ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდებით ადამიანების აღვირახსნილ მოქმედებას... ეს იეღოველები ხომ მომრავლდნენ და მომრავლდნენ და ახლა კიდევ მეგრულად და სვანურად დაიწყეს თავიანთი ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა.** ხელისუფლება რომ გვყავდეს, არ უნდა უთხრას იმ ევროპასაც და ამერიკასაც, რომ ეს არ არის არც დემოკრატია და არც ჭეშმარიტი დასავლური ცივილიზაცია?! აქვე მინდა ვკითხო ამერიკის ელჩს, ბატონ ნორლანდს, რომელიც, როგორც ვიცი, ერთ-ერთი პირველი დამცველია ამ სექტანტების: **ბატონო ელჩო, გასაგებია, რომ ეს სექტა დაკანონებულია საქართველოში და არც არავინ ეხება მათ, მაგრამ რატომ მითარგმნიან ისინი ამ თავიანთ ე. წ. რელიგიურ ლიტერატურას კუთხურ ენებზე და რატომ მიღვივებენ სეპარატიზმს?! — ეს ერთი.**

**მეორე. 20 ათასიდან 40 ათასამდე იეღოველია უკვე ამ ქვეყანაში და, ბატონო ელჩო, მილიონი რომ გახდებიან, არჩევნები არ ჩავატაროთ საერთოდ?! ჯარი არ გვყავდეს?! აღარ გინდათ: მერე ავღანეთსა და აფრიკაში ნატოს ეგიდით ჩვენი შეიარაღებული ძალები თქვენ გვერდით დადგეს?!** რა ხდება, ამაზე ხელისუფლებამ ხმა არ უნდა ამოიღოს, არ უნდა უთხრას ევროპასაც და ამერიკასაც, რომ ჩვენ ასეთ რაღაცებს არ დავუშვებთ?!

**— რაც შეეხება გიგი უგულავას დაპატიმრებას, საზოგადოებაში გაჩნდა მოლოდინი, რომ სამართლიანობის აღდგენა რეალურად დაიწყო. თქვენი აზრით, ხელისუფლება, ამ შემთხვევაში, მართლა დაინტერესებულია დამნაშავეთა დასჯით თუ ეს ყველაფერი პიარზე ან სხვა რამეზე გათვლილი მორიგი ფარსია?**

— არა, ეს არის ბლეფი. უგულავას დაიჭერ, მერაბიშვილს თუ სააკაშვილს, სამართლიანობის აღდგენის ფსიქოლოგიური მომენტი უკვე ხელიდანაა გაშვებული. გარდა ამისა, შენ თუ მართლა გინდა, რომ სამართალი აღადგინო, იმ კაცს რომ ათეულობით და ასობით ადამიანი ჰყავს გაუბედურებული, იმათ დაუბრუნე წართმეული ქონება, ბიზნესები, წილები და მერე დავიჯერებ, რომ რეალურად საქმეზე ფიქრობ. მაგალითად, წარმოიდგინეთ იური ვაზაგაშვილი, კაცმა 300 ათასი ხელმოწერა მოაგროვა ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის მოთხოვნით და თეთრი რომ თეთრია, არავისგან მიუღია, ყველაფერი საკუთარი სახსრებით გააკეთა. ახლა როგორ ფიქრობთ, რისთვის გააკეთა ეს ამ კაცმა? — იმისთვის, რომ მოსულიყო ახალი ხელისუფლება და სამართლიანობა აღედგინა. ამ დროს ახალი ხელისუფლება ისე იქცევა, თითქოს იური ვაზაგაშვილი მარტო თავისი შვილის მკვლელების დასჯისთვის იბრძვის. ეს ხომ დაცინვაა და ადამიანის აბუჩად აგდება?!

დასაწყისშიც აღვნიშნე და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ვაპირებთ სერიოზულ მუშაობას, ერთი მხრივ, ეროვნული ცნობიერების გასაღრმავებლად და, მეორე მხრივ, იმ ადამიანების დასაცავად, რომელთა უფლებები დღესაც ისე ირღვევა, როგორც წინა ხელისუფლების დროს. უამრავი ასეთი მოქალაქე მოდის ყოველდღე ჩვენს ოფისში და ჩვენც აუცილებლად დავუდგებით მათ გვერდით. არაუგვიანეს 10 სექტემბრისა ერისკაცთა სათათბირო შეიკრიბება და ვიმსჯელებთ, დეტალურად, სად, როდის, როგორ და რა ფორმით წარმოჩინდება ამ მოძრაობის აქტივობა.

**— ე. ი. თქვენი ელექტორატი ძირითადად ის ადამიანები იქნებიან, რომელთაც დღემდე ვერ დაიბრუნეს წართმეული ქონება, ანუ რომელთა მიმართაც სამართლიანობა არ ან ვერ აღდგა?**

— სათათბიროს კარი ყველასთვის ღიაა, ამიტომ ვიტყოდი, რომ ჩვენი ელექტორატი პოტენციურად მთელი საქართველოა. აქ საკითხი ძალიან მარტივად დგას, არ შეიძლება უსასრულოდ გრძელდებოდეს უსამართლობა და ადამიანი იჩაგრებოდეს. საერთოდ, შეურაცხყოფა ისეთი რამაა, თუ ადამიანი არ განიკურნა და გათავისუფლდა ამ შეურაცხყოფის ტვირთისგან, მისგან აუცილებლად მივიღებთ სოციალურ აგრესორს. ჩვენ ეს არ გვინდა და ამისთვის ვიბრძვით. დარწმუნებული ვარ, ეს ბრძოლა შედეგს მალე გამოიღებს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გასათვალისწინებელია, რომ რამდენიმე კვირის წინათ პრემიერი დაბეჯითებით აცხადებდა, მთავრობაში ცვლილებები არ იგეგმებაო და ბიძინა ივანიშვილიც ამტკიცებდა, რომ საქართველოს მთავრობა, მსოფლიოში თუ არა, რეგიონში მაინც ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ასეთი განცხადებების ფონზე, მოულოდნელი თვითლუსტრაცია მოხდა.**



სოსო ცინცაძე:

# ვინ აგებს პასუხს ტოტალურ უმუშევრობაზე, ლარის ჩუმ დევალვაციაზე?

**ქვეყანაში მიმდინარე საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი, ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში — სოსო ცინცაძე ესაუბრა.**

**— საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოულოდნელად 7 მინისტრი გაათავისუფლა თანამდებობიდან. ექსპერტებისა და საზოგადოების ნაწილის აზრით, აღნიშნული საკადრო ცვლილებები მოსახლეობაში დაგროვილი უარყოფითი მუხტის გასანეიტრალებლად განხორციელდა და ქვეყანას რეალურ შედეგს არ მოუტანს. როგორ შეაფასებთ პრემიერის გადაწყვეტილებას?**

— მოსახლეობაში დაგროვილი უარყოფითი მუხტის განეიტრალება მხოლოდ აისბერგის ზედა ნაწილია, მთავარი ისაა, რაც „წყლის ქვეშ იმალება“. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომელმაც საქართველოს პრემიერი ასეთ ურთულეს გადაწყვეტილებამდე მიიყვანა.

გასათვალისწინებელია, რომ რამდენიმე კვირის წინათ პრემიერი დაბეჯითებით აცხადებდა, **მთავრობაში ცვლილებები არ იგეგმებაო და ბიძინა ივანიშვილიც ამტკიცებდა, რომ საქართველოს მთავრობა, მსოფლიოში თუ არა, რეგიონში მაინც ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ასეთი განცხადებების ფონზე, მოულოდნელი თვითლუსტრაცია მოხდა. ვგულისხმობ იმას, რომ 7 მინისტრს ასე უეცრად არავინ ათავისუფლებს თანამდებობიდან.**

მოდი პირდაპირ ვთქვათ, როგორც ჩანს, სხვადასხვა სფერო კრიზისშია და მდგომარეობა იმდენად კრიტიკულია, რომ ასეთ ჩარევას საჭიროებს. თუმცა, როდესაც ქვეყანაში ერთადერთ უალტერნატივო მოტივაციად გამოცხადებულია ნეპოტიზმი, ერთპარტიულობა, ძმაკაცობა, ერთგულება, რასაკვირველია, ასეთი პოლიტიკური კურსი ასეთი შედეგებით დასრულდება.

**ფაქტია, ამ ნაბიჯით ღარიბაშვილმა „ჯინი უკვე ამოუშვა ბოთლიდან“ და ცხადი გახდა, რომ მინისტრები ხელშეუხებელნი აღარ არიან. მისასალმებელია, თუ მთავრობას სხვა მოთხოვნები გაუჩნდა მინისტრებისადმი, მაგრამ საინტერესოა, ვინ აგებს პასუხს ტოტალურ უმუშევრობაზე, ლარის ჩუმ დევალვაციაზე? ვინ აგებს პასუხს გაცემულ უხვ პრემიებზე? კარგი მუშაობისთვის არავის ხსნიან და, თუ ასე ცუდად მუშაობდნენ, მაშინ ფული დააბრუნონ. 50 და 80 ათასი ლარები აქვთ მინისტრებს პრემიები აღებული.**

ერთი რიგითი პროფესორის 5 წლის ხელფასი აქვს აღებული მინისტრს, რომელიც, ირკვევა, თურმე ცუდად მუშაობდა.

თავად საკადრო გადადგილებაც ბევრ კითხვას ბადებს. მაგალითად, ახლახან დანიშნეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი და ორიოდე თვეში რა გააფუჭა ისეთი ამ კაცმა ან რა ნიჭი გამოავლინა გარემოს დაცვის სფეროში, რომ გარემოს დაცვის სამინისტროში გადაიყვანეს? ეს ერთი შეხედვით სპონტანური გადაწყვეტილება, არავინ იცის, რა შედეგს მოიტანს. ყველაფერი რამდენიმე თვეში გამოჩნდება, თუმცა ჩვენ ხომ ვნახეთ, ბოლო ოცი წლის მანძილზე ყველა მთავრობის „აქილევსის ქუსლი“ სწორედ საკადრო პოლიტიკა იყო და მე, მაგალითად, მეეჭვება, ქართულ ოცნებას „სათადარიგო მოთამაშეთა“ ისეთი გრძელი სია გააჩნდეს, რომ ერთმანეთისგან განსხვავებული სფეროს მაღალპროფესიული მენეჯერები უცებ გამოჩნდნენ.

**— ანუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას, რომ ეს ცვლილებები მხოლოდ ფასადური იქნება?**

— კარგი იქნება, ცვლილებებმა გაამართლოს, თუმცა შედეგებზე საუბარი ნაადრევია. უკვე საუბრობენ, რომ შემოდგომაზე ცვლილებების მეორე ტალღაა მოსალოდნელი და შესაძლოა, შემოდგომაზე საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად, თანამდებობები სხვა მინისტრებმაც დატოვონ. ჯერჯერობით ვერ მოხსნიდნენ თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებს, ვინაიდან ნატოს სამიტი ახლოვდება და ეს უკვე პოლიტიკური მოტივაციით გათავისუფლებად ჩაითვლებოდა. თუმცა ნამდვილად მიკვირს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი მაია ფანჯიკიძემ ამდენ ხანს შეინარჩუნა. თუ არა ხელისუფლებასთან ახლობლობა, ამას, ალბათ, ვერ შეძლებდა.

**საგარეო საქმეთა მინისტრი გვყავს თუ არა ქვეყანაში, არავინ იცის. იმასაც ვერ ვიტყვი, ცუდი მინისტრია თუ კარგი, ვინაიდან არაფერს წარმოადგენს. ქვეყანა ინერციით მიდის.**

ირაკლი ალასანიამ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე დამლაგებელი არ დატოვა სამსახურში, ყველა გაათავისუფლა და მთელი სამინისტრო თავისი პარტიის წევრებით გაავსო. მაშინ თავს იმართლებდა, რომ მაპი უნდა მივიღოთ და ნატოში შევიდეთ, ამ კადრებით კი ვერ შევალთო. საინტერესოა, რატომ არ ვართ ნატოს წევრები? უსამართლობა იქნება, მარტო შვიდმა მინისტრმა აგოს პასუხი. ჩემი აზრით, არამხოლოდ მინისტრები უნდა შეიცვალოს, რამდენიმე სამინისტრო საერთოდ უნდა გაუქმდეს. მაგალითად, როგორც თავიდან ითქვა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო დროებით შეიქმნა; ასევე გაუგებარია, რა ფუნქციას ასრულებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. მხოლოდ პრესტიჟისთვის გვაქვს ეს სამინისტრო, რათა არავინ დაგვაბრალოს, თითქოს შერიგება არ გვინდა?

**სახელმწიფო მინისტრმა ევროპისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, ალექსი პეტრიაშვილმა, არჩევნების დასრულების შემდეგ დაუფიქრებელი განცხადება გააკეთა. მან პირდაპირ თქვა, რომ ერთმა პოლიტიკურმა ძალამ, ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ აისრულა თავისი პოლიტიკური ნება. ნორმალურ ქვეყანაში მარტო ამ სიტყვებისთვის მოხსნიდნენ პეტრიაშვილს.**

როდესაც უცებ 7 მინისტრს ათავისუფლებ, ეს გაცილებით მეტია, ვიდრე როტაცია. 7 მინისტრის გათავისუფლება იოლი გადასაწყვეტი არ იყო პრემიერისთვის. ასეთ შემთხვევაში, ევროპაში მთავრობა გადადგებოდა.

**— რამდენად საკმარისად მიგაჩნიათ პრემიერის არგუმენტები მინისტრების გათავისუფლებასთან დაკავშირებით? ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ცვლილებები მთავრობის მუშაობის ეფექტურობის გასაზრდელად და დაპირებების შესასრულებლად განხორციელდა.**

— ჩემთვის ღარიბაშვილის ოფიციალური განცხადება, უბრალოდ, სტანდარტული და არაფრისმთქმელია, მის ადგილას ყველა პრემიერი ასეთ განცხადებას გააკეთებდა, მაგრამ პრემიერის ოფიციალური განცხადება ერთია და რეალობა — სულ სხვა.

**მისასალმებელია, თუ მთავრობას სხვა მოთხოვნები გაუჩნდა მინისტრებისადმი, მაგრამ საინტერესოა, ვინ აგებს პასუხს ტოტალურ უმუშევრობაზე, ლარის ჩუმ დევალვაციაზე? ვინ აგებს პასუხს გაცემულ უხვ პრემიებზე? კარგი მუშაობისთვის არავის ხსნიან და, თუ ასე ცუდად მუშაობდნენ, მაშინ ფული დააბრუნონ**

**შეიძლება ხვალ პარლამენტში გამოვიდნენ „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტები და განაცხადონ, — ყველა ბრწყინვალე იყო, მაგრამ ახლა გენიოსი მინისტრები გვჭირდებაო. შერცხვებათ და დაფიქრდებიან, სანამ რამეს იტყვიან თუ რა! დღეს ისეთივე უსირცხვილო ტყუილები მესმის პარლამენტარებისგან, როგორიც მთელი 9 წლის მანძილზე მაია ნადირაძისა და მისი კამპანიისგან მესმოდა.**

**— პრეზიდენტმა ცვლილებების შემდეგ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და, ისაუბრა რა მთავრობაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებზე, განაცხადა, რომ მინისტრების კანდიდატურების განხილვაში მას მონაწილეობა არ მიუღია...**

— მისი ბუნებიდან გამომდინარე, მარგველაშვილი ცდილობს, ალმასრულებელ ხელისუფლებას რაც შეიძლება დელიკატურად და ინტელიგენტურად გაემიჯნოს. ამიტომ მე მხოლოდ ირონიულად მეღიმება, როდესაც მარგველაშვილს ვუსმენ — გააკეთებს განცხადებას და შემდეგ უკან იხევს. ინტელექტუალი კაცის ავტორიტეტი მაინც ჰქონდა და ახლა ესეც აღარ აქვს. პრეზიდენტს არავინ არაფერს ეკითხება.

**— ბატონო სოსო, რაც შეეხება საგარეო პოლიტიკურ მოვლენებს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკის კონგრესში განსახილველად შევიდა კანონპროექტი, რომლის დამტკიცების შემთხვევაშიც, საქართველო უკრაინა და მოლდოვა აშშ-ის მთავარ მოკავშირეებად გამოცხადდებიან, ოღონდ ნატოს წევრობის გარეშე. ამას გარდა, პენტაგონი სახმელეთო ჯარების განთავსების საკითხზეც მუშაობს და შესაძლოა, ერთობლივი წვრთნებიც ჩატარდეს. რას მოუტანს ეს ყველაფერი საქართველოს?**

— ერთობლივი წვრთნები შევარდნაძის დროსაც ტარდებოდა, ათეულობით ამერიკელი ინსტრუქტორი ჩამოდიოდა და სწორედ ამ ერთობლივი წვრთნების შედეგი იყო, ჩვენმა ერთობლივად გაწვრთნილმა ჯარმა 2008 წელს, ომის დროს ლამის დურბინდების ხმარება არ იცოდა. არც ნატოს გარეშე აშშ-ის მოკავშირედ გამოცხადება ნიშნავს რაიმეს. ჩემთვის მთავარი ნატოს მეხუთე პუნქტია. ჰიპოთეტური სიტუაცია განვიხილოთ: ვთქვათ და რუსეთი ხვალ თავს დაგვესხა, ვინ დაგვეხმარება? „პამპერსებით“ კი არა, ჩვენი გულისთვის იარაღით ვინ იომებს? ასე რომ, ეს ყველაფერი ბლეფია.

ჩემთვის შეურაცხმყოფელია ალასანიას განცხადებები, რომ თურმე საქართველო უფრო დაცული იქნება. ნაკლებად ან მეტად დაცული ქვეყანა რას ნიშნავს, არ მესმის, რადგან სახელმწიფო ან არის დაცული, ან არა. რაც შეეხება სამხედრო ძალის განლაგებას საქართველოში, ეს იქნებოდა რეალური დაცვა, მაგრამ დღეს შეუძლებელია.

**— მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინათ სამწუხარო ფაქტი მოხდა: მალაიზიის ავიახაზების კუთვნილმა ბოინგმა ავიაკატასტროფა განიცადა. უკრაინა, აშშ, რუსეთი პასუხისმგებლობას ერთმანეთს აკისრებენ, უწესებენ სანქციებს, ვითარება კი დღითი დღე იძაბება, შესაძლოა თუ არა ეს შემთხვევა მსოფლიოში დიდი კონფლიქტის დაწყების საბაბი გახდეს?**

— დიდი ომის დაწყების საბაბი ეს არ გახდება, ვინაიდან ევროპისთვისაც, რუსეთისთვისაც და ამერიკისთვისაც მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება უფრო ფასეულია, ვიდრე სამასი და გინდაც რამდენიმე ათასი ადამიანის სოცოცხლე. ამას გარდა, იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც პროცესებს რეალურად მართავენ, ბიზნესი და ეკონომიკური ინტერესებია მთავარი. თუნდაც გერმანიის კანცლერს, მერკელს, დააკვირდით, რა ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს. ერთი კვირის წინათ განაცხადა, რომ გერმანიის ინტერესების შესაბამისად იმოქმედებს გერმანია რუსეთთან და უკრაინასთან დაკავშირებითო და ახლახან საფრანგეთის პრეზიდენტს ურეკავს და სთხოვს, „მისტრალი“ რუსეთს აღარ მიჰყიდონ. საპასუხოდ ფრანგულ პრესა აქვეყნებს პუბლიკაციებს, — ჯერ მერკელმაც გამოიწვიოს ის 1 200 გერმანული კომპანია, რომლებიც რუსეთში მუშაობენ და რუსეთის ეკონომიკის გაძლიერებას უწყობენ ხელსო.

მსოფლიოში დიდი ფინანსური და ეკონომიკური ინტერესების ჭიდილი მიმდინარეობს.

**— დღეს საკითხი ასეც დგას: კამათობენ, ვის აძლევდა ხელს ბოინგის ჩამოგდება, რუსეთის ინტერესებში ეს რამდენად შედიოდა?**

— რუსეთს ეს ხელს არ აძლევდა. ეს თუ ვინმეს უნდოდა, იმათ, ვისაც სურთ, პუტინი აიძულონ, ჯარები შეიყვანოს უკრაინაში (რაც ამ ეტაპზე მის გეგმაში ნამდვილად არ შედის). რუსეთი და აშშ თუ შეთანხმდნენ, შესაძლოა, სანამ გამოძიება მიმდინარეობს, აღმოსავლეთ უკრაინაში საომარი მოქმედებები შეწყდეს. გამოძიება კი შეიძლება თვეები გაგრძელდეს, ამიტომ ვინ წააგო და მოიგო, ლაპარაკი ნაადრევია. გამოძიების შედეგებს დაველოდოთ.

შესაძლოა, კიევი იძულებული გახდეს, ქვეყნის თუ სრულ არა, სანახევროდ ფედერალიზაციას მაინც დათანხმდეს. უკრაინის ეკონომიკური გული დონბასია, ამიტომ ახლა მთელი ვნებათაღელვა იქითკენ არის მიმართული.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

„თუ სომხების მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე ჩადენილ დანაშაულებსა და ვერაგობებს გავიხსენებთ, გასაკვირი არ არის, რომ 19 ივლისს სომხური ეკლესიის ეზოში მომხდარი ფაქტი მიზანმიმართული პროვოკაცია იყოს, ოღონდ სომხების მხრიდან. ისე, ქართველ ხალხს ნამდვილად აღიზიანებს სომეხთა მოთხოვნა, რომ დადასტურდეს საქართველოში 650 სომხური ეკლესიის არსებობა, და საკმარისია პატარა მიზეზიც, რომ დაპირისპირება დაიწყოს, თანაც მწვავე ფორმით“.

ქვათა ღაღადი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვალოდია კვიტინი:

# ჩხუბი სომეხმა მღვდელმა დაიწყო

# სომხები ცდილობენ, თბილისი სომხურ ქალაქად გადააქციონ

**19 ივლისს მეტროპოლიტენის სადგურ „ავლაბართან“ მდებარე „სურბ ეჯმიაძინის“ სომხურ ეკლესიაში ნათლობის მიმდინარეობისას ეკლესიაში მყოფებსა და მოსახლეობას შორის დაპირისპირება მოხდა, რომელიც მეორე დღეს სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიამ დაგეგმილ თავდასხმად შეაფასა. მოგვიანებით სომეხთა ეკლესიის პრესსამსახურმა მიმართვაც გაავრცელა: „მოვუწოდებთ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს, სათანადო კვალიფიკაცია მისცენ აღნიშნულ ქმედებას და გამოიძიონ დანაშაული, რომელიც ჩადენილია ეთნიკური და რელიგიური სიძულვილის საფუძველზე. ინციდენტი, გარკვეულწილად, სომხების წინააღმდეგ ზოგიერთი მედიასაშუალების მიერ ტირაჟირებული სიძულვილის შედეგია, ასევე, სამწუხაროდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენლისაც“, — ნათქვამია განცხადებაში. „საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა, უშუალოდ ჩხუბის მონაწილეებისა და ინციდენტის თვითმხილველებისგან მოესმინა, რა მოხდა სინამდვილეში და რატომ შეფასდა ტერტერას მიერ ეს სამართლიანი ინციდენტი „დაგეგმილ თავდასხმად“.**



ინციდენტი სომხურ ეკლესიასთან
დაპირისპირებულ მხარეთა პოზიციები

**დავითი, ინციდენტის მონაწილე:**

**— ჩვენი მეგობრის მეუღლემ მანქანა ავტოსადგომზე გააჩერა, ამ მომენტში მასთან მივიდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პიროვნება, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, იყო ტერტერა, სახელად მანუკი. მან გოგონა შეურაცხყო. უთხრა, იდი, კ ჩორტუო. გოგონა შეეპასუხა, — რატომ მლანძღავო?! ხმამაღალი საუბარი რომ შემოგვესმა, მათთან მივედით. ტერტერამ ჩხუბი აგვიტეხა, რადგან სამოქალაქო ფორმაში იყო გამოწყობილი, ვერ ვიცანით და ხელი დავარტყით.** ამის შემდეგ წავიდა და ეკლესიაში ნათლობაზე მისულ სტუმრებთან ერთად დაბრუნდა. ჩვენც ბიჭები შევკრიბეთ და... ჩხუბიც ატყდა. **მე ხაჩატურიანი ვარ, სულ თორმეტნი ვიყავით, უმრავლესობა — სომეხი.**

**— თქვენი მეგობარი, რომლის მეუღლესაც გამოესარჩლეთ, სომეხია?**

— არა, ქართველი. მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ნებისმიერი პიროვნების ცოლს გამოვესარჩლებოდით. მაგათი მღვდელი — მანუკი, ძალიან ცუდი ადამიანია, ეკლესიის წინ ფეხბურთის სტადიონია, მაგრამ ბავშვებს არ ათამაშებს, მწვრთნელს უთხრა, ფულს გადაგიხდი და ბავშვები აქ აღარ ავარჯიშოო, ახლა ქალაქგარეთ შეკრებაზე არიან, თორემ მწვრთნელსაც შეგახვედრებდით. მანქანის გაჩერებაც სულ პრობლემაა, მოკლედ, გაბატონებულია ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე და იქ ფეხს არავის ადგმევინებს.

**— ამბობენ, რომ შეიარაღებული მიხვედით და რომ თქვენს ზურგს უკან ვიღაც დგას...**

— არა, იარაღი თვითონ ჰქონდათ, **რვაჯერ გაისროლეს, ჩვენს ზურგს უკან არავინ დგას, აი, მაგათ უკან კი ნამდვილად ვიღაც დგას და სურთ, ეს ქუჩური, ავლაბრული ჩხუბი „თავდასხმად“ მონათლონ. ისე, იარაღი რომ გვქონოდა, ნამდვილად ცუდი ამბავი მოხდებოდა.**

**— იქ ერთი კაცი იყო, რომელმაც ჭრილობა მაჩვენა.**

— ეგ კაცი ლოთია, სულ მანდ დგას, ჩხუბის დროს იქ არც იყო, ათ ლარს მისცემდნენ და დანას თვითონ დაისვამდა.

**ვალოდია კვიტინი, თვითმხილველი:**

— ჩხუბი სომეხმა მღვდელმა დაიწყო — გოგოს შეაგინა და უბნელი ბიჭებიც მის დასაცავად მოვიდნენ. იარაღი ეკლესიიდან გამოსულ ხალხს ჰქონდა, უბნის ბიჭებს იარაღი არ ჰქონიათ. ახლა დგანან და ტელევიზიებს ცრუ ინფორმაციას აწვდიან. ხედავთ, როგორ გაფითრდნენ, სიმართლეს რომ ვამბობ?!

**სუსანა ხაჩატურიანი, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის პრესსპიკერი:**

— სროლა ბოლოს მოხდა, ჩემმა დირექტორმა ისროლა.

**— თქვენი დირექტორი ვინ არის, იარაღის ტარების უფლება აქვს?**

— დიახ, აქვს იარაღის ტარების უფლება. ხალხს კლავდნენ და, აბა, არ უნდა ესროლა?! ჰაერში გაისროლა რამდენიმეჯერ... პრესრელიზში ყველაფერი წერია.

**— პრესრელიზში წერთ, რომ დაპირისპირებას ხელს უწყობს ქართული ეკლესია...**

— დიახ, **ქართული ეკლესია დაპირისპირებას ხელს უწყობს და ამაზე ლაპარაკი აღარ მინდა.**

**ლევონ ისახანიანი, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი:**

— ჩხუბი ჩვენ არ დაგვიწყია. თავს დაგვესხნენ, ჩვენი სასულიერო პირი ცემეს, მეც კინაღამ მომკლეს. დაპირისპირება სერიოზული იყო და ორ საათს გრძელდებოდა, ჩვენ თავს ვიცავდით.

### სომხური ეკლესიის დიაკვანი იოსები:

### ვიღაცას უნდა, რომ ქართველებსა და სომხებს შორის შუღლი ჩამოაგდოს. აქ მოვიდნენ ბიჭები, რომლებმაც შეგვაგინეს, — თქვენი სომეხი დედაო

**სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის დიაკვანი იოსები:**

— **ვიღაცას უნდა, რომ ქართველებსა და სომხებს შორის შუღლი ჩამოაგდოს. აქ მოვიდნენ ბიჭები, რომლებმაც შეგვაგინეს, — თქვენი სომეხი დედაო.**

**— რატომ ფიქრობთ, რომ ეთნიკურ ნიადაგზე მოხდა დაპირისპირება? ეს ძალიან მძიმე ბრალდებაა, ვის აძლევს ხელს ეს დაპირისპირება?**

— მაგას ვერ გეტყვით, ალბათ, იმას, ვისაც საქართველო არ უყვარს. ჩვენ გვინდა, ქვეყანა აშენდეს და ძმობა იყოს.

**მამა დავითი (ლასურაშვილი), სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარი:**

— სომხური ეკლესიის ეზოში მომხდარს პროვოკაციის ნიშნები ეტყობა. ახლა ტელეეკრანზე ვუყურე მათი იურიდიული სამსახურის უფროსის — ლევონ ისახანიანის გამოსვლას, რომელმაც „თეთრი და შავი“ ერთმანეთში აურია. მის ამ გამოსვლაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. პროვოკაციები მომძლავრდა მათი მხრიდან.

**— სომეხთა ეკლესია თავის განცხადებაში ქართულ ეკლესიასაც ადანაშაულებს...**

— რომელი იყო იმ ჩხუბში ქართული ეკლესიის წარმომადგენელი? თანაც, როდესაც ეკლესიას სდებენ ბრალს, მაშინ განცხადება საპატრიარქომ უნდა გააკეთოს. მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან ამ სიტუაციაში ყოველ წინადადებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ისე, რომელიღაც სომხური არასამთავრობოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს ფაქტი არ შეიძლება, ეთნიკურ დაპირისპირებად შეფასდეს.

**ალექსანდრე აბდალაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი:**

— **ქართულ-სომხური ურთიერთობები რომ ძალიან გამწვავებულია, ახალი ამბავი არ არის. მას საფუძველი ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეში ჩაეყარა და დღემდე გრძელდება. სომხური ეკლესია და, საერთოდ, სომეხი ხალხი, ქართველების მიმართ გამუდმებით იჩენენ უმადურობას. რა იგულისხმება ამ უმადურობაში? სომხები საუკუნეების განმავლობაში სამშობლოდან გამორბოდნენ და თავს აფარებდნენ ჩვენს ქვეყანას, ქართველი მეფეები კი, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მათ მფარველობდნენ.** იყვნენ სომხები, რომლებიც საქართველოზე დიდ იმედს ამყარებდნენ, სომეხი საეკლესიო და შოვინისტურად განწყობილი პირები კი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა საქართველოსთვის ევნოთ.

როდესაც 1811 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა, სომხურმა ეკლესიამ პოზიციები განიმტკიცა და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ გაილაშქრა, ისინი ქართველი ერის შევიწროებას ცდილობდნენ. სომხურმა ეკლესიამ მოახერხა ქართველთა ერთი ნაწილის შევიწროება და გასომხებაც კი.

**სომეხმა დაშნაკებმა ჯარი შემოუსიეს საქართველოს ისე, რომ ომი არ გამოუცხადებიათ, სომხურმა ჯარმა საშინელებები ჩაიდინა, რაშიც დიდი წვლილი მათ ეკლესიასაც მიუძღვის.**

**სომხურ-ქართული ურთიერთობების გამწვავებაში სომხურ ეკლესიას ყოველთვის თავისი წვლილი შეჰქონდა. სომხური დაშნაკური წრეები „დიდი სომხეთის“ აღდგენაზე ოცნებობდნენ, ისინი ამისთვის ყოველთვის იბრძოდნენ, მაგრამ ჩაეშალათ, რის შემდეგაც იშვა ახალი იდეა, შექმნილიყო დიდი სომხური ეკლესია, რომელიც დღესაც ცოცხლობს. ამისთვის კი საჭიროა ქართული ეკლესიის დასუსტება, სწორედ ამიტომ ითხოვენ დღეს საქართველოში 650 სომხური ეკლესიის არსებობის დადასტურებას.**

**სომხების ასეთმა გამუდმებულმა მტრობამ დააწერინა ილია ჭავჭავაძეს „ქვათა ღაღადი“, რაზეც დღეს მოლიბერალო ადამიანები ამბობენ, ილიას ეს არ უნდა დაეწერაო. საქმე ის არის, რომ მე-19 საუკუნიდან სომხები ცდილობენ, თბილისი სომხურ ქალაქად გადააქციონ, ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც. ილიას ტკივილიც ეს იყო.**

**ქართველი ისეთი სუსტი ერი არ არის, რომ სომხების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები დაივიწყოს.**

ხშირად მსაყვედურობენ, სათანადო სიმკაცრით არ საუბრობ სომხებზეო, რადგან ბევრი თვლის, რომ ქართველებს სომხებზე დიდი მტერი არ გვყავს.

თუ სომხების მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე ჩადენილ დანაშაულებსა და ვერაგობებს გავიხსენებთ, გასაკვირი არ არის, 19 ივლისს სომხური ეკლესიის ეზოში მომხდარი ფაქტი მიზანმიმართული პროვოკაცია იყოს, ოღონდ სომხების მხრიდან. ისე, **ქართველ ხალხს ნამდვილად აღიზიანებს სომეხთა მოთხოვნა, რომ დადასტურდეს საქართველოში 650 სომხური ეკლესიის არსებობა და საკმარისია პატარა მიზეზიც, რომ დაპირისპირება დაიწყოს, თანაც მწვავე ფორმით.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**«სომხურ-ქართული ურთიერთობების გამწვავებაში სომხურ ეკლესიას ყოველთვის თავისი წვლილი შეჰქონდა. სომხური დაშნაკური წრეები «დიდი სომხეთის» აღდგენაზე ოცნებობდნენ, ისინი ამისთვის ყოველთვის იბრძოდნენ, მაგრამ ჩაეშალათ. შემდეგაც იშვა ახალი იდეა, შექმნილიყო დიდი სომხური ეკლესია, რომელიც დღესაც ცოცხლობს. ამისთვის კი საჭიროა ქართული ეკლესიის დასუსტება, სწორედ ამიტომ ითხოვენ დღეს საქართველოში 650 სომხური ეკლესიის არსებობის დადასტურებას»**

ლოჩეთუმე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადრე, დაახლოებით 4-5 წლის წინათ, ერთ-ერთ გადაცემაში იტრაბახე, რა დრო იყო, მამაჩემი რუსეთში 37 მანეთად რომ გადაფრინდებოდა, ჩვენ მაგდენს ველარ მოვესწარითო. რა გამოდის, დიმა? მამაშენი ღორებთან გართობაში იხდიდა 37 მანეთს?! და შენ ამით ამაყობდი და, უბრალოდ, ახლა დაარქვი ყველაფერს თავის სახელი?!**

# ერთმა ტალახიანმა ღრუსთავიორელმა ათასი გასვარა



**და ასე ხარ ახლა შენ (და არა მხოლოდ), დიმა — შიმშილმა თუ შიშმა სიფრთხილე დაგაკარგვინა და ცხვირს (ამ შემთხვევაში — დინგს) ყველგან ყოფ, სადაც კი მოახერხებ და მერე რა, რომ სოციალურ ქსელებში ამის გამო ვილაცებმა გვარიანად გაგლანძღეს და ისეთი ეპითეტებით შეგამკეს, ეგებ ღორის წოდება სჯობდეს კიდეც. მაგრამ შენ ეს არ გაღელვებს იმიტომ, რომ პატრონების (ღორების პატრონების) დაფანტვისა თუ დაკავების გამო, შენ და შენისთანები უპატრონოდ ხართ მიშვებული სხვის ბოსტნებზე და შენ, როგორც წესი, მეზობლის ბოსტანზე გაილაშქრე.**

დიმიტრი ობოლაძე, როგორც წესი, საზოგადოებას იმით აოცებს, რომ ფეხბურთელთა გვარებს ზუსტად ვერ ამბობს და, ამასთანავე, ქართულად გამართულად ვერ ლაპარაკობს. ამას ისე მივეჩვიეთ, თითქოს სავალდებულოც კი იყოს. არადა, სხვა ქვეყნებში კომენტატორებმა არათუ ფეხბურთელის გვარი, ისიც კი იციან, ვინ რა ჭამა მატჩის წინ და როგორ განწყობაზეა. როგორც ჩანს, ობოლაძეს მადა ჭამაში მოუვიდა და პირდაპირ ეთერში ისეთი რაღაცების თქმის უფლება მისცა საკუთარ თავს, „ტელესახე" კი არა, მწყემსი არ იკადრებს. ახლა მწყემსებმა არ მიწყინონ, დიმას როგორ გვადარებო, მაგრამ რა ვქნა! ამდენ ცხვარს რომ ვუყურებ, პირველ რიგში, მწყემსი მახსენდება ხოლმე.

და მაინც, რა თქვა ობოლაძემ ისეთი, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია?! დიმამ პირდაპირ ეთერში რუსეთის მოსახლეობას ღორები უწოდა. **მარტივია ხომ, 145 მილიონი ადამიანი ღორად მოიხსენიო და ეს მაშინ, როცა იმავე რუსეთში მილიონზე მეტი შენი თანამემამულე ცხოვრობს!..** თვითონ დიმა თუ მხოლოდ რუსეთის მოქალაქეობას კახა ბენდუქიძით საზღვრავს და ასეთ სიტყვებს მხოლოდ მისი შემხედვარე ისვრის, ძალიან ცუდი, თუმცა...

ზემოაღნიშნული განცხადების შემდეგ ობოლაძემ საზეიმოდ გამოაცხადა, ეთერში რუსული სიტყვები არ გამაგონოთო. **მერე შეყვა, შეყვა და თქვა: „პროსტა" არ გამაგონოთო და არც ერთმა კოლეგამ არ შეახსენა, რომ „პროსტა" რუსული სიტყვაა. მეორე მხრივ, მისი სახელის, დიმიტრის შემოკლებული ქართული ვარიანტი დიტოა, ხოლო დიმა აშკარად რუსულია და, ობოლაძისავე ნათქვამით, გამოდის, მას ღორის სახელი ჰქვია.** ეს ყველაფერი მარტივად, ახლა კი ცოტა გავართულებთ, რასაც, მეეჭვება, ობოლაძის გონება ჩასწვდეს, თუმცა დიმა „ზრატვას" ჰკითხავს და აუხსნიან.

დიმიტრი, შენ „ბაკულას ღორები" თუ წაგიკითხავს? თუ წაგიკითხავს, ძალიან კარგი, თუ არა — ეგეც ძალიან კარგი, იმიტომ, რომ შესაძლოა, ამ ნაწარმოებში არა მხოლოდ საკუთარი თავი ამოგეცნო. დავით კლდიაშვილის ამ მოთხრობაში ღორებს არავისი არ ეშინიათ და შიმშილის განცდა მეზობლის ბოსტანს აჩანაგებინებს... **და ასე ხარ ახლა შენ (და არა მხოლოდ), დიმა — შიმშილმა თუ შიშმა სიფრთხილე დაგაკარგვინა და ცხვირს (ამ შემთხვევაში — დინგს) ყველგან ყოფ, სადაც კი მოახერხებ და მერე რა, რომ სოციალურ ქსელებში ამის გამო ვილაცებმა გვარიანად გაგლანძღეს და ისეთი ეპითეტებით შეგამკეს, ეგებ ღორის წოდება სჯობდეს კიდეც. მაგრამ შენ ეს არ გაღელვებს იმიტომ, რომ პატრონების (ღორების პატრონების) დაფანტვისა თუ დაკავების გამო, შენ და შენისთანები უპატრონოდ ხართ მიშვებული სხვის ბოსტნებზე და შენ, როგორც წესი, მეზობლის ბოსტანზე გაილაშქრე.**

კიდევ იცი, რა გამახსენდა, დიმა?! **ადრე, დაახლოებით 4-5 წლის წინათ, ერთ-ერთ გადაცემაში იტრაბახე, რა დრო იყო, მამაჩემი რუსეთში 37 მანეთად რომ გადაფრინდებოდა, ჩვენ მაგდენს ველარ მოვესწარითო. რა გამოდის, დიმა? მამაშენი ღორებთან გართობაში იხდიდა 37 მანეთს?! და შენ ამით ამაყობდი და, უბრალოდ, ახლა დაარქვი ყველაფერს თავის სახელი?!**

მთავარი ჯერაც არ გვითქვამს. დიმამ ისიც გაიხსენა, ჩვენი მორაგბეები ამბობენ, რუსი კოლეგები კარგი ტიპები არიან, მაგრამ არ მჯერა, ყველა ღორიაო. ამის შემდეგ ნუ გაგიკვირდებათ, თუ რომელიმე „რუსი" მორაგბე ობოლაძეს სადმე შეხვდება და რაგბის ბურთის ფორმას მისცემს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ღორების ნაკრებში" სამი ქართველი თამაშობს და როგორი სათქმელია იმათთვის, ძმაკაცებად და პარტნიორებად ღორები გყვანანო. **საინტერესო კიდევ ის არის, რომ ობოლაძის სიტყვები სტუდიაში არავინ გააპროტესტა. ახალგაზრდების არ მიკვირს, ჭკუა ისედაც არ მოეკითხებათ, მაგრამ ბაია დვალიშვილის დუმილმა გამაოცა. საქმე ის არის, რომ კარიერის განმავლობაში ქალბატონი ბაია თეატრის დასთან ერთად რუსეთში გასტროლზე არაერთხელ ყოფილა და რა გამოვიდა, საღორეში ატარებდა სპექტაკლებს და ღორების დაკრულ ტაშზე ცვიოდა ცრემლი?!**

ყველაზე ცუდი ამ ამბავში მაინც ის არის, რომ ეს ყველაფერი პირდაპირ სატელევიზიო ეთერში მოხდა. საძმაკაცოში რომ ეთქვა დიმას, ბევრი ვერც გაიგებდა, ახლა კი ისე გამოვიდა, რომ ერთმა ტალახიანმა ღორმა ათასი გასვარა.

**დავით მინდიაშვილი**

# უტვინო ფაშისტებს განათლება უნდა დავუპირისპიროთ!



**გულისამრევი იყო თვითნასწავლი სპორტული კომენტატორის, ყველასათვის სასაცილო დიმიტრი ობოლაძის მორიგი ანტირუსული დემარში „რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში, როდესაც მან, ვითომ მალაიზიური თვითმფრინავის კატასტროფით აღშფოთებულმა, რუს ერს „ღორი" უწოდა და ბრძანა, ამ სტუდიაში ერთი რუსული სიტყვაც არ გავიგონოო! ნორმალური ტელევიზია, ნორმალური ხელმძღვანელობით, ობოლაძეს, ვითარცა ღორს, კეტით გამოაგდებდა თავისი რიგებიდან, მაგრამ ეტყობა, „რუსთავი 2"-ში ღორული ქცევები მოსწონთ. როგორც ჩანს, არც „მარეგულირებელი კომისია" დგას მოწოდების სიმაღლეზე და არც მთელი ჩვენი საზოგადოება, თორემ ობოლაძის ღრუტუნს საკადრისი პასუხი გაეცემოდა.**

ჩვენ, საზოგადოებამ, რა უნდა დავუპირისპიროთ აშკარა ფაშიზმს? ვფიქრობთ, რომ კიდევ უფრო მიზანმიმართულად და გაძლიერებული ენერგიით უნდა ვიზრუნოთ მომავალი თაობების სწორად აღზრდაზე, ჩავუნერგოთ მათ ხალხთა შორის ურთიერთპატივისცემისა და მეგობრობის იდეალები, ვასწავლოთ ქართულ-რუსული ურთიერთობის რეალური ისტორია, ავუხსნათ, რომ ღმერთმა ხალხთა შორის მშვიდობა და ჰარმონია ისურვა და არა სიძულვილი და დაპირისპირება.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა შემდეგი ჰუმანიტარული აქცია — სახალხო მოძრაობამ „ქართულ-რუსული დიალოგისა და თანამშრომლობისათვის", ევრაზიის ინსტიტუტის ხელშეწყობით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ბავშვებისთვის საქველმოქმედო-შემეცნებითი აქცია მოაწყო. კერძოდ, 10-14 წლის ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებისთვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, მოეწყო ექსკურსია საქართველოს დედაქალაქში. სახალხო მოძრაობისა და ევრაზიის ინსტიტუტის გაერთიანებული ძალებით, 60-ზე მეტი ბავშვი და რამდენიმე პედაგოგი ესტუმრა თბილისს. **დედაქალაქის სტუმრებს შორის იყვნენ ბერშუეთელი, კირბალელი, ცერონისელი, ავნევლელი და კნოლევლელი ბავშვები. მათი უმრავლესობა პირველად იყო თბილისში და მათთვის ეს ექსკურსია განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა.**

ექსკურსიის მიზანი იყო, ბავშვებს, გართობასთან ერთად, მიეღოთ ობიექტური ინფორმაცია თბილისის, როგორც ხალხთა მეგობრობის, განსაკუთრებით კი, ქართულ-რუსული მეგობრობის ქალაქის შესახებ. სამწუხაროდ, სააკაშვილის რეჟიმის ანტირუსული და თან ანტიქართული ხასიათიდან გამომდინარე, მოსწავლეებს აღარ აწვდიდნენ არანაირ დადებით ინფორმაციას ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ. სწორი სწავლებისა და აღზრდის პრობლემა ქართულ სკოლებში დღესაც მწვავედ დგას, ამიტომ სახალხო მოძრაობისა და ევრაზიის ინსტიტუტის წევრებმა ბავშვებს ინფორმაცია მიაწოდეს ქართველებისა და რუსების დიდი ისტორიული მეგობრობის შესახებ, აუხსნეს, რომ აღა-მაჰმად ხანის მიერ ძირფესვიანად დანგრეული თბილისის აღდგენა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოხდა და ამაში ქართველების მეგობარი წარჩინებული რუსების წვლილი განუზომელია. ასე მაგალითად, თბილისის პირველი გენერალური დაგეგმარება ალექსანდრე გრიბოედოვს ეკუთვნის, ამიტომაც ქართლის სოფლებიდან ჩამოსულმა ბავშვებმა გრიბოედოვის ძეგლი ყვავილებით შეამკეს. ასევე ყვავილებით შეამკეს ილიასა და აკაკის ძეგლი პირველი გიმნაზიის წინ, რომელიც, როგორც ცნობილია, 1991-92 წლების მოვლენების შემდეგ მოსკოვის მერისა და მთავრობის მხარდაჭერით იქნა აღდგენილი და გარემონტებული. ბავშვებმა პატივი მიაგეს ალექსანდრე პუშკინსაც, რომლის ბიუსტთანაც მიიტანეს ყვავილები პუშკინის სახელობის სკვერში.

**ბავშვებს ქალაქში მეგზურობას ქალბატონი ნანა წითელაშვილი უწევდა, რომელიც ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობების ისტორიის შესანიშნავი მცოდნე და ალექსანდრე გრიბოედოვის ბიოგრაფიის მკვლევარია.**

ექსკურსიის ორგანიზატორებმა ყველა ღონე იხმარეს, ამ ბავშვებს თბილისში ყოფნა საუკეთესო მოგონებად გაჰყოლოდა. კინოთეატრში მულტფილმის ჩვენების შემდეგ სადილზე მათთვის სპეციალურად გამომცხვარი ტორტიც მიირთვეს, მოგვიანებით კი ზოოპარკი დაათვალიერეს, გული იჯერეს ატრაქციონებზე გართობით. ბავშვებს სპეციალური ბუკლეტები — მოსწავლის სამახსოვრო დაურიგდათ, რომლებშიც აღწერილია რუსთაველის გამზირზე და ჩუღურეთში მდებარე რამდენიმე უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ძეგლის ისტორია, რომელთა აშენებაც რუსი მოღვაწეების სახელებს უკავშირდება.

სახალხო მოძრაობა და ევრაზიის ინსტიტუტი მადლობას უცხადებენ ქალბატონ ლიკა ბებურიძეს („კავკასიონი სინერგია") და კინოთეატრ „რუსთაველის" ადმინისტრაციას მულტფილმის უფასო ჩვენებისათვის, ქალბატონ მაია ბუჩუკურს („მსოფლიო ნალმების გარეშე"), ქალთა საბჭოს (თავმჯდომარე ქ-ნი მზექალა შანიძე) და კომპანია „ბარამბოს" ბავშვების ტკბილეულით დასაჩუქრებისთვის, ასევე შპს „საქელექტრომანქანის" დირექტორს, ბატონ ნუკრი ბარელაძეს, ბავშვებისთვის სასადილო დარბაზის ორგანიზებაში გაწეული დახმარებისთვის.

**ევრაზიის ინსტიტუტის პრესსამსახური**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ვაშინგტონის იმპერია ინგრევა, ეს კი ვაშინგტონის მხრიდან თავზეხელაღებული მოქმედების მიზეზი ხდება. რაც მთავარია, — არაადეკვატურის.

# სანქციები და ავიალაინერები

**აშშ ინტერნეტსივრცეში („Open News.com“) გავრცელდა დოქტორ პოლ რობერტსის ყურადსაღები წერილი, რომლის საგაზეთო ვარიანტსაც დღეს შემოგთავაზებთ, მანამდე კი ავტორს გაგაცნობთ. ბატონი რობერტსი პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციაში აშშ ფინანსთა მინისტრის თანაშემწედ მუშაობდა და კურირებდა ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების საკითხებს. ამჟამად გაზეთ Wall Street Journal-ის რედაქტორის თანაშემწე და მიმომხილველია. მიმომხილველია აგრეთვე Buseness Week-ის და საინფორმაციო სამსახურ Scripps Howard News Service-ის რედაქციების. პარალელურად ჯერალდ სელანტეს ჟურნალის Trends Journal-ის ავტორი და რედაქტორია. მოკლედ, შემთხვევითი კაცი არ არის.**

პოლ რობერტსი წერს, რომ ობამას მიერ გამოცხადებული სანქციები, რომლებითაც იბლოკება რუსეთის თავდაცვისა და ენერგეტიკის კომპანიების ხელმისაწვდომობა ამერიკული ბანკების კრედიტებისადმი, ვაშინგტონის სისუსტეს მოწმობს.

დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად ობამას ზურგი შეაქცია ამერიკელ ბიზნესმენთა ორმა უმსხვილესმა კომპანიამ. აშშ-ის სავაჭრო პალატამ და მრეწველთა ეროვნულმა ასოციაციამ The New York Times-ში, Wall Street Journal-სა და Washington Post-ში გამოაქვეყნეს სარეკლამო განცხადება და ამ ფორმით გამოხატეს თავიანთი პროტესტი აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციების წინააღმდეგ.

მრეწველთა ეროვნული ასოციაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი ორგანიზაცია გულგატეხილია, რადგან **„შეერთებული შტატები აფართოებს სანქციებს, რასაც სულ უფრო ხშირად ცალმხრივად აკეთებს. საბოლოოდ, ეს დააზარალებს ამერიკის კომერციულ ინტერესებს“.**

კომპანია „ბლუმბერგმა“ კი ფართო საზოგადოებრიობას აცნობა, რომ „ბრიუსელში შეხვედრაზე ეროკავშირის ლიდერებმა უარი თქვეს ზომების მიღებაზე, რომლებიც შეერთებული შტატების მიერ დაწესებულის ანალოგიური იქნებოდა“.

ავტორი მიიჩნევს, რომ სანქციები გავლენას ვერ იქონიებს რუსეთის კომპანიებზე, რადგან ისინი საბანკო კრედიტების უფრო მეტი რაოდენობის მიღებას შეძლებენ ჩინეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან.

**ვაშინგტონს,** გვეუბნება რობერტსი, **სამი ძირითადი ნიშანი ახასიათებს — ქედმაღლობა, დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე და კორუფცია. ამ სენით დაავადებულ ადამიანებს უნარი არ აქვთ, ისწავლონ რამე. „როცა წინააღმდეგობას შეხვდებიან, ისინი მოსყიდვით, მუქარითა და იძულებით უპასუხებენ. დიპლომატია სწავლის უნარის არსებობას მოითხოვს, მაგრამ ვაშინგტონმა მრავალი წლის წინათ უარი თქვა დიპლომატიაზე და მთლიანად ძალის გამოყენებაზეა გადასული“. ძალადობის იმპერიაა.**

ძალადობა პრობლემებს არ შველის, პირიქით, ამ სანქციებით ვაშინგტონი ძირს უთხრის საკუთარ ძლიერებას და უკიდურესად ასუსტებს თავის გავლენას.

სხვა ქვეყნებს დოლარებით ანგარიშსწორების სისტემიდან გამოსვლისკენ უბიძგებს. ამას ადასტურებენ Bank of France-ის და BMP Paribas-ის ხელმძღვანელები. ფრანგული BMP Paribas იძულებული გახდა, გადაეხადა უზარმაზარი თანხა იმის გამო, რომ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც ვაშინგტონს გულზე არ ეხატება.

სანქციები ელოდება გერმანულ ბანკს — Commeerzbank-საც.

ზემოთ დასახელებული და მრავალი სხვა მაგალითი აძლიერებს მოძრაობას, რომელიც მიმართულია დოლარებზე ვაჭრობის სისტემის გამოყენების წინააღმდეგ. ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე გააფორმა ორმხრივი ხელშეკრულებები სავაჭრო პარტნიორებთან იმის უზრუნველსაყოფად, რომ ივაჭროს საკუთარი ეროვნული ვალუტებით.

**ბრიკსის ქვეყნებმა — ბრაზილიამ, რუსეთმა, ინდოეთმა, ჩინეთმა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ, რომელთა ეკონომიკური პოტენციალი უდიდი შვიდეულის“ ეკონომიკების ოდენობას აჭარბებს, უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები აშშ-ის გლობალური ბერკეტების შესასუტებლად და ამყარებენ ახალ, დოლარისგან დამოუკიდებელ ანგარიშსწორების მეთოდებს, ქმნიან საკუთარ საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომელიც მოემსახურება სავაჭრო დისბალანსების დაფინანსებას.**

ფინანსისტების აზრით, არცთუ შორეულ მომავალში იმპორტულ საქონელზე ფასების ზრდის გამო შეერთებული შტატების ეკონომიკაში დამკვიდრდება ინფლაცია და ამერიკელებს ცხოვრების დონის დაწევა რეალურად დაემუქრება.

21-ე საუკუნეში გაიზარდა ვაშინგტონისადმი უნდობლობა, რომელსაც საფუძველი დაუდო სიცრუეთა იმ ციკლმა, რომლის მსოფლიოსთვის თავსმოხვევა ამერიკელებმა სცადეს ერაყული „მასობრივი განადგურების იარაღის“, „ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების“ და „ირანის ატომური ბომბების“ დიდი ტყუილის მეშვეობით. მრავალ ქვეყანაში ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის შესწავლამ გვაჩვენა, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობა მსოფლიოსთვის ყველაზე დიდ საშიშროებად ამერიკას მიიჩნევს.




**ვაშინგტონის იმპერია ინგრევა, ეს კი ვაშინგტონის მხრიდან თავზეხელაღებული მოქმედების მიზეზი ხდება. რაც მთავარია, — არაადეკვატურის.** მაგალითად, მალაიზიური ბოინგის კატასტროფა, რომელიც უკრაინის თავზე მოხდა, საზოგადოებრიობას წარუდგინეს, როგორც რუსეთისა და უკრაინელი სეპარატისტების პროვოკაცია; რომ მალაიზიური ლაინერი რუსული იარაღით იქნა ჩამოგდებული.

არავინ დაინტერესებულა, რა მოგებას აძლევდა უკრაინელ სეპარატისტებს მალაიზიური თვითმფრინავის ჩამოგდება. რა აზრი ჰქონდა? ამის ნაცვლად პირდაპირ და სრულიად დაუსაბუთებლად განაცხადეს, რომ რუსეთის ბრალი და პასუხისმგებლობა დადასტურებულია.

**„ომის გამჩაღებლები რიგში ჩადგნენ, — წერს შემდეგ პოლ რობერტსი, — ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ეს ავიალაინერი „ცაში ააფეთქეს“, რომ ეს „არ იყო უბედური შემთხვევა“. ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია სრულყოფილი ინფორმაცია, ასე დეკლარაციულ დასკვნებს არ გააკეთებს, თუ წინასწარ გამზადებული გეგმა არ აქვს... აუცილებელი მონაცემების გარეშე ბაიდენმა რუსეთის დადანაშაულება დაიწყო. ვაშინგტონის მიერ გამოყენებულ მეთოდებს თუ გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ამგვარ ბრალდებებს დაახვავებს იმ მომენტამდე, როცა აღარავითარი ჩვენება და დასტური საჭირო აღარ იქნება“.**

სენატორმა **ჯონ მაკკეინმა** მყისიერად მხარი დაუჭირა მოსაზრებას, რომ თვითმფრინავის ბორტზე შეიძლება ამერიკის მოქალაქეებიც იყვნენ და მოუწოდა, რუსეთის წინააღმდეგ განეხორციელებინათ სადამსჯელო ღონისძიებები. სენატორი ამას აცხადებდა მაშინ, როცა მგზავრთა სია დადგენილი არც იყო, არ იყო გარკვეული, თუ რა მოხდა უკრაინის ცაში.

„ვისთვისაა სარფიანი?“ გავიხსენოთ ეს ძველბერძნული გამოთქმა. ისიც ვთქვათ, რომ გამოძიებას აწარმოებს ვაშინგტონის სალამურზე მოცეკვავე კიევის მარიონეტული ხელისუფლება და, **ეტყობა, უნდა ვერწმუნოთ პოლ რობერტსს, რომელიც აცხადებს: „ვფიქრობ, უკვე ვიცით, რა შედეგით დამთავრდება გამოძიება... მაღალი ალბათობით, საქმე გვექნება დიდი რაოდენობის მონაჩმახთან.**

მაშ, ვისთვისაა სარფიანი? ბუნებაში არ არსებობს გონიერი მოტივი, რომელიც აიძულებდა სეპარატისტებს, ჩამოეგდოთ ეს თვითმფრინავი, მაშინ, როცა ვაშინგტონს ასეთი მოტივი ჰქონდა — დაებრალებინა რუსეთისთვის. შესაძლოა, რომ სხვა მოტივიც არსებობდა. **გაჩნდა და გავრცელდა ხმა, რომ 37-წუთიანი ინტერვალით მოფრინავდა იმავე მარშრუტით, რომლითაც მალაიზიური ავიალაინერი. მოფრინავდა რუსეთის პრეზიდენტიოს ბორტი №1. ამან გამოიწვია სპეკულაცია თემაზე, თითქოს ვაშინგტონს სურდა ამ ხერხით პუტინის მოცილება. მალაიზიური ლაინერი პუტინის ბორტში აერიათ, რადგან ორივე თვითმფრინავი ერთმანეთს ჰგავს.**

არ გაგიკვირდეთ ასეთი მიამიტობა — ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვაშინგტონელი სპეციალისტები ასეთი არაპროფესიონალები არიან. მაგრამ გავიხსენოთ, რომ, როცა ამერიკელებმა ირანის სივრცეში ირანული ავიალაინერი ჩამოაგდეს, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლები ირწმუნებოდნენ, რომ 290 მგზავრი, რომლებიც მათ დახოცეს, იმყოფებოდა ამერიკული წარმოების ირანის ავიაგამანადგურებელ F-14 Tomcat-ის ბორტზე. ეს გამანადგურებელი მაშინ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების საბრძოლო თვითმფრინავების საყრდენი იყო. თუ ამერიკელების სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენლებს არ შეუძლიათ საკუთარი „მშრომელი ცხენი“ ირანული ლაინერისგან განასხვავონ, მაშინ ორი, ერთმანეთის მსგავსი თვითმფრინავის ერთმანეთში არევა არ უნდა გაგვიკვირდეს.

უკრაინის კატასტროფაზე საუბრისას ირანის შეთხვევა არავის გახსენებია.

ინციდენტის გამოძიების შედეგი როგორიც გინდა იყოს, — განაგრძობს პოლ რობერტსი, — იგი (ინციდენტი) მიგვითითებს იმ საშიშროებაზე, რომელიც ვაშინგტონის მკაცრი აგრესიის წინააღმდეგ პუტინის რბილ პოლიტიკაშია დამალული. პუტინის გადაწყვეტილებამ, უპასუხოს დიპლომატიის მეშვეობით და არა სამხედრო საშუალებებით ვაშინგტონის პროვოკაციებს უკრაინაში, უზრუნველყო რუსეთის პრეზიდენტი თვალსაჩინო უპირატესობით. ამას მოწმობს, თუნდაც, **ევროკავშირისა და შეერთებული შტატების საქმიანი წრეების ოპოზიციური დამოკიდებულება ობამას სანქციების მიმართ.** მაგრამ ისიც არის, რომ პუტინის ასეთმა პოლიტიკამ ღიად დატოვა კარი სხვადასხვა მაქინაციისთვის, რაშიც ვაშინგტონი დიდი სპეციალისტია.

**რადგან აშშ-ის ადმინისტრაცია უკან არ დაიხევს ნებისმიერი საზიზღარი ქმედების ჩასადენად, პუტინი და რუსეთი შეიძლება ემსხვერპლონ ვაშინგტონის უსინდისო მაქინაციებს.**

**და დასკვნა: რუსეთს არ სჭირდება დასავლეთი, მაგრამ ევროპას სჭირდება რუსეთი, ამიტომ რუსეთს ისღა დარჩენია, დაელოდოს ევროპის ინიციატივით მოსკოვის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად გადადგმულ ნაბიჯებს.**

მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**

## ქართველი სამხედროები ავღანეთიდან დაბრუნდნენ

**მეორე ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის პირველი ნაკადი ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნდა.**

150 სამხედრო მოსამსახურეს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გეგეჭკორი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი რომან ჯოხაძე, შეიარაღებული ძალების მთავარი სერჟანტი ალუდა კოპალიანი, საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ ნორლანდი და აშშ-ის სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი მეთიუ დიმიკი ალექსეევკის სამხედრო აეროდრომზე დახვდნენ. მათ ქართველ სამხედროებს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება მიულოცეს და ISAF-ის მისიის წარმატებით შესრულებისთვის მადლობა გადაუხადეს. აეროდრომზე ასევე, იმყოფებოდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და გენერალური შტაბის სხვა ხელმძღვანელი პირები.

**მეორე ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონი 4 თვის განმავლობაში ბაზა „ლეზერნეკზე“ მსახურობდა.**

**23-ე ბატალიონი ბოლო ქართული ქვედანაყოფია, რომელიც, ISAF-ის მისიის ფარგლებში, ჰელმანდის პროვინციაში საქართველოს დროშის ქვეშ ასრულებდა საბრძოლო დავალებებს.**

რამდენიმე დღის წინათ 23-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეების მიერ მისიის დასრულება ბაზა „ლეზერნეკზე“ საზეიმო ცერემონიით აღინიშნა. ამერიკული სარდლობის დაქვემდებარებაში არსებული ბაზა ფუნქციონირებას წყვეტს. რამდენიმე კვირაში 23-ე ბატალიონის პირადი შემადგენლობა სამშობლოში იქნება.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„დროა, გახდეთ ისეთები, სტალინის დროს რომ იყავით, პროლეტარული რევოლუციის შემოქმედნი, ამიტომ თქვენ არ გაქვთ უფლება, რევოლუციისა და ხალხის მტრების უღელქვეშ დარჩეთ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეთ იარაღად იმპერიალიზმის ხელში, რომელიც ლენინიზმის ნიღაბს ამოფარებული ხალხის დამონებას ესწრაფვის. თქვენ უნდა გაიგოთ, რომ საბჭოთა კავშირი აღარ წარმოადგენს თავისუფალ ერთა მთლიანობას, აქ უკვე აღარ ცხოვრობენ ერები ჰარმონიასა და სიამტკბილობაში.“**

**1956 წელს სკკპ მეოცე ყრილობაზე ხრუშჩოვმა „სიცოცხლის ხიდან“ ის ტოტი მოჭრა, რომელზეც მთელი სოციალისტური სისტემა იჯდა. გასული საუკუნის 70-იან წლებში პოლიტიკურად, მორალურად და ეკონომიკურად დაჩოქილი საბჭოთა კავშირი კვლავ შეეცადა წამოდგომას და ამისთვის სტალინის სახელის გამოყენება სცადა. ბრეჟნევის ხელისუფლებამ კონსპირაციულად მისცა მითითება მწერლებს, მარშლებს, შრომისა თუ ომის ვეტერანებს, დაეწერათ მემუარები სტალინთან დაკავშირებით. სწორედ ამ ხანებში შეიქმნა ლიტერატურული შედევრები, აგრეთვე, ფილმები და სპექტაკლები სტალინურ ეპოქაზე. ყველაფერი ეს ემსახურებოდა იმას, რომ 70-იანი წლების ბოლოს მომხდარიყო სტალინის პიროვნებისა და შემოქმედების სრული რეაბილიტაცია. ყველაზე დიდ მოლოდინში, რა თქმა უნდა, ქართველები იყვნენ.**

# გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

## როგორ აღნიშნეს მსოფლიოში სტალინის დაბადებიდან 100 წლისთავი



**დადგა 1979 წელი.** ქვეყანა ემზადებოდა ბელადის 100 წლის იუბილისთვის: გალამაზდა სტალინის მშობლიური ქალაქი გორი; დაიდგა მემორიალები. გორში დაიგეგმა გრანდიოზული სანახაობა, რომლის განხორციელებაც დაევალა გამოჩენილ ქართველ მსახიობსა და მასობრივი სცენების დადგმის უბადლო ოსტატს — ბორის წიფურიას.

დეკემბრის უმოკლესი დღეები წლებად გადაიქცა, დრო ნელა გადიოდა.

„1979 წლის 19 დეკემბერს ღამის 12 საათზე საქართველოს ტელერადიო კომიტეტის თავმჯდომარის — ნუგზარ ფოფხაძის კაბინეტში სამთავრობო ტელეფონმა დარეკა, ამ ზარს იგი ელოდა.

— ასე გვიანობამდე მუშაობთ? —გაისმა ყურმილში.

— დიახ, ედუარდ ამბროსის ძევ, — იყო პასუხი.

— იქნებ ჩემთან ამოხვიდეთ სასწრაფოდ.

— ცუდი ამბავი ხომ არ არის?

— წამოდით! — იყო ბრძანება.

ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტში გაფითრებულ ედუარდ შევარდნაძეს ხელში დეპეშა ეკავა, ნუგზარ ფოფხაძის შესვლისთანავე ტელეგრამა მაგიდაზე ისროლა და შემოსულს მიმართა: “წაიკითხეთ!”

— მთელ ტექსტს უცებ რას წავიკითხავდი, ერთ სიტყვას მოვკარი თვალი: „ატმენიტ,“ — იხსენებდა ნუგზარ ფოფხაძე მოგვიანებით...

ხუთი წუთი ორივე დუმდა. დანა პირს არ უხსნიდათ, მაგრამ ედუარდი რის ედუარდი იყო, გამოსავალი არ მოეძებნა:

— ნუგზარ, ამ დეპეშაზე მე ვაგებ პასუხს. ხალხის მოთმინება წკიპზეა, ჩვენ რომ ამ ტექსტიდან გამომდინარე მივმართოთ ხალხს, საზოგადოებას შოკში ჩავაგდებთ, იმოქმედე ისე, როგორც უნდა გემოქმედა, გააკეთე ყველაფერი ისე, როგორც დიდ ქართველს ეკუთვნის პატარა ქართველებისგან. ეს იქნება მხოლოდ შენი ინიციატივა და არა ცეკას და პარტიის. დავალება მძიმე და სარისკოა — ხომ არ გეშინია?

— თქვენ იცით, ბატონო ედუარდ, რომ მე მშიშარა არ ვარ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამ მძიმე დავალებას მომზადებული შევხვდი და ჩემი პროგრამაც მაქვს.

— ეს როგორ, ცენტრალური კომიტეტის გარდა სხვა პროგრამაც არსებობს? — გაკვირვებულმა იკითხა შევარდნაძემ.

— ამ საკითხზე კი, — უპასუხა ნუგზარ ფოფხაძემ და მოახსენა, რომ ამას ელოდა.

ორი დღის განმავლობაში ნუგზარ ფოფხაძე საერთოდ არ დაკავშირებია ედუარდ შევარდნაძეს. მან სტალინის დაბადების 100 წლისთავი, თუმცა არა იმ მასშტაბებითა და შინაარსით, მაგრამ მთელი საქართველოს ინტელიგენციისა და კულტურის კორიფეთა მონაწილეობით ბრწყინვალედ ჩაატარა (**„ყიზლარული დღიურებიდან“ — გრ.ონიანი**).

**რატომ ჩაიშალა სტალინის რეაბილიტაციის საკითხის განხილვა მისი დაბადების 100 წლისთავზე?**

სტალინის დაბადების 100 წლის მოახლოებამ ძალიან შეაშფოთა მოძმე დემოკრატიული ქვეყნის ლიდერები. ამერიკელთა აქტიური მუშაობის შედეგად ჩვენი ქვეყნის ბევრი ლიდერი არ იყო დაინტერესებული საბჭოთა კავშირის იდეურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებით, ფიქრობდნენ, რომ სტალინის სახელის შემობრუნება საზოგადოებას ისევ გახდიდა მონოლითურს, კანონმორჩილს, შრომისმოყვარეს.

**მოძმე ქვეყნების მეთაურთა გაერთიანებულ თათბირზე სტალინის რეაბილიტაციის წინააღმდეგ კატეგორიულად გაილაშქრეს იუგოსლავიის მთავრობის მეთაურმა იოსიფ ბროზ ტიტომ და რუმინეთის მთავრობის მეთაურმა ნიკოლაე ჩაუშესკუმ. მათ პირდაპირ განაცხადეს, რომ გავიდოდნენ დემოკრატიული ქვეყნების კავშირიდან, თუ სტალინის რეაბილიტაცია მოხდებოდა. საბჭოთა მთავრობამ, რომელშიც ბევრი იყო მოსყიდული და გადაბირებული ხელმძღვანელი, ვერ გაბედა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა და დადგენილება არ იქნა მიღებული. მიუხედავად ამისა, ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში მაინც აღინიშნა სტალინის დაბადების 100 წლისთავი.**

წარმოგიდგენთ მასალას, რომელშიც აღნიშნულია, თუ როგორ ჩატარდა სტალინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე ერთ-ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში — ალბანეთში, რა განაცხადა მისმა მეთაურმა ენვერ ხოჯამ ამ საიუბილეო თარიღზე:

„მიმდინარე წლის 21 დეკემბერს 100 წელი სრულდება რუსეთისა და მსოფლიო პროლეტარიატის სახელგანთქმული ბელადისა და ალბანელი ხალხის ერთგული მეგობრის, მთელი მსოფლიოს ჩაგრული მასების ქომაგის, მათი თავისუფლების, დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლის — სტალინის დაბადებიდან, რომელიც გამორჩეული გულმხურვალებით უყვარდათ მილიონებს და რომლისაც მტკიცედ სჯეროდათ.

**... რას არ იგონებდნენ გარეშე მტრები ი. ბ. სტალინის წინააღმდეგ, უწოდებდნენ მას „ტირანს“, „მკვლელს“, „სისხლისმსმელს“. ყველა ეს ცილისმწამებლური გამონაგონი დიდი ცინიზმით გამოირჩეოდა. არა, სტალინი არ ყოფილა არც ტირანი, არც დესპოტი! ის პრინციპული, სამართლიანი, თავმდაბალი, გულისხმიერი და ძალიან ყურადღებიანი იყო ადამიანებთან, კადრებთან, თანამშრომლებთან დამოკიდებულებაში. ამიტომაც უყვარდათ იგი პარტიას და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ხალხებს, მსოფლიოს პროლეტარიატს, ასეთად იცნობდნენ მას მილიონობით კომუნისტი, გამოჩენილი რევოლუციონერები, მსოფლიოს პროგრესული მოღვაწენი.**

1947 წელს მე მივმართე იოსებ სტალინს თხოვნით ალბანეთის საბჭოთა საზოგადოების შექმნის თაობაზე (ასეთივე შემოთავაზება ჰქონდა სტალინს ჩინეთიდან და ბულგარეთიდან. პოლონელებმა გამოთქვეს სურვილი თავიანთ ქვეყანაში კოლექტივიზაციის მხარდასაჭერად, რაზეც სტალინმა უპასუხა — „კოლხოზი რუსებს სჭირდებათ, პოლონელებმა ეს გზა დიდი ხნის წინათ გამოიარესო“). **პოტსდამის კონფერენციაზე საპასუხოდ ბრიტანელთა რეპლიკისა— ალბათ, გერმანიის საბჭოთა ზონა გაწითლდება, სტალინმა თავისთვის, თუმცა ყველას გასაგონად, ჩაილაპარაკა: „გერმანელებს სოციალიზმი ისე მოუხდებათ, როგორც ძროხას უნაგირი“.** აქედანაც ჩანს, თუ როგორი „დამპყრობელი“ და „დიქტატორი“ იყო სტალინი (**ხაზგასმა ჩემია — გრ. ო.**). სტალინმა მიპასუხა, რომ

— ისინი არ ქმნიან ერთობლივ საზოგადოებებს მოძმე სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებთან, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს არ არის სწორი. ჩვენ, — განაგრძო სტალინმა, — ვალდებულნი ვართ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს დავეხმაროთ ტექნოლოგიით, რომელსაც ვფლობთ — გავუწიოთ ეკონომიკური დახმარება, რამდენადაც და როგორც შეგვიძლია. მათ მხარდასაჭერად კვლავაც ყოველთვის ვიქნებით მზად.

„ცნობილი ფაქტია, რომ **ხრუშჩოველები მოუთმენლად ელოდებოდნენ სტალინის სიკვდილს. ხოლო სინამდვილე იმის შესახებ, თუ როგორ, რა გარემოებაში გარდაიცვალა სტალინი, ხალხისათვის ნათელი არ არის. ამ თვალსაზრისით, იდუმალებით არის მოცული „თეთრხალათიანთა საკითხიც“ კრემლის** ექიმთა სასამართლო პროცესი, იმ თეთრხალათიანთა საქმე, რომლებიც ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში იყვნენ **ბრალდებულნი საბჭოთა კავშირისა და ბოლშევიკური პარტიის ბევრი ხელმძღვანელის მოკვდინების მცდელობის გამო**. სტალინის სიკვდილის შემდეგ კი ყველა ეს ექიმი სასწრაფოდ გაათავისუფლეს და საქმეც ამით დასრულდა. რატომ მიაფუჩეჩეს ეს საქმე? იყო თუ არა დამტკიცებული ამ ექიმთა ბოროტმოქმედებანი, როდესაც მათი მხილება დაიწყო? საკითხი თეთრხალათიანთა შესახებ იმიტომ მიაფუჩეჩეს, რომ, თუ ძიებას გააგრძელებდნენ, საქმეების ღრმად გამოჩხრეკის შედეგად შესაძლო იყო, ბევრი რამ გამოაშკარავებულიყო, ბევრ ბოროტმოქმედებას ახდოდა ფარდა, შეთქმულება „შეიარაღებულ რევიზიონისტთა — ხრუშჩოვისა და მიქოიანის მეთაურობით“ გამომჟღავნებულიყო. ასევე, შეიძლებოდა სინათლე მოჰფენოდა გოტვალდის, ბერუტის, დიმიტროვისა და კიდევ სხვა ცნობილი პიროვნებების მოულოდნელი, სასწრაფო გარდაცვალების საიდუმლოს, რომელთა შესახებაც ვწერდი ჩემს გამოუქვეყნებელ მოგონებებში „ხრუშჩოველები და ჩვენ“, ასე შეიძლებოდა დაგვედგინა სტალინის მოულოდნელი სიკვდილის ნამდვილი მიზეზიც.

... ამ დიდებულ იუბილეზე მე მოწიწებით ვხრი თავს ჩემი ხალხისა და პარტიის წინაშე, რომლებმაც შემქმნეს, გამზარდეს, გამომაწრთეს და, აგრეთვე, იოსებ სტალინის წინაშე, რომელმაც, ჩემი ხალხის საბედნიეროდ, ამდენი ფასდაუდებელი რჩევა მომცა და ჩემს გულსა და გონებაში ამდენი დაუვიწყარი მოგონება დატოვა.

ახლა, როდესაც სტალინის ამ დიად იუბილეს აღვნიშნავთ, ყველგან მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანისთვის დგება ღრმად დაფიქრების ჟამი, რომ სწორი პასუხი იპოვოს, გაფანტოს ბურუსი, რომელიც ბურჟუა კაპიტალისტებმა მოახვიეს თავს, რათა მასების რევოლუციური აღტკინება შეეჩერებინათ.

**...** ხრუშჩოველ რევიზიონისტებს, რომლებმაც რა აღარ თქვეს სტალინზე, რათა რამდენადმე მაინც მიეჩქმალათ მისი სახელი და საქმეები, ახლაც შეუძლიათ რაღაც უღიმღამო ტექსტები შეადგინონ მასზე, მაგრამ თქვენ, ოქტომბრის რევოლუციის შემოქმედნი, ხომ ხართ ვალდებულნი, ღრმა პატივისცემით გაიხსენოთ თქვენი გამოჩენილი ბელადი? **თქვენ ვალდებულნი ხართ, დაამარცხოთ ფაშისტური რეჟიმი, დიქტატორული რეჟიმი, რომელიც ცდილობს, თაღლითურად ამოეფაროს სიტყვიერ ოინბაზობას. უნდა იცოდეთ, რომ ისინი, ვინც თქვენ გმართავთ, ფაშისტები, შოვინისტები და იმპერიალისტები არიან. ისინი თქვენგან საზარბაზნე ხორცს ამზადებენ იმპერიალისტური ომისთვის ამ ხალხების გასანადგურებლად, იმ ქვეყნების დასანგრევად, რომლებსაც სტალინის იდეების იმედი აქვთ. მსოფლიო ხალხებს არ უნდათ, რომ თქვენ ასეთები იყოთ და, თუ თქვენ კვლავ ასეთებად დარჩებით, ისინი უკვე ველარ შეძლებენ თქვენს პატივისცემას, ისინი შეგიძულებენ.**

მსოფლიო ხალხებს სძულთ თქვენი ახლანდელი კონტრევოლუციური ხელი- ▶

**«სტალინი პრინციპული, სამართლიანი, თავმდაბალი, გულისხმიერი და ძალიან ყურადღებიანი იყო ადამიანებთან, კადრებთან, თანამშრომლებთან დამოკიდებულებაში. ამიტომაც უყვარდათ იგი პარტიას და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ხალხებს, მსოფლიოს პროლეტარიატს, ასეთად იცნობდნენ მას მილიონობით კომუნისტი, გამოჩენილი რევოლუციონერები, მსოფლიოს პროგრესული მოღვაწენი»**

## სტალინიზმმა შეძლო, შეექმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ერთიანობა, რევიზიონიზმი კი პირიქით მოიქცა, გათიშა საბჭოთა ხალხები, გააღვივა შოვინიზმი, დანერგა ერთა შორის მტრობა, მოძმე ერებს ჩაუნერგა რუსებისადმი სიძულვილი, სიძულვილი ერისადმი, რომელმაც, სტალინის ხელმძღვანელობით, მთავარი როლი შეასრულა ქვეყნის გამარჯვების საქმეში.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...სუფალნი. თქვენ უნდა გააცნობიეროთ, რომ უკვე დიდი ხანია, მტრებმა გადაგიყვანეს რევოლუციური გზიდან, რათა თქვენს სულში სხვებზე ბატონობის სურვილი გააღვიძონ. ხრუშჩოველი რევიზიონისტები ამტკიცებენ, თითქოს თქვენი ძალები ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ უნდა გამოიყენონ, მაგრამ ეს ცრუ მტკიცებაა. თქვენი ხელისუფალნი ამერიკის იმპერიალიზმთან და მსოფლიო კაპიტალიზმთან კავშირში იმყოფებიან არა რევოლუციის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ხალხებზე ბატონობისა და გავლენის სფეროების გადანაწილების მისაღწევად.

მსოფლიო ხალხები შეშფოთებულნი არიან: ნუთუ თქვენ, იმ დიდებულ მეომართა შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია რომ მოახდინეს; თქვენ — საბჭოთა კოლმეურნეები, ჯარისკაცები და ინტელიგენტები, კვლავ განაგრძობთ ხალხთა სამტროდ მიმართულ იმ გზაზე სიარულს, საითკენაც უკვე გადაგვიყვანეს თქვენმა ხელმძღვანელებმა, ცრუ კომუნისტებმა, რომლებიც ჩვეულებრივ ექსპლუატატორებზე მეტად გვჩაგრავენ, თუ კვლავ აღდგებით სტალინის სახელით და წახვალთ შეტევაზე რევოლუციის გზით?

მსოფლიოს სურს, რომ თქვენ კვლავ რევოლუციის გზით წახვიდეთ, გასწიოთ წინ, თქვენს წინამორბედთა მსგავსად, შეძახილებით: „სამშობლოსათვის“, „სტალინისათვის“, ნამდვილი სოციალიზმისათვის — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რევიზიონიზმის წინააღმდეგ. თქვენ დიდი ძალა ხართ, მაგრამ უკვე თავიდან უნდა მოიპოვოთ მსოფლიო პროლეტარიატის ნდობა, მსოფლიო ხალხების ნდობა, ის დიდი ნდობა, რომელიც სტალინმა ბრძოლითა და შრომით მოიპოვა. თქვენ სასწრაფოდ უნდა დაფიქრდეთ და ღრმად გაიაზროთ საკუთარი მომავალი; **დროა, გახდეთ ისეთები, სტალინის დროს რომ იყავით, პროლეტარული რევოლუციის შემოქმედნი, ამიტომ თქვენ არ გაქვთ უფლება, რევოლუციისა და ხალხის მტრების უღელქვეშ დარჩეთ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეთ იარაღად იმპერიალიზმის ხელში, რომელიც ლენინიზმის ნიღაბს ამოფარებული ხალხის დამონებას ესწრაფვის. თქვენ უნდა გაიგოთ, რომ საბჭოთა კავშირი აღარ წარმოადგენს თავისუფალ ერთა მთლიანობას, აქ უკვე აღარ ცხოვრობენ ერები ჰარმონიასა და სიამტკბილობაში. სტალინიზმმა შეძლო, შეექმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ერთიანობა, რევიზიონიზმი კი პირიქით მოიქცა, გათიშა საბჭოთა ხალხები, გააღვივა შოვინიზმი, დანერგა ერთა შორის მტრობა, მოძმე ერებს ჩაუნერგა რუსებისადმი სიძულვილი, სიძულვილი ერისადმი, რომელმაც, სტალინის ხელმძღვანელობით, მთავარი როლი შეასრულა ქვეყნის გამარჯვების საქმეში.**

ნუთუ კვლავაც მისცემთ უფლებას, რომ ფეხქვეშ გაგთელონ? ნუთუ კვლავ დაუშვებთ, რომ გაღრმავდეს ბურჟუაზიის განვითარების პროცესი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, დაიდგამთ ახალი კაპიტალის უღელს, კაპიტალისა, რომელიც ცრუ სოციალიზმის ტოგაშია გამოხვეული (აი, თურმე ჯერ კიდევ როდის გვაფრთხილებდა ენვერ ხოჯა ამ მოსალოდნელ უბედურებაზე— გრ. ონიანი)?!

ჩვენ, ალბანელ კომუნისტებს, ალბანელ ხალხს, როგორც მსოფლიოს ყველა კომუნისტსა და თავისუფლების მოყვარე ადამიანს, გვიყვარდა სტალინის იდეებზე აშენებული ნამდვილი სოციალისტური საბჭოთა კავშირი, ჩვენ მტკიცედ მივყვებით სტალინის გზას და გვჯერა, საბჭოთა ხალხის რევოლუციური ძლიერებისა, საბჭოთა პროლეტარიატისა. ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი თანდათან გამოავლენენ თავიანთ ძალებს თავგანწირულ ბრძოლაში ერის მოთხოვნათა შესაბამისად, და დაამარცხებენ საბჭოთა სოციალუსტურ იმპერიალიზმს.

უინსტონ ჩერჩილი, ჰარი ტრუმენი, იოსებ სტალინი — პოსტდამის კონფერენცია, 1945 წ.



**პოტსდამის კონფერენციაზე საპასუხოდ ჩერჩილის რეპლიკისა — ალბათ, გერმანიის საბჭოთა ზონა გაწითლდებაო, სტალინმა თავისთვის, თუმცა ყველას გასაგონად, ჩაილაპარაკა: «გერმანელებს სოციალიზმი ისე მოუხდებათ, როგორც ძროხას უნაგირი!»**

რევოლუცია და მსხვერპლი, რომელსაც გაიღებთ, კი არ დაასუსტებს თქვენს ქვეყანას, არამედ ხელახლა წარმოქმნის სოციალუსტურ საბჭოთა კავშირს, დაამხობს იმპერიალიზმის დიქტატურას. საბჭოთა კავშირი ამ რევოლუციიდან უფრო ძლიერი გამოვა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ამ დიდებულ საქმეში მთელი მსოფლიო პროლეტარიატი, მსოფლიოს ხალხები დაგიჭერენ მხარს. სწორედ ამ რევოლუციურ გარდაქმნაშია სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეის ძლიერება და არა — თქვენზე გაბატონებული ხროვის უმსგავსო, ფუჭ სიტყვებში. ნამდვილი კომუნისტები მსოფლიოში ყველგან ძლევენ იმპერიალიზმს და კაპიტალიზმს. ისინი დაეხმარებიან მსოფლიოს ხალხებს, რომ ერთმანეთის მიყოლებით განთავისუფლდნენ; დაეხმარებიან დიდ ჩინეთს, რომ ჭეშმარიტი სოციალიზმის გზას დაუბრუნდეს და არ იქცეს მსოფლიოზე გაბატონებისთვის მოწოდებულ სახელმწიფოდ. ჩვენ, ალბანელი კომუნისტები, სტალინის ერთგული მოწაფეები და რევოლუციის ჯარისკაცები, ამ დიდებულ იუბილეზე მოგიწოდებთ, დაფიქრდეთ თქვენთვის და მთელი მსოფლიოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამ საკითხზე, ვინაიდან ჩვენ — თქვენი ძმები, თქვენი ამხანაგები ვართ პროლეტარული რევოლუციისა და ხალხთა განთავისუფლების დიდ საქმეში. თუ თქვენ დამპყრობლური, იმპერიალისტური ომის გზას დაადგებით, საითაც მიჰყავხართ კიდეც თქვენს რენეგატ ხელმძღვანელებს, მაშინ ჩვენ უეჭველად თქვენი სისტემისა და თქვენი კონტრრევოლუციური ქმედებების მტრებად დავრჩებით, ეს დღესავით ნათელია. სხვაგვარად არ შეიძლება.

ჩვენ, ალბანელი კომუნისტები, საკუთარი ხალხის სისხლ-ხორცეული ნაწილი ვართ და, როდესაც დარწმუნებული ვართ, რომ სწორად ვიქცევით, ვერავითარი ქარიშხალი ვერ შეგვაჩერებს, რა ძლიერიც უნდა იყოს იგი. ჩვენ გვჯერა, რომ ყოველგვარ წინააღმდეგობას დავძლევთ და გავიმარჯვებთ, ისე, როგორც ბოლშევიკური პარტია და ხელისუფლება, როგორც დიდი მხედართმთავარი — სტალინი იმარჯვებდა და სძლევდა ნებისმიერ წინააღმდეგობას“.

**1949 წლის ნოემბერში სოხუმში დასასვენებლად მყოფ სტალინს აგარაკზე ენვერ ხოჯა ეწვია. სტალინი მას ეზოში შეეგება. სტუმარი მოხიბლული იყო აგარაკის ადგილმდებარეობითა და გამწვანებით. შეხვედრისთანავე ენვერ ხოჯამ ლოცვა აღავლინა და სტალინს 100 წლის სიცოცხლე უსურვა.**

— ასი? — თვალები მოჭუტა ბელადმა და გაიცინა. — ეს ცოტაა. ჩვენთან, საქართველოში, გვყავს მოხუცები, რომლებიც 145 წლისანი არიან.

— კიდევ ასი წელი, ამხანაგო სტალინ, ასეთი დალოცვა იციან ჩვენთან, კიდევ 100 წელი იცოცხლეო.

— აი, ასე კარგია! — თქვა მან გულწრფელად და ხალისიანად, — ეს კარგია, თანახმა ვარ.

ორივეს გაგვეცინა.

აივანზე გამიყვანა, სტალინს კეპი ეხურა და ყავისფერ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. შლიაპა მოვიხადე და საკიდზე ჩამოვკიდე.

— შენც გეხუროს, არ გაცივდე, აქ ნესტიანი ჰავაა, — მითხრა მასპინძელმა. არ ვაპირებდი სტალინის წინაშე შლიაპით ჯდომას, მაგრამ მან უბრძანა გენერალს, ჩამოეხსნა შლიაპა საკიდიდან და ჩემთვის მოეტანა. ბრძანება შესრულდა. საუბრის შემდეგ ვახშამზე მიმიწვია. კერძის გადაღებას ვაგვიანებდი, სტალინმა მითხრა:

— შევუდგეთ ჭამას, რაღას უცდით? ხომ არ ფიქრობთ, რომ ოფიციანტები მოვლენ და მოგვემსახურებიან? აი, შენი თეფში; აიღე, მოხადე ხუფი ჭურჭელს, გადმოიღე კერძი, თორემ აღარაფერი შეგხვდება.

სტალინმა სადღეგრძელო წარმოთქვა და შესვა. მორიგი სასმისის დაცლას მომსახურე გენერალი შეეწინააღმდეგა, რასაც სტალინის ბრაზიანი, მაგრამ ხუმრობანარევი საყვედური მოჰყვა:

— თავი დაგვანებე, თუ შეიძლება! უყურე ამას! ტიტოსავით არ გადაგვეკიდა? — და პირდაპირ თვალებში ჩამხედა სიცილით.

სტალინი მეკითხებოდა ჩემი ქვეყნის კლიმატზე, ბუნებაზე, მიწათმოქმედებაზე, ნიადაგზე, ტყეებზე, ქვანახშირზე, რელიგიასა და ხალხზე. მოვახსენე, რომ ჰავა ალბანეთში კარგია, რომ ტყე ბევრი გვაქვს, არის ქვანახშირის დიდი მარაგი, რომ ჩვენთან ბევრია დაჭაობებული ადგილები, რაც აფერხებს არა მარტო სოფლის მეურნეობას, არამედ მეტად საზიანოა ხალხის ჯანმრთელობისთვის.

— ჭაობის მავნებელი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად, მალარიასთან საბრძოლველად ევკალიპტები დარგეთ, — მირჩია მან, — ეს ხე ძალიან სასარგებლოა, იგი ჩვენთან ბევრგან იზრდება, მას კოღოები გაურბიან, თანაც ძალიან სწრაფად იზრდება და ჭაობიდან დიდი რაოდენობით იწოვს წყალს. სტალინს მოვუყევი, თუ როგორი აღფრთოვანებით მიყვებოდა ჩვეულებრივი გლეხი, რომელიც საქართველოში იყო ტურისტად, ქართული ჯიშის სიმინდზე. ამით ნასიამოვნებმა სტალინმა გასცა განკარგულება, მეორე დღისთვის რამდენიმე ტომარა ქართული სიმინდის თესლი მოეტანათ ჩვენთვის, თან ევკალიპტის თესლიც მოაყოლეს.

საუბრისას მკითხა:

— თქვენ, ამხანაგო ენვერ, ღორის ხორცს ჭამთ?

— დიახ, — ვუთხარი მე.

— მუსლიმანური რელიგია უკრძალავს თავის მრევლს ღორის ხორცის ჭამას, — თქვა მან. — ძველისძველი და უკვე დრომოჭმული ჩვევაა. მითუმეტეს, რომ რელიგიის საკითხი მეტად სათუთია და იგი ყოველთვის მხედველობაში უნდა მივიღოთ, ძალიან წინდახედულად უნდა ვიმოქმედოთ, რადგან დაუშვებელია, რომ დაუდევრად მოვეპყროთ ხალხის რელიგიურ გრძნობებს. ეს გრძნობები საუკუნეთა მანძილზე ინერგებოდა ადამიანთა სულებში და ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ. რელიგიის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთან საერთო ენის გამონახვის, მჭიდრო ურთიერთობის დამყარების თვალსაზრისით.

ვახშმის დასასრულს, მან ხილზე მიმითითა და მკითხა:

— ეს ხილი თუ გაგისინჯავს?

— არა, — ვუთხარი მე.

სტალინმა აიღო ხილი კანი გააცალა და მომაწოდა, — გასინჯეთო. თან დასძინა, ხელები სუფთა მაქვსო.

25 ნოემბერს სტალინის ბრძანებით სოხუმი და მისი შემოგარენი დაგვათვალიერებინეს. მიმიყვანეს საბჭოთა მეურნეობაში და სტალინის მორთმეული ხილის პლანტაციები მანახეს. მანდარინის ტოტები ისე იყო დახუნძლული ნაყოფით, რომ სიმძიმით მიწაზე იყო გართხმული, მხოლოდ ერთ მანდარინის ხეს 1500-2000 ცალამდე ნაყოფი ესხა.

ქართველები ძალიან თავაზიანი ხალხია, მათ გულთბილად მიგვიღეს და გამოგვაცილეს, — წერს თავის მოგონებებში ენვერ ხოჯა.



ენვერ ხოჯა

**«ნუთუ კვლავაც მისცემთ უფლებას, რომ ფეხქვეშ გაგთელონ? ნუთუ კვლავ დაუშვებთ, რომ გაღრმავდეს ბურჟუაზიის განვითარების პროცესი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, დაიდგამთ ახალი კაპიტალის უღელს, კაპიტალისა, რომელიც ცრუ სოციალიზმის ტოგაშია გამოხვეული?!»**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უცხოელი ექსპერტების აზრით, „ბოინგ 777“-ის კატასტროფა მსოფლიოში ვითარებას კიდევ უფრო გაამწვავებს. თუკი მალაიზიის ავიაკომპანიის თვითმფრინავი უკრაინელებმა ან პრორუსულმა ძალებმა, ან რუსმა სამხედროებმა თავიანთი ტერიტორიიდან ჩამოაგდეს, ნიშნავს, რომ დასავლეთი და რუსეთი კიდევ ერთი ნაბიჯით დაუახლოვდნენ კონფრონტაციას.



## 18 წლით პატიმრობა ობამასთვის გაგზავნილი წერილის გამო

**აშშ-ის სასამართლომ ტეხასში მცხოვრებ მსახიობ ქალს, შენონ რიჩარდსონს, 18 წლით პატიმრობა მიუსაჯა პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და ნიუ იორკის ყოფილი მერის, მაიკლ ბლუმბერგისთვის სასიკვდილო შხამით მოწამლული წერილების გაგზავნისთვის.**

36 წლის რიჩარდსონი 2013 წლის 7 ივნისს დააპატიმრეს ნიუ ბოსტონში, რომელიც დაახლოებით 160 კმ-ითაა დაშორებული ლუიზიანის შტატის ქალაქ შრივპორტიდან, საიდანაც გაიგზავნა მუქარის შემცველი და რიცინით მოწამლული წერილები აშშ-ის პრეზიდენტისა და ნიუ იორკის მერისადმი.

პროკურორმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ რიჩარდსონი თავდაპირველად შეეცადა, ყველაფერი ქმრისთვის გადაებრალებინა — პოლიციას აცნობა, რომ ქმრის კომპიუტერში რიცინის დამზადების ინსტრუქცია და ობამასა და ბლუმბერგის შესახებ ინფორმაცია აღმოაჩინა, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც სიცრუის დეტექტორის ტესტის გავლისას ჩავარდა, დანაშაული აღიარა.

2013 წლის დეკემბერში რიჩარდსონმა — ექვსი შვილის დედამ — დანაშაული აღიარა და უფრო მძიმე სასჯელის თავიდან აცილების მიზნით გამოძიებასთან ითანამშრომლა.




## დიდ ბრიტანეთში 660 პედოფილი დააპატიმრეს

**დიდი ბრიტანეთის ანტიკრიმინალური საagentოს თანამშრომლები ნახევარი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ ადამიანებს, რომლებიც ინტერნეტში ბავშვების ფოტოებით ინტერესდებოდნენ.**

სამართალდამცველებმა 833 სახლი გაჩხრიკეს და 9 ათასამდე კომპიუტერში არსებული ინფორმაცია შეისწავლეს, შემდეგ რამდენიმე ასეული ადამიანი დააპატიმრეს. სისხლის სამართლის საქმე, შესაძლოა, 660 მამაკაცის წინააღმდეგ აღიძრას.

მათგან ბევრია ექიმი და მასწავლებელი, ანუ ისინი, ვისაც ბავშვებთან ახლო ურთიერთობა აქვთ. და ამ ადამიანებიდან მხოლოდ 39 ირიცხებოდა სექსუალური დამნაშავეების მონაცემთა ბაზაში.

# მალაიზიური «ბოინგის» კატასტროფა ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს

**„ეს მათ ჰკითხეთ, ევროკომისიას ასეთი მონაცემები არ აქვს, ჩვენ არ ვიცით, საიდან აქვს აშშ-ს ასეთი ინფორმაცია“, — ასე უპასუხა ევროკომისიის წარმომადგენელმა კითხვას — საიდან შეიძლებოდა მიეღო ვაშინგტონს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მალაიზიური ავიალაინერი რეკეტით არის ჩამოგდებული.**






**17 ივლისს მალაიზიის ავიახაზების კუთვნილი „ბოინგ 777“, რომელიც ამსტერდამიდან კუალა-ლუმპურში მიფრინავდა, უკრაინის ტერიტორიაზე, რუსეთის საზღვართან ახლოს ჩამოვარდა. ბორტზე მყოფი 298-ვე ადამიანი (283 — მგზავრი, 15 — ეკიპაჟის წევრი) დაიღუპა. ნაპოვნია „შავი ყუთი“.**

აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, მალაიზიის „ბოინგ 777“ „დედამიწა-ჰაერის“ ტიპის რაკეტით არის ჩამოგდებული, თუმცა არ დაუზუსტებიათ, კონფლიქტის რომელ მხარეს მიუძღვის ბრალი 298 ადამიანის დაღუპვაში.

ვაშინგტონმა კონფლიქტის ორივე მხარეს ცეცხლის შეწყვეტისა და საერთაშორისო ძალებით გამოძიების ჩატარებისკენ მოუწოდა, მაგრამ დონეცკის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა იგორ სტრელკოვმა განაცხადა, რომ მალაიზიის „ბოინგ 777“-ის კატასტროფის მიზეზების ობიექტურად გამოსაძიებლად ზავის დადება აუცილებელი არ არის.

დონეცკის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა უარყვეს მალაიზიის ავიალაინერთან რამე კავშირი და მიუთითეს, რომ **დონეცკის რაიონში უკრაინას აქვს 27 კომპლექსი „ბუკ M1“, რომლითაც უკრაინელ სამხედროებს შეუძლიათ ჰაერში მფრენი ობიექტის ჩამოგდება.** ამასთანავე, **რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, დაფიქსირებულია უკრაინის რადიოსალოკაციო სადგურების მუშაობა „მალაიზიის ავიალაინერის“ კატასტროფის დღეს და გამოთვლილია უკრაინის ის დასახლებული პუნქტები, საიდანაც შეიძლებოდა „ბოინგ 777“-ის ჩამოგდება.**

## უკრაინაში ვითარების კიდევ უფრო გამწვავება ხელს უწყობს ვაშინგტონელი „ქორების“ გაძლიერებას, რომლებსაც სურთ, ომი წამოიწყონ პუტინის წინააღმდეგ. პუტინი კი არაფერს დათმობს და ეს არ იქნება 1970-80-იანი წლების ცივი ომი...

უკრაინის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ თვითმფრინავი საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „ბუკ“-იდან გასროლით არის ჩამოგდებული, მაგრამ „ბოინგი“ უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მოქმედების ზონაში არ იმყოფებოდა.

18 ივლისს უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს მოახსენეს, რომ სახალხო ლაშქარს ხელში არ ჩაუგდია უკრაინული საზენიტო კომპლექსები „ბუკი“ და C-300. ამასთანავე, ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „ბოინგი“ უკრაინულმა თვითმფრინავმა სუ-25-მა ჩამოაგდო.

**რუსული მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რაკეტა, რომელმაც „ბოინგი“ ჩამოაგდო, შეიძლება, გამიზნული იყო რუსეთის პრეზიდენტის თვითმფრინავისთვის. ამ თვითმფრინავების მარშრუტები იკვეთებოდა, ამასთანავე, მათი ფიუზელაჟები ერთნაირ ფერებშია შეღებილი.**

ბოლო მონაცემებით, რომელსაც „მალაიზია ეირლაინზი“ ავრცელებს, ავიაკატასტროფაში 298 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის, 3 ახალშობილი. დაღუპულთა შორის არიან ჰოლანდიის, ავსტრალიის, მალაიზიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ფილიპინების, ბელგიისა და კანადის მოქალაქეები.

**უცხოელი ექსპერტების აზრით, „ბოინგ 777“-ის კატასტროფა მსოფლიოში ვითარებას კიდევ უფრო გაამწვავებს. თუკი მალაიზიის ავიაკომპანიის თვითმფრინავი უკრაინელებმა ან პრორუსულმა ძალებმა, ან რუსმა სამხედროებმა თავიანთი ტერიტორიიდან ჩამოაგდეს, ნიშნავს, რომ დასავლეთი და რუსეთი კიდევ ერთი ნაბიჯით დაუახლოვდნენ კონფრონტაციას. უკრაინაში ვითარების კიდევ უფრო გამწვავება ხელს უწყობს ვაშინგტონელი „ქორების“ გაძლიერებას, რომლებსაც სურთ, ომი წამოიწყონ პუტინის წინააღმდეგ. პუტინი კი არაფერს დათმობს და ეს არ იქნება 1970-80-იანი წლების ცივი ომი...**



## რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 10 შეკითხვა უკრაინის ხელისუფლებას მალაიზიის «ბოინგის» ავიაკატასტროფის შესახებ

**რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი ანტონოვმა 10 შეკითხვა დაუსვა უკრაინის ხელისუფლებას მალაიზიური ავიალაინერის — „ბოინგ 777“-ის კატასტროფის შესახებ.**

**1.** უკრაინის ხელისუფლებამ მყისიერად განსაზღვრა ტრაგედიაში დამნაშავეთა ვინაობა. ისინი, მათი აზრით, რა თქმა უნდა, სახალხო ლაშქრის წარმომადგენლები არიან. რა უდევს საფუძვლად ამ დასკვნას?

**2.** შეუძლია თუ არა ოფიციალურ კიევს, გვაცნობოს ყველა დეტალი საომარი მოქმედებების რაიონში სისტემა „ბუკ“-ის გამოყენების შესახებ? რატომ არის ეს სისტემები განლაგებული, თუკი სახალხო ლაშქარს არ ჰყავს თვითმფრინავები?

**3.** რატომ არ არის დაინტერესებული უკრაინის ხელისუფლება საერთაშორისო კომისიის ჩამოყალიბებით, ბოლოს და ბოლოს, როდის დაიწყებს ის მოქმედებას? ამ კომისიის შექმნას ხომ საერთაშორისო თანამეგობრობა ელოდება?

**4.** მზად არიან უკრაინის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, საერთაშორისო ექსპერტებს მიაწოდონ დოკუმენტები საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებში „ჰაერი-ჰაერისა“ და „დედამიწა-ჰაერის“ კლასის რაკეტების რაოდენობის შესახებ?

**5.** საერთაშორისო კომისიას თუ წარუდგენენ კონტროლის საშუალებების მონაცემებს ტრაგედიის დღეს უკრაინის სამხედრო-საჰაერო ძალების გადაადგილების შესახებ?

**6.** რატომ დაუშვეს უკრაინელმა დისპეტჩერებმა თვითმფრინავის მარშრუტის გადახრა ჩრდილოეთისკენ, ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაციის მხარეს, რომელსაც ოფიციალური კიევი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში მცხოვრები ხალხის წინააღმდეგ ატარებს?

**7.** რატომ მთლიანად არ იყო დახურული სამოქალაქო თვითმფრინავებისთვის სივრცე საომარი მოქმედებების ზონის თავზე, მით უმეტეს, რომ ამ რაიონში არ არსებობდა ნავიგაციის რადიოსალოკაციო საშუალებების ერთიანი ველი?

**8.** თუ შეუძლია ოფიციალურ კიევს კომენტირება ვითომ უკრაინაში მომუშავე ესპანელი დისპეტჩერის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციისა, რომ ჩამოგდებულ „ბოინგს“ ორი უკრაინული სამხედრო თვითმფრინავი მიაცილებდა?

**9.** რატომ დაიწყო უკრაინის უშიშროების სამსახურმა უკრაინელი დისპეტჩერებისა და „ბოინგის“ ეკიპაჟის საუბრის ჩანაწერებზე, აგრეთვე, უკრაინული რადარების მონაცემებზე მუშაობა საერთაშორისო წარმომადგენლების გარეშე?

**10.** თუ იყო გათვალისწინებული შავი ზღვის თავზე რუსული „ტუ-154“-ის ანალოგიური კატასტროფის გაკვეთილები (2001 წლის 4 ოქტომბერს შავი ზღვის თავზე 11 კმ-ის სიმაღლეზე მფრენი ავიალაინერი ტუ-154M, რომელიც ავიაკომპანია „სიბირს“ ეკუთვნოდა, უკრაინული საზენიტო რაკეტა C-200-ით ჩამოაგდეს (იმ მომენტში უკრაინაში სამხედრო სწავლება მიმდინარეობდა). დაიღუპა 78 ადამიანი — ყველა მგზავრი და ეკიპაჟი. — რედ.)?

იმხანად უკრაინის ხელმძღვანელობა ბოლო მომენტამდე უარყოფდა ამ ტრაგედიაში უკრაინის სამხედრო-საჰაერო ძალების მონაწილეობას და მხოლოდ უდავო მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ დავამტკიცეთ, ვინ იყო ამ ტრაგედიაში დამნაშავე.



## მაკკეინმა ობამას ლაჩარი უწოდა

**სენატორმა მაკკეინმა უკრაინის მიმართ აშშ-ის პრეზიდენტის საქციელს „ლაჩრული“ უწოდა. სენატორის აზრით, აუცილებელია რადიკალური ქმედებები და უკრაინის კარგად შეიარაღება.** მაკკეინმა, ობამას ძველმა მოწინააღმდეგემ, თეთრი სახლი დაადანაშაულა ლაჩრობასა და მერყეობაში, რომელსაც აშშ-ის ადმინისტრაცია უკრაინაში შექმნილი ვითარების მიმართ იჩენს. მაკკეინის აზრით, ვაშინგტონმა უკრაინის არმია ისე უნდა შეაიარაღოს, რომ მან „უმოკლეს ვადაში დაიბრუნოს კონტროლი ქვეყნის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე“. ამერიკელი სენატორის თქმით, უკრაინაში მიმდინარე საომარი ოპერაციების ტერიტორიის თავზე ავიაკატასტროფა არ მოხდებოდა, ობამას ადმინისტრაციას პრევენციული ზომები რომ გაეტარებინა. ასეთი ზომები კი კონფლიქტის ზონაში ამერიკელი სამხედროების გაგზავნა და პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გაძლიერება იქნებოდა.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სისხლი კადრს მიღმა

**საერთაშორისო ურთიერთობების ლატვიელი ექსპერტი არტურ ხოლიავინი მსოფლიოში მიმდინარე იმ კონფლიქტებზე წერს, რომლებიც ჟურნალისტების ყურადღების მიღმა დარჩა.**



მედიისთვის ომი, როგორც წესი, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ერთი მხრივ, ეს განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში (იქნება ეს პატრიოტული განწყობის გაღვივება თუ შემოწირულობათა მიზიდვა ფონდებში ქვეყნის დასახმარებლად), მეორე მხრივ, მედიის მიერ ომის გაშუქება, რაოდენ ცინიკურადაც უნდა ისმოდეს, გასართობი ინდუსტრიის ნაწილია. ამაში ახალი არაფერია — ასე იყო ადრეც და, ალბათ, კარგა ხანს ასე იქნება. ძალადობა, ნგრევა, ძალაუფლების გადანაწილება ადამიანური ურთიერთობისა და ადამიანის ბუნების ნაწილია.

მილიონობით ადამიანი თვალყურს ადევნებს მოვლენების განვითარებას საომარი მოქმედებების თეატრის სცენაზე. ბევრი ათვალიერებს რუკებს და ცდილობს, გაერკვეს, რა ხდება იმ ქვეყნებში, რომელთა შესახებ ადრე არაფერი სმენოდა. მაგრამ აქ საუბარია მხოლოდ იმ ქვეყნებზე, რომლებშიც მიმდინარე მოვლენებსაც მასმედია აშუქებს.

**ინტერესის გამო, ჩამოთვალეთ ომები და შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებსაც გაიხსენებთ. არადა, მხოლოდ 2013 წელს ასეთი კონფლიქტი 43 იყო. მათგან 9-ში მსხვერპლთა რაოდენობამ 1000-ს გადააჭარბა — ეს კონფლიქტოლოგთა აზრით, ომია. 6 შემთხვევაში კი დაღუპულთა რაოდენობა 25-ზე ნაკლები იყო — ეს არის აუცილებელი მინიმუმი იმისათვის, რომ „შეიარაღებულ კონფლიქტად“ ჩაითვალოს.**

**ინტერესის გამო, ჩამოთვალეთ ომები და შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებსაც გაიხსენებთ. არადა, მხოლოდ 2013 წელს ასეთი კონფლიქტი 43 იყო. მათგან 9-ში მსხვერპლთა რაოდენობამ 1000-ს გადააჭარბა — ეს, კონფლიქტოლოგთა აზრით, ომია. 6 შემთხვევაში კი დაღუპულთა რაოდენობა 25-ზე ნაკლები იყო — ეს არის აუცილებელი მინიმუმი იმისათვის, რომ «შეიარაღებულ კონფლიქტად» ჩაითვალოს**



დავიწყოთ ომებით. ყველამ იცის, რომ ავღანეთში, ერაყში, სომალიში, სირიაში რაღაც ისე არ არის. ალბათ, თვალში მოგვხვდათ ცალკეული, ყველაზე სისხლიანი ეპიზოდები პაკისტანის სახელისუფლო ძალებისა ისლამისტების წინააღმდეგ ავღანეთის სასაზღვრო რაიონებში, ნიგერიაში ისლამისტების თავდასხმა ქრისტიანებზე, სამაგიეროდ, **ნარკოკარტელების ომი ერთმანეთს შორის და მექსიკის ხელისუფლების წინააღმდეგ,** რომელშიც ათიათასობით ადამიანი დაიღუპა (2013 წელს დაიღუპა 12 ათასი ადამიანი, სულ — 150 ათასი, ხოლო 500 ათასი ადამიანი იძულებული შეიქნა, მშობლიური კერა მიეტოვებინა), იშვიათად შუქდება ახალ ამბებში.

შარშან, ნოემბერში, მექსიკის ქალაქ ლა ბარკაში 67 ადამიანი დაიღუპა. **მექსიკის ახალი პრეზიდენტის — ენრიკო პენია ნიეტას მხოლოდ ერთი წლის მმართველობის პერიოდში, ოფიციალური მონაცემებით, ნახევარი მილიონი ადამიანი მოიტაცეს. დაღუპულია ასეულობით ჯარისკაცი, ათასობით პოლიციელი და ნარკოკარტელების წარმომადგენელი. ტერიტორია, რომელზეც ეს ომი მძვინვარებს, მექსიკის 7 შტატს მოიცავს და საფრანგეთის ტერიტორიაზე დიდია.**

„შეუმჩნეველი“ ომის მეორე მაგალითია **სამოქალაქო ომი სამხრეთ სუდანში.** თუკი ერთ დროს ერთიან სახელმწიფოში ნავთობსაბადოების ხელში ჩაგდების მიზნით დაწყებული სასაზღვრო კონფლიქტები ხვდებოდა ახალი ამბების გამოშვებებში, როგორც კი ეთნიკური კონფლიქტები დაიწყო, მედიის ინტერესი გაქრა — „აფრიკული ტომები ერთმანეთს ეომებიან“! არადა, ნუერისა და დინკის ტომებს შორის კონფლიქტმა, რომელიც მას შემდეგ დაიწყო, რაც ნაციონალურ-განმათავისუფლებელი საბჭოს სხდომაზე ოპოზიციის ლიდერები არ გამოცხადდნენ, 10 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. კონფლიქტში ჩაერთო უგანდა, დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეებმა კი ქვეყანა ამერიკული სპეცრაზმების დახმარებით დატოვეს.

**ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ხელისუფლებასა და მუსლიმანურ დაჯგუფება „სელეკას“ შორის კონფლიქტის განახლებამ საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება მიიპყრო, ოღონდ არა — მასმედიის.** ევროკავშირმა თავისი სამშვიდობო კონტინგენტი საფრანგეთის მონაწილეობის ხარჯზე გააძლიერა. მეორე მონაწილე ქვეყნად დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა. ესტონეთი.

მას სულ ცოტა ხნის წინათ შეუერთდნენ ესპანეთი, ფინეთი, ლატვია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია და პოლონეთი. ამ კონფლიქტში ჩაერთნენ ქვეყნებიც, რომლებიც არც ერთ კავშირში არ არიან გაერთიანებულნი, მაგალითად, **საქართველომაც გაგზავნა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში თავისი კონტინგენტი.** თავის მხრივ, რუსეთმა, ხორვატიამ და ალბანეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის თაობაზე.

საზოგადოებისა და მასმედიის ინტერესის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს კონფლიქტში იმ ქვეყნების ჩართულობა და ინტერესები, რომლებსაც ეკუთვნის ეს მედიასაშუალებები და არა — მსხვერპლის რაოდენობა.



## უვარგისი საჩუქარი უკრაინელებს

**ჯავშანჟილეტები, რომლებიც ამერიკელებმა უკრაინის თავდაცვის სამინისტროს გადასცეს ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეთათვის, სტანდარტებს არ შეესაბამება.**

უკრაინელებმა ეს ჟილეტები ჰუმანიტარული დახმარების სახით მიიღეს აშშ-ის თავდაცვის სამინისტროდან და ის სნაიპერული შაშხანიდან გასროლილმა ტყვიამ ვერ უნდა დააზიანოს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჟილეტები მოსახერხებელია, მათ აზიანებს 5,45 და 7.62 კალიბრის ვაზნები აზიანებს.

**აი, ავტომატური იარაღიდან გასროლილი 5,45 კალიბრის ვაზნის შედეგი:**




როგორც ხედავთ ტყვიამ ჯავშანჟილეტი გახვრიტა. ამასთანავე, ამ ჯავშანჟილეტის მფლობელი, ტყვიის მოხვედრის შემთხვევაში, უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან დეფორმირებული გულა სხეულში უფრო ღრმად შეაღწევს.

**აი, ფირფიტა, რომელზეც ჩანს კონტრაქტის ნომერი:**




ჯავშანჟილეტები დაამზადა Armacel Armor Corp-მა. შეკვეთა განკუთვნილი იყო ტუნისელებისთვის, სენეგალელებისა და ავღანელებისთვის, ახლა მათ უკრაინელებიც დაემატნენ.

სხვათა შორის, 2009 წელს 16 ათასი ჯავშანჟილეტი, რომელიც ამერიკელი ჯარისკაცებისთვის იყო განკუთვნილი, დამამზადებლებს დაუბრუნეს იმის გამო, რომ გამოუსადეგარი იყო ტყვიისგან ადამიანის დასაცავად.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რასმუსენის იმჟამინდელი განცხადების დიდი ნაწილი სიცრუეა, მაგრამ მან შეძლო დანიის პარლამენტის დარწმუნება და ეს ქვეყანა შეუერთდა კოალიციას, რომელიც ერაყში შეიჭრა. მოგვიანებით რასმუსენი ორპირობისა და ნატოსთან სათანამშრომლოდ მზადყოფნისათვის დააჯილდოვეს, დანიის დაზვერვის ერთ-ერთი თანამშრომელი ფრენკ გრევილი კი იმ დოკუმენტის გამომზეურებისთვის, რომელიც რასმუსენს სიცრუეში ამხელდა, 4 თვით დააპატიმრეს.**

# The New York Times ნატოს მატყუარა გენმდივანს იცავს





რობერტ პერი

**კრიზისებს შორის, დაწყებული ერაყის ომიდან, დამთავრებული სამოქალაქო ომებით სირიასა და უკრაინაში, გაზეთმა The New York Times-მა ნელ-ნელა განიცადა ტრანსფორმაცია და ჩამოყალიბდა პროპაგანდის ორგანოდ, რომელიც, ამერიკელი ჟურნალისტის, რობერტ პერის* აზრით, დაკავებულია აშშ-ის ხელისუფლების ტყუილების გავრცელებით და არა იმით, რომ თავის მკითხველს ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს.**

ძირითადი მეთოდი, რომლითაც მოქმედებს „ნიუ იორკ თაიმსი“ და სხვა დიდი ამერიკული გამოცემები თავიანთი პროპაგანდის წარმოებისას, **ეს არის ამორჩევა იმისა, რომელიც ფაქტები უნდა გამოქვეყნდეს. და რომელი — არა.** ეს სიტუაცია ნათლად ჩანს „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ინტერვიუს შესახებ, რომელშიც ნატოს გენმდივანი რუსეთს აკრიტიკებს უკრაინის მიმართ დამოკიდებულების გამო.

ნატოს გენერალური მდივანი რუსეთს „ორმაგი თამაშის“ წარმოებაში ადანაშაულებს, დასავლეთს ვლადიმერ პუტინის ყალბ სამშვიდობო ინიციატივებზე აფრთხილებს და ამბობს, რომ „რუსეთი თანმიმდევრულად ეწევა უკრაინის აღმოსავლეთში ვითარების დესტაბილიზაციას და მომავალშიც გეგმავს ასეთი მოქმედებების გაგრძელებას“.

**იმის გათვალისწინებით, რომ რასმუსენს თავისი განცხადებები მტკიცებულებებით არ გაუმაგრებია, ამ სტატიის ძირითადი საკითხი სწორედ რასმუსენისადმი ნდობა უნდა ყოფილიყო. ამის ნაცვლად კორესპონდენტები მარკ ლენდლერი და მაიკლ გორდონი შემოიფარგლნენ მხოლოდ დოზირებული ინფორმაციით რასმუსენის ბიოგრაფიის შესახებ, კერძოდ, აღნიშნეს, რომ ის ნატოს გენერალურ მდივნობამდე დანიის პრემიერმინისტრი იყო.**

**„ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში არაფერი იყო ნათქვამი იმ საკითხებზე, რომლებიც მკითხველს კითხვებს გაუჩენდა რასმუსენის პატიოსნებასთან დაკავშირებით. ლენდლერსა და გორდონს არ უხსენებიათ, რომ ეს ის ანდერს ფოგ რასმუსენია, რომელმაც მხარი დაუჭირა ჯორჯ ბუშის დანაშაულებრივ ინტერვენციას ერაყში.**

2003 წელს, ერაყში აშშ-ის შეჭრის წინ, რასმუსენმა მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ **“ერაყს აქვს მასობრივი განადგურების იარაღი. ჩვენ ვიცით ამის შესახებ. ერაყმა აღიარა, რომ მას აქვს იპრიტი — ნერვულ-მაპარალიზებელი გაზი, ციმბირის წყლულის სპორები, მაგრამ ჰუსეინმა ისინი გაეროს ინსპექტორებს არ აჩვენა. მან ჩვენ არ გვითხრა, სად არის ეს იარაღი და როგორ შეიძლება მისი განადგურება. ეს ჩვენ გაეროს ინსპექტორებმა გვაცნობეს და, ვფიქრობ, ერაყს უეჭველად აქვს მასობრივი განადგურების იარაღი**“.

რა თქმა უნდა, **რასმუსენის იმჟამინდელი განცხადების დიდი ნაწილი სიცრუეა, მაგრამ მან შეძლო დანიის პარლამენტის დარწმუნება და ეს ქვეყანა შეუერთდა კოალიციას, რომელიც ერაყში შეიჭრა. მოგვიანებით რასმუსენი ორპირობისა და ნატოსთან სათანამშრომლოდ მზადყოფნისათვის დააჯილდოვეს, დანიის დაზვერვის ერთ-ერთი თანამშრომელი ფრენკ გრევილი კი იმ დოკუმენტის გამომზეურებისთვის, რომელიც რასმუსენს სიცრუეში ამხელდა, 4 თვით დააპატიმრეს.**

**რასმუსენის ტყუილი ერაყის მიმართ და მისი როლი დანაშაულებრივ შეჭრაში ის ფაქტებია, რომლებიც, აუცილებლად უნდა წარედგინოს „ნიუ იორკ თაიმსის“ მკითხველებს და ისინი შეაფასებენ, იმსახურებს თუ არა ნდობას რასმუსენის სიტყვები უკრაინის შესახებ.**

ამის ნაცვლად კი ლენდლერი და გორდონი ცდილობენ, არაფერი თქვან ამ უსიამოვნო ისტორიაზე და დაიცვან ნატოს გენერალური მდივანი, რომელმაც განაცხადა, რომ უკრაინის კრიზისში დამნაშავე რუსეთია.



**«ნიუ იორკ თაიმსში» გამოქვეყნებულ სტატიაში არაფერი იყო ნათქვამი იმ საკითხებზე, რომლებიც მკითხველს კითხვებს გაუჩენდა რასმუსენის პატიოსნებასთან დაკავშირებით. ლენდლერსა და გორდონს არ უხსენებიათ, რომ ეს ის ანდერს ფოგ რასმუსენია, რომელმაც მხარი დაუჭირა ჯორჯ ბუშის დანაშაულებრივ ინტერვენციას ერაყში**

## ჟურნალისტების კარიერა

**მაიკლ გორდონი** დიდი ხანია, აშშ-სა და ნატოს პროპაგანდის მსახურია. 2002 წლის 8 სექტემბერს მან ჯუდიტ მილერთან ერთად დაწერა ცნობილი სტატია **ალუმინის მილების შესახებ, რომელსაც საფუძვლად ედო აშშ-ის დაზვერვისა და ერაყიდან გაქცეული მეცნიერების მონაცემები. ამ სტატიით მან ამერიკელები შეაშინა, რომ, თუკი ისინი მხარს არ დაუჭერენ ჯორჯ ბუშს ერაყში შეჭრის საკითხში, ატომურ აფეთქებებს თავიდან ვერ აიცილებდნენ. ეს სტატია ძალიან დაეხმარა ბუშის ადმინისტრაციას კამპანიაში, რომლის მიზანიც ერაყში ომის გასაჩაღებლად საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება იყო.**

**არადა, სტატია, რომელშიც არაფერი იყო ნათქვამი ატომური იარაღის არსებობის იდეის საწინააღმდეგოდ, თავიდან ბოლომდე სიცრუე აღმოჩნდა** — ალუმინის მილები სინამდვილეში არტილერიისთვის იყო განკუთვნილი. თუმცა **სტატია ძლიერი სტიმული იყო ერაყში ომის დასაწყებად, რომელმაც 4500 ამერიკელი ჯარისკაცისა და ასობით ათასი ერაყელის სიცოცხლე შეიწირა.**

გორდონი, აგრეთვე, მონაწილეობდა დაუდევრად დაწერილ „ვექტორულ ანალიზში“, რომელიც „ნიუ იორკ თაიმსში“ 2013 წლის 17 სექტემბერს გამოქვეყნდა და რომელმაც აშშ კინაღამ ჩაითრია ახლო აღმოსავლეთის კიდევ ერთ ომში, ამჯერად სირიაში, ამ სტატიაში აღწერილი იყო გზა ზარინიანი ორი რაკეტისა, რომლებიც 21 აგვისტოს დამასკოს გარეუბანში ჩამოცვივდა. ავტორები წერდნენ, რომ ეს რაკეტები შემთხვევის ადგილიდან 9,5 კმ-ით დაშორებული სირიის სამხედრო ბაზიდან იყო გაშვებული.

ისევე როგორც ალუმინის მილების ისტორიაში, „ნიუ იორკ თაიმსის“, „ვექტორულ ანალიზში“ გათვალისწინებული არ იყო საწინააღმდეგო მტკიცებულებები, სახელდობრ, ის, რომ რაკეტებს, რომლებიც სირიის სამხედრო ბაზიდან იყო გაშვებული, მხოლოდ 2 კილომეტრით დაშორებული ობიექტის დაზიანება შეეძლო და ის 9 კმ-ს ვერანაირად ვერ დაფარავდა.

**აპრილში გორდონი კიდევ ერთ ჟურნალისტურ ფიასკოში მონაწილეობდა. მან და კიდევ ორმა კორესპონდენტმა თავის წერილს დაურთეს ვითომ რუსეთში გადაღებული უხარისხო ფოტო, რომლებიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა წარმოადგინა იმის დასამტკიცებლად, რომ უკრაინაში რუსი სამხედროები იბრძვიან.**

**ორი დღის შემდეგ კი „ნიუ იორკ თაიმსი“ იძულებული შეიქნა, უარეყო თავისი წერილი, რადგან ფოტო, რომელზეც ვითომ რუსი სამხედროები იყვნენ აღბეჭდილი, სინამდვილეში უკრაინაში იყო გადაღებული, რის გამოც სტატიის აზრი მთლიანად შეიცვალა.**

**ლენდლერი** — „ნიუ იორკ თაიმსის“ კორესპონდენტი თეთრ სახლში — კიდევ ერთი პროპაგანდისტია, რომელიც უცხო ქვეყნებში მომხდარ კონფლიქტებს ისე წარმოაჩენს, როგორც ეს აშშ-სა და მის მოკავშირეებს აძლევს ხელს. მაგალითად, 2012 წლის 5 მარტს ტელეარხ NBC-ის ეთერში მან ასე გამოხატა თავისი თვალსაზრისი ირანისა და ისრაელის მიმართ: „ისრაელელები გრძნობენ, რომ ირანისთვის ატომური იარაღის დამზადების შესაძლებლობის წართმევის ფანჯარა იხურება და თუკი ისინი ამ ფანჯრის დახურვის ნებას დართავენ, აღმოაჩენენ, რომ ირანს უკვე აქვს ატომური იარაღი. გასათვალისწინებელია, რომ ეს ქვეყანა უკვე ემუქრებოდა ისრაელს ატომური იარაღის გამოყენებით. ისრაელი განუწყვეტლივ იმეორებს, რომ ეს საფრთხეს უქმნის მის არსებობას, რასაც ჩვენ აშშ-ში ყოველთვის ვერ ვგრძნობთ“.

**ლენდლერის ნათქვამით, რომ ირანი „უკვე ემუქრებოდა ისრაელს ატომური იარაღის გამოყენებით“, თმა ყალყზე დაგიდგებათ.** გასაგებია, რატომ თვლის ისრაელზე მუქარას „საფრთხედ, მისი არსებობისთვის“. მაგრამ **ლენდლერის განცხადება, უბრალოდ, სიცრუეა. ირანის ხელისუფლება გამუდმებით უარყოფს, რომ ატომური იარაღის შექმნაზე მუშაობს, ლაპარაკი აღარ არის მის გამოყენებაზე ისრაელის წინააღმდეგ.**

საერთოდ კი, ირანის მუქარა, თავისი წარმოსახვითი ატომური იარაღით „გაანადგუროს“ ისრაელი, უცნაური მუქარაა მსოფლიოს ისტორიაში. რას ვხედავთ: **ქვეყანა, რომელსაც არ აქვს ატომური იარაღი და მისი ლიდერი უარყოფს ატომური იარაღის შექმნის სურვილსაც კი, მისი გამოყენებით ემუქრება ქვეყანას, რომელსაც აქვს ატომური იარაღის არსენალი.**

ასე რომ, **გასკვირი არ არის, როცა „ნიუ იორკ თაიმსი“ თავის მკითხველს არ ძაბავს ნატოს მეთაურის ბიოგრაფიის დეტალებით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, „მთავარმა გაზეთმა“ უნდა ახსნას, რატომ ანდობს მნიშვნელოვანი სტატიების დაწერას ჟურნალისტებს, რომლებსაც აქვთ გამოცდილება, გაავრცელონ ინფორმაცია ისეთი მეთოდებით, რომლებითაც მათ საზოგადოება შეცდომაში შეჰყავთ.**

**რობერტ პერი**
**Consortiumnews.com**
**(აშშ)**

* **რობერტ პერი** განთქმულია ჟურნალისტური გამოძიებით ირანისა და ნიკარაგუას შესახებ, რომლებიც თავის დროზე „ასოშიეიტედ პრესსა“ და “ნიუსუიკში” დაიბეჭდა.

## ესტონელებმა სტივენ სიგალის კონცერტი გააუქმეს



**ესტონეთში ფესტივალ Augustibluus („აგვისტოს ბლუზი“) ორგანიზატორებმა სტივენ სიგალის დაგეგმილი გამოსვლა გააუქმეს. ამ გადაწყვეტილების მიზეზი მსახიობისა და მუსიკოსის პოლიტიკური თვალსაზრისი გახდა.**

„ვიმედოვნებთ, რომ ესტონელი საზოგადოება სიგალში, პირველ რიგში, მსახიობსა და მუსიკოსს დაინახავდა, მაგრამ როგორც გაირკვა, მასში ყველამ დაინახა მხოლოდ პოლიტიკოსი და პუტინის თანამზრახველი“, — განაცხადა ფესტივალის დირექტორმა რაულ უკარედამ, რომელმაც დასძინა, რომ „Augustibluus“ პოლიტიკისგან შორს მდგომი მუსიკალური მოვლენაა და არ სურს, ის რაღაც ნეგატიურს დაუკავშიროს“.

ამერიკელის კონცერტის წინააღმდეგ გამოვიდა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ურმას პაეტიც.

სტივენ სიგალი უკვე 50 წელიწადია, მუსიკით არის დაკავებული, თუმცა სახელი მძაფრსიუჟეტიან ფილმებში მონაწილეობით გაითქვა. ამჟამად ის თავის ჯგუფ **Seagal's Blues Band**-თან ერთად ტურნეს მართავს ევროპაში.

„Augustibluus“ — ეს არის ბლუზის ყოველწლიური ფესტივალი ესტონეთში. წელს ის 5-6 აგვისტოს ქალაქ ჰააპსალუში გაიმართება.

**ეს მოვლენა შევიდა კოსმონავტიკის ისტორიის ქრონიკათა ძირითად ჩამონათვალში. აღინიშნა, როგორც ახალი ეტაპის დასაწყისი ორბიტაზე მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების დიდი რეფლექტორების შესაქმნელად.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სამართლიანობის აღდგენა 15 წლის შემდეგ

**ზუსტად 15 წლის წინათ, ამ დღეს, ანუ 23 ივლისს ორბიტაზე გავიდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი — რეფლექტორული ანტენა. იყო წელი 1999. 16 ივლისს, 19 საათზე, 37 წუთსა და 33 წამზე კოსმოდრომ ბაიკონურიდან რაკეტა-მატარებელმა ორბიტაზე კოსმოსური ხომალდის „პროგრესს-42“-ის გასაყვანად აიღო სტარტი.**

**კოსმოსური ხომალდის საბარგულში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი დაკეცილი იდო.**

**18-ში ხომალდი შეუპირაპირდა ორბიტულ სადგურ „მირს“, რომელზეც იმყოფებოდა კოსმონავტების ინტერნაციონალური ეკიპაჟი.**

**23-28 ივლისს ორბიტული სადგურიდან ღია კოსმოსურ სივრცეში წარმატებით გაიშალა და გამოიცადა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – გასაშლელი რეფლექტორი მაქსიმალური გაბარიტით 6,42 მეტრი.**

**28-ში რეფლექტორი ჩამოსცილდა ორბიტულ სადგურს და დაიწყო მოძრაობა დედამიწის ირგვლივ დამოუკიდებელ ორბიტაზე. 23 ივლისი საქართველოში გამოცხადდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღედ. საქართველოსთვის ამ ისტორიულ მოვლენაზე, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ ქართველთა მიზანსწრაფვისა და გამარჯვების სიმბოლოდ აღიქვა, ყოფილმა ხელისუფლებამ თვალი დახუჭა — ვითომც არაფერი მომხდარა.**



ელგუჯა მეძმარიაშვილი

## გზა გენერალური კონსტრუქტორისა

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი იყო ელგუჯა მეძმარიაშვილი. იმ პერიოდისთვის მას ჩამოყალიბებული ჰქონდა ორი ორგანიზაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირები: საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი, რომელშიც გენერალური კონსტრუქტორის თანამდებობა ეკავა და საქართველოს შეირაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია, რომლის პრეზიდენტი თავად იყო.

მეძმარიაშვილმა ზუსტად გათვალა მოსალოდნელი საფრთხე, რომელიც ყოფილი ხელისუფლების მიერ მეცნიერების უგულებელყოფის პოლიტიკას შეიძლებოდა მოჰყოლოდა და გროსმაისტერული სვლით იავარქმნას გადაარჩინა ერთიცა და მეორეც: ოფიციალურად, მთავრობის დადგენილებით მოახსნევინა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და ორივე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალთას შეაფარა.

ასე გაჩნდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი.

მოკლედ, ასეთია ამ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის გენეალოგია.

დღეს ბატონი ელგუჯა მეძმარიაშვილი ამ ინსტიტუტში გენერალური კონსტრუქტორია.

აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ ის საქმენი, მხოლოდ რამდენიმე, მხოლოდ ამორჩევით, რომლებიც ელგუჯა მეძმარიაშვილს უკეთებია.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მან თავისი წვლილი შეიტანა ორი კოსმოსური სისტემის პროგრამების განხორციელებაში. მისი გვარი ჩაწერილია სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის 65 გენერალური კონსტრუქტორის სიაში, რომლებიც ამ დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან. ერთი სამუშაო უკრაინის აკადემიის პრეზიდენტთან — პატონთან ერთად კოროლიოვის სახელობის სამეცნიერო გაერთიანება „ენერგიაში“ განახორციელა. მეორე ორბიტულ სადგურ „მირის“ რესურსის გაგრძელებასთან იყო დაკავშირებული.

ამჟამად ბატონი ელგუჯა ორი მიმართულებით მუშაობს: პირველი სამხედრო-საიერიშო ხიდების კონსტრუქციების თემატიკაა.

მეორე — საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის ძირითადი პრიორიტეტებია.

## იქ, მეცხრე ცაზე, ზემოთ

— კოსმოსში გასვლის პირველმა დღემ კურიოზის გარეშე ვერ ჩაიარა: კოსმონავტს შეეშალა და 27-ვოლტიანი ბუდის ნაცვლად 7-ვოლტიან დენის წყაროში ჩართო ჩვენი რეფლექტორი, მაგრამ ობიექტი სამმაგი დუბლირებით იყო უზრუნველყოფილი და მალევე ყველაფერი გასწორდა — 28 ივლისს ყველამ დაინახა (რადგან პირდაპირ გადაიცემოდა ტელეეთერში), რომ რეფლექტორი გაიშალა. ეს მოვლენა შევიდა კოსმონავტიკის ისტორიის ქრონიკათა ძირითად ჩამონათვალში (აღწერილია მრავალი ქვეყნის კოსმონავტიკის ენციკლოპედიებში), ასევე, აღინიშნა, როგორც ახალი ეტაპის დასაწყისი ორბიტაზე მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების დიდი რეფლექტორების შესაქმნელად.

**— ეს — საერთაშორისო მასშტაბით. საქართველოსთვის თუ ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა?**

— საქართველოსთვის მართლაც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ცნობილია, რომ ზოგიერთი დიდი სახელმწიფოც კი მხოლოდ ვიმპელებს ატანდა კოსმონავტებს და ამით აფიქსირებდა თავის ხელქმნილ ყოფნას კოსმოსში. ამას ზეიმობდნენ.

ქართველებმა შევძელით, ორბიტაზე გაგვეტანა მაღალტექნოლოგიური, უნიკალური პროდუქცია, რომელმაც სრულად გაამართლა, რაც მსოფლიომ აღიარა.

ამის შემდეგ იყო კოსმოსური სისტემების შექმნის სამუშაოები „დაიმლერ-ბენც აიროსპეისთან“, იტალიურ კომპანია „ალენია სპაციოსთან“; ევროპული ტენდერი, რომელიც მოვიგეთ, მაგრამ ზოგიერთმა ქვეყანამ შეცვალა რეფლექტორის ფიგურა და კომპოზიცია, რითაც თითქოს გააიაფა თავისი კონსტრუქცია. მაშინ იძულებული გავხდით, გამოვსულიყავით ტენდერიდან, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ აღნიშნული ცვლილებები არ გაამართლებდა. ასეც აგიხდათ ყველაფერი კარგი — ის რეფლექტორები არ გაიშალა.

ევროპულმა სააგენტომ გვთხოვა, რომ გაგვეგრძელებინა მუშაობა ამ საკითხებზე. სააგენტოს ეგიდით თბილისში გაიმართა პირველი კონფერენცია, მეორე წლეულს ჩატარდება; დამზადდა სამი კონსტრუქცია აღნიშნულ სააგენტოსა და მიუნჰენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

## ახლოდან დანახული რეფლექტორი

**ბატონი ელგუჯა პოპულარულად, პროფესიული დეტალებისა და ტერმინოლოგიის გვერდის ავლით მიხსნის, რომ მის მიერ შექმნილი კოსმოსური ანტენა ნემსივით ზუსტადაა მიმართული იმ ობიექტისაკენ, რომელიც მოცემულ მომენტში ჩვენი ინტერესის საგანი შეიძლება იყოს.**

**— რაღაც წერტილოვანი დაბომბვის მსგავსი?**

— ***(ეღიმება)*** შეიძლება ასეც ითქვას. სწორედ ეს არის ჩვენი რეფლექტორის ერთ-ერთი პრიორიტეტი.

— კოსმოსური ანტენები, — **გრძელდება შემეცნებით-განმარტებითი საუბარი,** — ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია, რომელიც ემსახურება სამხედრო-სტრატეგიული ამოცანების შეუცდომლად გადაწყვეტის საქმეს. მათი მეშვეობით ხდება, მაგალითად, ბალისტიური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენისა და შეტყობინების სისტემების სამხედრო ტექნიკის მართვა, წყალქვეშა ნავების კოორდინატების განსაზღვრა; ასევე — დაკვირვება პლანეტებზე, ვარსკვლავებზე, კოსმოსურ სივრცეებზე; დედამიწის ფლორისა და ფაუნის შესწავლა, ინტერნეტის, სატელევიზიო, რადიოსიგნალების გადაცემა და უამრავი სხვა რამ, რაც დღეს ასე აუცილებელია კაცობრიობისთვის.

2009 წელს ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ სამეცნიერო კონფერენცია თბილისში ჩაატარა 27 ქვეყნის მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტების მონაწილეობით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხელმძღვანელ ორგანოში დავარიგეთ მოსაწვევი ბარათები და მოსვლა ვთხოვეთ ამ სახელმწიფო სტრუქტურების თავკაცებს, სამი დღის განმავლობაში ვერც ერთმა მათგანმა დასასწრებლად „დრო ვერ გამონახა“. არც პრესის, არც ტელეარხების ჟურნალისტები არ მოსულან.

**გაჰკვირვებიათ მაშინ დიდად ევროპელ მეცნიერებს ასეთი დამოკიდებულება იმ მნიშვნელოვანი საქმიანობისადმი, რომელსაც ქართველი მეცნიერები კოსმოსის ათვისების დარგში ეწეოდნენ.**

— ამგვარი უყურადღებობის შემდეგ, — **განაგრძობს ელგუჯა მეძმარიაშვილი,** — არავითარი პრეტენზია არ გვაქვს პოპულარობაზე. ასეთია გენერალური კონსტრუქტორების ბედი.

## დღევანდელი აქცენტები

**წერს წიგნებს. სულ რამდენიმე თვეში დასრულდება შვიდწლიანი შრომა და გამოვა პირველი ქართული სამხედრო ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი, რომლის სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი თავად არის. გაისად ამერიკაში გამოიცემა მისი წიგნი „ტრანსფორმირებადი გასაშლელი სისტემები დედამიწაზე და კოსმოსში“ (ინგლისურ ენაზე).**

**გერმანიაში გამოცემული აქვს წიგნი სამხედრო ხელოვნებაში — არაპირდაპირი სტრატეგიის ანალიზი, რომლის ციტირებაც მოკლე დროში მოხდა, ასევე, ორი მონოგრაფია – მათ შორის, საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები და ა. შ. მეხუთე წელია, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემოღებულია ახალი დისციპლინა — ტრანსფორმირებადი სისტემები (კურსს ელგუჯა მეძმარიაშვილი უძღვება); მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით პირველად სწორედ ტექნიკურ უნივერსიტეტში ორიოდ კვირის წინ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია გენშტაბის დღევანდელმა უფროსმა გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ.**

— კიდევ ერთ წიგნსა ვწერ. ესაა ჩემი ჩანაწერები იმ ფაქტებისა და მოვლენების შესახებ, რომელთა მოწმე და მონაწილეც ვყოფილვარ.

**არადა, ბევრი რამ ისეთი უნახავს, რის შესახებაც ფართო საზოგადოებრიობას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს.**

**— დრო შეიცვალა, ხელისუფლების დამოკიდებულება თქვენი მეცნიერებისადმი დღეს როგორია?**

— ინსტიტუტის თემატიკა შეისწავლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. დაისახა კონკრეტული სამუშაოები და მათი შესრულების გზები.

თავდაცვის სამინისტროსთან ურთიერთობა ორმხრივი მიმართულებისაა. ინტენსიურად მიმდინარეობს სამუშაოები, რომლებშიც ჩართული არიან მეცნიერებათა აკადემია, ტექნიკური უნივერსიტეტი, თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი.

**— მივადექით ფინალს და ახლა მაინც ვუთხრათ მკითხველებს, რა წოდებები გაქვთ მონიჭებული?**

— სამხედრო წოდებით გენერალ მაიორი ვარ. სამეცნიერო წოდებები ასეთია: ვარ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიისა და გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, მონიჭებული მაქვს 15 სახელმწიფო და საუწყებო ჯილდო, მათ შორის, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი.

**არმაზ სანებლიძე**



რეფლექტორი — პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი ორბიტაზე

**P.S. ჩვენს დღევანდელ საზოგადოებას, უპირველეს ყოვლისა, სამართლიანობის აღდგენა აწუხებს, უმეტესად, სამართლებრივ სივრცეში — წართმეული ქონების დაბრუნება იქნება ეს თუ უსამართლო განაჩენების გაუქმება.**

**მაგრამ სამართლიანობა მეცნიერების სფეროშიც რომ უნდა აღდგეს, უეჭველია.**

**ჩვენი დღევანდელი პუბლიკაცია, მგონი, ადასტურებს, რომ ამის გაკეთება გადაუდებლად აუცილებელია.**

**თქვენ კი, ბატონო ელგუჯა, გილოცავთ იუბილეს!**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისრაელი და ჰამასი ომის მხარეს იხრებიან მას შემდეგ, რაც ობამამ უკვე მეორედ სცადა უშედეგოდ მხარეთა შორის მშვიდობიან შეთანხმებაზე მოლაპარაკება.**

# ობამა და ოპონენტები

**ობამას მეორე საპრეზიდენტო ვადისას საკადრო უზრუნველყოფა თავიდანვე სარისკო იყო. მან უარი განაცხადა მოწინააღმდეგეთა გუნდზე, რომელიც პრეზიდენტობის პირველი ვადისას ჰყავდა და უპირატესობა მიანიჭა მის მიმართ ერთგულებით გამორჩეული ადამიანების კარგად შეკრულ გუნდს. ფსონი იმაზე გაკეთდა, რომ პრეზიდენტი თანამდებობაზე უფრო თავდაჯერებულად იგრძნობდა თავს, რადგან არ ექნებოდა შიდა პრობლემები და გამოწვევები, დანაკარგებს კი მტკიცე ერთსულოვნება დააკომპენსირებდა.**



მაგრამ ფსონი წამგებიანი აღმოჩნდა. როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკაში ადმინისტრაცია თავგზააბნეული და ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. ობამას კი შეუძლია პოზიციები გაიმყაროს ხელმოცარული ხელმძღვანელის რანგში და ამ შთაბეჭდილების შეცვლა უკვე ძალიან რთული იქნება.

ადმინისტრაცია გააოცა ყირიმის მოვლენებმა, მისთვის მოულოდნელი იყო ერაყის კრახი და „ალ ქაიდას“ სახელმწიფოს გაჩენა. როგორც რამდენიმე დღის წინათ ობამას იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, ახლა რეგიონი „დაუნდობელი ექსტრემიზმის აკვნად“ იქცა. პრეზიდენტმა კი არ იცის, რა რეაგირება უნდა მოახდინოს ამ ყველაფერზე.

მთელ მსოფლიოში მიმოფანტული მეგობრებიც და მტრებიც სულ უფრო ხშირად ამჟღავნებენ აშშ-ის მიმართ უპატივცემულობას და ამ დროს თავს სავსებით კომფორტულად გრძნობენ.

ეგვიპტეში სასამართლომ ჟურნალისტებს ციხეში პატიმრობა მიუსაჯა რამდენიმე საათის შემდეგ, რაც სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ კაირო დატოვა. არადა, ამ უკანასკნელმა ეგვიპტიდან გაფრენამდე გამოხატა რწმენა იმისა, რომ ქვეყნის ხელისუფლება დემოკრატიის მომხრეა.

ამერიკის მოკავშირე ბაჰრეინმა, სადაც განთავსებულია აშშ-ის მეხუთე ფლოტი, ქვეყნიდან გააძევა სახელმწიფო მდივნის თანაშემწე.

ფილიპინებზე ვიზიტისას ობამამ სამხრეთ ჩინეთის ზღვაში კანონის უზენაესობას დაუჭირა მხარი, მისი გამგზავრებიდან რამდენიმე დღეში კი ჩინეთმა მძლავრი საბურღი პლატფორმა გადაიტანა წყლებში, რომლებზეც ვიეტნამი საკუთარ უფლებებს აცხადებს.

2008 წელს ბერლინში ვიზიტისას ობამამ პირობა დადო, რომ კონტინენტებს შორის იმ ხიდებს აღადგენდა, რომლებმაც ბუშის ეპოქაში „გვერდებზე გაიწია“. მაგრამ ახლა გერმანელები გაბრაზებულნი არიან ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რადგან ამერიკა მათ უთვალთვალებდა.

ბირმამ, რომელსაც ახლახან ობამამ საგარეოპოლიტიკური წარმატება უწოდა, სულ რამდენიმე დღის წინათ ოთხ ჟურნალისტს 10 წლით კატორღაში მუშაობა მიუსაჯა და ეს ერთ-ერთი ნიშანია იმისა, რომელიც ადასტურებს, რომ რეფორმები იქ ან დამუხრუჭდა, ან საერთოდაც შეჩერდა.

ჩინეთმა ქვეყანაში შესვლა აუკრძალა ერთ ამერიკელ მეცნიერს და დისიდენტების ჯგუფი დააკავა ზუსტად ამერიკულ-ჩინური სტრატეგიული და სამხედრო დიალოგის დაწყების წინა დღეს.

**ისრაელი და ჰამასი ომის მხარეს იხრებიან მას შემდეგ, რაც ობამამ უკვე მეორედ სცადა უშედეგოდ მხარეთა შორის მშვიდობიან შეთანხმებაზე მოლაპარაკება.**

ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენების გამო ადმინისტრაცია ზუსტად ანალოგიურად აღმოჩნდა გაუგებრობაში, როდესაც ცენტრალური ამერიკის ათასობით ბავშვი სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს მიაწყდა. ადმინისტრაცია ძალზე არაერთგვაროვან სიგნალებს აგზავნის იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა განზრახული, ცვლილებები შეიტანოს თავშესაფრის მინიჭების შესახებ კანონში.

საკადრო პოლიტიკის ყველაზე ელემენტარულ ჩავარდნად იქცა ის, რომ პრეზიდენტმა, ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე, ტეხასში ვიზიტისას თავდაცვის პოზიცია დაიკავა და საზღვრის მონახულებაზე უარი განაცხადა.

ამავე დროს თეთრი სახლიდან წამოსული სიგნალები და გზავნილები ყოველდღიურად იცვლება. ახლა ძალზე იშვიათად ახსენებენ მზარდ ეკონომიკურ უთანასწორობას, რომელიც, როგორც ობამამ გასული წლის დეკემბერში ბრძანა, ამერიკელების, როგორც ნაციისთვის, ნამდვილი გამოწვევა იყო.

როგორც ჩანს, თეთრ სახლს არ გააჩნია იმ მიზნების მიღწევის სტრატეგია, რომელთაც თავადვე უწოდა ფუძემდებლური: საიმიგრაციო რეფორმა, სავაჭრო შეთანხმებები აზიასა და ევროპასთან, კაპიტალდაბანდება განათლებასა და ინფრასტრუქტურაში.

**ცხადია, ყველა ეს იმედგაცრუება და წარუმატებლობა სუსტი საკადრო პოლიტიკის შედეგი არ არის. ობამა ხომ ერთადერთი პრეზიდენტი არაა, რომელმაც დამარცხება იგემა ახლო აღმოსავლეთში ისრაელისა და პალესტინის შეურიგებლობის გამო. თვით ყველაზე მძლავრი და ენერგიული ადმინისტრაციაც კი, შესაძლოა, ვერ გამკლავებოდა ჯონ ბეინერს (აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი) და ვლადიმერ პუტინს.**

**პრეზიდენტს სჭირდება ადამიანები, რომლებიც საკამათოს გახდიან მის აზრებს, საჭიროების შემთხვევაში კი აცნობებენ ახალ ამბებს, რომელთა მოსმენაც ნამდვილად არ გაახარებს...**

მაგრამ ობამამ პასუხი უნდა გასცეს კითხვას: რთულ გარემოებებში, რომელთა გაკონტროლებას ვერ ახერხებს, აკეთებს კი მისი გუნდი ყველაფერს, რაც შესაძლებელია?

მან პრეზიდენტის თანამდებობაზე მეორე ვადის ლამის ნახევარი უკვე გაატარა. ზოგიერთი რამ და, პირველ რიგში, ეკონომიკა იმედის მომცემად გამოიყურება, მაგრამ ჯერჯერობით ქვეყნისთვის ძალიან ნაადრევი და სახიფათოა მიღწეულზე შეჩერება და ამჟამინდელი მდგომარეობით დაკმაყოფილება.

პირველი ვადით პრეზიდენტობისას ობამამ ირგვლივ შემოიკრიბა დამოუკიდებელი და საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანები, რომლებიც მასაც ეკამათებოდნენ და ერთმანეთსაც.

**ობამამ პასუხი უნდა გასცეს კითხვას: რთულ გარემოებებში, რომელთა გაკონტროლებას ვერ ახერხებს, აკეთებს კი მისი გუნდი ყველაფერს, რაც შესაძლებელია?**



მისი მთავარი ოპონენტი იყო ჰილარი კლინტონი სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე.

ობამას წინამორბედის თავდაცვის მინისტრმა ბობ გეიტსმა თანამდებობა შეინარჩუნა და პენტაგონში დარჩა.

შთამბეჭდავი რიჩარდ ჰოლბრუკი კოორდინირებას უწევდა ავღანურ-პაკისტანურ პოლიტიკას.

ყოფილი ოთხვარსკვლავიანი გენერალი ჯეიმს ჯონსი ნაციონალური უსაფრთხოების საკითხების მრჩეველი იყო.

ლეონ პანეტა და დევიდ პეტრეუსი ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში მუშაობდნენ.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელ რამ ემანუელს მხარდაჭერის საკუთარი ბაზა და წარმომადგენელთა პალატაში მუშაობის გამოცდილება ჰქონდა.

ფინანსთა მინისტრ ტიმ გაიტნერს საკუთარი ბაზა და მუშაობის გამოცდილება ჰქონდა ნიუ იორკის ფედერალურ სარეზერვო ბანკში.

ვიღაც უკეთ მუშაობდა, ვიღაც — უარესად, მაგრამ ყველა ეს ადამიანი ერთად თეთრ სახლს აძლევდა გარანტიას, რომ მორჩილად არ დააქნევდნენ თავს პრეზიდენტის ნებისმიერ თვალსაზრისზე.

ახლა ამ თანამდებობათა უმეტესობაზე მუშაობენ არანაკლებ შრომისმოყვარე და ღირსეული ადამიანები. მაგრამ მათთვის პრეზიდენტისადმი ერთგულება, შესაძლოა, პირველ ადგილზეა და იმიტომაც აირჩიეს დაკავებული თანამდებობებისთვის, რომ ყველაფერს მისი თვალით უყურებენ.

**შეძლებს კი თავდაცვის მინისტრი ჩაკ ჰეიგლი, რომელიც ობამასთან ჯერ კიდევ სენატიდან მეგობრობდა, ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დენის მაკდონოუ, რომელიც იმავე პერიოდიდან იყო მისი თანაშემწე, გააპროტესტოს პრეზიდენტის თვალსაზრისი ან მიანიშნოს მას ღრმა ცვლილებების აუცილებლობაზე, როგორც ამას გეიტსი და ემანუელი აკეთებდნენ?**

ობამას მეორე ვადის კრიტიკოსები ზვიგენებივით დასტრიალებენ თავს მას და სავსებით ბუნებრივია, რომ პრეზიდენტი ირგვლივ მომხრეებსა და მოკავშირეებს იკრებს. მაგრამ **პრეზიდენტს სჭირდება ადამიანები, რომლებიც საკამათოს გახდიან მის აზრებს, საჭიროების შემთხვევაში კი აცნობებენ ახალ ამბებს, რომელთა მოსმენაც ნამდვილად არ გაახარებს...**

The Washington Post

მოკლედ



## დამნაშავეთა ერი — 68 მლნ ამერიკელი ნასამართლევია

**აშშ-ის ადვოკატების ნაციონალური ასოციაციის განცხადების თანახმად, „ამერიკას აქვს საფუძველი იმისა, რომ დამნაშავეთა ერი გახდეს“. ამ მომენტისათვის აშშ-ში 68 მილიონ ადამიანს აქვს ნასამართლეობა სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით და ეს საფრანგეთის მოსახლეობის რაოდენობას აღემატება.** აშშ-ის ადვოკატთა ნაციონალური ასოციაციის მონაცემებით, 1995 წელთან შედარებით სასჯელმისჯილთა რაოდენობა 35%-ით გაიზარდა. 68 მილიონი ადამიანი — ეს ყოველი მეოთხე ზრდასრული ამერიკელია. მათგან 20 მილიონს პატიმრობა მოხდილი აქვს. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად 2,2 მლნ ამერიკელი იხდის სასჯელს საპყრობილეში — ეს პატიმართა ყველაზე დიდი რაოდენობაა მსოფლიოში.



**ამერიკულ-ქურთული პარტნიორობა რეგიონში, შესაძლოა, მდგომარეობის სერიოზული დესტაბილიზაციის მიზეზად იქცეს. მაგალითად, ირანში ხედავენ, რომ უკანასკნელ წლებში ქურთული საკითხი მსოფლიო ზესახელმწიფოების გეოპოლიტიკურ ინტერესებში მოექცა და შესაძლოა, თეირანის წინააღმდეგ იქნას მიმართული.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერაყის დანაწევრება ამერიკულად

**მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე „დიდი ახლო აღმოსავლეთის“ თარგის მოხაზვა ერაყიდან დაიწყო. ჯერ კიდევ 2003 წელს ამ ქვეყანაში შეჭრამდე ვაშინგტონი ერაყის სამად გაყოფას გეგმავდა — სუნიტური სახელმწიფო, შიიტური სახელმწიფო და ქურთული სახელმწიფო. ერაყში სირიის ტერიტორიიდან შეჭრილი ბოევიკების მიერ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილის მიტაცება ამ გეგმის ნაწილია.**



სიტყვიერად თეთრი სახლი ქურთებს მოუწოდებს, ბაღდადთან კავშირი არ გაწყვიტონ, ალ-მალიკის შიიტურ ხელისუფლებას სამხედრო დახმარებას ჰპირდება, საუბრობს ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში თეირანთან შესაძლო კავშირზე, მაგრამ პრაქტიკაში ერაყის დანაწევრებისთვის აუცილებელი ქაოსის პოლიტიკის მიმდევრად რჩება...

**შიიტებსა და სუნიტებს შორის მტრობა სულ უფრო მეტად გადადის უკონტროლო ძალადობის სტადიაში, ამ ორი რელიგიური მიმდინარეობის დაპირისპირება პრაქტიკულად გამორიცხავს თავად ერაყელების ძალებით კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესაძლებლობას.**

ერაყის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება ობამას ადმინისტრაციის პრიორიტეტებს არ განეკუთვნება. აშშ-ის პრეზიდენტი ქვეყანაში მხოლოდ 300 სპეციალისტის გაგზავნას დასთანხმდა, ესეც იმისთვის, რომ აშშ-ის ობიექტები დაიცვან. **ბაღდადი ვაშინგტონს დათანხმდა, რომ მის ტერიტორიაზე მყოფი ამერიკელი სამხედროები არ დაექვემდებარონ ირანულ სასამართლოს.**

ასეთია ამერიკის წვლილი ერაყში მდგომარეობის სტაბილიზირების საქმეში და ეს მაშინ, როდესაც უკვე მეოთხე კვირაა, პრემიერი ალ-მალიკი სამხედრო დახმარებას ითხოვს. ეშისის ბოევიკები ერაყის სუნიტურ ჩრდილო-დასავლეთ ოლქებში ქალაქებს ერთიმეორის მიყოლებით იპყრობენ. მსხვერპლთა რაოდენობა ასობითაა, მიმდინარეობს სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი.

გარკვევით იკითხება ვაშინგტონის დაინტერესება იმით, რომ ქურთები საომარ კონფლიქტში ჩაითრიონ, სამივე მხარე დასუსტდეს და არც ერთ მათგანს არ ჰქონდეს სრული გამარჯვების შანსი. პრეზიდენტმა ობამამ შვებით ამოისუნთქა, როდესაც ერაყიდან ლამის მთელი ამერიკული კონტინგენტი გაიყვანა და ახლა ამას ისე წარმოადგენს, როგორც თავის უდიდეს მიღწევას. მაგრამ ბაღდადს თეირანის მხარეს გადასვლასთან შეგუება სულაც არ სურს. ახლა ამერიკა რევანშისთვის ემზადება.

დღეისთვის ეშისის ერაყში შეჭრის მთავარი შედეგი არის ირანიდან სირიაში მიმავალი პირდაპირი კორიდორის ბლოკირება. შემთხვევითი არ არის, რომ აშშ-ის მხრიდან ბოევიკებისადმი დახმარება ხორციელდებოდა სირიის ოპოზიციის მხარდაჭერის დეპარტამენტის ხელშეწყობით. ეშისი აშშ-ის პირმშოა. მხოლოდ ვიღაც გულუბრყვილომ შეიძლება იფიქროს, რომ აშშ არ აკონტროლებს „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ქმედებებს.

**ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჰოსეინ ამირ აბდოლახიანი მიანიშნებს იმაზე, რომ ფინანსური დახმარება, რომელსაც აშშ სირიულ ოპოზიციას უგზავნის, ერაყში ექსტრემისტების ხელში ხვდება.** მისი თქმით, ეშისი სირიაში ამერიკის დახმარებით გაჩნდა და ერაყში იმავე როლს ასრულებს, რასაც მანამდე სირიაში ასრულებდა.

25 ივნისს ობამამ კონგრესში 2015 წლის „უცხოეთში დიპლომატიური და სამხედრო ოპერაციების“ ბიუჯეტი წარადგინა. 65,8 მილიარდი დოლარიდან 5 მილიარდი ანტიტერორისტული პარტნიორობის ფონდის შექმნას მოხმარდება. ამ ფონდის შესახებ პრეზიდენტმა 28 მაისს ვესტ-პოინტში ისაუბრა. თეთრი სახლის მიერ გამოქვეყნებული კომუნიკეს თანახმად, 4 მილიარდ დოლარს პენტაგონი განკარგავს, ხუთს კი — სახელმწიფო დეპარტამენტი. სამი მილიარდი დოლარი მოხმარდება ადგილობრივი დანიშნულების ანტიტერორისტული ძალების შექმნას, რადიკალიზმთან ბრძოლას, ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლას და დემოკრატიის პროპაგანდას.

**მილიარდ-ნახევარი დოლარი განკუთვნილია იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სირიის კონფლიქტის მეზობელ ქვეყნებზე გავრცელება. ივარაუდება უშიშროების იმ სამსახურების შექმნა, რომლებიც გააკონტროლებენ საზღვრებს და დაეხმარებიან დევნილებს, ასევე განახორციელებენ იმ ზონების სტაბილიზებას, რომლებიც ოპოზიციის კონტროლს ექვემდებარება.** სტაბილიზაციაში ამ შემთხვევაში იგულისხმება ახალი სახელმწიფოების შექმნა: ერთი უნდა შეიქმნას ისრაელ-სირიის საზღვარზე, მეორე კი — ერაყის ჩრდილოეთით, სირიასთან, თურქეთთან და ირანთან მოსაზღვრე პერიმეტრზე.

**შიიტებსა და სუნიტებს შორის მტრობა სულ უფრო მეტად გადადის უკონტროლო ძალადობის სტადიაში, ამ ორი რელიგიური მიმდინარეობის დაპირისპირება პრაქტიკულად გამორიცხავს თავად ერაყელების ძალებით კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესაძლებლობას**

**ერაყელმა ქურთებმა უკვე მთელი სერიოზულობით განაცხადეს ერაყიდან გასვლასთან დაკავშირებული საკუთარი გეგმების შესახებ**. მასრურ ბარზანიმ, ერაყული ქურთისტანის დაზვერვისა და უსაფრთხოების მეთაურმა, აღნიშნა, რომ ქურთები უკვე ახლოს არიან ოცნების ასრულებასთან და ამჟამად ამ ბრძოლის ისტორიულ ფაზაში იმყოფებიან.

მართლაც, დამოუკიდებლობის რეფერენდუმის მოსამზადებლად ქურთისტანის პრეზიდენტის მხრიდან ქურთული პარლამენტისადმი მიმართვის შემდეგ ძალზე რთული წარმოსადგენია, რომ ერაყის ქურთისტანი არ ისარგებლებს ეშისის აგრესიით რაღაც სახის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მასუდ ბარზანი არ მალავს, რომ ახლა **„ერაყი გახლეჩის სტადიაშია და ქურთმა ხალხმა შექმნილი მდგომარეობა უნდა გამოიყენოს საკუთარი მომავლის ასარჩევად“.**

**ამერიკულ-ქურთული პარტნიორობა რეგიონში, შესაძლოა, მდგომარეობის სერიოზული დესტაბილიზაციის მიზეზად იქცეს. მაგალითად, ირანში ხედავენ, რომ უკანასკნელ წლებში ქურთული საკითხი მსოფლიო ზესახელმწიფოების გეოპოლიტიკურ ინტერესებში მოექცა და შესაძლოა, თეირანის წინააღმდეგ იქნას მიმართული.**

ამერიკელი პოლიტიკოსები მუდამ ცდილობდნენ ერაყის საზოგადოების ეთნიკური და რელიგიური წინააღმდეგობების, მათ შორის ქურთების, საკითხის გადაუჭრელობის, ირანზე ზეწოლისთვის გამოსაყენებლად. ჯერჯერობით ქურთების საკითხი ირანში კონსერვირებულ მდგომარეობაშია. საგარეო ძალების მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი ირანის ქურთული ოპოზიცია ხელსაყრელ მომენტს ელის. მეზობელი ერაყის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს ჩამოყალიბება უდავოდ მნიშვნელოვან იმპულსს მისცემს ირანელ ქურთებს, იბრძოლონ ავტონომიის მოსაპოვებლად.

ის შესაძლო რეპრესიები, რომელთაც ირანის სახელმწიფო ამ პირობებში, სავარაუდოდ გამოიყენებს ქურთების წინააღმდეგ, ამერიკელი სპეცსამსახურების მიერ გამოყენებულ იქნება იმის შესაბამისად, რომ ისინი კვლავაც ირან-ქურთული კონფლიქტის ესკალაციაზე აკეთებენ ფსონს. მიუხედავად იმისა, რომ ირანელი ქურთების უდიდესმა ნაწილმა უარი განაცხადა ბრძოლის რადიკალურ ზომებზე, მათ ეს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ და, უცხოეთიდან გარკვეული მხარდაჭერის მიღების შემთხვევაში, ადვილად განაახლებენ ირანში ანტისახელისუფლო მოღვაწეობას.

ირანული ქურთისტანის საშუალებით ამერიკელებს შეუძლიათ სცადონ ირანში სხვადასხვა სახის ნაციონალური მოძრაობის გაერთიანება. პენტაგონის ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში არსებული რეჟიმის პოზიციების რეალურად და მნიშვნელოვანწილად შესუსტება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდება აზერბაიჯანელებისა და ქურთების ერთდროული სეპარატისტული გამოსვლების პროვოცირება.

თუ ირანში მცხოვრებ აზერბაიჯანელებსა და ქურთებს ფინანსურ დახმარებას გაუწევენ, მღელვარება შეიძლება გავრცელდეს ბელუჯების კომპაქტური დასახლების რაიონებზეც. ბელუჯები, ისევე, როგორც ქურთები, შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებენ ისლამური რეჟიმის წინააღმდეგ.

გეგმის განხორციელებაში მის შემოქმედებს ხელს შეუწყობს ისიც, რომ აღნიშნული ნაციონალური უმცირესობები კონცენტრირებულად არიან დასახლებულნი ქვეყნის პერიფერიებში, მეზობელ სახელმწიფოებთან საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე. ქურთების დასახლებები ძირითადად ერაყსა და თურქეთთან მოსაზღვრე რაიონებია, ბელუჯებისა კი — ავღანეთსა და პაკისტანთან მოსაზღვრე რაიონები. ამ შემთხვევაში აუცილებლად ამუშავდება რელიგიური ფაქტორიც, რადგან ბელიჯები და ქურთების უმეტესობა სუნიტები არიან.

ერაყში ვაშინგტონისა და თეირანის შესაძლო პარტნიორობის თაობაზე ხშირად ისმის ხმები, ასევე ხშირად საუბრობენ იმაზეც, რომ აშშ-სა და ირანს შორის არსებობს გაუხმაურებელი შეთანხმება და ის ერაყის გახლეჩას გულისხმობს. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ვარაუდი საღ აზრსაა მოკლებული. ირანმა, ვაშინგტონის წინააღმდეგობის მიუხედავად, ერაყში იარაღი და მრჩეველები გაგზავნა, მაგრამ არ გაუგზავნია ჯარი. **საქმე ისაა, რომ ირანი მზადაა შიიტების დასახმარებლად, მაგრამ არა ქურთების.**

თეირანში შიშობენ, რომ პერსპექტივაში ირანის საზღვრებს მიღმა, მის უშუალო სამეზობლოში ხელისუფლებაში, შესაძლოა, სუნიტი უმცირესობები დაბრუნდნენ. წარსულში ხომ ეს ქვეყანა რვა წლის განმავლობაში ებრძოდა სადამ ჰუსეინის ერაყს და ირანელებს სულაც არ სურთ მსგავსი მოვლენების კიდევ ერთხელ გამეორება.

ირანის ხელისუფლებას ერაყული ქურთისტანის დესტაბილიზაციაც არ ეპიტნავებათ, რადგან არანაირი სურვილი არ აქვთ, საკუთარი თავი „არშემდგარი სახელმწიფოების გარემოცვაში“ იხილონ...

fondsk.ru

მოკლედ

## კალიფორნია 6 ნაწილად დაიყოფა?

ამერიკელმა მილიარდერმა ტიმ დრეიპერმა წამოაყენა წინადადება კალიფორნიის შტატის 6 ნაწილად დაყოფის შესახებ. ამ გეგმის განსახორციელებლად მილიარდერმა უკვე შეაგროვა ხელმოწერების იმდენი რაოდენობა, რამდენიც საჭიროა საკითხის გასატანად რეფერენდუმზე, რომელიც შესაძლოა, 2016 წლის ნოემბერში გაიმართოს.

ბიზნესმენისა და კალიფორნიის დაყოფის სხვა მომხრეთა აზრით, 6-ად გაყოფა უზარმაზარი შტატისა, სადაც 38 მლნ ადამიანი ცხოვრობს, გამოიწვევს 6 ახალი საკანონმდებლო ორგანოსა და მთავრობის შექმნას, რომლებიც წარმატებით მოაგვარებენ ადგილებზე წარმოქმნილ პრობლემებს.

**გეგმის მიხედვით, უნდა შეიქმნას შემდეგი შტატები: ჯეფერსონი, ჩრდილოეთი კალიფორნია, კაჟის ველი, ცენტრალური კალიფორნია, დასავლეთი კალიფორნია და სამხრეთი კალიფორნია.**

**Field Poll-ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ამ იდეას ჯერჯერობით კალიფორნიელთა 41 პროცენტი უჭერს მხარს.**



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მწვავე პოლიტიკურ კრიზისზე უმცირესი მინიშნების შემთხვევაშიც კი ვაშინგტონისთვის ძალიან ძნელი იქნება რეგიონში საკუთარ დემოკრატიულ მიღწევებზე საუბარი. ობამა რეიტინგის უკანასკნელ პროცენტებსაც დაკარგავს, ჯონ კერი გადადგება, მსოფლიო საზოგადოება კი მორიგ მიზეზს მიიღებს აშშ-ის გასაკრიტიკებლად, აშშ-ის, რომელიც თავად თესავს მთელ მსოფლიოში იმ „არასტაბილურობას“, რომელთან დაკავშირებითაც მსოფლიოს არიგებს ჭკუას...**

# კერიმ ავღანელებს ბიულეტენების გადათვლა უბრძანა



**რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ ავღანეთში ივნისში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ყველა ბიულეტენს ხელახლა გადაითვლიან. საქმე ისაა, რომ აშრაფ განი ახმადზაიმ 10%-ზე ცოტა მეტით გაუსწრო აბდულა აბდულას. არადა, პირველ ტურში ხომ მეორე უსწრებდა პირველს.**



ავღანეთში ბიულეტენების გადათვლის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ქაბულში ვიზიტისას გამოაცხადა.

ჯონ კერი ესაუბრა აშრაფ განი ახმადზაისაც და აბდულა აბდულასაც. ორივე თანახმაა, გადაითვალოს ყველა ხმა, ანუ 8 მილიონი ბიულეტენი. გადათვლას გააკონტროლებენ გაეროს დამკვირვებლები.

ყველაფერი გასაგებია — ჯონ კერიმ ავღანელებს უბრძანა, ასე მოქცეულიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორი სახე ექნებოდა იმ დემოკრატიას მსოფლიოს თვალში, რომელსაც ვაშინგტონი ამდენი წლის მანძილზე აშენებს ავღანეთში?

სახელმწიფო მდივნის მტკიცებულებები ახალ ამბებში გამოჩნდა.

როგორც კრსსეპყთნიც-ი წერს, ხმების გადათვლაზე ავღანეთის პრეზიდენტობის ორივე კანდიდატი მას შემდეგ დათანხმდა, რაც ჯონ კერიმ ზეწოლის მიზნით მათ განუცხადა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ქაბული აშშ-ის მხრიდან ფინანსურ დახმარებას ველარ მიიღებდა.

როგორც ამ მასალის ავტორი კირილ ბელიანინოვი წერს, ქაბულში მოლაპარაკებები ლამის 20 საათს გაგრძელდა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მიღწეული კომპრომისი ავღანეთს თავიდან აცილებს დაძაბულობის ახალ ტალღას. არადა, დაძაბულობა უკვე სახეზეა: ის იმის გამო გაჩნდა, რომ აბდულა, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში კი გაიმარჯვა, მაგრამ შემდგომ მოულოდნელად დამარცხდა მეორე ტურში. **აბდულა დარწმუნებულია, რომ 56%-იანი შედეგის მიღებაში მის მოწინააღმდეგეს ავღანეთის ძველი პრეზიდენტი ხამიდ ყარზაი დაეხმარა.**

აბდულამ თავის მომხრეებს — ავღანელ ტაჯიკებს მოუწოდა, საპროტესტო აქციებით გამოსულიყვნენ და თავისი მთავრობის შექმნითაც კი დაიმუქრა. ახმადზაიმ, თავის მხრივ, ხმათა უმრავლესობის მიღება პუშტუნების მხრიდან მასობრივი მხარდაჭერით ახსნა.

პოლიტიკური კრიზისის გადასაჭრელად ქაბულში თავად ჯონ კერი ჩაფრინდა. დიპლომატთა მტკიცებით, პრეზიდენტობის თითოეული კანდიდატი თავის თანაშემწეებთან ერთად მისიის სხვადასხვა ოთახში განლაგდა, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კი რამდენიმე საათი ერთი შენობიდან მეორეში გადასვლა-გადმოსვლას მოუნდა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების დეტალები არ ხმაურდება.

ცნობილი გახდა მხოლოდ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოკლე შეტყობინება, რომელიც სააგენტო Reuters-მა გამოაქვეყნა: „ვიმედოვნებთ, გამოინახება საშუალება ყველა არსებულ კითხვაზე პასუხის გასაცემად ეჭვების გაფანტვისა და მომავლის განსაზღვრისთვის“.

რაც შეეხება პოლიტიკური კრიზისის შედეგად ავღანეთის შესაძლო გახლეჩას, პრესაში ბოლო პერიოდში ამ თემაზეც იყო საუბარი და ზოგიერთმა ისეთი სიტყვათშეთანხმებებიც კი გამოიყენა, როგორიც „ფერადი რევოლუცია“ და „ავღანური მეიდანია“.

როგორც მედია იუწყება, მეორე ტურის შედეგების დაჯამებისა და გამოქვეყნების შემდეგ აბდულა აბდულამ მოსახლეობას მასობრივი საპროტესტო აქციებისკენ მოუწოდა: „ჩვენ მზად ვართ, სიცოცხლე გავწიროთ. რომც აგვკუწონ, არ დავთანხმდებით იმ ტყუილს, რომელიც ხელისუფლებამ მოაწყო“.

**აბდულა ავღანელ ტაჯიკებს შორის ფართო მხრდაჭერით სარგებლობს (მოსახლეობის დაახლოებით 27%) და ამის გამო ავღანეთის ნაციონალური ნიშნით დანაწევრების საფრთხე სავსებით რეალურია.**

რაც შეეხება მეიდანთან შედარებას, საუბარია არა ამჟამინდელ, არამედ 2004 წლის მეიდანზე. იქ იყო არჩევნების მეორე ტურიც, ერთ-ერთი კანდიდატის მიერ არაღიარებული მეორე ტურის შედეგები და „ნარინჯისფერი რევოლუცია“.

სხვაობა მხოლოდ აშშ-ის დამოკიდებულებაშია. 2004 წლის კიევურ მეიდანს ვაშინგტონმა მხარი დაუჭირა, აბდულას ავღანურ მცდელობებს კი „სიტუაციის დესტაბილიზება“ უწოდა.

**გასაგებია, რომ ჯონ კერი და მისი ბოსი ბარაკ ობამა ვერ დაუშვებენ ქაბულში დემოკ-** ▶

# ვინ შეცვლის ნური ალ-მალიკს?

**არაბული ანდაზის თანახმად, თუ ლომი კბილებს გამოაჩენს, არ უნდა იფიქროთ, რომ ის იღიმება. მდგომარეობა, რომელშიც ახლა ერაყია, დიდწილად ნური ალ-მალიკის პირადი დამსახურებაა. ეს არის ადამიანი, რომელიც აშშ-ის რეზიდენტურის მცდელობითა და შემთხვევითობის წყალობით ქვეყნის სათავეში აღმოჩნდა 2006 წელს. 2010-ში მან წააგო არჩევნები, მაგრამ 9-თვიანი მტანჯველი მოლაპარაკებების შედეგად კვლავ პრემიერად დარჩა. ხელისუფლების შესანარჩუნებლად იგი ყველას ყველაფერს დაჰპირდა, თანაც წინასწარ იცოდა, რომ ამ დანაპირებებიდან ერთსაც არ შეასრულებდა, რადგან იმ დროისთვის უკვე იყო საკუთარი მდგომარეობის მძევალი და აღარც უკან დასახევი გზა არსებობდა. მიუხედავად ამისა, მას კიდევ რჩებოდა ასარჩევად რამდენიმე ვარიანტი, მან კი ყველასთვის ყველაზე უარესი არჩევანი გააკეთა...**



**რაც უფრო მალე დატოვებს თანამდებობას ნური ალ-მალიკი, მით მეტია შანსი, რომ ერაყი, როგორც ერთიანი სახელმწიფო, შენარჩუნდეს თუნდაც ფედერალურ საფუძვლებზე. ახლა ამაზე შეურიგებელი მოწინააღმდეგეებიც კი თანხმდებიან, მაგრამ მთავარ ადგილს უკვე სხვა საკითხი იკავებს: ვინ შეცვლის მალიკს?**

ზოგიერთები ამბობენ, რომ ნური ალ-მალიკს ერთდროულად ორ სკამზე ჯდომის უნარი აქვს, რადგან მხარდაჭერა მოიპოვა როგორც აშშ-ის, ასევე ირანის მხრიდან. ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას მეგობრულს ვერავინ უწოდებს, მაგრამ ორივეს უზარმაზარი გავლენა აქვს ერაყში არსებულ მდგომარეობაზე. ალ-მალიკის დამსახურებებზე საუბარი აქ ზედმეტია, რადგან ვაშინგტონისა და თეირანის ინტერესები გარკვეულწილად დაემთხვა, თუნდაც მხოლოდ ტაქტიკურ დონეზე.

ერაყიდან ამერიკული ჯარის გაყვანის შემდეგ ნური ალ-მალიკს საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა, ქვეყნის განვითარებისთვის თუ არა, სტაბილიზაციისთვის მაინც მიეღწია. ეს არ მომხდარა. პირიქით, ქვეყანა ჯერ უფსკრულის პირას მიიყვანეს, შემდეგ კი ამ უფსკრულში გადაჩეხეს. ახლა ერაყში ნებისმიერ სფეროში შექმნილ სიტუაციას გამოხატავს ერთადერთი სიტყვა — კატასტროფა.

**დღეს ერაყი ცხოვრობს ბიუჯეტის, მთავრობის, პარლამენტის გარეშე, ხელისუფლება მართავს რაღაც გაურკვეველი სქემით, რომელშიც ყველა გზა პირადად ნური ალ-მალიკთან მიდის. ამ ადამიანმა მოახერხა, ქვეყნის ყველა წამყვან პოლიტიკურ ძალასთან კონფლიქტში შესულიყო, ზღვრამდე გაართულა ურთიერთობა ერაყული ქურთისტანის ხელმძღვანელობასთან, გაანაწყენა თვით შიიტებიც კი, რომლებსაც ეყრდნობა ერაყული სახელისუფლო პირამიდა.** მთელი ქვეყნის მასშტაბით შიიტების წამყვანმა რელიგიურმა ავტორიტეტებმა მოუწოდეს მას, აღარ წამოეყენებინა საკუთარი კანდიდატურა, მაგრამ მან უარით უპასუხა ყველა მსგავს მოწოდებას და საჭესთან დარჩენის თაობაზე განაცხადა. მალიკს 2014 წლის აპრილში მხარი დაუჭირეს საკუთარი თემის წარმომადგენლებმა, მის მიერვე დანიშნულმა სახელმწიფო მოხელეებმა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა — ტყუილად როდი ეძახიან შეიარაღებულ ძალებს ერაყში მალიკის არმიას.

ეს არმიაც სუსტი აღმოჩნდა: 10 ივნისს სამმა დივიზიამ პრაქტიკულად უბრძოლველად დათმო 2,5-მილიონიანი ქალაქი მოსული. მომდევნო დღეებში არმიამ მოწინააღმდეგეს მთელი საბერძნეთის თუ ბულგარეთის ფართობის ტოლი ტერიტორიები დაუთმო — გზადაგზა დაყარეს ყველაფერი, მძიმე ტექნიკისა და შეიარაღების ჩათვლით. არმიაში დეზერტირობა ყვავის — ოფიცრებიც კი ტოვებენ საკუთარ ქვედანაყოფებს. უმაღლეს სარდლობაში უნიჭობის ზეიმია, რადგან იქ ადამიანებმა თანამდებობები პროტექციის ან ქრთამის სანაცვლოდ მიიღეს.

მალიკიმ გამოსავალი უმალ მონახა — დეზერტირობისთვის მისთვის ყველაზე გასაგები მეთოდის — სიკვდილით დასჯის დაწესება მოითხოვა. რაც შეეხება სამხედრო მეთაურებს, იგი ამ თანამდებობებს პოლიციასა და სპეცსამსახურებს გადასცემდა და ამას იმდენად ინტენსიურად აკეთებდა, რომ ექსპერტებმა ივარაუდეს, მალიკს უკვე უახლოესი გარემოცვის იმედიც კი აღარ ჰქონდა და სამხედრო გადატრიალებისა ეშინოდა.

**რაც უფრო მალე დატოვებს თანამდებობას ნური ალ-მალიკი, მით მეტია შანსი, რომ ერაყი, როგორც ერთიანი სახელმწიფო, შენარჩუნდეს თუნდაც ფედერალურ საფუძვლებზე. ახლა ამაზე შეურიგებელი მოწინააღმდეგეებიც კი თანხმდებიან, მაგრამ მთავარ ადგილს უკვე სხვა საკითხი იკავებს: ვინ შეცვლის მალიკს?** ▶

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯაშუში სამსახურებრივი კომპიუტერებიდან ჩვეულებრივ ფლეშ-მეხსიერების ბარათზე იწერდა ინფორმაციას, შემდეგ კი ავსტრიაში გადასცემდა „კურატორებს". დასავლურ პრესაში ვარაუდობენ, რომ ყოველი ასეთი ბარათისთვის მას დაახლოებით 10 000 ევროს უხდიდნენ.**

**რატიის ესოდენ თვალსაჩინო კრახს, მით უფრო ქვეყნიდან აშშ-ის ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილის გაყვანის წინა პერიოდში. საქმე ისაა, რომ ვაშინგტონი მთელი სერიოზულობით მიიჩნევს, რომ ავღანეთსა და ერაყში მისი სამხედრო ოპერაციები როგორც სტრატეგიული, ასევე დემოკრატიული თვალსაზრისით გამარჯვებით დასრულდა. ამ რწმენის ფონზე ამგვარ კრახს ის უბრალოდ ვერ შეეგუება.**

ერთ-ერთი სცენარის მიხედვით, რომელსაც ავღანეთს უწინასწარმეტყველებენ, ქვეყანა, შესაძლოა, სამ ნაწილად დაიყოს. ერთი მესამედი ტაჯიკების ხელში იქნება, მეორე — პუშტუნების, ხოლო მესამე — თალიბების. სამად გაყოფის დაახლოებით იმავე სცენარს მოიაზრებდნენ 2001-შიც, როცა აშშ ავღანეთში დემოკრატიის მშენებლობამ გაიტაცა.

**მწვავე პოლიტიკურ კრიზისზე უმცირესი მინიშნების შემთხვევაშიც კი ვაშინგტონისთვის ძალიან ძნელი იქნება რეგიონში საკუთარ დემოკრატიულ მიღწევებზე საუბარი. ობამა რეიტინგის უკანასკნელ პროცენტებსაც დაკარგავს, ჯონ კერი გადადგება, მსოფლიო საზოგადოება კი მორიგ მიზეზს მიიღებს აშშ-ის გასაკრიტიკებლად, აშშ-ის, რომელიც თავად თესავს მთელ მსოფლიოში იმ „არასტაბილურობას", რომელთან დაკავშირებითაც მსოფლიოს არიგებს ჭკუას...**

topwar.ru

ბოლო დროს თეთრი სახლი ბაღდადში აშშ-ის საელჩოში ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ერაყელ შიიტ ლიდერებთან — ამარ ალ-ხაკიმთან და მუკტად ას-სადრასთან. ამერიკელები არც ქურთულ ავტონომიას ტოვებენ უყურადღებოდ და, როგორც მედია იუწყება, სულ მალე აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების საბჭო ზემოხსენებულ საკითხს სპეციალურ სხდომასაც მიუძღვნის.

**როგორც ამბობენ, ობამას ადმინისტრაციამ მოლაპარაკებების გამართვის თხოვნით მიმართა სუნიტ ლიდერებსაც, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ერაყის ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაში.** აბდელ კადირ ალ-ობაიდი, რომელსაც თითქოს ადმინისტრაციამ ამ თხოვნით მიმართა, ერაყში 2006-2010 წლებში თავდაცვის მინისტრი იყო, ახლა აშშ-ის მოქალაქეა, ვაშინგტონში ცხოვრობს და კარგი ურთიერთობა აქვს როგორც ამერიკელ ოფიციალურ პირებთან, ასევე გავლენიან სუნიტებთან.

ერაყელები იმასაც ყვებიან, რომ ახლახან სადამ ჰუსეინის ყოფილმა მოადგილემ იზატ იბრაჰიმ ად-დურიმ წერილი გაუგზავნა ნური ალ-მალიკს და მოუწოდა, მოემზადოს. წერილში თარიღიც კია მითითებული — რამადანის დასასრული. გამგზავნის მისამართის ველში იზატ ად-დურიმ მიუთითა: ერაყი, ქალაქი ბაღდადი.

fondsk.ru

**ბერლინში ჯერ ერთი ამერიკელი ჯაშუში გამოააშკარავეს, შემდეგ — მეორეც. თუ გავიხსენებთ ბოლოდროინდელ სკანდალს, რომელიც ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მხრიდან გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელზე თვალთვალის შესახებ სნოუდენის გამოაშკარავებებს მოჰყვა, თეთრი სახლისთვის ძალზე უსიამოვნო სურათი იხატება. ბერლინმა უკვე ბრალი დასდო ვაშინგტონს ცივ ომთან დაბრუნებაში.**

# ჯაშუშები — აქ, ჯაშუშები — იქ

ბრალდება, რომელიც სერიოზულად გაბრაზებული ანგელა მერკელისგან გაისმა, რა თქმა უნდა, მრისხანედ ჟღერდა, მაგრამ ეს ბრალდება ცოტა გულუბრყვილოდ გამოიყურებოდა ან სულაც პუბლიკისთვის გაკეთდა. ცივი ომი, ისევე, როგორც „მოკავშირეებისა" თუ „მტრების" მიმართ ჯაშუშობა, ამერიკას ყველაზე „თბილ" დროშიც კი არ შეუწყვეტია. ყველა მისი მშვიდობისმოყვარული განცხადება მხოლოდ განცხადებად რჩებოდა. ვაშინგტონი მსოფლიო არენაზე აკეთებს მხოლოდ ერთს: იტყუება. თანაც იტყუება წარმატებულად, იმდენად წარმატებულად, რომ შემდეგ გერმანიის კანცლერსაც კი უკვირს...

გერმანიაში დაკავებული ჯაშუში ქვეყნის თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა და, როგორც გაირკვა, პენტაგონის სადაზვერვო სამმართველოსთან (სხვა მონაცემებით, სახელმწიფო დეპარტამენტთან ან ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოსთან) თანამშრომლობდა. მისი სახელი არ ხმაურდება. გამოძიებას გერმანიის თავდაცვის სამინისტრო აწარმოებდა. რაიმე დეტალები ცნობილი არ არის, რადგან ქვეყნის ხელისუფლება თვლის, რომ ეს ჯაშუშობის ძალზე სერიოზული შემთხვევაა.

დეტალები კიდევ იმიტომაც არ ხმაურდება, რომ ჯაშუშმა სამხილების განადგურება მოასწრო. ის, რაც გამომძიებლებმა იპოვეს, დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს. საბოლოო ჯამში ეჭვმიტანილი გაათავისუფლეს.

**ცოტა ხნის წინათ გერმანელებმა ორმაგი ჯაშუში გამოააშკარავეს. ეს ადამიანი გერმანიის ფედერალურ სადაზვერვო სამსახურში მუშაობდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, 2 ივლისს, საიდუმლო ცნობებს გადასცემდა „პარტნიორებს" ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში".** როგორც ზოგიერთი გამოცემა იტყობინება, ამ ჯაშუშმა მითითებები მიიღო ამერიკის საელჩოდან, მაგრამ არა ბერლინის, არამედ ვენის საელჩოდან. აი, ასე კარგავენ კვალს ამერიკელები.

ამ ბატონს წვდომა ჰქონდა ნატოში სახელმწიფოთა კოოპერაციის დოკუმენტებთან, იარაღის ექსპორტისა და სხვა ფაილებთან, რომელთაგან ზოგიერთი პოლიტიკის სფეროს განეკუთვნება. პრესის ინფორმაციით, ეს ადამიანი მონაწილეობდა გერმანიის სტრატეგიული დოკუმენტების მომზადების საქმეშიც.

ამერიკელებთან პარტნიორობის ორი წლის მანძილზე აგენტმა რამდენიმე ასეული საიდუმლო დოკუმენტი მოიპარა.

**დაკავებულმა მარკუს რ.-მა რაიმეს დამალვაც კი არ სცადა. გამომძიებლებმა უკვე მიიღეს მთელი სია, რომელშიც ფიგურირებენ ცსს-ს ის აგენტები, რომლებთანაც საქმიანი კავშირები ჰქონდა ახალგაზრდა ჯაშუშს. ახლა ამ პერსონებით დაკავებულნი არიან შესაბამისი სამსახურები. გამორიცხული არ არის, რომ ვიღაც დააპატიმრონ კიდეც.**

საინტერესოა, რომ მარკუსი არც გადაუბირებიათ და არც უცდიათ ამის გაკეთება. იგი თავად დაუკავშირდა ცსს-ს წარმომადგენლებს ძალზე იოლი გზით — გაგზავნა წერილი ბერლინში ვაშინგტონის დიპლომატიურ მისიაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ცსს-ელები, ცხადია, გამოეხმაურნენ აქტივისტს: უზრუნველყვეს კოდირებული მინიკომპიუტერით, რომლის საშუალებითაც იგი ამერიკულ სპეცსამსახურებს უკავშირდებოდა. არავინ არაფერს ეჭვობდა. მოულოდნელად ვინმე მის ზურგს უკანაც რომ მდგარიყო, დაინახავდა, რომ მარკუსი ამინდის პროგნოზს ათვალიერებდა. სწორედ ასე — „ამინდის პროგნოზი" ერქვა ცსს-სთან კავშირისთვის ჩაწერილ სპეციალურ პროგრამას.

**ჯაშუში სამსახურებრივი კომპიუტერებიდან ჩვეულებრივ ფლეშ-მეხსიერების ბარათზე იწერდა ინფორმაციას, შემდეგ კი ავსტრიაში გადასცემდა „კურატორებს". დასავლურ პრესაში ვარაუდობენ, რომ ყოველი ასეთი ბარათისთვის მას დაახლოებით 10 000 ევროს უხდიდნენ.**

საინტერესოა კიდევ ერთი რამ. მარკუსი მხოლოდ მაშინ ჩავარდა, როდესაც თავისი „კონტაქტების" ქსელის გაფართოება სცადა. ამერიკა ეცოტავა და გადაწყვიტა, რუსეთსაც დაკავშირებოდა. დაუკავშირდა კიდეც, იმავე გზით — ელექტრონული ფოსტით ახალი წერილი გაგზავნა.

ამ დროს იგი უკვე ეჭვმიტანილი იყო და სწორედ მოსკოვთან ურთიერთობაში ეჭვმიტანილი. **გერმანელების იმედგაცრუებასა და აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გაირკვა, რომ ბიჭი საბითუმო ფასად ჰყიდდა მოკავშირე ამერიკელებზე სამშობლოს!**



**გერმანელების იმედგაცრუებასა და აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გაირკვა, რომ ბიჭი საბითუმო ფასად ჰყიდდა მოკავშირე ამერიკელებზე სამშობლოს!**

მარკუსი იმის გამო გამოაშკარავდა, რომ რუსეთის საელჩოსათვის განკუთვნილი მისი წერილი, რომელიც ფედერალური სადაზვერვო სამსახურის კომპიუტერიდან გაგზავნა, კონტრდაზვერვის აგენტების ხელში მოხვდა. წერილში საუბარი იყო კრემლთან შესაძლო თანამშრომლობაზე.

კანცლერი მერკელი განრისხდა. ბერლინმა, უბრალოდ, გააძევა ქვეყნიდან ცსს-ს რეზიდენტი.

ტელეინტერვიუში **ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ გერმანიასა და აშშ-ს სპეცსამსახურების მუშაობაზე „ფუნდამენტურად განსხვავებული" შეხედულებები აქვთ. მისი აზრით, პარტნიორები ერთმანეთის წინააღმდეგ არ უნდა ჯაშუშობდნენ.**

მერკელი ადრეც გამოხატავდა ანალოგიურ თვალსაზრისს, მაგრამ ახლა იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ეჭვობს, ოდესმე შეძლოს ამ მარტივ ჭეშმარიტებაში ვაშინგტონის დარწმუნება.

**თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენელი ჯოშ ერნესტი უმალ გამოვიდა მოკლე ტექსტით საერთაშორისო პარტნიორობის თემაზე. „ცხადია, ჩვენს ქვეყნებს შორის გრძელდება იმ სადაზვერვო ინფორმაციისა და მონაცემების გაცვლა, რომლებიც უსაფრთხოებას ეხება. და ეს ხდება არა იმიტომ, რომ ანგელა მერკელი კეთილ ნებას გამოხატავს. მერკელი, ისევე, როგორც ობამა, ამას ჩვენი ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებს. გერმანია ჩვენი პარტნიორია და ჩვენ კვლავაც ვიმოქმედებთ კოლექტიური თანამშრომლობის ფარგლებში", — განაცხადა მან.**

განცხადება იმდენადაა მცდარი, რამდენადაც თავხედური. დიდი ხანია, „სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლა" იქცა რაღაც სპორტულ ღონისძიებად, რომელსაც ჰქვია „ვინ ვის გადააჯაშუშებს". ამასთან, სავსებით ნათელია, რომ გერმანია ამ თამაშში ამერიკასთან დამარცხდება, მიუხედავად ორი გამოაშკარავებისა. თუ ვიღაც ბიძია ორი წლის მანძილზე საგულდაგულოდ უგზავნიდა ვაშინგტონს გერმანულ საიდუმლოებებს, ცსს-ში ბევრი რამ იციან.

ცსს საერთაშორისო სკანდალის დარეგულირებას შეეცადა. უწყების ხელმძღვანელმა ჯონ ბრენანმა ტელეფონით დაურეკა გერმანული სპეცსამსახურების მუშაობის კოორდინატორს — კლაუს-პეტერ ფრიტშეს. ამ საუბრის დეტალები უცნობია. როგორც ჩანს, მინისტრმა ბრენანმა გერ ფრიტშეს შთააგონა რაღაც ამდაგვარი: „ხომ გესმის, ასეთი სამუშაო გვაქვს..."

რაც შეეხება სახალხო განცხადებებს, საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ ვალტერ შტაინმაიერმა ინტერვიუში განაცხადა, რომ აუცილებელია ყველაფრის სწრაფად გამოძიება. ვაშინგტონის ქმედებას მან უწოდა გერმანიის პოზიციის შესახებ კონსპიროლოგიური მეთოდებით რაიმეს გაგების მცდელობა.

რას აპირებს გერმანია?

**გერმანიის საპარლამენტო წრეებში არსებობს აზრი, რომ ბერლინმა პოლიტიკურად სამაგიერო უნდა გადაუხადოს ვაშინგტონს. ამის საშუალება არის: ქვეყანაში უნდა მიიწვიონ ედვარდ სნოუდენი, რომელიც ახლა რუსეთში ცხოვრობს, რათა ამერიკული სპეცსამსახურების წინააღმდეგ პირდაპირ ბერლინში, საპარლამენტო კომიტეტების წინაშე მისცეს ჩვენება.**

დათანხმდება კი ამას გაბრაზებული ანგელა მერკელი? სავარაუდოდ — არა. აშშ და გერმანია ხომ „პარტნიორები არიან და ჯოშ ერნესტმა ამაოდ როდი მიანიშნა, რომ მერკელი ყველაფერს „ჩვენი ქვეყნების ინტერესების შესაბამისად" აკეთებს".

topwar.ru

ამერიკა

## გვარდიელმა ორი ადამიანი მოკლა

**იუტას შტატის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ ლოგანში აშშ-ის ნაციონალური გვარდიის წევრმა ორი ადამიანი მოკლა, შემდეგ კი სიცოცხლე მოისწრაფა.**

23 წლის ჯარედ ტოლმანი შევარდა ბინაში, სადაც ცხოვრობდა მისი ნაცნობი ქალი და შაშხანიდან გასროლით მოკლა, შემდეგ კი სიცოცხლეს გამოასალმა მამაკაცი, რომელიც ქალთან სტუმრად იმყოფებოდა. ამის შემდეგ ტოლმანმა მიაკითხა სხვა ნაცნობს, მაგრამ ის სახლში არ დაუხვდა და თავი მოიკლა.

**ჯარედ ტოპმანი** ნაციონალურ გვარდიაში 2000 წლიდან მსახურობდა და ამ ხნის განმავლობაში დისციპლინაც კი არ დაურღვევია.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ორიოდე წლის წინათ ხელისუფლებაში ტრიუმფით მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“, რომლის გამარჯვებისთვისაც უანგაროდ გადადეს თავი უბრალო ამომრჩევლებმა, როგორ მოახერხა ამ მოკლე დროში ასე კატასტროფულად ხალხის ნდობის დაკარგვა და „ქოცებად“ ქცევა? ხალხმა ნუთუ ისე, უბრალოდ აიღო ხელი თავის სანუკვარ ქართულ ოცნებაზე?

# ქიტლაყი

**ერთ კარგ კაცს არ დაზარებია და მარტივი მათემატიკური გამოთვლით დაუდგენია, რომ თბილისის მერის არჩევნების პირველ ტურში დავით ნარმანიასთვის მხარი დაუჭერია ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 19,78%-ს, ნიკა მელიასთვის — დაახლოებით 11,61%-ს. მეორე ტურში ნარმანიასთვის მიუცია ხმა 24,48%-ს, მელიასთვის — 9,18%-ს. ამრიგად, გამარჯვებულმა „ოცნების“ კანდიდატმა თბილისელ ამომრჩეველთა მეოთხედზე ნაკლები მხარდაჭერა მოიპოვა, დამარცხებული „ნაციონალების“ ფავორიტს კი ამომრჩევლების საერთო რაოდენობის მეათედზე ნაკლებმა დაუჭირა მხარი.**

ნამეტანი „ნდობის“ მანდატი მიულია წარმატებულს, დამარცხებულს ხომ „ოპტიმიზმის“ საოცრად მყარი საფუძველი ჰქონია! ჰმ!

მეტი არაა ჩვენი მტერი, ან ერთს ჰქონდეს საზეიმოდ საქმე, ან მეორეს თავის ამაყად აწევის მიზეზი, თუ, რა თქმა უნდა, ჭკუა ან სინდის-ნამუსი შერჩენიათ მაინც.

**კაცი რომ ნაცნობ-მეგობრებს პურმარილზე დაპატიჟებს და ვინმე დაპატიჟებულთაგანი დემონსტრაციულად არ მივა მის სუფრაზე, პურმარილზე წიხლი უკრაო, იტყვიან ხოლმე, მაგრამ, ათასკაციან სუფრას რომ გაშლის მავანი, რა გარეწარი და საძულველი კაცი უნდა იყოს მასპინძელი, რომ ექვსასზე მეტი სკამი ცარიელი დარჩეს ხორაგით ავსებულ მაგიდასთან! ამას რაღა ჰქვია, ნეტავი?**

**დაახლოებით ასე იყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე.** იმის ნაცვლად, რომ ამომრჩევლებს ათასნაირ სასიამოვნო სატყუარას დაჰპირდნენ, არჩევნებზე ამომრჩეველთა 60%-ზე მეტი არ მივიდა, არც პირველ ტურში და არც მეორეში!

გამარჯვებული ხელისუფლება, ანუ „ქართული ოცნება“ ტრიუმფალურ წარმატებას ზეიმობს, მეორე ადგილზე გასული „ნაციონალები“ კი დიდ გულზე არიან: ჩვენ ყოველმა მესამე ამომრჩეველმა დაგვიჭირა მხარიო.

**ან „ქოცებს“ რა უხარიათ, ან „ნაცებს“ რა აქვთ საამაყო? „ქოცებს“ ამომრჩეველთა მეოთხედზე ნაკლებმა გამოუცხადა ნდობა; „ნაცებს“, მართალია, სამში ერთი უჭერს მხარს, მაგრამ ეს „სამში ერთი“ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მეათედიც კი არ არის. რა არის ეს? პურმარილზე წიხლის კვრა? არა, ეს არის პანღური, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ ხელისუფლებასა და მთავარ ოპოზიციას ამოჰკრა და ეს სრულიად ლოგიკურია!**

„ნაცები“ რატომაც დააპანღურეს, ძნელი ასახსნელი არ არის. მათ მიმართ ნამდვილ ქართველებს პათოლოგიური სიძულვილი აქვთ იმ ანტიქართული ცხრაწლედისთვის, რომლის შემოქმედიც სწორედ „ნაცბანდაა“. აი, „ქოცებისთვის“ ნათავაზებმა „პანღურმა“ კი სერიოზულად უნდა დააფიქროს მმართველი კოალიციაც და მათი მხარდამჭერი ის მეოთხედიც, რომელმაც არჩევნებზე მისვლა არ დაიზარა.

**ორიოდე წლის წინათ ხელისუფლებაში ტრიუმფით მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“, რომლის გამარჯვებისთვისაც უანგაროდ გადადეს თავი უბრალო ამომრჩევლებმა, როგორ მოახერხა ამ მოკლე დროში ასე კატასტროფულად ხალხის ნდობის დაკარგვა და „ქოცებად“ ქცევა? ხალხმა ნუთუ ისე, უბრალოდ აიღო ხელი თავის სანუკვარ ქართულ ოცნებაზე?**

არა, უბრალოდ და უმიზეზოდ ეს არ მომხდარა. მართალია, ხალხის მოტყუება, როგორც ათადან და ბაბადან ცნობილია, ძნელი არ არის, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ დაპირებებით მოტყუებული ხალხი მალევე ხვდება, როგორ გააბრიყვეს და გამბრიყვებლების მიმართ სამართლიანი რისხვაც ეუფლება. სამწუხაროდ, ხალხის გამბრიყვებლებმა არც ორასი წლის წინათ იცოდნენ ეს და არც ახლა იციან. როგორც კი სავარძლებში მოკალათდებიან, მართლა ხალხის რჩეულები ჰგონიათ თავი, ჩვენ მიერ გამოხატული ნდობა კი — სამარადჟამო.

საქართველოს მოსახლეობა, ამომრჩეველი, ბიძინა ივანიშვილისა და მისი კოალიციის ლიდერების თვალების სილამაზეს არ მოუხიბლავს, არც „ქართული ოცნების“ ლიდერის მილიარდებს (მერაბ კოსტავას ხანდახან ერთი მანეთიც კი არ ედო ჯიბეში, არც სახლში, მაგრამ მის დაძახილზე მთელი საქართველო გამოდიოდა ქუჩაში!), ხალხის აქტივობა იმ დაპირებებმა განსაზღვრა, სამართლიანობის აღდგენას, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების სრულიად აშკარა ღალატისა და ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების ორგანიზატორების დასჯას რომ ითვალისწინებდა.

რა მოხდა არჩევნების შემდეგ?

**ჯერ იყო და კოალიცია „ქართული ოცნების“ ორგანიზატორმა და პოსტნაციონალური საქართველოს პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა: „ნაცმოძრაობას“ ისე კი არ მოვექცევით, როგორც იმსახურებს, არამედ ისე, როგორც ჩვენ გვეკადრებაო. ისე არ მოვექცევით როგორც იმსახურებენო, კაცოო!**

მერე პარლამენტის სპიკერმა, „გამოჩენილმა“ რესპუბლიკელმა დავით უსუფაშვილმა მთლად გააოგნა გამარჯვებით აღტკინებული ამომრჩევლები: ჩვენი ამოცანაა, გადავარჩინოთ „ნაციონალური მოძრაობაო“!

ჩვენმა ხალხმა იმიტომ იომა ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსაყვანად, რომ „ნაცების“ გადარჩენა უნდოდა თუ „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც საქართველოს გადაგვარება-გადაჯიშების მოწადინე ბანდის დასამარება სურდა?!

ვაი ჩვენს, თქვენს და იმათ პატრონებს, ვინც თქვენ ეგ აზრი ჩაგაგონათ, ხელისუფლების მაღალჩინოსნებო!

მერე ის იყო, ამ გაბითურებულ ხალხს „ქოცებმა“ ახალი



**ან «ქოცებს» რა უხარიათ, ან «ნაცებს» რა აქვთ საამაყო? «ქოცებს» ამომრჩეველთა მეოთხედზე ნაკლებმა გამოუცხადა ნდობა; «ნაცებს», მართალია, სამში ერთი უჭერს მხარს, მაგრამ ეს «სამში ერთი» ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მეათედიც კი არ არის**

ტერმინი „კოაბიტაცია“ შემოგვაჩეჩეს, რაც ჩვენს ენაზე თურმე ჩახუტებას ნიშნავს, გუშინ რომ ქვეყანას ანადგურებდნენ, ციხეებში რომ ჩაჰყარეს ნახევარი საქართველო, სადაც აწამებდნენ, აუპატიურებდნენ და სადისტურად კლავდნენ ცალობით თუ ბითუმად, ქუჩაში თუ საკნებში, იმათ თურმე წარსულის ცოდვები არ უნდა მოეკითხოთ, უნდა ჩავეხუტოთ, რათა პოლიტიკაში მათ დარჩენას ხელი არ შეეშალოს. გამწარებული ხალხი დიდი სიხარულით მიიღებდა კოჰაბიტაციას, განსაკუთრებით წამებით მოკლულთა დედები, ცოლები და შვილები, სამსახურიდან გამოყრილი არანაცურად მოაზროვნენი, „ნაცების“ ზეობის პერიოდში სასაცილოდ აგდებული პატრიოტები, „ჩარეცხილი“ პროფესიონალი სპეციალისტები?.. კი, აბა! ამის იმედი ჰქონდა ხალხს? რა თქმა უნდა, არა! მაგრამ, როგორც უხსოვარი დროიდან ამბობენ (მცირე შესწორებით), — ხალხი ბჭობდა, ძია სემი იცინოდა. აი, ასე გამოვიდა! უამრავ ხალხს ვიცნობ, უამრავ ადამიანთან ვურთიერთობ, მაგრამ არც ჩემს ნაცნობებში, არც ჩემი ნაცნობების ნაცნობებში ერთი კაციც კი არ მეგულებოდა ისეთი, „ნაცებისთვის“ ხმის მიცემას რომ აპირებდა 2012 წლის 1 ოქტომბერს, მაგრამ რად გინდა მერე? „ნაცებს“ 40% დაუწერეს მაინც და ისინი, ვინც ხალხს სახელმწიფო და ერის წინაშე დამნაშავედ მიაჩნდა, პარლამენტში დასვეს, იმ პარლამენტში, რომელიც ერთი „უუნაგირო ცხენის“ ახირების გამო ქუთაისშია გადატანილი (ჩვენში დარჩეს და, რომ დასცლოდა იმ ცხენს, მთავრობასაც გააძევებდა თბილისიდან და მოგვქამდა ჭირს თბილისის დედაქალაქობაც მაშინ!)

იმდენი ეფერენ და ეკეკლუცენ „ქოცები“ „ნაცებს“, იმდენჯერ უჩვენეს, რომ „ძალა არ შესწევთ ქადილისა“, რომ „ნაცებმა“ ხალხის შიშით ჩაღუნული თავები ასწიეს, წელში გაიმართნენ და, თავიანთი უცხოელი ძიების იმედით, დიდ გულზეც არიან, იმუქრებიან, მალე მოვალთ ხელისუფლებაშიო.

**ხალხს, მართალია, ცხვრის ფარად მიიჩნევენ ხელისუფლებაში მოსული „ლომები“ (ყოფილი ცხვრები), მაგრამ „ცხვარი ცხვარია, თუ გაცხარდა, ცხარიაო“,** — ნათქვამია. ჰოდა, ყოველივე ამის შემხედვარე „ცხვრები“ რომ გაცხარდნენ, განა არ მოელოდა ხელისუფლება ან დანიშნული ოპოზიცია? ეს გაცხარება ჯერჯერობით არჩევნებზე მიუსვლელობით გამოიხატა, რომელიც, მართალია, უკონტაქტო, მაგრამ მაინც პანღურია.

**ქართველმა საზოგადოებამ „ქოცებსა“ და „ნაცებს“ ამოჰკრა პანღური, თუმცა არათანაბარი სიმკაცრით. „ნაცებს“, წესით, კუკუზნაკი უნდა ეწვოდეთ და სიმწრის ცრემლები სცვიოდეთ,** „ქოცებს“ კი საჯდომზე ორივე ხელი უნდა ჰქონდეთ აფარებული, მაგრამ, აჰა! თავი ყინჩად უჭირავთ და ამაყობენ კიდეც ერთი გალახული კაცისა არ იყოს, ცხვირპირამონაყული რომ ტრაბახობდა: ჩათლახურად დამარტყეს, მაგრამ ვაშკაცურად დავეციო, — ასეა „ქოც-ნაცების“ საქმეც.

ასე თუ განაგრძეს „კოჰაბიტაციურად“ ჩახუტებულმა „ქოც-ნაცებმა“, მოკლე ხანში უკონტაქტო პანღური კონტაქტურად გადაიქცევა, მითქვამს მე!

განაგრძობენ, აბა, რა! ახალ ხელისუფლებას არც პოლიტიკური რიტორიკა შეუცვლია, არც ორიენტაციები, არც ეკონომიკური და საგანმანათლებლო ამოცანები. სამართლიანობის აღდგენა ხომ ვანო ჯავახიშვილისა და ვასიკო ოდიშვილის საღადაო საქმედ იქცა. სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილები (გონივრულ ეჭვზეა ლაპარაკი) ან პარლამენტში სხედან, ან სასამართლო დარბაზებში გამართულ შოუებში მონაწილეობენ.

**შოუა, აბა, რა არის, როდესაც ბიუჯეტიდან ათეულობით მილიონი ლარის მითვისებაში (მოპარვაში) ეჭვმიტანილს ვიღაც თანაპარტიელის სამსახურში მიღების გამო წაუყენებენ ბრალს, რომელიც ნაყიდ ადვოკატებს სასაცილოდაც არ ჰყოფნით. ერთ-ერთ ყოფილ „ნაცმინისტრს“ როდესაც მოკრძალებით ჰკითხეს, შენს სამინისტროს სამოცი ათასი რომ გადმოურიცხეს, იქიდან ორმოცი ათასი რა იქნა და რაში დაიხარჯაო, აგდებულად უპასუხა: კომპიუტერულ სისტემებში მოძებნეთო. ამ საცოდავებმა ეძებეს და ვერ იპოვეს, მაგრამ შეკითხვის გამეორება ვერ გაუბედეს.**

„ქოცების“ პროკრატურა და სასამართლო, აქაო და, კოჰაბიტაციის დარღვევა არ დაგვწამონ უცხოელმა „მაყურებლებმაო“, ისე მორიდებულად ექცევიან აშკარად თავზე ხელაღებულ ყოფილ „ნაც“ მაღალჩინოსნებს, რომ იფიქრებ, ზრდილობიანი მოსწავლე თავისი სკოლის დირექტორს ელაპარაკებაო.

ამას ხედავს ხალხი და რა გასაკვირია, რომ არჩევნებზე არ მიდის.

მოდით, „ქოც-ნაცების“ წარმომადგენლებო, რომლებიც ახლა ხართ ხელისუფლებაში (თქვენ გარდა კიდევ ვინ არის, ნეტავი?), ჩემი და უამრავი ჩემი თანამოაზრის სახელით, ერთ რამეს გეტყვით: **ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხალხმა ნდობა არ გამოგიცხადათ და მოვა დრო, როდესაც პასუხისგება მოგიწევთ იმ სიცრუისთვის, რომელსაც ასე უხვად აფრქვევთ ჩვენს გასაგონად და უცხოთათვის საამებლად.**

ხალხი არც თქვენი საგარეო პოლიტიკის მომხრეა და არც საშინაოსი, არც ნატოსკენ მიისწრაფვის და არც ევროკავშირისკენ, არც ევროპელობა უნდა და არც ევროპა მიაჩნია თავის სახლად! სიმართლე თუ გინდათ, არც თქვენი ხელისუფლება მიაჩნია თავისად. აბა, სრულ ჭკუაზე მყოფი კაცი თავისიანად როგორ ჩათვლის იმათ, ვისაც 20 000 ლარი აქვს ხელფასი, პრემიები კი 3-ჯერ მეტი (ყოველთვე) და ექიმებისა და მასწავლებლების ხელფასი 300 და 400 ლარს არ აღემატება, არც მეშახტეებსა და მაღაროელებს აქვთ მაგაზე მეტი.

**თვითმმართველობის არჩევნებზე, აი, ამ ხალხს, რომელსაც მართლა აინტერესებს საქმის ნამდვილი ვითარება, ხელისუფლებისგან განსხვავებით, ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ღირსების გრძნობა, ამიტომ არ მისცა ხმა თავის აბუჩად ამგდებთ.**

იქნებ ვინმემ მითხრას, რა უფლება გაქვს მაგის თქმისო, როცა ევროპელმა „მაყურებლებმა“ ჩვენი არჩევნები ლეგიტიმურად და დემოკრატიულად სცნეს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელსაც შალახოს აკონპანიმენტის ფონზე მოაწერა ხელი საგარეო საქმეთა მინისტრმა, დიდი ზარზეიმით იქნა რატიფიცირებული პარლამენტში, სადაც, სხვათაშორის, თვით შტეფან ფულეც ბრძანდებოდა, ამაზე მეტი რაღა გინდაო?!

ამის საპასუხოდ ერთი ანეკდოტივით ამბავი მახსენდება: ერთმა გლეხმა თავისი ვაჟი სასწავლებლად ევროპაში გაგზავნა, წლების შემდეგ ვაჟი დაუბრუნდა ოჯახს. ოჯახმა სუფრა გაუშალა ევროპულად განათლებულ შვილს. მამამ ჰკითხა:

— რა ისწავლე და რა შეგიძლია?

— ფილოსოფია ვისწავლე, მამაო, — უპასუხა ვაჟმა.

— ეგ რას ნიშნავს, რისი გაკეთება შეგიძლია მაგ ცოდნით? — ჰკითხა მამამ.

— რა და, მე შემიძლია დაგიმტკიცო, რომ ამ სუფრაზე ერთი მოხარშული დედალი და ერთი დოქი ღვინო კი არ არის, როგორც შენ ფიქრობ, არამედ ორი დედალი და ორი დოქი ღვინო, — აუხსნა შვილმა.

— კარგი დაგემართოსო. ახლა მე ყანაში მივდივარ სამუშაოდ, ამ დედალსა და დოქით ღვინოს მე წავიღებ; აი ის, შენ რომ დაამტკიცებ, თვითონ მიირთვიო, — უთხრა მამამ, მოჰკიდა ხელი დოქს, მოხარშულ დედალს და წავიდა ყანაში.

**აი, ასე უზამს ხალხი ხელისუფლებასა და მათ „ფილოსოფოს“ დამრიგებლებს, როცა იქნება, და კონტაქტურ ჭიტლაყსაც მიაყოლებს უთუოდ!**

**ზურაბ ცუცქირიძე**

**არაეროვნულ პოლიტიკანებსა და უცხოელთა ინტერესებს ეწირება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მოაზროვნე ქართველი საზოგადოების ინტერესებიც და ის საჯიშე ბიჭებიც, უცხოელთა გულის მოსაგებად რომ იგზავნებიან ავღანეთსა თუ აფრიკაში. ანტიდისკრიმინაციულ კანონსა და ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმომწერი ახალგაზრდა პრემიერიც შეწირულია მავანთა ინტერესებს.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსხვერპლშეწირვა ქართულად

**2011 წლის დეკემბერში გავხდი „ქართული ოცნების" წევრი ქართული სახელმწიფოს შექმნის იმედით და ვიყავი მისი აქტიური მხარდამჭერი. დღეს კი საჯაროდ ვაცხადებ, რომ საკუთარ თავს ამ პარტიის რიგებში აღარ განვიხილავ. არ შევჩერდები იმ მიზეზებზე, რომლებიც ყველა პატრიოტი ქართველისთვის ნათელია. ყურადღებას გავამახვილებ იმ ფაქტორზე, რომელსაც ეწირება საქართველო – ჩვენი სამშობლო.**



„უპირველესად, ვაღმერთებ ქართველს და მერე — ვისიც რამდენი მმართებს"... — უთქვამს დიდ პოეტს. ეს თეზა ისე „გააცნობიერა" საქართველოს ხელისუფლებამ და ისე მოაწერა ხელი ასოცირების ხელშეკრულებას, რომ საკუთარი მოსახლეობისთვის ევროკავშირის წევრობაზე თანხმობა არც უკითხავს. თანაც თვალებში გვიყურებს და ნაცარს გვაყრის, — ეს თქვენი ისტორიული არჩევანიაო(?!), დემოკრატობანას თამაშსაც კი თავი დაანებეს — რეფერენდუმი არ ჩაატარეს და იმ უარყოფით შედეგებზეც არ გაამახვილეს ყურადღება, რომლებიც შეიძლება ამ ხელშეკრულებას მოჰყვეს. **ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა საქართველოს არჩევანი კი არა, კუდმოქიცინე არსებად ქცეული ხელისუფლების არჩევანია, დიდი მეცენატისა და ქველმოქმედის მიერ ბეჭედდასმული, რომელიც აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე უარის თქმის ტოლფასია.**

„საქართველო სხვას მივცე, ჩემი სამშობლო მივცე სხვას? — ეს სურვილი მაქვს?" – იკითხა ქველმოქმედმა. აფხაზეთ-სამაჩაბლოს სამშობლოდ აღარ თვლის და ამერიკა-ევროპის მითითებებს, რომლებიც საქართველოსათვის დამანგრეველია, გულმოდგინედ ასრულებს. მეტიც — **ინვესტორებად მოხსენიებულ უცხოელებზე კვლავ დაიწყეს მიწების გასხვისება, მიუხედავად პატრიარქის მოწოდებისა, რომ არ უნდა გაიყიდოს ისეთი ფასეულობები, როგორიცაა მიწა და წყალი, თანაც ისეთ მცირემიწიან ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო, რომლის მოსახლეობის მესამედი ქვეყნიდან გასულია.**

ქართველებს არაფერი მართებთ არც ევროპის და არც ამერიკის, არც მათი წარმომადგენლების გაღმერთებას აპირებენ. აი, ამ ხელისუფლების წარმომადგენლები კი, რომლებიც ევროსტანდარტების შესაბამისად ფინანსდებიან, ხალხს უფრო დაშორდნენ. **უპრიანი იქნება, თუ ბატონი ივანიშვილი მის მიერ არჩეულ პარლამენტს თვითონ დააფინანსებს და ისევე გადაუხდის ხელფასს, როგორც სააკაშვილის ხელისუფლებას უხდიდა,** თუნდაც სოროსის სახელით. **ხალხის ჯიბიდან ამოღებული ფული კი ისევ ჩვენს ხალხს უნდა მოხმარდეს და არა ხელისუფლების იმ სიმაძღრისღიმილიან წარმომადგენლებს, რომელთა აზრითაც, ეს ის ფულია, რომლისთვისაც ღირს ემსახურო სამშობლოს(?!).** სამარცხვინოა, როცა მინისტრი გვეუბნება, ნაკლები ანაზღაურებით ქვეყანას არ მოვემსახურებიო. არადა, ქართველი ოდითგან საკუთარი სიცოცხლის ფასად ემსახურებოდა ქვეყნის მთლიანობას, ახლაც მოიძებნება უამრავი პატრიოტი ქართველი, რომელიც გაცილებით მცირე ანაზღაურებით მოემსახურება თავისი ქვეყნის ინტერესებს.

**საზოგადოება მოტყუებულიც არის და ღირსებაშელახულიც, რისი შედეგიც იგემა ხელისუფლებამ ადგილობრივ არჩევნებზე, მაგრამ, სააკაშვილის მიერ 2008 წლის ომის შეფასებისა არ იყოს, „გამარჯვება" იზეიმა...**

გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება" ხელისუფლების სათავეში მოვიდა, ბიძინა ივანიშვილის ფინანსები გაორმაგდა. ამას მხოლოდ მივესალმები, **ექსპრემიერმა იქნებ ინებოს და აშშ-ს ის თანხა**

**უპრიანი იქნება, თუ ბატონი ივანიშვილი მის მიერ არჩეულ პარლამენტს თვითონ დააფინანსებს და ისევე გადაუხდის ხელფასს, როგორც სააკაშვილის ხელისუფლებას უხდიდა. ხალხის ჯიბიდან ამოღებული ფული კი ისევ ჩვენს ხალხს უნდა მოხმარდეს და არა — ხელისუფლების იმ სიმაძღრისღიმილიან წარმომადგენლებს, რომელთა აზრითაც, ეს ის ფულია, რომლისთვისაც ღირს ემსახურო სამშობლოს**

**გადაუხადოს, რომელიც საქართველოსთვის გაიღო და ამ ქვეყნის დიქტატისგან გაგვათავისუფლოს,** მაგრამ ეს კი არა, წამგებიანიაო და, „ლაგუნა-ვერეც" კი დაუხურა თბილისის ახალგაზრდობას — ერთადერთი კომპლექსი, რომლის ანალოგიც მხოლოდ მოსკოვშია.

**ქვეყანაზე მზრუნველის ნიღაბაფარებულმა ხელისუფლებამ იქნებ იაპონური მოდელი აირჩიოს, რომლის მიხედვითაც, ხელისუფლების წარმომადგენლებს მინიმალური ანაზღაურების ხუთმაგი ოდენობა ენიშნებათ და მხოლოდ მინიმალური ხელფასის მატების პროპორციულად ხდება მათი შემოსავლების ზრდაც.**

**ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს საარსებო მინიმუმზე 42-ჯერ მაღალ ხელფასზეც კი პროტესტი უჩნდებათ და კიდევ ითხოვენ მომატებას.** მათ თავიანთი უვიცობა თვითონვე აღიარეს, როცა გერმანელი სპეციალისტები მოიწვიეს ამ საკითხის გადასაწყვეტად და ფულიც გადაუხადეს.

დღეს საქართველოს სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლების სირბილი ამერიკასა და ბრიუსელში და იქაურთათვის საკუთარი სამსახურის შეთავაზება მოდურ ტენდენციად იქცა. ამერიკა და იქაური სენატორები საქართველოს კეთილდღეობით არასდროს დაინტერესდებიან და ისინი მოაზროვნე ქართველისთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენენ.

ყველა ქვეყანაში საქართველოს ინტერესი უნდა დავიცვათ — ეს აქსიომაა და მტკიცებას არ საჭიროებს, მაგრამ ერთია, ქვეყნის მომავალზე ფიქრი, მეორე — მისი მიღწევის გზები საიმედო და მისაღები თუ არის ქვეყნისათვის. მოვიყვან 2 თვალსაზრისს ბატონი თარხან-მოურავისა, რომელიც ტელეარხ „ობიექტივის" პირდაპირ ეთერში გამოსვლისას ტელემაყურებელმა ორმაგი სტანდარტის გამოყენებაში დაადანაშაულა:

**„ნატო კარგია, მაგრამ არ გვიღებენ".** არც ერთი ეროვნული ძალა არ ფიქრობს, რომ ნატო კარგია. ის არის ორგანიზაცია, რომელიც ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსის შეცვლასა და მათ დაშლა-დანაწევრებას ემსახურება;

**ნებისმიერი პარტია, რომელიც საგარეო პრიორიტეტად დასავლეთს აირჩევს, საქართველოს ნგრევას შეუწყობს ხელს,** რაც უკვე ნათლად ჩანს. **ბრიუსელსა და ამერიკის ნაცვლად იქნებ რუსეთში წაბრძანდნენ, იქ, სადაც ჩვენი სამშობლოს განმთლიანების ბედი წყდება.**

სიბრძნითა და პატრიოტიზმით ხელისუფლების ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ შეედრება ჩვენს ეროვნულ გმირს — მეფე ერეკლეს, რომელმაც მცირე ბოროტება აირჩია, რუსეთის სახით, და ამით გადაარჩინა ქართველი ერი სულიერ და ფიზიკურ განადგურებას. ამასვე ასაბუთებს სტალინი, რომ რუსეთი ორ მუსლიმანურ სახელმწიფოსთან შედარებით თავისი კულტურითა და რელიგიით უფრო ახლოს იყო საქართველოსთან.

ბატონი ივანიშვილის უარყოფითი დამოკიდებულება სტალინის მიმართ იმ შეფასებითაც გამოიხატა, სააკაშვილს რომ უძღვნა „კომპლიმენტად", — პატარა სტალინიაო. არადა, სტალინს არც უცხო ქვეყნის მონობა უტვირთია ამ ხელისუფლების მსგავსად და არც ეკლესიის კარი შეულეწავთ მისი ბრძანებით, არც ტერიტორიები დაუკარგავს, პირიქით — შემოიერთა, გააძლიერა ქვეყანა და მასონური ძალებისგან დაიცვა.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა — **რადოსლავ სიკორსკიმ პოლონეთისა და ამერიკის ურთიერთობის მწვავე შეფასება გააკეთა, რომელიც უსაფრთხოების ყალბ განცდას იწვევს და ეს ურთიერთობა ორალურ სექსს შეადარა.** მსგავსი შედარება საქართველოსა და ამერიკის ურთიერთობის დასახასიათებლადაც შეიძლება გამოვიყენოთ. დასავლეთისადმი განსაკუთრებული ლტოლვით კი პარლამენტის „დირიჟორი" გამოირჩევა თავისი პათეტიკით: **„ნატოს გარეშე საქართველო რუკიდან გაქრება"; „ევროპა არის ყველაზე სამართლიანი, ყველაზე თავისუფალი**"... ეს სამართლიანი ევროპა კრიმინალის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევით ცდილობს ყოფილი ხელისუფლების დაცვას. ევროპა ზნეობრივი ნორმებიდანაც თავისუფალია — სწორედ მათი ძალისხმევით მივიღეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელსაც „საბას" პრემიის ლაურეატ მწერლად წოდებული უზნეონი მიესალმებიან მხოლოდ.

**არაეროვნულ პოლიტიკანებსა და უცხოელთა ინტერესებს ეწირება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მოაზროვნე ქართველი საზოგადოების ინტერესებიც და ის საჯიშე ბიჭებიც, უცხოელთა გულის მოსაგებად რომ იგზავნებიან ავღანეთსა თუ აფრიკაში.**

**ანტიდისკრიმინაციულ კანონსა და ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმომწერი ახალგაზრდა პრემიერიც შეწირულია მავანთა ინტერესებს. არადა, გენეტიკურად ვგრძნობ, მას ქართული სული აქვს და ქართული საქმის კეთება უნდა.**

დასასრულ, ისევ დიდი პოეტის შეგონებას მოვიშველიებ: „ლამაზი არ არის, სამშობლო ხელთ ეპყრას ბობოლას ათიოდეს?".

**იზა თამაზაშვილი**

**ქვეყანაზე მზრუნველის ნიღაბაფარებულმა ხელისუფლებამ იქნებ იაპონური მოდელი აირჩიოს, რომლის მიხედვითაც, ხელისუფლების წარმომადგენლებს მინიმალური ანაზღაურების ხუთმაგი ოდენობა ენიშნებათ და მხოლოდ მინიმალური ხელფასის მატების პროპორციულად გაიზრდება მათი შემოსავლები**

## დემურ გიორხელიძე: სააკაშვილი სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს!

**ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე თვლის, რომ მიხეილ სააკაშვილი სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს.**

„სასამართლო გადაწყვეტს, დამნაშავეა ის თუ არა. როდესაც საფრანგეთის ექსპრეზიდენტი დააკავეს, მსოფლიოს ვერც ერთმა უფლებადამცველმა და ევროკავშირის წევრებმა სიტყვის თქმაც ვერ გაბედეს, რომ ეს პოლიტიკური დევნა იყო. საქართველოში ასე არ ხდება. ყველა აძლევს თავს უფლებას, რომ ჩვენს საქმეებში ჩაერიოს. უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველმა ლუცენკომ კი საქართველოს „პანჩური ამოარტყა" და ასწავლა, როგორ უნდა მიიღოს სასამართლომ გადაწყვეტილება.

ეს ჩვენი შეურაცხყოფაა. თუმცა, ჩვენ ვაძლევთ ამის უფლებას ყველას. ამიტომ ვფიქრობ, რომ, თუ ხელისუფლება საზღვარგარეთ არსებული ინტერესების გამო უარს იტყვის სააკაშვილის სამართლებრივ დევნაზე, მაშინ ხელისუფლება უდიდეს შეცდომას დაუშვებს!" — განაცხადა დემურ გიორხელიძემ.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ადამიანის ორგანიზმში 65% წყალია (ძვლებშიც კი 22%-ია). 10% წყალიც რომ დავკარგოთ, შეიძლება გული შეგვიწუხდეს. სითხეზე ორგანიზმის მოთხოვნა განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში ძლიერდება, ამიტომ დაკარგული სითხის ასანაზღაურებლად ადამიანმა დღე-ღამის განმავლობაში სულ ცოტა ერთი ლიტრი წყალი მაინც უნდა მიიღოს.**



# ყველაფერი ნატურალური წვენების შესახებ



**ნატურალური არის მხოლოდ ის წვენი, რომელსაც სახლში გამოვწურავთ ცოცხალი ხილისა და ბოსტნეულისგან. დანარჩენ შემთხვევებში მცნება „ნატურალური“ გულისხმობს ნატურალური კონცენტრატისგან დამზადებულ წვენს და ეს სულ სხვა რამ არის. მასში აუცილებლად არის შერეული სპეციალური დანამატები, რომლებიც ახანგრძლივებს მისი შენახვის ვადას.**



100%-ით ნატურალური წვენი ორნაირად მზადდება: პირდაპირი გამოწურვით და კონცენტრირება-აღდგენით. პირველ შემთხვევაში წვენს ახალი ან ახალგაყინული ხილის, კენკრის, ბოსტნეულის მექანიკური გამოწურვით იღებენ, შემდეგ კი აკონსერვებენ თერმული დამუშავების — პასტერიზაციის ან სტერილიზაციის გზით. ასეთი წვენი 20 დღიდან 3 თვემდე ინახება, თანაც შენახვისას ტემპერატურული რეჟიმის მკაცრ დაცვას საჭიროებს. ყოველივე ამის გამო პირდაპირი გამოწურვით მიღებული წვენი შედარებით ძვირია.

დამზადების მეორე მეთოდი ასეთია: პირდაპირი გამოწურვით მიღებულ წვენს ვაკუუმში დაბალი წნევის ქვეშ აქცევენ და აორთქლების გზით აშორებენ წყალს (ასეთ პირობებში წყალი 65-70 გრადუსამდე დუღდება). თერმული დამუშავების ამგვარი რეჟიმი წვენს ვიტამინებს უნარჩუნებს და აფერხებს მასში ბაქტერიების გამრავლებას. კონცენტრირებულ წვენს — სქელ სიროფს — დაბალ (-18 ) ტემპერატურაზე ინახავენ. მისი შენახვა და ტრანსპორტირება შედარებით ადვილია.

ამგვარი კონცენტრატისგან ნატურალური წვენის მისაღებად საკმარისია, მას იმდენივე წყალი დაამატონ, რამდენიც მოაშორეს (წყალი მაღალი ხარისხისა უნდა იყოს). წყალთან ერთად წვენს ამატებენ არომატულ ნივთიერებებს, რომლებიც მას ბუნებრივ გემოსა და სურნელს აძლევს.

ხილის წვენები და ნექტარები პოპულარული და სასარგებლო პროდუქტია. ორივე მათგანი მწიფე ხილის დაქუცმაცება-გამოწურვით მიიღება. განსხვავება ნექტარსა და წვენს შორის მხოლოდ დამატებული წყლის რაოდენობაშია: წვენში წყალი დამატებული საერთოდ არ უნდა იყოს. საერთაშორისო სტანდარტით, წყლის დამატება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი, შენახვის მიზნით, ამ წვენიდან წყალი წინასწარ ააორთქლეს (ანუ წვენის კონცენტრატი მოამზადეს).

ნექტარი სწორედ წყლით განზავებული წვენი ან ხილის რბილობია (შესაბამისად, ნექტარი წვენზე იაფი ღირს). სხვადასხვა ხილის ნექტარში 50-75%-მდე წყლის შემცველობა დაიშვება. თუკი პროდუქტი უფრო მეტადაა განზავებული, მისთვის „ნექტარის“ დარქმევა აღარ შეიძლება, ეს უკვე ხილის სასმელია.

ალბათ, შეგინიშნავთ, რომ ზოგიერთი წვენი გამჭვირვალეა, ზოგი კი — მღვრიე. ამის მიზეზი ისაა, რომ ზოგიერთი ხილისა და კენკრის წვენი რბილობს საკმაოდ ცუდად შორდება (მაგალითად, ატმის, გარგლის, ქლიავის, ალუბლის, მოცხარის), ამიტომ დაშვებულია, რომ წვენი ამ ხილის რბილობს (ხილფაფას) შეიცავდეს. ასეთი წვენები მღვრიე გამოდის, მაგრამ ეს მათ ხარისხს არ ამცირებს, პირიქით — ისინი გამჭვირვალე წვენებზე უფრო სასარგებლოა.

**გასაყიდი წვენებისთვის დაშვებულია შაქრის, სიროფის, ლიმონის წვენის (სტანდარტით არ დაიშვება ლიმონის წვენისა და შაქრის ერთდროული დამატება), ვიტამინების, მინერალების, ზოგ შემთხვევაში (ტომატის წვენში) მარილისა და სანელებლების დამატება. თუმცა ყველა ნივთიერება, რომლებიც წვენის გამოწურვის შემდეგ პროდუქტს დაუმატეს, ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს.**

სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირია წვენების ფალსიფიცირება — მათი განზავება წყლით ან სხვა, უფრო იაფფასიანი წვენით (ვაშლის, მანდარინის, გრეიფრუტის წვენით), ან წვენის დამზადება ხილის დაწნეხვის შემდეგ დარჩენილი მასის გამორეცხვით. ასეთ წვენებს ნატურალური ფერისა და გემოს მისაცემად უმატებენ სხვადასხვა საღებავს, არომატიზატორებს, დამატკბობლებს. ამგვარი ფალსიფიკაციის გამოვლენა ძირითადად მხოლოდ ლაბორატორიული კვლევის შედეგად არის შესაძლებელი, მაგრამ წვენებში ზოგიერთი არასასიამოვნო დანამატის გამოვლენა სახლის პირობებშიც შეიძლება.

მაგალითად, **ძალიან იოლია გაარკვიოთ, შეიცავს თუ არა წვენი კონსერვანტებს. ამისათვის გადმოასხით წვენი ჭიქაში და გააჩერეთ თბილ ოთახში. თუ პროდუქტი კონსერვანტს არ შეიცავს, მან მეორე დღესვე უნდა დაიწყოს „დუღილი“** (ბაქტერიული დუღილი, რომელსაც თან ახლავს ბუშტუკების წარმოქმნა და პროდუქტის ამჟავება)**. თუ წვენმა 2-3 დღის განმავლობაში დუღილი არ დაიწყო, ეს იმას ნიშნავს, რომ მასში კონსერვანტია დამატებული.**

არსებობს, აგრეთვე, რამდენიმე მარტივი მეთოდი წვენებში ხელოვნური საღებავების აღმოსაჩენად. მაგალითად: ცოტაოდენ წითელი ფერის წვენს დაუმატეთ სოდა და აანჯღრიეთ. თუ წვენის ფერი შეიცვალა (მოლურჯო გახდა), ეს ნიშნავს, რომ წვენის ფერი ნატურალურია. თუ წვენის ფერი არ შეიცვალა და კვლავ ისეთივე წითელი დარჩა, როგორიც იყო, ეს ხელოვნური საღებავია.

**კიდევ ერთი მარტივი ცდა: აიღეთ 1 ჩაის კოვზი წვენი და დაამატეთ 3-4 წვეთი 10%-იანი ამიაკის წყალხსნარი (ანუ ნიშადურის სპირტი) და ნარევი მიიყვანეთ ადუღებამდე. თუ წვენი ნატურალურია, იგი გამუქდება, ხოლო თუ წვენს სინთეზური საღებავი აქვს დამატებული, მისი ფერი არ შეიცვლება.**

არ მოგატყუოთ შეფუთვაზე წარწერამ მასში დიდი ოდენობით C ვიტამინის შემცველობის თაობაზე. C ვიტამინი, ანუ ასკორბინის მჟავა, თავისთავად კონსერვანტია და მას ხშირად ამ მიზნით უმატებენ პროდუქტებს, ამიტომ მისი დიდი ოდენობა პროდუქტში ყოველთვის ნატურალურობის მაჩვენებელი არ არის. (სტანდარტი კრძალავს კონსერვანტად დამატებული ასკორბინის მჟავის, როგორც C ვიტამინის ეტიკეტზე მითითებას, თუმცა ყველა მეწარმე არ იცავს ამ მოთხოვნას.

წვენებში ვიტამინების შემცველობა ხილის სახეობაზეა დამოკიდებული. წვენები ორგანიზმის მიერ სრულად და სწრაფად სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში აითვისება. მათ ორგანიზმიდან არასწორი კვების შედეგად დაგროვილი მკვდარი უჯრედების ნარჩენები გამოაქვთ. სხვადასხვა ხილისგან დამზადებულ ნატურალურ წვენებში შემავალი მინერალური ნივთიერებები აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს, აძლიერებს იმუნურ სისტემას, აჯანსაღებს კუჭ-ნაწლავის მიკროფლორას, მნიშვნელოვან როლს ასრულებს გულ-სისხლძარღვთა პრობლემების პრევენციაში, შეუცვლელია წონის პრობლემის მქონეთათვის.

**ძალიან იოლია გაარკვიოთ, შეიცავს თუ არა წვენი კონსერვანტებს. ამისათვის გადმოასხით წვენი ჭიქაში და გააჩერეთ თბილ ოთახში. თუ პროდუქტი კონსერვანტს არ შეიცავს, მან მეორე დღესვე უნდა დაიწყოს „დუღილი“ . თუ წვენმა 2-3 დღის განმავლობაში დუღილი არ დაიწყო, ეს იმას ნიშნავს, რომ მასში კონსერვანტია დამატებული**

**ადამიანის ორგანიზმში 65% წყალია (ძვლებშიც კი 22%-ია). 10% წყალიც რომ დავკარგოთ, შეიძლება გული შეგვიწუხდეს. სითხეზე ორგანიზმის მოთხოვნა განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში ძლიერდება, ამიტომ დაკარგული სითხის ასანაზღაურებლად ადამიანმა დღე-ღამის განმავლობაში სულ ცოტა ერთი ლიტრი წყალი მაინც უნდა მიიღოს.** ამ შემთხვევაში აუცილებელია ნატურალური წვენებით დატვირთვა, რაც სითხის დანაკარგის შევსებასთან ერთად ცოცხალი ვიტამინებითაც გვამდიდრებს. თუმცა წვენების მნიშვნელობა აქტუალობას არც ზამთარში კარგავს. როდესაც წელიწადის ცივ დროს ცოცხალი ხილის ნაკლებობას განვიცდით, პასტერიზებული წვენები მის დანაკლისს გვინაზღაურებს.

**ყველაზე სასარგებლო წითელი ფერის გრეიფრუტის წვენია, რომელიც ბიოფლავონოიდებს შეიცავს და ანტიოქსიდანტური თვისება აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი წყალობით ორგანიზმი დაცულია კიბოსგან და სხვა სერიოზული დაავადებებისგან**



წვენებით თერაპიის ფუძემდებლად შოტლანდიელ-ამერიკელი ბიზნესმენი და ჯანმრთელი კვების პროპაგანდისტი, დოქტორი ნორმან უოკერი ითვლება. მან ნატურალური ახალგამოწურული წვენების ათობით ფორმულა შეიმუშავა სხვადასხვა ავადმყოფობის სამკურნალოდ. იგი თვლიდა, რომ წვენი აუცილებლად ახლადგამოწურული უნდა იყოს და მათი მიღება დღეში ნახევრიდან სამ ლიტრამდე აუცილებელია. თუმცა თანამედროვე მედიცინა ამას უარყოფს, რადგან ზოგიერთი წვენის გადაჭარბებული დოზით მიღებას გარკვეული სახის უკუჩვენებები ახასიათებს. „წყურვილი გაწუხებთ? — წყლის ნაცვლად დალიეთ ერთი ჭიქა წვენი!“ — ამბობდა ნორმან უოკერი. თავად მან თითქმის ასი წელი იცოცხლა.

დასავლეთში და ევროპის მრავალ ქვეყანაში საუზმეზე ფორთოხლის ნატურალური წვენის მიღება უკვე ტრადიციაა. არანაკლებ პოპულარულია ამ ქვეყნებში გრეიფრუტისა და ლიმონის ნატურალური წვენიც. დიეტოლოგების აზრით, საუზმეზე ფორთოხლისა და გრეიფრუტის ნატურალური წვენის მიღება მთელი დღის განმავლობაში ენერგიულობისა და მხნეობის გარანტიაა. აღსანიშნავია, რომ **ყველაზე სასარგებლო წითელი ფერის გრეიფრუტის წვენია, რომელიც ბიოფლავონოიდებს შეიცავს და ანტიოქსიდანტური თვისება აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი წყალობთ ორგანიზმი** ▶

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ცოლ-ქმარი, რომელმაც ფიცი შეასრულა

**1951 წელს ბობ და ბარბარა პეტისებმა 63 წლის წინ ფიცი დადეს, რომ ერთმანეთი მანამდე ეყვარებოდათ, ვიდრე სიკვდილი არ დააშორებდათ და ეს ფიცი მტკიცედ შეასრულეს.** 82 წლის ბარბარა 30 ივნისის დილას გარდაიცვალა ოკლაჰომის მოხუცთა თავშესაფარში. 85 წლის ბობი, რომელიც საავადმყოფოში იწვა პნევმონიით დაავადებული, ცოლის გარდაცვალებიდან რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა. მათ შვილს კლეი პეტისს ეს ამბავი სულ არ აოცებს და ამბობს: „დამთხვევების არ მჯერა, მამასთვის არ მითქვამს, რომ დედა გარდაიცვალა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თავად იცოდა“.

ცოლ-ქმარს დარჩა სამი შვილი, 11 შვილიშვილი და 5 შვილთაშვილი.

◀ **დაცულია კიბოსგან და სხვა სერიოზული დაავადებებისგან.** გარდა ამისა, ეს ნივთიერებები არტერიებსა და სისხლძარღვებს ათეროსკლეროზისგან იცავს.

ხალხური მედიცინა კი კომბოსტოს ნატურალურ წვენზე აკეთებს აქცენტს. მისი დახმარებით ორგანიზმიდან წიდები გამოიდევნება, მცირდება ქოლესტერინის დონე, იოლდება კუჭის წვენის გამოყოფა, მას ძლიერი ნაღველმდენი თვისებაც აქვს. ახლახან მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თეთრი კომბოსტო შეიცავს უამრავ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას, რომლებიც ხელს უწყობს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის შეხორცების პროცესს.

ინგლისელები ამტკიცებენ, რომ, თუ ადამიანი დღეში ერთ ვაშლს მიირთმევს, ეს გარანტიაა, რომ მის ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქრება. ვაშლის ნატურალური წვენი გაჯერებულია ისეთი ვიტამინებითა და მინერალებით, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ისინი აუმჯობესებენ საჭმლის მონელების პროცესს, აძლიერებენ იმუნურ სისტემასაც, აჯანსაღებენ კუჭ-ნაწლავის მიკროფლორას.

**ქაცვის ნატურალური წვენი** შეუდარებელია. ის სასარგებლო თვისებებით ჯობნის მანგოს, ფორთოხლის, ატმის, მანდარინის წვენს. ძვირფასი ფიტოკომპლექსი, რომელსაც ქაცვის წვენი შეიცავს, ორგანიზმს გასტრიტისგან, კუჭის წყლულის განვითარებისგან, ჰერპესისგან იცავს, ამაგრებს ღრძილებს, აძლიერებს იმუნიტეტს, იცავს ორგანიზმს კიბოსგან, ასევე გააჩნია მზის მავნე ზემოქმედებისგან დაცვის უნარიც.

**სტაფილოს წვენი** კაროტინის წყაროა. ის A ვიტამინის პროვიტამინია. ასევე შეიცავს B, C და D ვიტამინებს, ნატრიუმს, კალციუმს და რკინას. მიუხედავად იმისა, რომ სტაფილო ნარინჯისფერია, ალერგიულ რეაქციას თითქმის არ იწვევს.

**ფორთოხლის** წვენი მდიდარია C ვიტამინით, მასში B ვიტამინის შემცველობა უტოლდება ამ ვიტამინის შემცველობას რძეში. ფორთოხლის წვენი ამაღლებს იმუნიტეტს, ამაგრებს სისხლძარღვებს. გამოიყენება ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის და ღვიძლის ავადმყოფობის დროს. კუჭ-ნაწლავის პრობლემებისას არ არის რეკომენდებული.

**გრეიფრუტის** წვენი შეიცავს შაქარს, ორგანულ მჟავებს, C და B ჯგუფის ვიტამინებს;

**ატმის წვენი** შეიცავს შაქარს, მჟავებს, პექტინოვან ნივთიერებებს. აუმჯობესებს თირკმლის მუშაობას. რეკომენდებულია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და ანემიის დროს.

**ანანასის წვენი** შეიცავს თითქმის ყველა ვიტამინს. ხელს უწყობს გახდომის პროცესს. რეკომენდებულია სტრესის, თირკმელებთან დაკავშირებული პრობლემებისა და ანგინის დროს.

**ბანანის წვენში** ბევრია ნახშირწყლები, A, C და B ჯგუფის ვიტამინები, ორგანიზმიდან გამოაქვს შლაკები და სითხეები.

**ალუბლის წვენი** აძლიერებს ორგანიზმს და აუმჯობესებს მადას. ახასიათებს ანტიანთებითი მოქმედება. შეიცავს ვიტამინებს B1, B9, რკინას, ფოლიუმის მჟავას. სასარგებლოა დაბალი ჰემოგლობინის დროს, ამაგრებს სისხლძარღვებს. მისი მიღება არ არის რეკომენდებული გასტრიტის და წყლულის დროს.

**ტომატის წვენი** კლავს წყურვილის შეგრძნებას, შეიცავს C ვიტამინს.

**ქლიავის წვენი** მდიდარია კალიუმით. სასარგებლოა კუჭ-ნაწლავის პრობლემების დროს. დევნის ორგანიზმიდან სითხესა და მარილებს.

**ყურძნის წვენი** აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ეფექტურია გასტრიტის, ანემიის და მაღალი წნევისას. დადებითად ზემოქმედებს ნერვულ სისტემაზე. მდიდარია ნახშირწყლებით.

**გარგრის წვენი** შეიცავს კალიუმს, სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას, აძლიერებს გულის კუნთს. არ არის რეკომენდებული დიაბეტის დროს.

**ბროწეულის წვენი** მდიდარია ასკორბინით, შაქრით, ტანინებით, კარგად კლავს წყურვილს. სასარგებლოა თირკმელებისა და ნაღვლის ბუშტისთვის.

**ჭარხლის წვენი** ხელს უწყობს სისხლის წითელი სხეულების დონის მომატებას. დადებითად მოქმედებს ღვიძლზე.

ნატურალური წვენებით თერაპიას უარყოფითი მხარეებიც აქვს. მკურნალობის ეს მეთოდი გარკვეულ შეზღუდვებს და ზომიერების დაცვას მოითხოვს. მაგალითად, კატოფილის ნატურალური წვენი არტერიულ წნევას დაბლა სწევს. არ არის რეკომენდებული დიაბეტით დაავადებულებისთვის, რადგან მასში დიდი რაოდენობითაა სახამებელი.

სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო სტაფილოს წვენის მიმართაც. ჭარბად მისი მიღება პირდაპირი გზაა ჰიპერვიტამინოზისკენ.

წვენი ცოცხალ ხილს, ცხადია, ვერ შეცვლის. ცოცხალ ხილსა და ბოსტნეულში სასარგებლო ნივთიერება გაცილებით მეტია — ვიტამინებსა და უჯრედისს ხომ არა მარტო რბილობი, არამედ ქერქიც შეიცავს, ამიტომ ბავშვის ყოველდღიურ რაციონში აუცილებლად უნდა შედიოდეს ცოცხალი ხილი და ბოსტნეული, განურჩევლად იმისა, რამდენ წვენს იღებს პატარა. წვენი შეიძლება ჩავთვალოთ როგორც ვიტამინებისა და მინერალური მარილების (უმთავრესად C ვიტამინის, რკინის, კალიუმის) დამატებითი წყარო, განსაკუთრებით ზამთარში, როდესაც ორგანიზმისთვის ესოდენ აუცილებელი ხილი და ბოსტნეული ცოტაა. წვენი გლუკოზისა და ფრუქტოზის წყაროცაა, გაუმჭვირვალე წვენში კი შედის ნივთიერება პექტინი, რომელიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალურ მოქმედებას უზრუნველყოფს და სისხლში ქოლესტერინის შემცველობას ამცირებს. 2-3 წლის ბავშვმა დღეღამეში 1-2 ჭიქა წვენი უნდა დალიოს, ზაფხულში დასაშვებია 2-3 ჭიქაც.

ნუ დაიზარებთ, შვილს თავად გამოუწუროთ ახალი ხილისა თუ ბოსტნეულის წვენი. მინის ბოთლებსა თუ მუყაოს კოლოფებში ჩამოსხმულ მზა წვენებთან მისი შედარება არც ღირს.



## გიგანტური ლენდ არტი

**თანამედროვე ხელოვნება ხშირად გალერეების კედლებს სცდება და ისეთ ადგილებს აღწევს, რომლებიც, ტრადიციულად, ხელოვნებისგან საკმაოდ შორსაა. ძალიან ბევრი მხატვარი რეალურ ლანდშაფტზე მუშაობს და ქმნის ნამუშევარს ღია ცის ქვეშ — ასეთ მიმდინარეობას ლენდ არტი ეწოდება.**



ლენდ-არტი ხელოვნების ერთ-ერთი მიმდინარეობაა, რომელიც ამერიკაში სამოციან წლებში წარმოიშვა, თუმცა ის საფუძველს პრეისტორიულ ეპოქაში იღებს. ლენდ არტის ზოგი ნიმუში მიუვალ ადგილას მდებარეობს, ზოგის დანახვა კი მხოლოდ თვითმფრინავიდან ან ვერტმფრენიდანაა შესაძლებელი.

გასული წლის დასაწყისში გამოქვეყნდა ლენდ-არტი — გიგანტური ქალის პორტრეტი მდელოზე, რომელიც შექმნა ხორხე როდრიგეს გერადიმ ამსტერდამის ერთ-ერთი არხის სანაპიროზე. ქალის პორტრეტი, რომელიც ხორხემ შექმნა, შეგიძლიათ დაინახოთ თვითმფრინავიდან ან ვერტმფრენიდან. ეს ნახატი 2 საფეხბურთო მოედნის ადგილს იკავებს.

ბელფასტში ჩატარებულ არტ-ფესტივალზე კი კუბელმა მხატვარმა წარმოადგინა თავისი უახლესი ფართომასშტაბიანი ნაშრომი — გოგონას პორტრეტი. ნახატი შეიქმნა GPS — ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი გლობალური სისტემის გამოყენებით და, რა თქმა უნდა, მოხალისეთა მონაწილეობით. მოხალისეები ეხმარებოდნენ ათასობით ტონა ნიადაგის გაშლაში.

## ცეროდენას ისტორია



**ალბათ, ყველა ბავშვს სმენია ზღაპარი ცეროდენაზე, მაგრამ ცოტამ თუ იცის იმის შესახებ, რომ იგი ნამდვილად არსებობს. კენადი ბრომლის, ანუ ამერიკელი ნამდვილი ცეროდენას ისტორიაც ზღაპარს ჰგავს.**

გოგონა 2003 წლის 13 თებერვალს დაიბადა, თუმცა კენადის დედამ ორსულობის მერვე თვეში შეამჩნია, რომ ბავშვის განვითარებაში რაღაც ხარვეზი იყო. ბავშვის დაბადების შემდეგ ექიმებმა პატარას დიაგნოზი დაუსვეს — თანდაყოლილი ნანიზმი (ბერძნული ნანოს — ჯუჯა, ნანოსომია, ცეროდენობა).

**ექიმების პროგნოზების თანახმად, კენადი სიმაღლეში მხოლოდ 30 სანტიმეტრით გაიზრდებოდა და მისი წონა 4 კილოგრამს არ გადააჭარბებდა. ამ დაავადებით მთელ მსოფლიოში მრავალი ადამიანი იტანჯება.**

კენადის მშობლებმა — ბრიან ჯურდინმა და კურტ ბრომლიმ გოგონა ისეთი შეიყვარეს, როგორიც არის და კომფორტისთვის ყველანაირი პირობა შეუქმნეს.

დღეს კენადი უკვე 11 წლისაა. მას უმცროსი ძმაც ჰყავს, რომელიც ჩვეულებრივ, ჯანსაღ ბავშვად ყალიბდება. მშობლებს იმედი აქვთ, რომ მათი ვაჟი ყოველთვის მოუვლის პატარა დას.





ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## რამდენი წლის სიცოცხლე აკლდებათ ჭარბწონიანებს?

**ზედმეტი კილოგრამები სიცოცხლეს გვპარავენ.** ამ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი, შვედი და ავსტრალიელი მეცნიერები. ისინი დაბეჯითებით გვირჩევენ, ჭარბწონიანობა თავიდან ავიცილოთ. სიმსუქნე ხომ მოწევაზე მავნებელია.

მაგალითისთვის, **ნორმაზე 45 კგ-ით მეტი წონა, საშუალო წონის ადამიანთან შედარებით, ადამიანს 7-დან 14 წლამდე სიცოცხლეს ჰპარავს** — ამბობენ მეცნიერები. როგორც სტატისტიკა აჩვენებს, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში არამხოლოდ მსუქანი, არამედ ზედმეტად მსუქანი ადამიანების რაოდენობა ოთხჯერ გაიზარდა.



## კარტოფილ-პომიდვრის მცენარე

კომპანიამ Thompson & Morgan (ინგლისი) გამოიყვანა ახალი ჯიშის მცენარე, რომლის ფესვებიც კარტოფილს ისხავს, ხოლო ზედა ნაწილი კი პომიდორს. კომპანიის სპეციალისტების სიტყვებით, ეს შედეგი არა გენური ინჟინერიის, არამედ მრავალსაუკუნოვანი სელექციის შედეგად მიიღეს. მიუხედავად კომპანიის წარმომადგენლების მტკიცებისა, ეს ყოველივე რთული დასაჯერებელია.

## ჭკვიანი ფანქარი iPad-ისთვის

**თანამედროვე ტექნოლოგიები და მუდმივად მოძრავი პროგრესი სულ უფრო ხშირად სთავაზობს ადამიანებს საინტერესო და უცნაურ გამოგონებებს, რომლებიც ამარტივებს ადამიანების ცხოვრებას და აუმჯობესებს მუშაობის ხარისხს. სპეციალურად iPad-ისთვის გაკეთდა ის, რაც შეუძლია ჩვეულებრივ ფანქარს ქაღალდზე.**

„ჭკვიანი ფანქარი" საშუალებას გაძლევთ, დახატოთ, გააკეთოთ მნიშვნელოვანი აღნიშვნები და ჩაიწეროთ აუცილებელი ინფორმაცია პირდაპირ iPad-ში, ეს ისევე მარტივია, როგორც ჩვეულებრივ ქაღალდზე.

ფანქარი აღჭურვილია ლითიუმ-იონური აკუმულატორით, რომლის წყალობითაც იგი იტენება ნებისმიერი USB პორტით 90 წუთზე ნაკლებ დროში. ამასთან, ერთი დატენვა საკმარისია ერთი თვის განმავლობაში.







# მძინარე მზეთუნახავის სინდრომი

**კატაპლექსია არის დაავადება, რომელიც მილიონზე მეტ ადამიანს აწუხებს. ის არის ნარკოლეფსიის ერთ-ერთი სიმპტომი და ცალკე, ნარკოლეფსიის გარეშე, ძალიან იშვიათად გვხვდება. დაავადებას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „მძინარე მზეთუნახავის სინდრომს".**

**კატაპლექსიით დაავადებული ადამიანი პერიოდულად „ითიშება", რაც გამოწვეულია იმით, რომ მისი ორგანიზმი კარგავს კუნთების მუშაობის უნარს, თუმცა პარალიზების დროს ყველაფერს ხედავს, გრძნობს და ესმის.**

გათიშვის ხანგრძლივობა და მისი სიხშირე ყველა დაავადებულ ადამიანში განსხვავებულია. ის, ძირითადად, მიმდინარეობს დიდი ემოციური დატვირთვის — სიცილის, აღტაცების, სიბრაზის, შიშის ძლიერად გამოხატვის შემდეგ. ემოციური მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ ადამიანი აღიდგენს კუნთების მუშაობის უნარს.

**კატაპლექსია ნერვული სისტემის დარღვევაა, რომლის დროსაც ჰიპოთელამუსი ვერ არეგულირებს ორექსინს** (ან განიცდის მის ნაკლებობას), **ნეიროპეპტიდურ ჰორმონს, რომელიც პასუხისმგებელია ძილის სწორად მიმდინარეობასა და მადაზე.**

ეს დაავადება არც ისე საშიშია ადამიანისთვის, თუმცა უეცარმა პარალიზებამ შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები თავის ქალასთან დაკავშირებით (ძლიერი დავარდნის შემდეგ).

დაავადებას უკვე მიუძღვნეს დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ნაჩვენებია 3 კატაპლექსიკის ცხოვრება სხვადასხვა ქვეყანაში (გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი).

პირველი არის 90 წლის ჯუნ ბერჩელზე, რომელიც 3-ჯერ მოხვდა მორგში. პირველი შეტევის დროს 20 წლის იყო. სამწუხაროდ, პარალიზება დიდხანს გაგრძელდა და მისმა მეგობრებმა და მშობლებმა ის გარდაცვლილად მიიჩნიეს. გოგონამ გაიღვიძა მორგში. იგი ამბობს: **„თვალები მორგში გავახილე. ჩემ გარშემო მკვდრები დავინახე და მივხვდი, რომ იქ ჩემი ადგილი არ იყო. წამოვჯექი და ექიმი დავინახე, შემდეგ კი ვკითხე, თუ შემეძლო პალატაში დაბრუნება. რამდენიმე წამის განმავლობაში მიყურებდა, შემდეგ კი გიჟივით დერეფანში გავარდა. ამის შემდეგ აღარ მინახავს".**



1 წლის შემდეგ მას კიდევ მოუვიდა შეტევა და გარდაცვლილად გამოცხადდა, კვლავ მორგში გაგზავნეს.

ჯუნიმ 3 დღე გაატარა იქ. ბოლოს ვიღაც შემოვიდა და გასვლის დროს კარი ღია დარჩა. ჯუნი გაიქცა. გოგონას აშინებდა საკუთარი დაავადება, რადგან გათიშვებისას ყველაფერს ხედავდა და გრძნობდა, მაგრამ ვერ ლაპარაკობდა და ამის გამო შეიძლება ცოცხლად დაემარხათ.

მეორე კატაპლექსიკი, თინეიჯერი ლუსია, რომელსაც ყოველდღიურად 10-ჯერ ან მეტჯერ ემართება შეტევები, რომელთა ხანგრძლივობაც განსხვავებულია (რამდენიმე წუთიდან რამდენიმე საათამდე). დედამისი ამბობს: **„მისი თვალებით ვხვდები, თუ როდის მოუვა შეტევა. ის სწრაფად ახამხამებს მათ, შემდეგ წყნარდება, მოდუნებულია და საპასუხო რეაქციაც ნელი აქვს".**

**დაავადება ლუსის ბევრ პრობლემას უქმნის. ხშირად შეტევები ქუჩაშიც მოსდის, ამიტომ მარტო არასდროს გადის გარეთ. მეგობრებსა თუ ნაცნობებს კი ხშირად უწევთ, აუხსნან ხალხს, თუ რა მოუვიდა ლუსის.**





## ველათერაპია

**სილამაზის მეცნიერება ყოველდღიურად ვითარდება. კოსმეტიკის მეცნიერები სულ ახალ-ახალ რაღაცებს ეძებენ, რათა რაც შეიძლება მეტად გაალამაზონ ადამიანი. ველათერაპიაზე დათანხმება, ალბათ, ნებისმიერ გოგონას გაუჭირდება, სანამ გაიგებს მის საოცარ ეფექტს. ეს თერაპია თმას ბოლოჭამიებისგან კურნავს.**

თერაპია ბრაზილიაში გამოიგონეს და იქ მას 1960 წლიდან იკეთებდნენ ქალებიცა და კაცებიც. თმის ცეცხლის ალზე გადატარების ერთი პროცედურის ღირებულება ამჟამად 150-200 აშშ დოლარია სალონებში და თმის სიგრძიდან გამომდინარე ფასი მატულობს. ამ პროცედურის შემდეგ აუცილებელია თმის სრესა, სპეციალური გელით დაზელვა და დაბანა.

ამ ხერხს რამდენიმე ცნობილი მოდელი მიმართავს, მათ შორის არიან ბარბარა ფიალო, ალესანდრა ამბროსიო, იზაბელა ფონტანა და სხვ.





ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მუმია, რომელიც თვალებს ახამხამებს

**როზალია ლომბარდო თავის მეორე დაბადების დღემდე გარდაიცვალა.** მამის სურვილით, ბავშვის გვამს ბალზამირება გაუკეთეს და შეინახეს პალერმოს კატაკომბებში (იტალიაში). კარგი ბალზამირების წყალობით გოგონა მძინარეს ჰგავდა, ვერანაირად შეატყობდით, რომ გარდაცვლილი იყო. ამის გამო ხალხი მას „მძინარე ლამაზმანს“ ეძახდა. 94 წლის შემდეგაც კი როზალის ტანი თითქმის უცვლელი დარჩა. ამ ბალზამირების საიდუმლო მხოლოდ 5 წლის წინათ გახდა ცნობილი. მაგრამ მთავარი სოცრება ბალზამირება არაა. მთავარი ისაა, რომ როზალია დღეში რამდენიმეჯერ თვალებს ახამხამებს. სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს მხოლოდ ოპტიკური ილუზიაა, რომელიც დღის მონაკვეთში რამდენიმეჯერ იცვლება სინათლის ცვლილებასთან ერთად.



# უფასო სასტუმრო

**ყოფილხართ უფასო რესტორანში, სადაც მშვენივრად მოილხენთ და ფულს არ გადაიხდით, მასპინძლებს მადლობას გადაუხდით და წახვალთ? დაუჯერებელია, მაგრამ ასეთი რესტორანი ნამდვილად არსებობს!**



ჩინეთის მთებში არის ერთი რესტორანი, რომელშიც ყველას უფასოდ უმასპინძლდებიან, მაგრამ ამ რესტორნამდე რომ მიაღწიოთ, მთელი რიგი დაბრკოლებების გადალახვა მოგიწევთ.

თავიდან თითქოს ძნელი არაფერია — რესტორნისკენ მიმავალი გზა საბაგირო გზით იწყება.

როდესაც საბაგირო გზით ერთ-ერთ მთაზე ახვალთ, იწყება ძნელი გასეირნება 40 სანტიმეტრის სიგანის ხიდზე, რომელიც მთაზეა მიმაგრებული....

თითქოს ესეც არაფერია, მაგრამ ამ ხიდზე შეგხვდებათ მოულოდნელი სირთულე... — რესტორნიდან მომავალ ადამიანებს, რომლებიც იმავე გზით ბრუნდებიან უკან, როგორმე გვერდი უნდა აუქციოთ....

ამ დაბრკოლების გადალახვის შემდეგ კლდეზე ცოცვა იწყება.

ჯაჭვი კლდეზეა დამაგრებული, ხელები ამ ჯაჭვს უნდა ჩასჭიდოთ, ფეხებით კი კლდეზე სპეციალურად გაკეთებულ ღრმულებში მოეჭიდოთ და ზემოთ ისე აძვრეთ.

ბოლოს რესტორნამდე მიმავალი გზის გავლა მოგიწევთ მთის ვიწრო ქედზე.

როდესაც რესტორნამდე მიხვალთ, თუ ჭამის თავი გექნებათ, შეგიძლიათ უფასოდ მოითხოვოთ ყველაფერი, რაც გსურთ (გარდა ალკოჰოლური სასმელისა, რომელიც, გასაგები მიზეზების გამო, რესტორანში არ იყიდება), მაგრამ ბევრი ჭამა არ ღირს, რადგან უკან დაბრუნებისას ზუსტად იმავე მარშრუტის გავლა მოგიწევთ.





# უდიდესი თვითმცლელი მანქანა

**ბელარუსის საავტომობილო ქარხანაში აშენდა მსოფლიოში ყველაზე დიდი თვითმცლელი სატვირთო მანქანა – „Belaz-75710“. მისი ტვირთამწეობაა 450 ტონა. ქარხნის წარმომადგენელთა თქმით, დოკუმენტები გინესის რეკორდების წიგნის ჩანაწერებისთვის უკვე შეტანილია.**

მანამდე ყველაზე დიდი თვითმცლელი სატვირთო მანქანები იყო 360 ტონა ტვირთამწეობით. მსოფლიოში მხოლოდ 5 კომპანია აწარმოებდა ასეთ სატვირთო მანქანებს, Belaz-ი, რა თქმა უნდა, შედის მათ რიცხვში: 2007 წელს ქარხანაში აშენდა კარიერის თვითმცლელი სატვირთო მანქანა 360 000 კგ ტვირთამწეობით.

8-ბორბლიანი ახალი გიგანტი, საერთო წონით 810 ტონა, აღჭურვილია ორი დიზელის ძრავით, ორადგილიანი კაბინით, რეგულირებადი მძღოლის სავარძლით და უსაფრთხოების ROPS სისტემით, Michelin-ის წარმოებული რადიალური პნევმატური საბურავებით. სატვირთო მანქანას შეუძლია განავითაროს მაქსიმალური სიჩქარე — 64 კმ/სთ.



# პატარძლის დამზადებული საქორწინო ბეჭედი







**ახალი ამბების სოციალური საიტის — „reddit“-ის მომხმარებელმა თავისი საქმრო ენდრიუსათვის საქორწინო ბეჭედი საკუთარი ხელით გააკეთა.**

მომავალ პატარძალს სახლის სამზარეულში აქვს ძვირადღირებული დაზგა-დანადგარი, რომლის დახმარებითაც აკეთებს ბეჭდებს ქორწილისთვის; წყვილმა მხოლოდ ბრილიანტის თვლები იყიდა გემოვმებისა და შესაძლებლობის მიხედვით.

მომავალი პატარძალი კეიტი ჩენდრიუტონი მთელი მონდომებით ამზადებს საქორწინო სიმბოლოებს.

კეიტმა ეს პროფესია თინეიჯერობის ასაკიდანვე ისწავლა ბიძამისის — ბრაიტონ ჩენდრიუტონისგან, რომელსაც თავისი საამქრო ჰქონდა ქალაქ კვებეკში.







# 2001 წლის ტრაგედიის განმეორება?

**მალაიზიის ლაინერის კატასტროფის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. აპრილიდან დღემდე უკრაინული ძალოვანი უწყებები ავიაკატასტროფის რაიონში ე. წ. ანტიტერორისტულ ოპერაციას ახორციელებენ სახელმწიფო გადატრიალების გამო უკმაყოფილო დონბასის მოსახლეობის წინააღმდეგ. ოპერაციაში მონაწილეობს ავიაცია, მძიმე არტილერია და ზალპური ცეცხლის სისტემები.**




**ექსპერტთა აზრით, უკრაინის არმიას საბჭოთა კავშირისდროინდელი სამხედრო ტექნიკა აქვს და საბრძოლო ოპერაციებში მისი გამოყენებისას შეიძლებოდა განმეორებულიყო ტრაგედია, რომელიც 2001 წელს შავი ზღვის თავზე უკრაინელთა მიერ რუსული სამგზავრო თვითმფრინავისთვის რაკეტის სროლას მოჰყვა.**

იმხანად უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო ნაწილების სწავლების მიმდინარეობისას სარაკეტო კომპლექს C-200-ით ჩამოაგდეს რუსული „ტუ-154“, რომელიც თელ-ავივიდან ნოვოროსიისკში მიფრინავდა. შედეგად დაიღუპა 78 ადამიანი — 66 მგზავრი (უმეტესობა ისრაელის მოქალაქე) და ეკიპაჟის 12 წევრი.



# რატომ ჩამოვიდა სისხლის სამართლის სპეციალისტების ჯგუფი საქართველოში?

**თბილისში მსოფლიოში აღიარებული სისხლის სამართლის პრაქტიკოსი სპეციალისტების ჯგუფის ჩამოსვლას ექსპერტი ვახტანგ მაისაია გამოეხმაურა. მან აღნიშნა, რომ სპეციალისტების ჩამოსვლა რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული, მათ შორის, ზურაბ ჟვანიასა და ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეებით.**

„როგორც ჩანს, პროკურატურას კომპეტენციის პრობლემები აქვს და სპეციალისტების ჯგუფის ჩამოყვანა ამიტომ გახდა აუცილებელი. საქართველოში ძალიან ახალგაზრდა პროკურორები არიან. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს პროკურატურაში ასეთი ახალგაზრდა კადრები. არც ერთი გახმაურებული საქმე, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია, დაწყებული ჟვანიას გარდაცვალებით და დამთავრებული ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებით, არ არის გამოძიებული. ეჭვი მეპარება, რომ ეს საქმეები საერთოდ გამოიძიონ. შესაბამისად, ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომლის გამოც მოიწვია პროკურატურამ სპეციალისტთა ჯგუფი. რაც შეეხება მეორე ფაქტორს, ჩემი აზრით, ეს არის სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში ჩადენილი დანაშაულები. მას შემდეგ, რაც ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა, დარჩა ერთი აუღებელი ციხესიმაგრე — სასამართლო ხელისუფლება. ამიტომ, თუ სასამართლო სისტემას არ ეშველა, ქვეყანა ვერ განვითარდება“, — განაცხადა ვახტანგ მაისაიამ.

# მერიის «ქონების მართვის სააგენტოს» უფროსი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი დავით ჭედია.**



გამოძიებით დადგინდა, რომ დავით ჭედია 2011 წლიდან მუშაობს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის თანამდებობაზე. მისი უფლება-მოვალეობა იყო თვითმმართველი ერთეულის (ქალაქ თბილისი) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების, განკარგვისა და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი მომზადებული პროექტების ქალაქ თბილისის მთავრობის სხდომაზე გატანა.

2013 წლის 17 ივლისს თბილისის მერიამ მიმართა შპს „გუდაური სქი რესორტს“ და საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მოითხოვა 193 500 აშშ დოლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა.

„აღნიშნულის შესახებ ცნობილი გახდა გიორგი ღონიაშვილისთვის, რომელმაც შპს „გუდაური სქი რესორტის“ ფაქტიურ მფლობელს, გიორგი კაპანაძეს, შესთავაზა, 50 000 ლარის სანაცვლოდ, ქ. თბილისის მერიის მაღალჩინოსნებთან თავისი კონტაქტების გამოყენებით, მოთხოვნილი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლება.

გიორგი კაპანაძისგან თანხმობის მიღების შემდეგ, გიორგი ღონიაშვილი დაუკავშირდა თავის ნაცნობს, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროს დავით ჭედიას, რომელსაც სთხოვა შპს „გუდაური სქი რესორტისთვის“ დარიცხული პირგასამტეხლოს მოხსნა. დავით ჭედიამ, მოქმედებდა რა გიორგი ღონიაშვილის ინტერესების სასარგებლოდ და საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, სამსახურებრივი უფლებამოსილება გამოიყენა ბოროტად და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურის თანამშრომლებს მოამზადებინა შპს „გუდაური სქი რესორტისთვის“ პირგასამტეხლოს მოხსნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების პროექტი და დაავალა საკითხის ქ. თბილსის მთავრობის სხდომაზე გატანა.

2014 წლის 25 აპრილს ქ. თბილისის მთავრობამ, დავით ჭედიას დავალებით მომზადებული საკითხის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება შპს „გუდაური სქი რესორტისთვის“ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან განთავისუფლების შესახებ, რითაც არსებითად დაირღვა საჯარო ინტერესი. საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით“, — აღნიშნულია განცხადებაში.

# ფოთში მძღოლებმა აქცია გამართეს

**ფოთელმა მძღოლებმა გააპროტესტეს თბილისში მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც მძღოლსა და მგზავრს შორის შელაპარაკება მძღოლის გარდაცვალებით დასრულდა. აქციის მონაწილეებმა მძღოლის შრომის პატივისცემისკენ საყვირებით მოუწოდეს მგზავრებს.**

აქცია საქართველოს ტრანსპორტის პროფკავშირების ორგანიზებით მოეწყო. აქციას რუსთავში ე. წ. ყვითელი ავტობუსების, სამარშრუტო ტაქსებისა და კერძო ტრანსპორტის მძღოლებიც შეუერთდნენ. 17 ივლისს თბილისში ყვითელი ავტობუსის მძღოლი მგზავრმა ფიზიკურად შეურაცხყო, რის შემდეგაც გარდაიცვალა. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რომელიც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.



მოგემსახურებით მსუბუქი კომფორტული ავტომობილით სახლიდან სახლამდე
თბილისი — ბათუმი — თბილისი.
ტელ. 585-79-99-69

# ერაყელი ისლამისტების ლიდერმა ევროპაში ისლამური ხალიფატის შექმნის შესახებ განაცხადეს

**დაჯგუფება „ერაყისა და შამის ისლამური სახელმწიფოს“ (ეშის) მეთაურმა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ ევროპაში პირველი ისლამური ხალიფატის შექმნის გეგმებზე ისაუბრა.**

თავისი მიმდევრებისადმი გაგზავნილ მიმართვაში მან ხაზი გაუსვა, რომ „ერაყში სრული გამარჯვების შემდეგ დადგება რიგი ევროპისა, სადაც მსგავსი რეჟიმი ანდალუზიის (ესპანეთი) ტერიტორიაზე შეიქმნება“. — იუწყება ირანული სააგენტო Mehr-ი.

ალ-ბაღდადიმ მიმართა ექსტრემისტებს, რომლებიც ერაყის ტერიტორიაზე გამართულ საომარ მოქმედებებში მონაწილეობენ. მისი განკარგულების თანახმად, **ევროპაში ხალიფატის რეჟიმის დამყარების შემდეგ ევროპელთა სიცოცხლესა და ქონებას განკარგავენ ის „ბოევიკები, რომლებმაც პირადად მასთან დადეს ფიცი, და რომლებიც ალ-ბაღდადის მომხრეთა რიგებში 10 ადამიანს გადაიბირებენ“**. „ამის შემდეგ თითოეულ ევროპულ ქვეყანაში ისლამურ ხალიფატს შევქმნით“, — აღნიშნავს მიმართვაში ალ-ბაღდადი. ალ-ბაღდადი საკუთარ თავს „წინასწარმეტყველი მუჰამედის მემკვიდრეს“ უწოდებს. ის სწავლობდა ისლამს ბაღდადის უნივერსიტეტში, იბრძოდა ერაყის პარტიზანული არმიის რიგებში, 2005 წელს დააპატიმრეს ამერიკელებმა, თუმცა 4 წლის შემდეგ გაურკვეველი მიზეზით გაათავისუფლეს.



## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894